114
1954/4.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მგზავრი

6

ივნისი

1954

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მნათობი

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

6805

წელიწადი ოცდამეთერთმეტე

6

★

ი ვ ნ ი ს ი

19 სახელგამი 54
თბილისი

ბორჯომის სახ. ა. სახელმწიფო
საჯარო
ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა ა რ ს ი

★

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მ ხ ა ტ ვ რ უ ლ ი ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

სერგო კლდიაშვილი — პატარა ცხოვრება. რომანი. 3
გიორგი კაჭახიძე — ყოველ ცხლე მისი; ამიტომ გვიყვარს. ლექსები 46
კონსტანტინე გამსახურდია — ვაზის ყვავილობა. რომანი. გაგრძელება 48
აკაკი ბელიაშვილი — უღელტეხილი. რომანი. გაგრძელება 74
მირონ სურგულაძე — სულხან-საბა ორბელიანი. ლექსები 97
ბენო თათარიშვილი — ურყევი მეგობრობის ძეგლი. ნარკვევი 116

კ რ ი ტ ი კ ა დ ა პ უ ბ ლ ი ც ი ს ტ ი კ ა

ნიკო ბერძენიშვილი — საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის. წერილი 121

ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა

შ. ძიძიგური, ს. გუგუშვილი — შენიშვნები ახალი „ქართულ-რუსული ლექსიკონის“ გამო 140
ეროდიონ ქავეარაძე — წიგნი მეგობრობისა 146
პავლე კოხრეიძე — ახალგაზრდა მწერლის რომანი 148
გიორგი ხუხაშვილი — აკაკი გეწაძის ლექსები 151
შოთა სულაბერიძე — რევაზ ინანიშვილის „პირველი მოთხრობები“ 154
ნინო აღნიაშვილი — მონოგრაფია ნინო ნაკაშიძეზე 156
ზაქარია შველიძე — ისტორიული ნაშრომი ინგლისელ-თურქ დამპყრობთა გეგმების ჩაშლის შესახებ 157

რედაქტორი
ალიო მირცხულავა

სარედაქციო კოლეგია
ნიკოლოზ აგიაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), დიმიტრი გენაშვილი, ნიკო კეცხოველი, სანდრო შანშიაშვილი, ოთარ ჩხეიძე, სერგი ჭილაია.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 3/VII-54 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 10. უე 04434
შეკვ. № 925. ტირაჟი 5.300.

პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.
რედაქციის მისამართი: მარჯანიშვილის ქ. № 5. ტელეფონი 3-23-42.

ᲡᲔᲠᲒᲝ ᲙᲘᲠᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

★

I

ᲒᲐᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲐ

იმ ზაფხულს მშობლებმა მარტო გამიშვეს არდადეგების გასატარებლად. მათი რჩევით, ჩემთვის სასარგებლო იქნებოდა, თუ შეჩვეულ ოჯახურ პირობებს მოვცილდებოდი, დროებით ახალ გარემოში ვიცხოვრებდი და გავერთობოდი. არა, ავად არ ვყოფილვარ. ჩემი სნეულება სულ სხვა ხასიათის იყო... ერთი წლის განმავლობაში როგორღაც უცბად დავეჩაბუკდი. ბევრს ვკითხულობდი, მაგრამ უთავბოლოდ, განურჩევლად და უმთავრესად ისეთ წიგნებს, რომლებიც იმ დროისათვის დამახასიათებელ სულიერი დაცარიელების ნაყოფი იყო. რაც უფრო დახლართული იყო ნაწარმოები მისტიკური მირაჟებით, მით უფრო მეტი სიხარბით ვეწაფებოდი მას. ამგვარი წიგნების კითხვა, ცხადია, გამანადგურებლად მოქმედებდა. ჯანით სავსე, ბუნებით ხალისიანი ჭაბუკი, ბურუსში ვიყავი გახვეული, წაკითხულიდან მრავალი რამ გაუგებარი იყო ჩემთვის, მაგრამ გონება უნებურად მაინც იწოვდა იმ შხამს და მწამლავდა. მიყვარდა მზე, მეგობრებთან ტყეში ხეტიალი და მდინარეში ჭყუმპალაობა, ჩემს თავს კი ძალას ვატანდი უარმეყო ყველაფერი ხილული და მეოცნება რაღაც უცხო სამყაროებზე. ვხედავდი ამწვანებულ მინდვრებს და ჯეჯილის ბიბინს, მე კი ჩემს თავს ვეუბნებოდი: არ დაიჯერო. ეს მხოლოდ გადატრუსული უდაბნოა. მეჩვენებოდა, რომ ბოლომდე დავცალე ტანჯვის ფიალა და ამ ცხოვრებისგან აღარაფერს არ უნდა მოველოდე.

გული ამიგორდა სწავლაზე და იმის მაგიერ, რომ გიმნაზიაში მევლო, დავხეტიალობდი სასაფლაოზე და ბაგრატის ტაძრის ნანგრევებზე. გორაკის წვერზე ჩამომჯდარი გავყურებდი გარემო ბუნებას, მინდოდა სავსებით მივცემოდი ჩემს ბნელ ფიქრებს, მაგრამ ამის ნაცვლად სულ სხვა განწყობილება იფეთქებდა უეცრად. — თვალს იტაცებდა რიონის ხეობის და გელათის მთის სილამაზე და იღვიძებდა ის ჯანმრთელი გრძნობა, რომლის იძულებით ჩახშობას თურმე ტყუილად ვცდილობდი. მაგრამ მაშინვე ისევ ბრძოლას ვუმართავდი ჩემს თავს და, თუმცა ახლა გულს არ ეკარებოდა, ისევ ვიწყებდი ფიქრს ცხოვრების ამაოებაზე. რა მინდოდა მე? მტანჯავდა რაიმე? არაფერი, და მაინც მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი, რომ სიცოცხლეს არავითარი ფასი არ ჰქონდა.

იმ ხანში წერა დავიწყე. თანამედროვეობასთან ფეხაყოლებით სიარული მინდოდა და ამიტომ სხვებსავით მეც ვწერდი სიკვდილზე, მიუწვდომელ ციებზე და მარტობის სიდიადეზე. ვგზავნიდი ჟურნალ-გაზეთებში და მიბეჭდავდნენ. ჯერ სიხარული ვიგრძენი, თავი ახალი სიტყვის მაცნედ წარ-

მოვიდგინე, მაგრამ მალე ესეც ფუჭ საქმედ მივიჩნიე და ამაზედაც ხელი ჩავაქნიე. ჩემი ცხოვრების გაზაფხული იყო, პირველად იღვიძებდა ჩემი ახალგაზრდობა, ვშფოთავდი, მოუსვენრად ვიყავი და თვითონაც არ ვიცოდი, რა მინდოდა.

ჩემი ამგვარი განწყობილება ერთ ახლო მეგობარს გავუზიარე. ყურადღებით მომისმინა და ბოლოს მკითხა:

— იქნებ შენ გიყვარს ვინმე?

სულ არ მოველოდი ასეთ კითხვას. დავიბენი, არ ვიცოდი, რა მეპასუხა. ჩემი გაოცება მან ისე გაიგო, თითქოს გამხელას არ ვაპირებდი, მისაყვედურა და დაყინებით ჩამკითხა:

— ვინ არის? არ მეტყვი?

იძულებული გავხდი მეთქვა, რომ, მართალია, რამდენიმეჯერ გატაცებული ვიყავი ხან ერთი, ხან მეორე ქალიშვილით, მაგრამ სიყვარული? ეს დიდი გრძნობა, რომელიც ცამდე აჰყავთ? არა, არ განმიცდია.

— მაშ არ მიმალავ? ნამდვილად არავინ?

— არა, მაგრამ თუკი შეიძლება ამას სიყვარული ვუწოდოთ, მართლაც მიყვარს ერთი ვინმე, ოღონდ ჩემებურად... რეალურად ის არ არსებობს და ამიტომ, ცხადია, არც მინახავს, მაგრამ მისი სახე მუდამ თავს დამტრიალებს; ჯერ არ დავლაპარაკებივარ, მისი ხმა კი ხშირად მესმის... ის ჩემს ოცნებაშია, მთელი არსებით მისკენ ვისწრაფი და მჯერა, რომ ოდესმე შევხვდები...

მეგობარმა მოთმინებით მომისმინა და ბოლოს ხელი ჩააქნია:

— ყველაფერი ეგ ქარის მონატანია და სხვა არაფერი... როგორ შეიძლება ასე გაორებული იყო ადამიანი? — გულწრფელად აღშფოთებული იყო ის. — ჩვენს ამხანაგებში შენ ყველაზე უფრო ხალისიანი მეგონე, ახლა კი რა მესმის?! ჯანდაბას შენი თავი, დაე, გიყვარდეს ის ვილაც, ოცნებაში შექმნილი, მაგრამ ის რაღა იყო, სიცოცხლის უაზრობაზე რომ მეუბნებოდი? ეგ ხომ სულმდაბლობაა! არ მოგწონს რასაც ცხოვრებაში ხედავ და ამიტომ ცხვირი უნდა ჩამოუშვა და გულზე ხელები დაიკრიფო? წიგნებში მაინც არ წაგიკითხავს, როგორი თავგანწირულებით იბრძვიან ნამდვილი ადამიანები უკეთესი მომავლისათვის? განა ჩვენი მიზანიც ეგ არ უნდა იყოს? როგორ უნდა მოგყირჭებოდა ცხოვრება, როცა ის ჯერ არც გინახავს? შენ სხვისი ფეხის ხმას ხარ აყოლილი, მოწამლული ხარ ამმორებული ჰაერისგან და ეცადე, მალე განიკურნო!

გულს მოხვდა მეგობრის სიტყვები, ვგრძნობდი, რომ სიმართლეს მეუბნებოდა, მაგრამ შხამი უკვე ჩაწვეთებული მქონდა და მისგან თავის დაღწევა არც ისე ადვილი იყო.

შინაურები ხედავდნენ, რომ დაღვრემილი ვიყავი ხოლმე, ვერ გაერკვიათ ამის მიზეზი. საგონებელში იყვნენ ჩავარდნილი და თვითეულ ჩემს ნაბიჯს ფარული შიშით თვალს ადევნებდნენ.

განსაკუთრებული მზრუნველობით და ყურადღებით მეპყრობოდნენ, ვიცოდი, რომ მშობლები ახლა არაფერზე უარს არ მეტყოდნენ, მაგრამ ამით პოროტად არ მიმარგებლია. ერთადერთი ის ვთხოვე მათ, რომ ზაფხულზე დეიდასთან რაჭაში გავეშვით.

რა თქმა უნდა, უარი არ უთქვამთ, დედამ წერილი გაგზავნა და, როგორც კი პასუხი მიიღო, სამგზავროდ გამამზადეს.

რაჭაში წასვლა შემომთავაზეს ჩემმა მეგობარმა გიმნაზიელმა ქალიშვილებმა — ნატომ და ელენემ. ლამაზი, მხიარული ქალიშვილები იყვნენ, გულწრფელი დამოკიდებულება გვქონდა და სიხარულით გადავწყვიტე, გავყოლოდი მათ.

ერთი კვირის შემდეგ სკოლიდან

დაგვითხოვეს და მეც დავტოვე ქალაქი.

მზიანი დილა იწყებოდა, როცა ჩვენი სახლის წინ ეტლი გაჩერდა. ამგვარ ეტლებს ჩვენებურადაც „ლინეიკას“ უწოდებენ. ზედ ისხდნენ ჩემი მეგობარი ქალიშვილები და მათი დედა, პატარა ტანის, შავებში ჩაცმული, ჯერ კიდევ ახალგაზრდა ქალი. უკან საბარგულზე დაკრული იყო ჩემოდნები და კალათა. ამათ ჩემი პატარა ჩემოდანიც დაემატა. აფორიაქებული ვიყავი გამგზავრების წინ, აჩქარებულად დავემშვიდობე შინაურებს და „ლინეიკის“ ერთ მხარეზე ჩემთვის დატოვებულ ადგილზე მოვთავსდი. დედაჩემი რამდენიმე წუთის განმავლობაში რაღაცას ჩასჩურჩულებდა ქალიშვილების დედას. ცხადია, ჩემზე ელაპარაკებოდა. მისი თავშეკავებული ამოოხვრაც მომესმა. უკანასკნელად კიდევ გადავეხვიე დედას, ატირებულ პატარა დას გასამხნევებლად გადავძახე. ცხენები ხანტად დაიძრნენ და ბორბლები არიხინდა რიყის ქვებით დაბეკნილ ქუჩაზე.

ქალაქი ის-იყო იღვიძებდა. აქა-იქ ჩანდნენ ბაზრისკენ სწრაფად მიმავალი დედაკაცები და მზარეულები სანოვაგის კალათებით ხელში. სახლებში ფანჯრებს აღებდნენ, აივნებზე მთქნარებით გამოდიოდნენ სანახევროდ ჩაუცმელი, ჯერ კიდევ ძილმღვიძარი, მოქალაქენი. ყოველდღიური და ჩვეულებრივი სურათი იყო, მაგრამ გულში სიხარული მუდგა და ყველაფერს ხალისით შევყურებდი.

რახრახით ჩაიარა ჩვენმა ეტლმა ქალაქის ქუჩები, ჯაჭვის ხიდზე გავედით, ჩამოვიტოვეთ ფერმის ბაღები და შემდეგ ხეობაში რიონის ნაპირებზე გაჭრილ გზას გავყევით.

როდესაც ეტლი ჩვენი სახლის წინ იდგა, კოფოზე მეეტლეს გვერდით ვიღაც ქალიშვილი დავინახე. მაგრამ მაშინ მისთვის ყურადღება არ მიმიქცევია. საკმაო მანძილი გავიარეთ და მაინც მხოლოდ მაშინ გამახსენდებოდა ხოლმე იმ უცხო თანამგზავრის არსებობა, როცა შემთხვევით კოფოსკენ ავიხედავდი. ქალიშვილს გიმნაზიელის ფორმა ეცვა და ეხურა პანსიონის ქუდი, რომელიც კათოლიკების პატრის თავსამკაულს ჩამოჰგავს. ჯერ არ მენახა მისი სახე, ვხედავდი მხოლოდ ზურგს და თეთრ კისერზე გადმოვარდნილ წაბლისფერი თმის რამდენიმე ღერს, რომელთაც ხეობის ნიავი არხევდა.

პირველად ვმგზავრობდი ამ ადგილებში, პირველად ვხედავდი ვიწრო ხეობაში მომწყვდეულ რიონს და ჩემი თავი შორეულ უცხო ქვეყანაში მეგონა. მთის კალთებზე აქა-იქ სოფლები ჩანდა. დაქანებულ ფერდობებზე ლურჯად ბიბინებდა სიმინდის ყანები.

II.

უცნობი ქალიშვილი

ტყიან მთებს შორის მირახრახებდა ჩვენი ლინეიკა, მზიანი დილა იყო და ჩვენც, რამდენიმე უზრუნველი ბარტყი, გულღიად და მხიარულად ვჭღურტულობდით. საკმარისი იყო გამრუდებული ხე დაგვენახა, და სიცილს ავიტეხდით. ერთ მოსახვევში კვიციანი მხედარი შემოგვეფეთა, კვიცმა ჭიხვინით ჩაგვირბინა და ჩვენც ერთსულოვანი ხარხარი გავაყოლეთ. რა თქმა უნდა, აქ სასაცილო არაფერი იყო, ცალ-ცალკე რომ ვყოფილიყავით, ცხადია, ჩუმად ჩავივლიდით, მაგრამ ჩვენს გულში ახალგაზრდული ხალისი ხმაურობდა და ერთმანეთს სიხარულით ვავსებდით.

— რას გაჩუმდით? — უეცრად კოფოდან უცნობი ქალიშვილის ხმა გავიგონე, როცა რამდენიმე ხნით სიჩუმე ჩამოვარდა. — უთხარით ჩვენს პოეტს, გვიამბოს რამე და გაგვართოს...

სიტყვა „პოეტი“, ალბათ, ჩემი მისამართით იყო თქმული, თუმცა უმართებულოდ. რადგან ლექსებს არ ვწერდი. გამიკვირდა, მაგრამ მესიამოვნა და ერთგვარი კმაყოფილება ვიგრძენი, რომ უცხო ადამიანს შორეულად მაინც გაგონილი ჰქონდა ჩემზე. უცნობ ქალიშვილს სალომე რქმეოდა. ამ სახელით მიმართავდნენ ხოლმე ჩემს გვერდით მჯდარი ქალიშვილები. ამის მეტი არაფერი ვიცოდი, ვინ იყო და რა იყო.

ხანდახან გზა დიდ დალმართში დაეშვებოდა და მდინარის ნაპირს სულ ახლო მიჰყვებოდა. ასეთ ადგილებში, სადაც ხეობა თითქოს მიჭყლეტილი იყო, სალი კლდეებით შემოსალტული მდინარე, აქაფებული და ამღვრეული, ხმაურით ილტვოდა იწროებიდან თავის დასაღწევად. კლდეები ისე იყო გადმოხურული, რომ სადღაც ძალიან მაღლა ჩანდა ცის ნაჭერი. მეჩვენებოდა, თითქოს ნათელ გვირაბში გავდიოდი. შემდეგ გზა თანდათან მაღლა იწევდა, ცხენები გაჭირვებით მიგვათრევდნენ ალმართში და მერე ისევ სივრცე გაიშლებოდა.

ნაშუადღევი იყო, როცა პირველ სადგურამდე მივაღწიეთ. შევჩერდით, რომ ცხენებს დაესვენა და ჩვენ კი გვესაუზმა. გამოცდილი მეეტლე გაშორდა სადგურის შენობას, ბალახით დაფარულ კიკნა მინდორზე გაჩერდა და ყველანი ეტლიდან გადმოვედით.

უცნობი ქალიშვილი ტანად ჩემი სიმაღლის იყო, ოდნავ მკრთალი სახე ჰქონდა. მისი წაბლისფერი თვალები დაღლილად გამოიყურებოდნენ და შიგ თითქოს რაღაც სევდა ჩაბუდებულიყო. თუ შეიძლება, რომ ადამიანზე იმსჯელო მისი სახის მიხედვით, ჩემი პირველი შთაბეჭდილებით, სალომე ჭკვიანი გოგონა უნდა ყოფილიყო.

ჩემი მეგობარი ქალიშვილების დედამ პატარა სუფრა გაგვიშალა მოლზე. ის-იყო მორთხმას ვაპირებდი, როცა სალომემ მითხრა:

— რომ გთხოვოთ, ცოტა ხნით ვერ დათმობთ საუზმეს?

ძალიან მშიოდა, მაგრამ უარი ვერ ვუთხარი.

— მაშ მიმეგობრეთ და გამომყევით. აქვე ახლოს ერთი ადგილია, საიდანაც ჩანჩქერი მოჩანს. თქვენთვის უსარგებლო არ იქნება მისი დანახვა.

შეტრიალდა და წავიდა. მორჩილად გავყევი.

გაკვირვებული თანამგზავრები ერთხმად გვეპატიჟებოდნენ სუფრაზე, მაგრამ ჩვენ უარის ნიშნად ხელები გავაქნიეთ და გზა განვაგრძეთ.

ერთხანს მდუმარედ მივდიოდით. ბუნებით მორცხვი არ ვყოფილვარ, მაგრამ ახლა რატომღაც შებოჭილად ვგრძნობდი თავს. არ ვიცოდი, რაზე ჩამომეგდო საუბარი, ვერ იქნა და ლაპარაკის დაწყება ვერ მოვახერხე. ისე მეჩვენებოდა, თითქოს სალომესთან საუბრის დროს საჭირო იყო რაღაც სხვანაირი და არაჩვეულებრივი სიტყვები. მხოლოდ რამდენიმე წუთს გაევლო, რაც ვიცნობდი და ჩემს მეგობარ ქალიშვილებთან შედარებით უკვე მთელი თავით მაღლა ვაყენებდი.

კლდის ჩამონაქცევთან დავსხედით. ქვევით რიონი ხმაურობდა. ფერდობი ხშირი ტყით იყო დაფარული და მდინარის ნაპირებზე ამოსულ ხეებს ალაგ-ალაგ წყალში ჩაეშვათ ტოტები.

— ხედავთ? — პირდაპირ მიმახედა სალომემ.

მთის წვერიდან ჩანჩქერი ჩამოდიოდა. არა, კი არ ჩამოდიოდა, მთის თავიდან ერთბაშად იღვრებოდა, ერთი წამით თითქოს ყალყზე დგებოდა და შემდეგ უფსკრულის ძირამდე გრძელ,

გაშლილ ფარდად ეშვებოდა. მირიადი წინწკლებისაგან დაქსოვილ ფარდას ჰაერი არხევდა და ალაგ მზის შუქი ვარდისფრად ღებავდა.

ჩემი გაკვირვება და აღტაცება გამოვთქვი. ამაზე სალომემ წამით გადმომხედა და მდუმარედ ამარიდა თვალი. შეეცადე, დამერწმუნებია, რომ მოხიბლული ვიყავი სანახაობით.

სალომე ერთხანს ჩუმად მისმენდა და ბოლოს უეცრად თქვა:

— არა, თქვენ არ მოგეწონათ...

— რატომ გგონიათ? — ვკითხე გაკვირვებულმა.

— იმიტომ, რომ ძალიან ბევრს ლაპარაკობდით თქვენს აღტაცებაზე...

დალახვროს ეშმაკმა, მართალი იყო! ჩანჩქერის დანახვამ ჩემი თვალი მიიპყრო, მაგრამ განსაცვიფრებელი რამ მასში ვერაფერი ვერ დავინახე.

— თქვენ მართალი ხართ, — ვაღიარე გულწრფელად.

არა, მის წინაშე პირფერობა შეუძლებელი იყო. ის თითქოს ღრმად იხედებოდა ადამიანის გულში.

სალომემ მიწიდან კენჭი ამოკირკნა და, როგორც ყველა ქალიშვილს სჩვევია, მოუხერხებლად გადაისროლა. კენჭი ნაპრალის პირად დავარდა. ამოვირჩიე მოზრდილი ქვა, მოვიქნიე და უფსკრულში გადავაქანე.

—თქვენი ნაწერიდან არაფერი არ წამიკითხავს, — სივრცეს გასცქეროდა და თითქოს თავისთვის ლაპარაკობდა სალომე. — მე გიმნაზიის პანსიონში ვცხოვრობ, იქ კი აკრძალული გვაქვს ქართული ჟურნალების და გაზეთების კითხვა. ეს იმიტომ, რომ აღმზრდელებს ქართული არ ესმით და ფრთხილობენ, ისეთი რამ არ წავიკითხოთ, რაც ჩვენთვის ნებადართული არ არის.

რამდენიმე წუთი დუმდა და მერე მკითხა:

— საინტერესოა თქვენი ნაწერი? ღირს წაკითხვა?

არ ვიცოდი, რა მეპასუხა. უნებურად შევიშმუშნე. მინდოდა მეთქვა, რომ ეს თვითონ მკითხველმა უნდა განსაჯოს, მაგრამ გაჩუმება ვამჯობინე.

— ვერ წამიკითხავთ რომელიმე თქვენს ნაწარმოებს?

უხალისოდ ჩავილაპარაკე, რომ ზეპირად არ მახსოვს, დაბეჭდილი კი თან არ მაქვს... თუ იქ, დაბაში, წიგნსაცავი არსებობს, იმ შემთხვევაში თხოვნას შევუსრულებ...

— სიამოვნებით მოვისმენ, — თქვა სალომემ და შემდეგ დაუმატა: — მე მგონია, რომ მწერლობა უბრალო საქმე არაა... თქვენ კი ძალიან ახალგაზრდა ხართ ამისათვის. განა მართალი არა ვარ?

შეურაცხყოფად მივიღე ეს სიტყვები. ამით ხომ ჩემდამი ერთგვარი უნდობლობა გაამყღავნა და კიდევაც მისაყვედურებდა, რომ ახალგაზრდამ გავბედე ასეთი საქმე. განა თვითონ ჩემი ხნის არ იყო? ჩვენს ხანში კი ვის ეეჭვება თავისი თავი?

მგონი იგრძნო, რომ მეწყინა და თითქოს საბოდიშოდ თქვა:

— აი, თქვენ მიზანი გაქვთ ცხოვრებაში და მომავალს, ალბათ, იმედიანად შესცქერით... კარგია ეს... ნეტავ თქვენ...

ჩანჩქერს მივჩერებოდი და უკვე თავს მაბეზრებდა მისი ერთფეროვანება. არსად არც ერთი წამით არ შეცვლილა მისი მოძრაობა. მონურად ემორჩილებოდა ერთხელვე მიკუთვნებულ გზას.

სალომეს ხმა მესმის:

— მომწყინდა თქვენთან... წავიდეთ.

ავდექით და გამოვბრუნდით.

პირდაპირ გულში მომხვდა მისი სიტყვები. დავაპირე დაურიდებლად მეპასუხა, მაგრამ თავი შევიკავე. ხომ არ დავუწყებდი იმის მტკიცებას, რომ მოსაწყენი კაცი არ ვარ!

ჩვენი თანამგზავრები უკმაყოფილოდ და, თანაც, ირონიით შეგვხვდნენ. საუზმე შეენახათ ჩვენთვის და მოგვიწვიეს. ხის ძირში გაშოტილმა მეეტლემ გაიღვიძა. საბალახოდ აშვებული ცხენები მორეკა, დავსხედით ეტლზე და გზა განვაგრძეთ. სალომე ისევ კოფოზე დაჯდა.

შეიძლება ისეთივე ლამაზი გზა იყო, როგორც აქამდე, მაგრამ ახლა გუნებაზე არ ვიყავი და არაფერს არ ვამჩნევდი. ვცდილობდი, თავიდან მომეშორებინა ფიქრი სალომეზე. ამ უცნაურ არსებაზე, რომელმაც თითქმის აბუჩად ამიგდო, და მაინც სულ მასზე ვფიქრობდი. გული მომდიოდა ჩემს თავზე. მაგრამ ვერ იქნა და ვერ მოვიშორე ფიქრი. განსაკუთრებით მისი ბოლო სიტყვები ჩამრჩა გულში. რატომ გავჩუმდი, რამ წამახდინა მაშინ? რომ სცოდნოდა, რა უკმეხი ვარ ხოლმე, ალბათ ვერ გამიბედავდა. ჩემი ბრალია, თუ გამითამამდა... ვარწმუნებდი თავს, რომ საერთოდ არ ღირდა სალომეზე ფიქრი. და მაინც თვალწინ მედგა მისი სახე. რა კარგი იქნებოდა ახლა მის ჯინაზე გამერთო ჩემი მეგობარი ქალიშვილები და ისეთი რამ მეამბო მათთვის, რაც საერთო შხიარულებას გამოიწვევდა! კარგი იქნებოდა, მაგრამ სად იყო ამის გუნება?

ხმას არ ვიღებდი, გასუდრული ვიჯექი. ჩემი უგუნებობა შეამჩნიეს მეზობლებმა და მზრუნველობით, თანაც მეგობრული დაცინვით, მიზეზი იკითხეს. მოკლედ ვუპასუხე, რომ წუხელ არ მიძინია და ახლა კიდევ მზე ძალზე მაცხუნებს.

დაბინდდა, როცა ჭრებალოს სადგურში მივედით. სადგურის მოჯარადრემ მოგვიჩინა ერთი მოზრდილი ოთახი, რომელშიაც თივა ეყარა. ზედ ფარდაგები დავაფინეთ და დასაწოლად მოვემზადეთ. დაღლილნი ვიყავით და თითოეოროლა აუცილებელი სიტყვით თუ მიგმართავდით ერთმანეთს. სალომესთვის ხმა არ გამიცია და ვცდილობდი, არც შემემჩნია.

— თქვენ მგონი უკმაყოფილო ხართ ჩემით, — გადამილაპარაკა დაწოლის წინ.

კუშტად ვუთხარი, რომ ეჩვენება.

— არა, ახლა კი ნამდვილად ვხედავ, რომ გეწყინათ რაღაც. ჰო, მაგრამ, რა? ახლა თუ არა, ხვალ ხომ მეტყვით?

არ ვუპასუხე.

— ხომ მეტყვით? — სულ ახლო მოვიდა და ჩემი ხალათის ღილი თითებში ჩაიჭირა. — მე თვითონ მინდა, ბევრი რამ გითხრათ...

იდგა და თვალებში ჩამყურებდა. ისე ახლო იყო, რომ მისი სუნთქვა მესმოდა.

— მე კი მეგონა, რომ ჩვენ დავმეგობრდებოდით... არა, უარს ნუ მეტყვით მეგობრობაზე...

რა თქმა უნდა, ამის გაგონებამ სიხარული მომგვარა. უცბადვე შემეცვალა გუნება. ხალისი და სიმჩატე ვიგრძენი. ვიწექი ფარდაგზე და ისევ სალომეზე ვფიქრობდი... ახლა ის კიდევ უფრო უკეთესი და ძალიან, ძალიან ჭკვიანი მეჩვენებოდა. რატომ მაინცდამაინც ასე ჭკვიანი?! აბა, რა ვიცი. მაგრამ ახლა ამაში დარწმუნებული ვარ. ხვალ ბევრ რაიმეს ვეტყვით ერთმანეთს... სალომე ხომ არ იყო ის, ვინც აქამდე ჩემს ოცნებაში ცოცხლობდა? ხომ შესაძლებელია, რომ მართლაც ის იყო!

ამ ოცნებაში ჩამეძინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

III.

სამი მუშაკეტერი

ჯერ კიდევ მაღლა იყო მზე, როცა დაბას მივუახლოვდით. მთავარი გზიდან მარჯვნით გადავუხვიეთ, ცხენებმა ბაკაბუკით გაიარეს ხიდი რიონზე და დაბის ცენტრისკენ მიმავალ გრძელ ფართო ქუჩას გავყევით. განაპირა უბანი სოფელს უფრო ჰგავდა. ალაგ ხისა და ალაგ აგურის შენობები შორიშორს იდგა. ყველა სახლს ეზო ჰქონდა. ეზოებში დადიოდნენ ქათმები. ღობეებზე მიბმული იყო ცხვარი, ან თხა. ერთ ადგილას დავინახე ორი გიმნაზიელი, რომლებიც ხეებზე ჰამაკს აბამდნენ. მალე გამოჩნდა საკაჭროები. ჩავუარეთ ქვის სვეტებიან თეთრად შელესილ შენობას, რომელშიც სასამართლო ყოფილიყო, გავედით მოედანზე, აქ გაჩერდა ეტლი და ჩვენი მგზავრობაც დასრულდა.

— აი შენი სახლიც! — აქვე მოედნის ერთ მხარეზე ამართულ ცისფრად შეღებილ ლამაზ შენობაზე მიმითითეს ჩემმა თანამგზავრებმა. ჩემოდანი ავიღე და წავედი.

დეიდა მანანა, რომელსაც აივნიდან დაენახა ჩვენი ეტლი, კარებში შემეგება. გულთბილად შემხვდა, გადამკოცნა, პირველი წუთიდანვე ჩემდამი დიდი ყურადღება გამოიჩინა და, როგორც მალე ვიგრძენი, რაღაც ფარული შეშფოთებით თავს დამტრიალებდა. დედამ ხომ არ გააფრთხილა, როცა წერილი გამოუგზავნა?

ცალკე ოთახი დამითმეს და იქ მომათავსეს. სიამოვნებით გავიშოტე სუფთა ლოგინზე და დაღლილს ჩამძინებოდა.

ბინდი ეშვებოდა, როცა გამეღვიძა. მასპინძლები თურმე ჩემს ადგომას ელოდებოდნენ და ჯერ არ ესადილათ. ძილის შემდეგ დაუცხრომელ ძალას ვგრძნობდი. ჩემი ოთახის ერთი ფანჯარა ბაღს გადაჰყურებდა, თვალი მომტაცა მწვანე მოლმა, მსხმოიარე ხეხილმა, ეზოს ნაპირებზე გაბარდნილმა ბროწეულის ბუჩქებმა, დავაპირე თუნდაც რამდენიმე წუთით დამერბინა იქაურობა, მაგრამ ძია ლადომ, დეიდას ქმარმა, ამის საშუალება არ მომცა.

— მაგას ხვალაც მოასწრებ. — ალერსიანად ხელი მომხვია და სუფრისკენ წამიყვანა. — ჩვენ ყოველთვის ოთხის ნახევარზე ვსადილობთ, მაგრამ დღეს შენი გულისათვის დავარღვიეთ წესი და თავი მოვიმშიეთ. ძილი კი ღრმა გცოდნია, ჩემო ბიჭო. ერთი-ორჯერ ჩაგძახე და გაგარყიე კიდევაც. მაგრამ, შენც არ მომიკვდე, ყურიც არ გააბარტყუნე!

სუფრაზე ჩვენთან იჯდა ძია ლადოს მამაც, მღვდელი, რომელიც აღარ წირავდა. მას თავის დროზე ესადილა. მაგრამ ახლაც უარს არ ამბობდა, როცა საჭმელს შესთავაზებდნენ. პატარა ტანის, გამხდარი, პირქუში მოხუცი იყო. ისეთი შეთხელებული წვერი ჰქონდა, თითქოს ვიღაცას გაეპუტა. ფერიცაც უცნაური იყო წვერი. ადვილად ვერ გაარკვევდით, ჭაღარა იყო თუ მოყვითალო. თავზე კუნკულა ეხურა, ხშირი თეთრი წარბები თითქოს საჩრდილობლად თვალებზე ჰქონდა გადმოხურული, მწყრალად გამოიყურებოდა და ხანდახან თავისთვის რაღაცას ბურტყუნებდა. არ ვიცი, იქნებ მართლაც უკმაყოფილო იყო რაიმეთი, მაგრამ ამ ამბავს შინაურები ყურადღებას არ აქცევდნენ. ხალისიანი, გულღია და, როგორც მეჩვენა, ცოტა ნერვული ძია ლადო საჭმელს მთავაზობდა და ხშირ-ხშირად მივსებდა ჭიქას, რაც გამოდეიდა მანანამ ერთხელ საყვედურითაც მიმართა.

— მაშ როგორ იქნება! — იცინოდა ძია ლადო. — ჯერ ერთი, სტუმარია და მერე კიდევ—რა მწერალია, თუ ღვინოს არ დალევს! აი ამასწინათ წავიკითხე შენი დაწერილი, — მომმართა მე, — მაგრამ უნდა გამოგიტყდე, ვერაფერი ვერ გავიგე. რაღაც ერთობ ღრმა-ღრმა სიტყვებს ხმარობ.

უმალვე ვიგრძენი, რომ მათთან ცხოვრება არ გამიჭირდებოდა. ალერსიანად მექცეოდნენ და, გარდა ამისა, ქმარი ადრე მიდიოდა სამსახურში. ცოლი მთელი დღე ოჯახში საქმიანობით იყო გართული, მოხუცი მღვდელი კი სულაც არ მაქცევდა ყურადღებას. ეს გარემოება სრულ თავისუფლებას მანიჭებდა და შემეძლო ისე გამეტარებინა დრო, როგორც მომესურვებოდა.

ჩემი მასპინძლების სახლს რამდენიმე ფართო, ნათელი ოთახი ჰქონდა. სახლს წინ ჰქონდა გლიციანების შტოებით დაჩრდილული დიდი შუშაბანდი, რომელიც მოედანს გადაჰყურებდა. ნასადილევს, როცა ძია ლადო დასასვენებლად მიწვა, მარტო ვიჯექი შუშაბანდში და მოედანს გავცქეროდი. წყნარი საღამო იყო. ნაღვლიანად ვიყავი. ის სევდა იყო, ალბათ, რომელიც თუნდაც მცირე ხნით შეიპყრობს ადამიანს ახალ, ჯერ შეუჩვეველ ადგილზე. მოედანი დიდი მეჩვენებოდა. მიკვირდა, რომ ასეთი ფართო მოედანი იყო ერთი მხრიდან მდინარით და მეორე მხრიდან მთებით შეზღუდულ პატარა დაბაში, რომელსაც ხალვათად გაშლის თავი არ ჰქონდა. მოედნის ბოლოში ფანარი ენთო. ისე საწყლად ბჟუტავდა, რომ ან შუშები იყო გამურული, ან ნავთი ილეოდა. სინათლე თითქოს შორი მანძილიდან მოდიოდა და ამის გამო მოედანი კიდევ უფრო გრძელი მეჩვენებოდა. გარშემო ბუნდად ჩანდნენ შენობები და ამათ შორის უფრო გარკვევით ვხედავდი დიდ ორსართულიან სახლს, რომელსაც მთელ სიგრძეზე მიჰყვებოდა რიგულებიანი ვიწრო აივანი. ერთი ოთახიდან ოდნავ ჩანდა ლამპის მოყვითალო შუქი. მიტოვებულის და ცარიელის შთაბეჭდილებას სტოვებდა სახლი და მისი შეხედვა სევდას მგვრიდა.

ჩემ თვალწინ გაირბინა იმ ორმა დღემ, როცა აქეთკენ მოვემგზავრებოდი იმ ქალიშვილთან ერთად, რომელმაც გზაში არაერთხელ საგონებელში ჩამაგდო. დღით ამ მოედანზე დავცოლდით ერთმანეთს, არ ვიცოდი, სად იყო ახლა და რატომღაც ისე მეჩვენებოდა, რომ დიდხანს ვეღარ ვნახავდი. მგზავრობაში ახლოვდებიან ხოლმე ადამიანები. ისე ჰგონიათ, რომ ამიერიდან გულისხმიერი მეგობრები იქნებიან, მაგრამ დაიფანტებიან და, თავიანთ ბუდეს მიაღწევენ თუ არა, თითქმის აღარც ახსოვთ ერთმანეთი.

არა, მე არ დამვიწყებია სალომე, მაგრამ აღარც თუ ისე ძლიერად მენატრებოდა მისი ნახვა. კარგად მახსოვდა მხოლოდ მისი დაპირება, რომ ბევრი რაღაც უნდა მითხრას. ჯერ კიდევ რამრენიმე საათის წინ ამ საუბრის მოლოდინი სულს მიფორიაქებდა, ახლა კი მხოლოდ ჩვეულებრივი ცნობისმოყვარეობა დამრჩენოდა და აღარ მეჩქარებოდა, ხვალ მეტყოდა თუ ზეგ.

დაძინების დრო იყო, როცა ჩვენთან სამი ჩოხიანი კაცი მოვიდა. ორი მათგანი მაღალი იყო, თითქმის თანატოლები, მესამე კი ისე დაბალი, რომ ნახევარ კაცს ჰგავდა. ყველაზე მაღალს ქღალი ჩოხა ეცვა და სისო ერქვა. კუშტი გამომეტყველება და ბოხი ხმა ჰქონდა. მისი ლია ნაცრისფერჩოხიანი მომდევნო, რომელსაც პოტეს ეძახდნენ, უფრო ახალგაზრდა და ლამაზი ვაჟკაცი იყო, ამასთანავე, დიდად ხალისიანი და კეთილი ჩანდა. ნახევარ კაცს ატუას ეძახდნენ. უმალვე შეამჩნევდით, რომ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა თავის გარეგნობას. ატუა ყოველნა-

ირად ცდილობდა, როგორმე უფრო მაღალი გამოჩენილიყო, კოჭებამდე დაშვებულ ყავისფერ ჩოხას ატარებდა და ისეთივე ფერის წაგრძელებული ფაფახი ეხურა. ჩვეულებრივი ხანჯალი ყამად მოჩანდა მის წელზე, მოვერცხლილქარქაშიანი ქართული ხმალი კი იატაკს სწვდებოდა.

სისოს, პოტეს და ატუას მოსვლამ ფეხზე დააყენა მთელი სახლი. გულღიად შეეგებამათ ძია ლადო. დიასახლისი, რომელმაც კარგად იცოდა თავისი სტუმრების ხასიათი, მაშინვე შეუდგა სამზადისს და სუფრის გაწყობას.

როგორც შემდეგ გავიგე, ისინი „სამ მუშკეტერად“ იყვნენ მონათლული. არ ვიცი, როდის და ვინ შეარქვა, მაგრამ, მგონი, მოსწრებულად იყო ნათქვამი. სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, უცბადვე გასაგები ხდებოდა, ვისზე იყო ლაპარაკი, როგორც კი სამ მუშკეტერს ახსენებდნენ.

ყველა ქალაქს და სოფელს ჰყავს თავისი საკუთარი, ადგილობრივად სახელგანთქმული პიროვნებანი, და ეს სამი მეგობარიც სწორედ ასეთი იყო. ნუ შეუდგებით იმის გამორკვევას, რაიმე ღირსებას მატებდნენ თუ არა ისინი მშობლიურ ქალაქს ან სოფელს! დავკმაყოფილდეთ იმის გაგებით, რომ არც დაფნის გვირგვინით ამკობდნენ და არც არცხვენდნენ მას. სისო, პოტე და ატუა თავისი ცხოვრებით და ღვაწლით სრულიად განსხვავდებოდნენ საქვეყნოდ ცნობილ თავზე ხელაღებული სამი მუშკეტერისაგან. ეს უკანასკნელნი სეფე ქალების რაინდები იყვნენ, სახელმწიფო საქმეებში ერეოდნენ, სულ საჩხუბრად იწევდნენ, ნიადაგ დაშნას ატრიალებდნენ და ადამიანს ისე გულგრილად გახვრეტდნენ, თითქოს საშამფურე ხორცი ყოფილიყო.

ჩვენი მუშკეტერები კი ბევრად უფრო თვინიერები იყვნენ, დღით ხაზინაში მსახურობდნენ, სხვის საქმეში არ ერეოდნენ, პურმარილი და მოლხენა უყვარდათ და ისე ხმამაღლა მღეროდნენ, მათი მოსმენა ყველას ეამოვნებდა. მართალია, იარაღს ატარებდნენ, მაგრამ ერთი-ორჯერ თუ გაუკენწლავთ ვინმე, ისიც მაუბუქად, თორემ სასიკვდილოდ არავინ გაუმეტებიათ. თუ რომელიმე მათგანი მაინც რაღაცათი ჰგავდა იმ ზღვისმიერ შფოთის თავებს, ეს იყო ისევ ატუა. პატარა სკანდალები, რომლებიც ძალიან იშვიათად, მაგრამ მაინც თავიდან ვერ აუცდენიათ მეგობრებს, ყოველთვის მხოლოდ მისი მიზეზით იყო გამოწვეული. ატუამ კარგად იცოდა, რომ სისო და პოტე მხარში ამოუდგებოდნენ, არავის დააჩაგვრინებდნენ და ამ იმედით შეუტევდა ხოლმე ისეთ აყლაყუდასაც, რომელსაც აურზაურის ამტეხი ეს ყვინჩილი ერთ ლუკმადაც არ ეყოფოდა. ყველამ იცოდა ეს ამბავი, მხოლოდ ატუა იყო ამაზე ყურწაყრუებული და ყველაფერს თავის ვაჟკაცობას აწერდა. ატუასთვის რომ ვინმეს ეკითხა, სწორედ მისი ხათრით იყო, თუ მეგობრებს ადვილად ვერავინ ვერაფერს შეჰბედავდა, მისი წყალობით ედგათ პირზე სული და ამიტომ ვალდებულიც იყვნენ დაეცვათ შეურაცხმყოფელისაგან. ერთი სიტყვით, თავი ისე ეჭირა, როგორც საათავგადასავლო ძველ ევროპული რომანების გმირს, დიდგვაროვან აზნაურს, რომელიც ხელის გასვრად და თავის დამცირებად თვლიდა ზოგიერთ მოპირდაპირესთან შებმას და მსახურებს ავალებდა, დაეცვათ ბატონის ღირსება, ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, გაეტყეპათ ან დაშნაზე წამოეგოთ მოწინააღმდეგე.

ატუას მიზეზით სისო და პოტე, მართალია, არაერთხელ შეწუხებულან და იძულებული გამხდარან ჩოხის სახელოები დაეკაპიწებინათ, მაგრამ მათ პატარა მეგობარს ისეთი შეუმცდარი ყნოსვა ჰქონოდა მასპინძლის კვალის მოძებნაში, ისეთი მტერი იყო ის მოწყენი-

ლობისა. ისეთ შუშხუნას აისვრიდა ხოლმე უიმედო ცხელ ღამეში, რომ მეგობრები ყველაფერ ცუდს აპატიებდნენ ხოლმე, კიდევაც უყვარდათ და ელოლიავებოდნენ. სხვა ღირსებაც ჰქონდა ატუას და ნუ დავუკარგავთ, — სულად უანგარო იყო, გასაჭირში ჩავარდნილი კაცის დასახმარებლად უკანასკნელ პერანგსაც გაიხდიდა, კარგის დამახსოვრება იცოდა და ლირიკულ წუთებში — იშვიათად, მაგრამ მაინც ჰქონდა ამგვარი განწყობილება — თავისებური გულისტკივილით ამბობდა საყვედურს ცხოვრებაზე და ცდილობდა იმით გაემართლებინა გაუთავებელი სმა და შფოთვა, რომ თითქოს არ იცოდა, სად და რაში დაეხარჯა თავისი უშრეტი ძალა. ყველაფერი ზემოდ თქმული სიმართლეა, მაგრამ როგორადაც არ უნდა შევალამაზოთ ჩვენი ჩრა მუშკეტერი, მისი ცხოვრება იმდენად დუნე, ერთფეროვანი და თავგადასავლით ღარიბი იყო, რომ, ვეჭვობ, მისმა მემატიანემ საქვეყნო სახელი მოიხვეჭოს და უკვდავება დაიმკვიდროს. ანკი ვის რა ესაქმება ვინმე პატარა ადამიანთან, რომელიც, სადღაც, მთების სიჩუმით მონუსხულ რომელიღაც დაბის თითქოს მშვიდ, ნამდვილად კი პირქუშ, ცხოვრებას თავის მჭიდე თათებში ჩაუჭერია და აფართხალებს! თუ მაინც მოვიგონებ ხოლმე ატუას და მის მეგობრებს, მხოლოდ იმიტომ, რომ მათი წყალობით რამდენიმე დღით დაჩქარდა ერთი სუვდიანი ამბავი; მხოლოდ რამდენიმე დღით, რა თქმა უნდა, თორემ საბოლოოდ ის მაინც საბედისწეროდ დასრულდებოდა.

ისევ მათ მოსვლას დავუბრუნდეთ. მასპინძლებმა წარმადგინეს სტუმრების წინაშე, ძია ლადო შეეცადა. მათი ყურადღება შეეჩერებინა ჩემზე, ფრიად შემამკო და განზრახ გააზვიადა ჩემი ღირსებანი. მაგრამ ბევრს ვერაფერს მიაღწია. მხოლოდ პოტემ გადმომხედა თავისი ცეთილი ღიმილით, ატუამ კი მხარზე ხელი მომითათუნა მოწყალეობით და ჭკუის დამრიგებელი კილოთი მითხრა: „ყოჩაღ, ყმაწვილო, აბა შენ იცი, როგორ გამოადგები მამულს!“

რას ვიფიქრებდი იმ ღამეს, რომ ოდესმე რაიმე შემთხვევა სამუდამოდ დამაკავშირებდა მათ სახელთან! მალე ისინი სუფრას შემოუსხდნენ, მათ წრეში ზედმეტად ვიგრძენი თავი და ჩემს ოთახში შევედი. ერთხანს კიდევ მესმოდა სისოს ბანი, პოტეს გულღია სიცილი და ატუას ყვიჩოლისებური შეძახილები. სიამოვნებით ყური მივუგდე, როცა ამღერდნენ, შემდეგ წუთით სიჩუმე ჩამოვარდა და ჩამეძინა.

IV

ახალი მეგობრები

მზის შუქი ღრმად შემოჭრილიყო ჩემს ოთახში, როცა დილით გამეღვიძა. სიჩუმე იყო, მაგრამ მაინც ისე მეჩვენა, რომ იქაურობა სიხარულის მომგვრელი ხმაურით ავსილიყო.

მეშინია მიამიტობად და უგემოვნობად არ ჩამეთვალოს, თორემ აღვწერდი, რა ფირუზისფერი სუფთა ცა დავინახე და გული როგორ ამიჩვილდა, როცა ჩემი ფანჯრის რაფაზე უეცრად პატარა ჩიტი ჩამოჯდა. ის, ალბათ გალობასაც დაიწყებდა, რომ იქვე ადამიანი არ დაენახა. ჩვენი თავის წინაშე მაინც ვიყოთ გულწრფელი, რომ გაგვახარებდა ასეთი გათენება! ხელს ვინ ჩააქნევს ამ უწყინარ იდილიაზე? ვის უდევს რიყის ქვა გულის მაგიერ? თუკი არავის ეჩოთირება და ტუჩს არ აიბზუებს ამაზე, როცა მაცოცხლებელ უსაზღვრო ეთერს ადარებენ ფირუზს, ძიწის სიღრმიდან ამოთრეულ რაღაც ფერად ქვას; რომლის კულტიც კი შექ-

მნა ანგარების სულით მოშხამულმა ჩვენმა წარსულმა, რატომ პრიმიტიულობად და გემოვნების უქონლობად უნდა ჩაითვალოს თავისუფალი კეთილი ფრთოსნის უბრალოდ ხსენება? ან იქნებ თვითონ ის სიტყვაა ღარიბი და გაცვეთილი? მაგრამ რა გააღარიბებს და დააბერებს სიტყვას, თუკი ის თავის ადგილზე დავაყენეთ და შესაფერ გარეშოში გავიხსენეთ! ძვირფასი თვლებით შემკული სამეფო მანტიის აღწერამ შეიძლება დამცინავი ღიმილი მოგვგვაროს, თუ იქ სიტყვა ოჩოფეხაზეა შემდგარი, ხოლო სიტყვა თუ თავის ადგილზე დროულად გამოჩნდა, მათხოვრის ძონძების აღწერაშიც მდიდრულად გაბრწყინდება. იქნებ მაინც ამომთხოვონ, ბოდიში მოვიხადო, რომ ჩიტის გალობა ვახსენე? არა, მისი მოსმენა საციამოვნო იქნებოდა ჩემთვის იმ დილით, და ახლაც დიდი სიხარულით ყურს დავუგდებდი. ჩემი უსაზღვრო სიყვარული მზეს, ბალახის ბიბინს, ტყის შრიალს, შაშვის გალობას, ადამიანის კერას, ყველაფერს, რაც ცოცხლობს და მაცოცხლებს, რაც ასე უბრალოა და მაინც დიადია!

მაგრამ თავი დავანებოთ ამ მსჯელობას და ჩვენი ამბავი განვაგრძოთ. განა რა არის ერთი საწყალი ფრთოსანი, რომ იმის გამო აურზაური ავტეხოთ! ის უმალვე გაფრინდა, როგორც კი დამინახა და, ვინ იცის, იქნებ ახლაც სადმე თავისუფლად დანავარდობს.

გამეღვიძა თუ არა, მაშინვე წამოვხტი, ბაღში გავედი და მერე მდინარეს მივაშურე. ბობოქარ რიონს ვერ გავუთამამდი, წყნარი ადგილი მოვძებნე და გადავეშვი. წყალმა მხნეობა შემმატა, უფრო მხიარულ გუნებაზე დავბრუნდი შინ, ჩავიცვი და ქალაქში გავედი.

ამ დილით სულ სხვანაირი წარმომიდგა მოედანი. ბევრად უფრო პატარა მეჩვენა, ვიდრე წუხელ. შენობებიც უფრო დაბალი იყო და ძველი აშენებული. დიდი სახლი, რიკულებიანი გრძელი აივნით, რომელმაც დამალა ჩემი ყურადღება მიიქცია, საუბარი შეახედავი იყო. ვერა, იქ ვერ ვიცხოვრებდი. ის, ალბათ, მეც გადამდებდა თავის მელანქოლიას. სახლი მაგონებდა გაუქმებულ ძველ სასტუმროს, რომლის ჰსგავსს პროვინციის დაბა-ქალაქებში აშენებენ ხოლმე. სახლის წინ იდგა ოდესღაც შეღებილი ბოძი, რომელზედაც ჩამოცმული იყო შუშებჩამტვრეული ფანარი. გრძელ აივანს მიჰყვებოდა მთელი წყება ფანჯრებისა, რომელნიც თითქოს ცარიელი ოთახებიდან გადმოიყურებოდნენ. ადამიანისაგან მიტოვებულ კუთხეს ჰგავდა იქაურობა. მოედნის მარჯვენა მხარეზე რაღაც ბაღი დავინახე და იქითკენ წავედი. ეტყობოდა, ოდესღაც უვლიდნენ ამ ადგილს. ბაღის შუაგულში შევნიშნე ცემენტით ამოლესილი აუზი შადრევანისთვის, მაგრამ ახლა ის წყლის ნაცვლად ქვითა და გოროხით ამოვსილიყო. ერთ კუთხეში ვარდის ბუჩქს მოვკარი თვალი. გაველურებულ ბუჩქზე რამდენიმე შემჭკნარი კუკური შევნიშნე, — ეტყობოდა, ისე ხმებოდნენ და იღუპებოდნენ, რომ ერთი დღით გაფურჩქვნასაც ვერ ასწრებდნენ.

როცა ბაღიდან გამოვბრუნდი, შემოსასვლელთან ორი გიმნაზიელი დავინახე. ჩემი ხნის იქნებოდნენ, კარგად ეცვათ, ბალთაზე და კოკარდაზე გამოსახული ნიშნებით მივხვდი, რომ თბილისიდან ჩამოსული იყვნენ.

უცნობი თანატოლის დანახვამ მათი ყურადღებაც მიიქცია, საუბარი შეწყვიტეს და შემათვალიერეს.

— იქნებ იცოდეთ, სად არის აქ ბიბლიოთეკა? — მივმართე მათ უფრო იმ მიზნით, რომ გამოვლაპარაკებოდი.

ერთმა მათგანმა, რომელიც უფრო მომცრო, პირმრგვალი და ჩასკვნილი იყო, უარის ნიშნად თავი გააქნია და ბითხრა:

— შეიძლება კლუბში იყოს. წამოდით, ჩვენც იქით მივდივართ.

გავყევი.

— აქ პირველად ხართ? —ისევ პირმრგვალმა გამცა ხმა. —როდის ჩამოხვედით?

— გუშინ, — მოკლედ მივუგე.

მან პაპიროსის კოლოფი ამოიღო, მეგობარს გაუწოდა და მეც შემომთავაზა. არ ვეწეოდი. მაგრამ მაინც გამოვართვი. გავაბოლეთ და გზა განვაგრძეთ.

— გუშინ სალომეც ჩამოსულა. — თქვა უეცრად უფრო მაღალმა.

— სალომე? სალომე ერისთავი? — გაკვირვებით შეხედახა მომცრომ და მოკლედ დასტვინა. — ეგ საინტერესო ამბავი გავიგე. მაშ ამიერიდან აღარ მოვაწყენთ...

სმენად ვიქეცი.

— ნეტავი შენ, აღარ მოგწყინდა მისი კაპრიზები? — ხელი აიქნია მაღალმა.

— ვნახოთ, წელს რა ჭკუაზეა, — გადახედა მომცრომ. — თუ შარშანდულად უხიაგი და ველური იქნება, ახლოს არ გავეკარები.

ჩემთვის უკვე ნათელი იყო, რომ ესენი ახლო იცნობდნენ სალომეს.

— ჩვენ ერთად ჩამოვედით,—ყრუდ ჩავილაპარაკე.

— დარწმუნებული ვიყავი, ჩამოვიდოდა. თითქმის ყოველ ზაფხულს აქ ატარებს თავის ბიძასთან, — თქვა მომცრომ და შემდეგ მკითხა: — თქვენ აალომეს ნათესავი ხომ არ ხართ?

— არა... ჩვენ გზაში გავეცანით ერთმანეთს... იმის შემდეგ აღარც მინახავს... ისიც არ ვიცი, სად ცხოვრობს...

რატომ ვთქვი ასე? თითქოს რაღაცაში თავს ვიმართლებდი მათ წინაშე. თითქოს ვშიშობდი, არ ეგრძნოთ, რომ დაინტერესებული ვიყავი სალომეთი.

— აი იქ ცხოვრობს, — ხელი გაიშვირა გრძელაივნიანი სახლისკენ და მერე დაუმატა: — მისი ბიძა ადგილობრივი მოსამართლეა.

ნახევრამდე დაფერფლილი პაპიროსი უკანასკნელად მოსწია და წკაპუტრტის კვრით გადაისროლა.

თურმე რა ახლოს ცხოვრობდა სალომე! მაშ ჩემი ოთახის ფანჯრიდანაც საშუალება მექნება დავინახო, როცა თავის აივანზე გამოვა!

— აქეთ, სიმონიკა! — თავის გაქნევით ანიშნა მაღალმა.

სიმონიკა რაღაც შანტანურ ჰანგს ღიღინებდა. უსიამო ხმა ჰქონდა და, ეტყობოდა, სმენაც ღალატობდა. მაღალი, რომელსაც ირაკლი რქმეოდა, ხანდახან ხმას აყოლებდა და თითების მოძრაობით დირიჟორობდა.

ვიწრო ნარვალზე ცემენტის კუზიანი ხიდი იყო დაგებული, გადავაბიჯეთ და კლუბის შენობაში შევედით.

—ბილიარდს ხომ თამაშობთ? — ისე მკითხა სიმონიკამ, თითქოს ამაში ეჭვის მიტანაც შეუძლებელი იყო.

— ვთამაშობ! — იმგვარადვე ვუპასუხე. ერთი-ორჯერ თუ მისინჯავს ბილიარდის ბურთის გაგორება, მაგრამ როგორ გავამხელდი ამას, თავს ხომ არ დავიმცირებდი ამათ წინაშე!

ამოვირჩიეთ ჯოხები და ცარცით მოვულესეთ პირები.

— პირამიდა! — ბრძანების კილოთი თქვა სიმონიკამ. — მარკიორის ფულს წაგებული გადაიხდის!

სამი ხელი ვითამაშეთ და სამივეჯერ მე გადამხდა.

— არაზუსტი დარტყმა გაქვთ, — გამოცდილი კაცივით ჩამილაპარაკა სიმონიკამ. — თქვენ ტრენირება გჭირდებათ.

დაუმიზნა ბურთს, მაგრამ ლუზაში ვერ ჩააგდო. დაუმიზნა მეორეს და ჩაჭედა.

— აი დარტყმა ამას ჰქვია! — კმაყოფილმა გადმომხედა და მიაგდო ჯოხი.

კლუბს ჰქონდა ბიბლიოთეკის ოთახი, მაგრამ ძველი გაზეთების და ჟურნალების კომპლექტები ვერ ვიპოვე. მაშ სა-

ლომეს შემოდგომამდე ვერაფერს წავუკითხავ ჩემი ნაწერიდან...

სიმონიკამ ისევ ჩამოგვირიგა პაპიროსი და კლუბიდან გამოვედით.

— თქვენ არ ყლაპავთ კვამლს, ასე თამბაქოს მოწევა კი მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ტყუილად აფუჭებთ პაპიროსს, — ჭკუის დარიგებით მითხრა სიმონიკამ. — შემხედეთ!

მოქაჩა, მოკუმა ტუჩები, წვრილ სვეტად გამოუშვა ბოლი და თავმომწონედ გაიარა. ირაკლიმაც მიბაძა და ზუსტად გაიმეორა.

სად მივდიოდით, არ ვიცოდი. მიდიოდნენ და მეც მივყვებოდი. ჩავუარეთ ორსართულიან პატარა სასტუმროს, რომლის კარების წინ სკამზე ყვინთავდა სასტუმროს პატრონი, გულმოღეღილი, სიცხისაგან გაოგნებული, ძალზე მსუქანი მელოტი კაცი. სიმონიკამ ანიშნა ირაკლის და უკანასკნელმა ისე ხმიანად დააცხაკუნა ზედ ჩაძინებულის ყურთან, რომ კაცი შექანდა სკამზე და შიშნარევად გამოაჭყიტა თვალები.

— დიდი ხანია მისი ჯინი მჭირდა, — გამარჯვებულივით მიაბიჯებდა სიმონიკა. — მაგრამ ჯერ კიდევ სად არის, აწი ნახავს თავის სეირს!

გავიარეთ ებრაელების სინაგოგასთან, რომლის ჩრდილში მოხუცი ებრაელები ჩაცუცქულიყვნენ და ჩურჩულობდნენ. სიმონიკამ თვალი ჩაუკრა მეგობარს. ირაკლიმ ორი თითი პირში ჩაიდვა და დასტვინა. ხმა ისეთი მკვეთრი იყო, რომ ყველამ ჩვენსკენ იბრუნა პირი. სინაგოგის ჩაყოლებაზე რამდენიმე დამწვარი სახლი დავინახე. ჩაფერფლილ ნასახლარებზე კარვები დაედგათ და დედაკაცები და ბავშვები დაბორიალობდნენ. ხანძარი ორი კვირის წინათ მომხდარიყო ქარიანში, ადგილობრივ სახანძრო რაზმს რიონიდან კასრებით ეზიდა წყალი, დაბის მოსახლეობაც გამოსულიყო დასახმარებლად, მაგრამ ვერაფრით ეშველათ.

— კარგი სანახაობა კი იყო, — თქვა სიმონიკამ. — ძველი რომის ხანძარი წარმომიდგა!

ბაზრის მოედანს ვუახლოვდებოდით, როცა შორიდან ჩვენსკენ მომავალი ორი ქალი დავინახე. ერთ ქოლგას იჩრდილებდნენ და ხელიხელგაყრილი მოდიოდნენ. ერთი მათგანი მალე ვიცანი, — სალომე იყო. მეორე, სანდომიანი სახის ფაქიზად ჩაცმული ჭაღარაშერეული დედაკაცი, მოსამართლის მეუღლე აღმოჩნდა. სალომეს ხილით სავსე პატარა ჭრელი კალათა მოჰქონდა.

ჩვენს დანახვაზე სალომემ გაიკვირვა. თითქოს შეკრთა კიდევაც. მის სახეზე სიხარული არ გამოხატულა იმის გამო, რომ ძველ ნაცნობებს შეხვდა. ისეთი გამოხედვა ჰქონდა, თითქოს რაღაც მოლოდინში იყო.

— ვის ვხედავ! — შესძახა სიმონიკამ და პირდაპირ მიაშურა.

ირაკლი მიჰყვა. ბოლოს მეც მივედი.

ქალიშვილის სახეზე გაუბედავი სიხარულის ღიმილი გამოისახა.

— ახლახან გავიგე თქვენი ჩამოსვლის ამბავი, — გვერდით ჩაუდგა სიმონიკა.

ირაკლი მეორე მხრიდან გაჰყვა.

თავი დავუკარი უცნობ მანდილოსანს, რამდენიმე ნაბიჯი მუნჯად გავიარე მათთან. უეცრად შევტრიალდი და სხვა მხრით წავედი. ჩემი წასვლა არავის შეუნიშნავს, მომესმა ახალგაზრდების სიცილი, შოლტივით მოხვედრილმა ამ ხმამ ფეხი ამაჩქარებინა და საით გავსწიე, არ ვიცოდი.

— აუცილებლად გადავეცნობი იმ გიმნაზიელებს! — გადავწყვიტე, თვითონაც არ ვიცი, რაზე გაგულისებულმა. — როცა შემხვდებიან, პირდაპირ ვეტყვი, რომ ზედმეტად ვთვლი მათთან ნაცნობობას!

სალომეთიც უკმაყოფილო ვიყავი. მან არათუ არ მომაქცია ყურადღება, ერთი წამითაც არ შეაჩერა ჩემზე თვალი. შეურაცხყოფილად ვგრძნობდი თავს. საკმარისი იყო, შეხვედროდა იმ ქარაოცებს, და მე აღარ ვარსებობდი მი-

სთვის... გუშინ მეუბნებოდა, რომ ბევრი რამ ჰქონდა ჩემთვის სათქმელი. მაგრამ ამ შეხვედრის შემდეგ იქნებ საჭიროდ აღარ ჩათვალოს ჩემთან ლაპარაკი და, საერთოდ, დავიწყებას მიმცეს? არა, მე პირველი ჩავუვლი უბრალ!

ცხელოდა. ჰაერი შეხუთული იყო.

„სისულელეა, — არ ღირს ამაზე აღელვება! — ვცდილობდი თავის დამშვიდებას. — რა საქმე მაქვს იმ ქალიშვილთან? მხოლოდ რამდენიმე დღეა რაც ვიცნობ, ეგ არის და ეგ“.

ამას გონება ამბობდა, გულში კი გრიგალი ბობოქრობდა. მაგონდებოდა გზა, ჩვენი მგზავრობა, ჭრეხალოს ღამე და ყველაზე უფრო ის სიტყვები: „უნდა შეგხვდეთ და ბევრი რამ გითხრათ!“... რა უნდა ეთქვა? ეხ, ცხადია არაფერი!

დავიარე ბაზარი, ვიხეტიალე ქუჩებში, ბოლოს გავედი მოედნისკენ მიმავალ გზაზე და ჩემს სახლს მივაშურე. დაწესებულებებში სამსახური გათავებულიყო და ჩინოსნები გარეთ გამოდიოდნენ. მოედანთან სისო, პოტე და ატუა დავინახე. ატუა რაღაცას სთავაზობდათ, მაგრამ სისო უარზე იყო. ბოლოს ატუამ გახარებული კაცივით ხელი შეათამაშა, ისე შესძახა მეგობრებს, თითქოს საიერიშოდ მოუწოდებდა და ისინიც გაჰყვნენ.

შინ დამხვდა ელენესგან და ნატოსგან გამოგზავნილი ბარათი. მთხოვდნენ, საღამოს მათთან მივსულიყავი. „სერიოზული საქმეა და აუცილებლად უნდა მოხვიდეო“, — მწერდნენ ისინი.

არა, მე არ წავალ. იქ, ალბათ, სალომეც იქნება. შეიძლება ის ორი გიმნაზიელიც. მათთან შეხვედრა კი არ მინდა. არც სალომეს მივცემ საბაბს იფიქროს, რომ მის სანახავად მივედი.

ნასადილევს აივანზე ვიჯექი და სურათებიან ჟურნალებს ვფურცლავდი. ხომ უნდა გამერთო რაიმეთი თავი... სურათიდან სურათზე გადარბოდა თვალი, მეხსიერებაში კი არც ერთი არ რჩებოდა. მეგობრებისგან გამოგზავნილი ბარათი ტრიალებდა თვალწინ და ვფიქრობდი: „წავალ თუ არ წავალ, არა, რა თქმა უნდა, არა! მე სიტყვის კაცი ვარ!“

ძლიერი სიცხის შემდეგ საღამო ხანს ცა მოიღრუბლა. ჰაერი კიდევ უფრო დამძიმდა. ერთხელ სადღაც შორს დაიგრუხუნა. ხმა მოლანდებას ჰგავდა, მაგრამ შემდეგ ისევ გაისმა, თანდათან მოახლოვდა, ბოლოს ხეობაში მრისხანედ ჩამოიარა და უეცრად წვიმა წამოვიდა.

„ძალიან კარგი და დროულია! — მიხაროდა გუნებაში. — გასამართლებელი მიზეზი მექნება ჩემს მეგობრებთან, ველარ მისაყვედურებენ რომ არ მივედი“.

მაგრამ ერთბაშადვე გადაღრუბლა, გადაიწმინდა, ჩამავალი მზის წითელი სხივი გამოჩნდა. აგრილდა. ბალახის და მიწის სურნელება გადგა ჰაერში.

ავდექი, სახლიდან გავედი და მდინარისკენ გავსწიე. ნაპირზე ლოდი დავინახე და ჩამოვჯექი. ჩემს წინ რიონი ხმაურით მიიჩქაროდა თავისი გზით. რა დაუცხრომელი ძალა ჩანდა მასში! ეს ხმაური ხომ ყოველთვის ისმოდა და მარად გაიგონება აქ... ათასი წლის შემდეგ სხვა ვინმე ჩამოჯდება ამ ნაპირზე და ასევე ოცნებით თვალს მიაშტერებს ამ ბობოქარ სტიქიონს... უთვალავი წლების შემდეგაც მდინარე აქვე ჩაუვლის ამ მთას, რომელიც ახლა გალმიდან გადმომცქერის. მინდა ოცნებით მივწვდე იმ შორეულ დროს, გამოვიცნო ბუნების საიდუმლო, გავიგო, რაზე ჩაფიქრებულა ეს მთა, რას შრიალებს ტყე ფერდობზე. მინდა, მაგრამ ოცნება არ მემორჩილება და არაფერი არ მესმის გარდა იმისა, რომ მდინარე ხმაურობს. ჩემს თვალწინ ისევ და ისევ სალომე დგას და სხვა ყველაფერი უმალვე ქარწყლდება. ვხედავ მხოლოდ მის ცისფერ კაბას, ჭრელ კალათას და ისევ იმ დამორცხვებულ ღიმილს, როცა ხელი გაუწოდა მეტიჩარა თბილისელს.

ჩამობნელდა, როცა შინისკენ გამოვბრუნდი. მაგრამ, მოვუახლოვდი თუ არა

ჩემს სახლს, თითქოს ვიღაცამ ხელი ჩამკიდა, მხარი ვიცვალე და ელენესთან წავედი.

ხიხარულით შეშხეოინენ და თანაც მისაყვედურეს დაგვიანებისათვის.

— არა უშავს-რა, მიპატიებია, — მითხრა ელენემ. — წამოდი, ჩემს მეგობარს გაგაცნობ.

ბაღში მერხზე ჩამომჯდარი რამდენიმე, ჩემთვის უცხო, ქალიშვილი და ერთი მამაკაცი დავინახე. მათ შორის სალომეც იყო. ელენემ ჩამკიდა ხელი და მათთან მიმიყვანა. მამაკაცმა, რომელსაც მიშაგო რქმეოდა, თავაზიანად დამითმო ადგილი თავის გვერდით და მითხრა:

— აქამდე მხოლოდ შორიდან გიცნობდით... მოხარული ვარ, რომ ჩვენს დაბას ესტუმრეთ...

რაღაც თეატრალური ეერი გადაჰკრავდა ლაპარაკში. მაგრამ სიტყვას ისეთი კეთილი ღიმილი დააყოლა, რომ გულწრფელი მეჩვენა და უცბადვე ჩემი გული მოიგო. მიშაგოს თითქმის მხრებამდე წვდებოდა გადავარცხნილი გრძელი თმა, შესახედავად ლამაზი ახალგაზრდა იყო და რამდენიმე წლით ჩვენზე უფროსი ჩანდა. ეს იგრძნობოდა აგრეთვე იმ მფარველურ და შემწყნარებელ კილოშიც, რომლითაც გარშემო მყოფთ მიმართავდა. ისიც შევნიშნე, რომ ლაპარაკში ხან რაიმე აფორიზმს ჩაურთავდა, ხან ერთ-ორ ფრაზას რომელიღაც მონოლოგიდან.

ელენემ ამიხსნა ჩემი მიწვევის მიზეზი. საქმე ის იყო, რომ ხანძრისგან დაზარალებული ღარიბი ებრაელების სასარგებლოდ დაბის კლუბში საღამო იმართებოდა. წარმოდგენილი იქნებოდა პიესა, ანტრაქტებში კი მოეწყობოდა ლატარია, სადაც სხვადასხვა ნივთებს შორის, ძროხასაც გაათამაშებდნენ.

— პროგრამა უკვე შედგენილია და ნივთების ნაწილი ჩვენს ჩამოსვლამდე შეუგროვებიათ. ჩვენ მხოლოდ ბილეთების ხელზე გავრცელება უნდა ვიკისროთ, — მითხრა ბოლოს ელენემ. — ყველამ მონაწილეობა უნდა მივიღოთ ამ საქმეში, რომ იმ საცოდავებს ოდნავ მაინც შევუმსუბუქოთ გაჭირვება. დარწმუნებული ვარ, შენც დაგვეხმარები...

ამის შემდეგ ისინი დაუბრუნდნენ იმ საუბარს, რომელიც ჩემი მოსვლის დროს შეეწყვიტათ.

— ჰოდა, იმას გეუბნებოდით, რომ მაინც ვერ დაგეთანხმებით, — მიმართა მიშაგოს ერთმა ქალიშვილმა და უცბადვე ნერვულობა დაეტყო. — სავსებით სწორად მოიქცა ავტორი, რომ ქალი გამოიყვანა თავისი პიესის მთავარ გმირად.

მიშაგომ დააპირა რაღაც ეთქვა, მაგრამ ქალიშვილმა უმალვე ჩამოართვა სიტყვა.

— იმ შემთხვევაშიც სამართლიანად მოიქცა, რომ ქმარი მიატოვებია. აბა როგორ უნდა ეცხოვრა ერთ ჭერქვეშ იმ გულქვა კაცთან, რომელსაც...

— თქვენ გავიწყდებათ ის გარემოება, რომ... — ისევ სცადა მიშაგომ შეკამათება.

— არა, არაფერი არ მავიწყდება, — უცბადვე შეაწყვეტინა ქალიშვილმა. — თქვენც გაიხსენეთ, რომ ქალი ბოლოს იძულებული გახდა თავი მოეკლა.

ქალიშვილს ეტყობოდა, რომ კამათის მოყვარული იყო. კიდევ დიდხანს ლაპარაკობდა გაცხარებით და თავგამოდებით იცავდა პიესის გმირი ქალის მოქმედებას. როგორც გავიგე, რაღაც ფრანგული მელოდრამა იყო და სწორედ ის უნდა წარმოედგინათ საქველმოქმედო საღამოზე.

როცა ქალიშვილი ერთი წუთით გაჩუმდა, მიშაგომ დრო იხელთა:

— მაინც იმ აზრის ვარ, რომ მისი ქმარი არც ისე ცუდია და ქალს შეეძლო ზეგავლენა მოეხდინა და ხელახლა აღეზარდა.

— ეხ, ეგ მოსაწყენი ხელობაა, — ოდნავ გასაგონად თქვა სალომემ.

საჯარო ბიბლიოთეკა

— ძალიან მოსაწყენი! — ხმამაღლა გავიმეორე და მიშაგოს მივმართე: — განა თქვენ ამჯობინებთ, რომ ის ქალი კლასის დამრიგებელს დაემსგავსოს?

ამ სიტყვებში, ცხადია, არავითარი ენამახვილობა არ ყოფილა, მაგრამ იქნებ იმიტომ, რომ მოსწყენოდათ გაუთავებელი დავა, თითქმის ყველამ სიცილი ასტეხა. ეს წუთიერი გამოცოცხლება საკმარისი გამოდგა და კარგ გუნებაზე დავდექი. თანდათან გავთამამდი, დავიწყე ხუმრობა და საერთო ყურადღება მივიქციე.

— რა მხიარული ყოფილა! — გავიგონე, როგორ თქვა ერთმა ქალიშვილმა. — რა კარგი ქნა რომ მოვიდა!

თვითონაც მიკვირდა, რა თავისუფლად მეჭირა თავი და რა ძალდაუტანებლად ვოხუნჯობდი.

— მიმაცილეთ ჩემს სახლამდე, — ჩუმად მითხრა სალომემ, როცა წასასვლელად ავიშალეთ.

მოთმინება აღარ მყოფნიდა, სანამ ქუჩაში გავიდოდით. „ალბათ ახლა მეტყვის!“ — ვფიქრობდი.

მაგრამ არ მომიხერხდა მარტო მისი გაცილება. მიშაგო გამოგვყვა. სიჩუმეში გავიარეთ მთელი გზა, კიბემდის მივიყვანეთ სალომე და დავემშვიდობეთ.

— ახლა კი თქვენ მიგაცილებთ, — მითხრა მიშაგომ.

ჩემი სახლისკენ წავედით.

— მშვენიერი ღამეა, — ცას ახედა მიშაგომ. — ასეთმა ღამემ თქვენი პოეტური განწყობილება უნდა დაბადოს. — რატომღაც ღრმად ამოიოხრა და ჩაილაპარაკა: — არა, მე მაინც იმას ვიტყვი, რომ ზეგავლენა უნდა მოეხდინა და აღეზარდა ქმარი. განა მართალს არ ვამბობ?

გავჩუმდი. ვშიშობდი, რომ პიესაზე მსჯელობას გააგრძელებდა. სულ არ ვიყავი ახლა ამ გუნებაზე.

— მალე ნახავთ ამ პიესას ჩვენს კლუბში... ქმარის როლს მე ვასრულებ. შევეცდები, ჩემებურად განვასახიერო და დარწმუნდებით, რომ ის კაცი არც ისეთი არამზადაა.

— თქვენ არტისტი ხართ? — გავიკვირვე მე.

— არ ვიცი, როგორ გითხრათ, — მხრები აიჩეჩა მიშაგომ. — მოწოდებით, დიახ... მაგრამ... — წუთით გაჩუმდა. — სად გაშლი აქ ფრთებს? უნებურად მიხდება მცირედით დავკმაყოფილდე...

ჩემს სახლთან მივედით.

— გეძინებათ? — მკითხა. — ერთხელ კიდევ შემოვუაროთ მოედანს.

ისეთი ჩუმი ღამე იყო, რომ რიონის ხმაური ძალიან ახლო ისმოდა. ქალაქს ეძინა. მოსამართლის სახლში ერთი ოთახიდან სინათლე ჩანდა. ფანჯარა ღია იყო. ოთახის კედელს დროდადრო ადამიანის დიდი ლანდი აეკვრებოდა. ლანდი სალომეს მაგონებდა. რაღაცას მეუბნებოდა მიშაგო, მაგრამ მთელი ჩემი ფიქრი ოთახისაკენ იყო. ლანდი ხან ქრებოდა, ხან ისევ აიმართებოდა კედელზე. რა თქმა უნდა, სალომე იყო. ერთხელ მკაფიოდ გამოისახა კედელზე როგორ ჩამოიშალა თმები...

უეცრად სინათლე ჩაქრა და ლანდიც გაქრა.

შემოვუარეთ მოედანს.

— დიახ, სწორედ დიდ ქალაქად! — მიშაგო, ალბათ, იმაზე ლაპარაკს განაგრძობდა, რაც აქამდე მხოლოდ რაღაც დუდუნად მესმოდა. სულ არ მაინტერესებდა რას ამბობდა, მაგრამ იძულებული ვიყავი, მესმინა. — თუ გნებავთ, ფუჭ ოცნებად ჩამითვალეთ, მაგრამ ამაზე ფიქრი ძალიან მიტაცებს. რას წარმოვიდგენ იმაზე უკეთესს, რომ ჩვენი პატარა დაბა ერთ დღეს დიდ ქალაქად გადაიქცა! დაე, აქაც ცხოვრება დუღდეს, სიცოცხლე ხმაურობდეს!

— კარგი ოცნებაა, — ვთქვი უფრო ზრდილობისათვის.

— ვერც წარმოიდგენთ იმ მოწყენილობას, რომელიც აქ გამეფებულია შემოდგომიდან გაზაფხულამდე. მხოლოდ ზაფხულობით გამოცოცხლდება

აქაურობა, როცა თქვენ, ახალგაზრდობა, ჩამოდიხართ. თქვენი ახალგაზრდული ხმები სიცოცხლეს უბრუნებენ დაბას. როგორ არ ვინატრო, რომ ეს ხმა არასოდეს არ შეწყდეს და მუდამ მესმოდეს აქ!

გულწრფელად აღელვებული ჩანდა.

— რატომ არ გადახვალთ დიდ ქალაქში?

— დიდ ქალაქში... — ოცნებით გაიმეორა მიშაგომ. — გამოგიტყდებით, მეძნელება აქ ყოფნა, მაგრამ ამის გამო გავექცე მშობლიურ ადგილს? მერე კიდევ საკითხავია, შევძლებ, ახლად დავიწყო მეორე ცხოვრება? როცა ჩემს თავზე ჩავფიქრდები, უნებურად მაგონდება სადღაც წაკითხული: მე ვარ გადატეხილი ღერი ყვავილისა და მეშინია, რომ მალე დავჭკნები...

ბოლო სიტყვები ყალბი პათოსით წარმოთქვა, თითქოს სცენაზე ყოფილიყო.

— თქვენ ცხოვრების გეშინიათ, — ვუთხარი. — თქვენი ოცნებაც კი გაშინებთ.

— სრულიად არა! — ხმას აუწია მიშაგომ. — სრულიად არა! ველოლიავები მას და მინდა გაბრწყინდეს ცისარტყელას მთელი ფერებით, შუშხუნად ავარდეს ამ ბნელ ღამეში და გაანათოს აქაურობა!

მოედანს გავცილდით და ჩაბნელებულ მოსახვევში გავედით, სადაც ხეებით დაბურულ ეზოებიდან სახლები ძლივს ჩანდა. და უეცრად ერთ ფანჯარაში ლამპის დიდი სინათლე დავინახე. მაგიდასთან ვიღაც მოხუცი იდგა და რანდავდა.

— აი ამ სახლში მაქვს ოთახი დაქირავებული, — მითხრა მიშაგომ. — ყოველთვის მოხარული ვიქნები, ჩემთან განახოთ. მე ვგრძნობ, რომ ჩვენ ბევრი რამ გვაქვს საერთო და სულ მალე დავმეგობრდებით.

მოხუცს მოესმა მისი ხმა, შემოტრიალდა და ფანჯარაში გამოიხედა.

— განსაცვიფრებელი ადამიანია, — ჩამჩურჩულა მიშაგომ. — თვითონ დარწმუნდებით, როცა გაიცნობთ.

ნათელი ოთახიდან მოხუცი ვერ გვხედავდა და სიბნელეს მიშტერებოდა.

— მე ვარ! — გასძახა მიშაგომ. — ჩემს ახალ მეგობარს ვესაუბრები.

— შემოდით, შემოიყვანეთ! — გულღიად მიგვიწვია მოხუცმა.

გაბრუნება დავაპირე, მაგრამ მიშაგომ ხელი მტაცა.

— გაახარეთ ჩვენი მოხუცი, ესტუმრეთ. გარდა ამისა, დღით ის მოდუნებული მოგეჩვენებათ. დღით ან სძინავს, ან გაჩუმებულია...

იძულებული გავხდი, შევყოლოდი. მოხუცი კარებში შეგვეგება. ისე ჩამომართვა ხელი, თითქოს დიდი ხანია ჩემს მოსვლას ელოდა.

ოთახი, რომელშიაც შევედით, უცნაური მეჩვენა. ის უფრო სახელოსნოს ჰგავდა. თაროებზე, კუთხეებში და იატაკზე დადგმული იყო რაღაც მაკეტები, მოდელები გაკეთებული მუყაოდან, ხისგან, თუნუქისაგან. მაგიდის გვერდით გაწყობილი იყო სახარატო ხელსაწყო. გარშემო ეყარა სხვადასხვა სისხოს სინა, გათლილი ხის ნაჭრები, ტურბუშელა. კედელზე რამდენიმე ძველებური საათი ეკიდა და ყველა სხვადასხვა დროს აჩვენებდა. მაგიდაზე, სადაც ლამპა იდგა, ეყარა ნახაზები და ფურცლები. მოხუცი რაღაც გამოანგარიშებებს აწარმოებდა.

მიშაგომ შენიშნა ჩემი გაკვირვება.

— ბატონი ლუკა გამომგონებელი გახლავთ, — მითხრა მან. — ის მალე გაახარებს ქვეყნიერებას თავისი დიადი გამოგონებით.

მოხუცს შევატყე, რომ ესიამოვნა ეს სიტყვები, მაგრამ მაინც ჩააქნია ხელი და მოკრძალებულად თქვა:

— ეს მხოლოდ შენი კეთილი სურვილია, ჩემო მიშაგო. ვერ მივაღწიე,

ჯერ, ვერ იქნა და ვერ ავამუშავე ისე, როგორც მინდა.

მიშაგომ მიჩვენა რაღაც მოდელი, რომელსაც სათამაშოების მაგვარი კბილა ბორბლები, ზამბარები და ბერკეტები ჰქონდა.

— აგერაც ორმოცი წელიწადი შესრულდა, რაც ამ გამოგონებაზე მუშაობს, — მითხრა მიშაგომ. — დარწმუნებული ვარ, ბოლოს მიაღწევს თავისას... ეს გახლავთ პერპეტუმ მობილე, დიახ.

მოხუცს ოდნავ გადაეხარა თავი და გამომცდელი თვალით შემომყურებდა. დიდი თავი ჰქონდა, გაბანჯლული თეთრი თმა და მრგვალად შემოკრეჭილი თეთრი წვერი, თვალები კი პატარა და თითქოს ცბიერი, როცა მოჭუტავდა ხოლმე. რატომღაც მღვიმელ კაცად მეჩვენა.

— ჰო, პერპეტუმ მობილე. — გაიმეორა ლუკამ და ნაღვლიანად გააქნია თავი. — მაგრამ მე იმედს არ ვკარგავ... არა, იმედს არ ვკარგავ... ცოტა კიდევ და გაკეთდება. დაე, ნუ იქნება დიადი გამოგონება, მაგრამ მან მაინც სიხარული უნდა მიანიჭოს ხალხს... ადამიანი ბედნიერი უნდა გავხადოთ. ამას უნდა ვეცადოთ, ეს არის თვითეული ჩვენგანის დანიშნულება ამ ქვეყნად. და აი მაშინ ჩვენი ოცნებაც სინამდვილედ იქცევა. — მიუბრუნდა ის მიშაგოს.— დიდი ქალაქი, დიდი ქარხნები აგებენ-დება აქ.

საღამოს მეზობლად ეზოში [illegible] შუაღამის იყივლა. პირველს მეორე შეეხმიანა.

— რა გეჩქარებათ, ჯერ ადრეა, — შემაჩერა ლუკამ, როცა წასვლა დავაპირე.

გამასპინძლებაც მოინდომა, მაგრამ ბოდიში მოვიხადე და დავემშვიდობე. მიშაგო ვერ დავითანხმე რომ დარჩენილიყო, და გამომყვა.

— მოხუცი ძველი პედაგოგია და ბევრი რამ განუცდია თავის ცხოვრებაში, — მითხრა მიშაგომ. — მჯერა, რომ ის თავისას მიაღწევს!

მოედანზე შემოგვხვდნენ სისო, პოტე და ატუა. საიდანღაც შეზარხოშებული მოდიოდნენ. ატუა ხმამაღალი შეძახილით შეეგება მიშაგოს და გადაკოცნა.

— როგორ ბრძანდება ჩვენი პერპეტუმ ლუკა? — გაზვიადებული სერიოზულობით იკითხა ატუამ. — შენ იმას, ჩემო ბიძია, ურჩიე, ისეთი სასმისი გამოიგონოს, რომ დავცლი თუ არა, თავისთავად აივსოს! ჰოდა, ასე. ახლა კი, ჩვენთან!

— საით? — იკითხა პოტემ.

— ქვეყანა დიდია! — შესძახა ატუამ და გაიტაცა მიშაგო.

როცა მოედანს გადავდიოდი, მათი ჩუმი სიმღერა გავიგონე.

V

ნაღვლიანი დღეები

რამდენიმე დღეა, სალომესი არა ვიცოდი რა. მხოლოდ ერთხელ დავინახე, როცა მოედანს გადადიოდა თავის ბიძასთან ერთად. მოსამართლე ჭაღარაშერეული, ჩასხმული, სიმსუქნეში შესული კაცი იყო. თეთრი შალვარი და კიტელი ეცვა და კოკარდიანი თეთრი ქუდი ეხურა. შორიდან რომ თვალს მოჰკრავდით, ზაფხულში რაღაც სასწაულით შემორჩენილს თოვლის ბაბუას მოგაგონებდათ. დინჯი, თავის ღირსებაში დარწმუნებულ კაცის ნარნარი სიარული ჰქონდა.

სალომესაც თეთრი კაბა ეცვა და ხელში პარკი ეჭირა. ასე ახლოს ცხოვრობდა ჩემგან და მაინც შემთხვევით თუ სადმე დავინახავდი. იმ იმედით, რომ თავის აივანზე გამოვიდოდა, ჩემი

ფანჯრიდან ვუდარაჯებდი ხოლმე მის გამოჩენას, მაგრამ ამაოდ. რას აკეთებდა ოთახში? ნუთუ მარტო ყოფნას რჩეობდა? ელენესთან და ნატოსთან, ამ თავის ახლო მეგობრებთან, მაინც რატომ აღარ დადიოდა? რა მიზეზი უნდა ყოფილიყო, რომ ასე განცალკევებულად ცხოვრობდა?

ჩემი სახლის წინ სიმონიკამ და ირაკლიმ ჩამოიარეს და დამიძახეს. მხოლოდ მაშინ, როცა მათ გვერდით ამოვუდექი, მომაგონდა, რომ გადაწყვეტილი მქონდა, არ მივკარებოდი არც ერთსა და არც მეორეს. სიმონიკამ საბილიარდოში წასვლა ისურვა. გავყევით და ისევ იძულებული გავხდი სამჯერ გადამეხადა სათამაშო ფული.

— თქვენ უკვე წარმატება გემჩნევათ, — მითხრა სიმონიკამ, როცა თამაში დავამთავრეთ და გარეთ გამოვედით. — ამ ზაფხულის განმავლობაში, დარწმუნებული ვარ, კარგად გაიწაფებით.

ნიკელის პრიალა სათუთუნე ამოიღო და პაპიროსი მოგვაწოდა.

— ამ რამდენიმე დღის წინათ ელენესთან იყავით, არა? მხიარულად გაატარეთ საღამო? — მკითხა მოულოდნელად.

— მხიარულად, — განზრახ გაზვიადებული ხალისით ვუპასუხე, — ნეტავი თქვენც ყოფილიყავით.

— ჩვენ არ დავდივართ მათთან, — გულზიზღიანობით თქვა სიმონიკამ.— მოსაწყენი არიან ის დედის ნებიერი ქალიშვილები. უბრალო ანეგდოტის გაგონებაზედაც იმრიზებიან.

— ღრმა პროვინცია, — დაასკვნა ირაკლიმ.

სიმონიკამ ირონიულად გადმომხედა:

— გავიგე ძალიან გაგირთვიათ ქალიშვილები... სალომემ მითხრა!

ამის გაგონება სრულიად მოულოდნელი იყო ჩემთვის. მაშ ისინი საღღაც ხვდებოდნენ ერთმანეთს! მინდოდა მეკითხა სად და როდის ნახა, მაგრამ ვშიშობდი, ამით ჩემი თავი არ გამეცა.

— თქვენ სალომეზე ვარგ. [illegible] ილება მოახდინეთ, — დაუმატა სიმონიკამ ისეთი კილოთი, თითქოს მეუბნებოდა, რომ არაფრად არ აგდებდა სალომეს ყურადღებას ჩემდამი.

მე კი უფრო გამეხარდებოდა, რომ ამით ნაწყენი ყოფილიყო. არაფერი არ ვიცოდი სალომესა და სიმონიკას ურთიერთობაზე, მაგრამ იმ წუთიდან, როცა ჩვენი ბაღის წინ ჩვენი გაცნობის პირველ დღეს სალომეზე სიტყვა ჩამოვარდა, მუდამ მღრღნიდა ეჭვი, რომ მათ შორის უბრალო მეგობრული დამოკიდებულება არ ყოფილა.

ველარ მოვითმინე და ვკითხე:

— სად ნახეთ სალომე? მასთან იყავით?

— შინ, სალომესთან? — დამცინავად ტუჩი გაწელა. — როგორ არა, მიხვალ იქ. თქვენც გირჩევთ, რაც შეიძლება იშვიათად მოხვდეთ თვალში იმ უხიაგ მგელკაცა მოსამართლეს!

ირაკლიმ ფრუტუნი დააყოლა. რას ნიშნავს ეს? ცხადია, უმიზეზოდ არ იქნებოდა, მაგრამ ახლა ამის გარკვევის თავი არ მქონდა. დაღონებული ვფიქრობდი მხოლოდ იმაზე, რომ სალომე და სიმონიკა სადღაც ფარულად ხვდებოდნენ ერთმანეთს.

ჩვენი ყურადღება მოულოდნელმა სანახაობამ მიიპყრო. ქუჩაში ბოშათა ქარავანი გამოჩნდა. დაღლილი, გასავათებული ჯაგლაგი ცხენები ფორხილით მოათრევდნენ ფურგონებს, რომლებზედაც ბოშების მთელი ავლა-დიდება იყო დაყრილი. ხაბაკ-ხუბაკზე დედაკაცები და ბავშვები მოკალათებულიყვნენ. მათ სიცოცხლის ნიშანი შერჩენოდათ მხოლოდ თვალებში, რომელთა გარსი თეთრად უელავდათ შავგვრემან გამხდარ სახეზე. ერთ თმაგაჩეჩილ ბიჭუნას ძაღლი ჩაეხუტებია და ჩასძინებოდა. რამდენიმე წუთით ფურგონები ფურნესთან შეჩერდნენ, დროულმა მა-

მაკაცმა, რომელსაც საათის თეთრი ძეწკვი ეკიდა გახუნებულ ჟილეტზე, ნაყიდი პური გამოიტანა, ტომარაში ჩაყარა და ისევ გზას გაუდგნენ. ქარავნის ბოლოში მიძუნძულებდა ენაგადმოგდებული, მტვრით დაფარული გრძელკუდა პატარა ძაღლი. ქუჩაში თავმოყრილი დაბის ბავშვები დამცინავი შეძახილებით მისდევდნენ ფურგონებს, მაგრამ იქიდან ყურადღებას არავინ აქცევდათ.

ნაღვლიანად გავაყოლე ქარავანს თვალი. სად იყო ის რომანტიკა, რომლითაც შელამაზებული იყო ამ საცოდავი ადამიანების ცხოვრება, რა ოცნებების აღმძვრელი უნდა ყოფილიყო დაუსრულებელ ხეტიალში მიმავალი მათი დღეები? ვის შეეძლო ენატრა მათი ბედი, ვის უნდა შეხარბებოდა ის, რომ ბუდე არ გააჩნდათ, კერიას სითბოს ალერსი არ იცოდნენ, რომ სულერთი იყო მათთვის რომელ მზისა და რომელ მთვარის ქვეშ დაიღამებდნენ და გაითენებდნენ და რომ ორიოდ დღის სამშობლოც იმ ადგილზე ჰქონდათ, სადაც დაღლილნი თავის დაფლეთილ კარვებს გაშლიდნენ?

ბოშების ქარავანი თვალს მიეფარა და მალე სრულიად გადამავიწყდა, როცა აფიშების გამკვრელი დავინახე. იღლიაში მას ქაღალდის დასტა ამოეჩარა, ცალი ხელით წებოთი სავსე ვედრო მოჰქონდა, კედლებს და ღობეებს ათვალიერებდა და ფერად დიდ ფურცლებს აკრავდა. აფიშები იუწყებოდნენ, რომ კლუბში გაიმართებოდა დიდი საღამო ლატარიით და სცენის მოყვარულნი გაითამაშებდნენ ხუთმოქმედებიან დრამას.

ადგილობრივი სტამბის პატრონს ესარგებლა შემთხვევით და ცდილიყო მთელი თავისი ოსტატობა გამოეჩინა. თავისი გემოვნებით, როგორადაც ამის გამჟღავნების საშუალებას სტამბა აძლევდა, აეჭრელებია და გაელაპაზებია აფიშა. ალბათ გაგებული ჰქონდა, რომ ქალი იყო პიესის მთავარი გმირი და ამიტომ აფიშას თავში მარჯვნივ და მარცხნივ მიებეჭდა ორი სურათი, რომლებიც ცირკის ნახევრად ტიტველ აკრობატ ქალებს გამოსახავდნენ. გვერდებზე აფიშებს ჩაყოლებული ჰქონდა კლაკნილი არშია, რომელიც კუთხეებში ნისკარტებით ეჭირათ ფასკუნჯის მსგავს რაღაც ფრინველებს.

საღამო დანიშნული იყო შაბათისათვის. იმ დღეს, როგორც კი დასაღამოვდა, ხალხი, განსაკუთრებით ახალგაზრდობა, კლუბს მიაწყდა.

დარბაზი სავსე იყო, როცა შიგ შევედი. კედლებიდან რამდენიმე ლამპა ანათებდა. გაღებულ ფანჯრებთან უბილეთო ბავშვები შეგროვილიყვნენ ქუჩის მხრიდან, მოხერხებული ადგილისათვის ერთმანეთს ეცილებოდნენ და ხმაურობდნენ.

პირველ რიგში მოსამართლე დავინახე. გვერდით სალომე უჯდა. მოსამართლე ისევ თეთრებში იყო და პირველად ვხედავდი ქუდმოხდილს. ჭაღარა თმა, თითქოს საგანგებოდ აჩეჩილი, მხოლოდ გვერდებზე წამოზრდოდა, თავი კი თითქმის კვინიხამდე ტიტველი ჰქონდა და მელოტი ვარდისფრად უბრიალებდა. ჩემი ადგილი რამდენიმე რიგით უკან იყო და შემეძლო მათთვის თავისუფლად მეცქირა.

ჩაუწიეს ლამპებს, დარბაზში ჩამობნელდა და ფარდის ახდის მოლოდინში ხმაურიც ჩაყრუვდა. დაე, ცოდვად ჩამეთვალოს, რომ განსაკუთრებულად მიყვარს პროვინციის თეატრში სცენის მოყვარეთა თამაში! ეს არის ნამდვილი თეატრი, სადაც ვნებებია გამოხატვის საშუალებანი, მიმიკა, ჩაცმულობა და დეკორაციები გულუბრყვილო პირობითობის მთელი უშუალობით ცოცხლობენ და მაყურებელიც ახლო მონაწილეობას იღებს სპექტაკლში იმით, რომ თავისი ფიქრით და გრძნობით ავსებს სცენას და მოქმედებას. თუ ხელოვნების ძალა გულწრფელობაშია, სად შე-

იძლება უფრო დიდი გულწრფელობა ვიგრძნოთ, თუ არა მათ შორის, ვინც თავისუფალ სიტყვას თავისი გულის ნაწილს თან გამოაყოლებს!

ყოველი ახალი მოქმედი პირის გამოჩენას დარბაზი ტაშით ხვდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ მსახიობებს იკლიკანტური, მეტად თავსატეხი გრიმები და პარიკები გაეკეთებინათ, მაყურებელნი უმალვე სცნობდნენ ვინ რომელი იყო და მიესალმებოდნენ, როგორც ნაცნობს, რომელიც თითქოს დამალულობიას ეთამაშებოდა მათ.

მთავარ გმირ ქალს, პიესის მიხედვით ახალგაზრდას და სიცოცხლით სავსეს, ასახიერებდა ფლეგმატური, ძალზე მსუქანი ხანშიშესული დედაკაცი, რომელსაც გრძელკუდიანი კაბა ეცვა და შუა საუკუნეების ყაბო გაეკეთებინა, თუმც პიესის შინაარსი თითქმის ჩვენს დროს გამოხატავდა.

მიშაგოს გამოჩენას ხმაურით შეხვდა ახალგაზრდობა. დიდხანს უკრავდნენ ტაშს და ჯერ სიტყვა არ ამოელო, უკვე მისძახოდნენ: „ბრავო, ბრავო! ბის!“ მიშაგოს ეცვა შავი ფრაკი და მწვანე ჟილეტი, თითებზე დიდთვალიანი ბეჭდები წამოეცვა და თვალები ისე მოესურმა, თითქოს ისინი ბნელ ფუღუროდან გამოიყურებოდნენ. სიტყვას ამბობდა წამღერებით და ყველა მოქმედ პირს უღიმოდა, თუმცა როლის მიხედვით გულქვა და ბრაზიანი უნდა ყოფილიყო.

სხვა მონაწილეებსაც ყურადღებით ხვდებოდნენ მაყურებელნი და თვითეულ რეპლიკას გულწრფელად განიცდიდნენ. როცა სცენაზე შემოვიდა აქტიორი ავაზაკის ნიღაბით, ახალგაზრდობა ისეთი აღშფოთებული ხმაურით შეხვდა, რომ ერთხანს სიტყვის ამოღების საშუალება არ მისცა.

დამთავრდა პირველი აქტი, აქტიორები ხანგრძლივი ტაშით დააჯილდოვეს და მაყურებელნი კლუბის ეზოში გავიდნენ. აქ არანაკლებ საზეიმო სანახაობა და გასართობი ელოდათ. ეზოში ფერადი სანათურები ჩამოეკიდათ. მომაღლებულ ადგილზე ექვსი ოქროსფერ მეხანძრისაგან შემდგარი სასულე ორკესტრი მოთავსებულიყო და, როგორც კი ხალხი გარეთ გამოეფინა, მუსიკის ხმა გაისმა. მეხანძრეები, რომლებსაც სპილენძის პრიალა ზუჩები ეხურათ, მარშს უკრავდნენ. ეზოს შუაგულში ვარაყიანი ქაღალდით შემოხვეული ორი დიდი კასრი იდგა. გვერდით დამდგარიყვნენ თეთრებში გამოწყობილი ელენე, ნატო და მათი მეგობრები. ისინი ლატარიის ბილეთებს ყიდიდნენ, კასრებიდან ნივთები ამოჰქონდათ და აძლევდნენ მათ, ვისაც ბედი გაუღიმებდა. ყველაზე უფრო ხალხს იტყუებდა ლატარიაში ჩაგდებული ძროხა. ნოთა პირუტყვი იქვე ება ხის ძირში და ჩალას ახრამუნებდა. ყველა მას უთვალთვალებდა, მოგების იმედით ბილეთს ბილეთზე ყიდულობდნენ, ბოლოს ყველა ბილეთი გასაღდა, ლატარია დამთავრდა, მაგრამ ძროხა მაინც არავის ერგო. ჯერ ეჭვი გამოითქვა, ხომ არაფერი იეშმაკაო საღამოს მომწყობმა კომისიამო, მაგრამ ბოლოს ასეთი ხმა დაირხა: ძროხა შეხვდა ვიღაც მთვრალ მოქალაქეს, რომელმაც ბევრი ბილეთი იყიდა და, როცა პირველად გახსნილნი ცარიელები ნახა, დანარჩენები, ჯერ კიდევ გაუშლელნიც, მიხიმოხია და გადაყარა. ამის მოწმე მრავალი იყო, ყველამ გაიგო ეს ამბავი, დარწმუნდნენ კომისიის სიმართლეში და ბოლოს ერთხმად თქვეს, რომ იმ მოქალაქეს ძროხა მაინც არ უნდა მიეცეს, რადგან მოგების დამადასტურებელი სბუთი აღარ აქვსო.

ეზოში სიმონიკას და ირაკლის შევხვდი. ისინი დაცინვით ლაპარაკობდნენ სპექტაკლზე. სიმონიკამ თბილისის სახელმოხვეჭილი მსახიობები გაიხსენა, რიხით განაცხადა, რომ ერთ მათგანს ახლო იცნობდა, და მერე მიშაგოზე მითხრა:

— ეს რა ფილონი ჩაუცვამს თქვენს

მეგობარს? არისტოკრატს კი არა, ბალდახინის გამყოლს მაგონებს!

ერთ ადგილას მოსამართლე და სალომე დავინახე. სიმონიკამ და ირაკლიმ თვალი აარიდეს მათ. სალომეს თავი დავუკარი, რაზედაც მან ოდნავ შესამჩნევი თავდახრით მიპასუხა. ისე მეჩვენა, არ ესიამოვნა ჩემი სალამი. უცბადვე ცუდ გუნებაზე დავდექი. სრულიად გამიქრა ის სასიამოვნო მღელვარება, რომელსაც საზეიმოდ განწყობილ საზოგადოებაში ყოფნა იწვევს.

უხალისოდ ვიჯექი დარბაზში. გულგრილად ვუცქეროდი მიშაგოს, მსუქანი მსახიობი ქალი კი რაღაც ფურიად მეჩვენებოდა და მანერვიულებდა.

ძლივს გავძელი სპექტაკლის ბოლომდე. როდესაც უკანასკნელად ფარდა ჩამოუშვეს და არტისტების დაუსრულებელი გამოძახება დაიწყო, გასასვლელ კარებისკენ გავეშურე. მინდოდა, რაც შეიძლება მალე წავსულიყავი აქედან.

ის იყო გავდიოდი, როცა ვიღაცას ხელი შემეხო.. კართან შეჯგუფებულ ხალხში ჩემს გვერდით მოსამართლე და სალომე იდგნენ. სალომემ ხელში ჩამიკუშნა რაღაც ქაღალდის ნაგლეჯი, ჩემთვის არ შემოუხედავს და მოსამართლეს გაჰყვა. ჯერ ვიფიქრე, მომეჩვენა-მეთქი, მაგრამ ცხადად ვგრძნობდი, რომ ქაღალდის ნაგლეჯი მეჭირა. მოუთმენლობამ შემიპყრო, გავიწიე სინათლისკენ და ძლივს გავარჩიე ფანქრით ნაწერი: „ხვალ სადილის შემდეგ მელოდეთ ღარულასკენ მიმავალ გზაზე ბებერ მუხასთან. არავინ არ უნდა იცოდეს“.

თვალებს არ ვუჯეროდი. მრავალჯერ გადავიკითხე ერთი და იგივე. რას ნიშნავდა ეს ბარათი? რა თქმა უნდა, მხოლოდ იმას, რომ ჩემთან მალულად შეხვედრა უნდოდა, მაგრამ რისთვის? ალბათ იმისათვის, რომ სერიოზულ რაღაცაზე უნდა მომელაპარაკოს. რა ხასიათისაც არ უნდა ყოფილიყო ეს საუბარი, ჩემთვის უკვე ისიც დიდად საყურადღებო და ამაღელვებელი იყო, რომ ფარულად უნდა შემხვედროდა ამ განმარტოებულ, დაბიდან დაშორებულ ადგილას.

სიხარულმა, დიდმა სიხარულმა მოიცვა მთელი ჩემი არსება. სრულიად გაქარწყლდა ის სიმწარე, რომელსაც აქამდე ვგრძნობდი იმის შემდეგ, როცა წელან გულგრილად დამიკრა თავი. რა თქმა უნდა, ეს განზრახ ჩაიდინა, მას ხომ ადრევე გადაწყვეტილი ჰქონია ჩემთან შეხვედრა და შეიძლება ეს ბარათიც სახლიდან ჰქონდა მოტანილი.

სცენას მივაშურე მიშაგოს სანახავად. მიშაგო სარკესთან იჯდა და ვაზელინით იწმენდდა სახეს. მე ჩემი სიხარული ვჭონდა და ამ სიხარულით მოვეხვიე. მიშაგომ ეს მიიღო, როგორც მისი თამაშით გამოწვეული აღტაცების გამოხატულება.

— გმადლობთ, ჩემო სანდრო. — ნასიამოვნებმა გადმომხედა. — ბედნიერი ვარ, თუ ოდნავი სიამოვნება მაინც მოგგვარე. სპექტაკლი უკეთესი იქნებოდა, მაგრამ ჩემი კოლეგები ერთობ ღელავდნენ. სუფლიორსაც ფურცლები არეოდა და ერთ ადგილას კინაღამ დაგვაბნია. ალბათ, შეგვატყვე, როგორ შევკრთით მაშინ. მაგრამ ისევ ჩემმა გამოცდილებამ უშველა საქმეს და, როგორც იქნა, სამშვიდობოზე გავიყვანე პარტნიორები.

არა, ამის მსგავსი არაფერი არ მიგრძვნია. ან იქნებ შეუმჩნეველი დარჩა იმის გამო, რომ უამისოდაც სცენაზე მეტად პირობითი იყო ყველაფერი.

დავუცადე, სანამ გადაიცვამდა და შემდეგ ერთად გავედით.

მოძრაობა და ხმაური ქუჩებში თანდათან ცხრებოდა, ჯგუფ-ჯგუფად მოგავალი ახალგაზრდებიც დაიშალნენ და ყველგან ისევ სიჩუმე გამეფდა.

მიშაგოს სახლისკენ გავყევი.

— აი ახლა კი საშუალება მაქვს, რამდენიმე დღით მაინც ვინახულო ჩემი მშობლები, — თქვა მიშაგომ. — დიდი

ზანია დავპირდი და წარმოდგენილი მაქვს, როგორ მელოდებიან. აქამდისაც უნდა წავსულიყავი. მაგრამ, შენც იცი, არ მეცალა... რა იქნება, რომ შენც წამოხვიდე? ა? რომ იცოდე როგორ გამახარებ! არა, ეს რა კარგი აზრი დამებადა! — გულწრფელად აღტაცებული იყო. — ჩემი სოფელი აქედან ახლოა, გზაც მშვენიერია და სულ გაუჭირვებლად ავალთ. ა, რას იტყვი? სამი-ოთხი დღით, მეტით არა. გარდა ამისა, იქ მალე თემის დღესასწაული გაიმართება და ბევრ საინტერესო რაიმეს ნახავ. სასიამოვნო დროს გავატარებთ. მაშ, მაძლევ სიტყვას, რომ წამყვები?

დავპირდი, მაგრამ გუნებაში კი ვიფიქრე, რომ სიტყვას ვერ შევასრულებდი. სალომეს რომ ბარათი არ მოეცა, სიამოვნებით დავთანხმდებოდი, ოღონდ კი რამდენიმე ხნით მაინც გავცლოდი აქაურობას და როგორმე თავი გამერთო. მაგრამ ახლა რატომ უნდა გავმცეულიყავი სალომესაგან? მჯეროდა, რომ ხვალინდელი შეხვედრა სიხარულს მომანიჭებდა. რა თქმა უნდა, მხოლოდ სიხარულს!

ლუკა თავის დაზგასთან მუშაობდა. ერთი წუთით შევედი, რომ მივსალმებოდი. მოხუცი სიხარულით შეგვეგება.

— ჰო, რაო, რაო? — განზე გადადო რალაც მექანიზმები და მიშაგოს ხელი ჩაჰკიდა. — გაიმარჯვე? რა თქმა უნდა, გაიმარჯვებდი! დარწმუნებული ვიყავი! დღეს საერთოდ გამარჯვებების დღეა... შეც წარმატება მაქვს. — ეშმაკურად მოქუტა თვალები. — მივაგენი ერთ შეცდომას, რომელიც ამ ხრახნის მოძრაობას ხელს უშლიდა... ამიერიდან კი... — თვალი შეგვავლო და ხელის გულები კმაყოფილებით მოისრისა. — ამიერიდან კი ვნახოთ, როგორ გაბედავს და არ იტრიალებს... ხი, ხი!

გახალისებული ისევ მოდელს დაუბრუნდა.

ამას წინათ სიმონიკამ მითხრა, რომ ლუკა შექანებული მოხუცია. შემცდარია ის! ლუკას დიდი, წმინდა გული აქვს. მე მჯერა, რომ მას გულწრფელად უყვარს ადამიანი და ეს სიყვარული ამოქმედებს. ყველას, ვისაც ასეთი სუფთა გული აქვს და ადამიანისადმი სიყვარულისთვის შეუძლია თავისი თავი დაფერფლოს, გიჟად სთვლიან.

შინ მივდიოდი და გული აღტაცებით სავსე მქონდა იმ უცნაური მოხუცისადმი. მწამდა, რომ ის მიაღწევდა საწადელს... რა განუზომელია ადამიანია მოყვარული გული, რა ბედნიერებაა სიცოცხლე, რა ალერსიანია ეს ჩაძინებული მშვიდი დაბა, რომლის სიჩუმეს ახლა რაიონის ხმაური კიდევ უფრო აღრმავებს და ტკბილს ხდის! არასდროს არ შეწყდება მისი მდინარება, მუდამ ასეთი შეუპოვრობით ივლის წინ, არასოდეს მისი კალაპოტი შლამით არ დაიფარება და მუდამ ამ ხმით უნანავებს აქაურ ღამეს!

როდის დადგება ხვალინდელი დღე! რა მშვენიერია ეს ღამე, მაგრამ რა გრძელი და დაუსრულებელია!

VI

ბებერ მუხასთან

ქუჩაში რომ ვინმე ნაცნობს არ შევხვედროდი, მისახვევ-მოსახვევებით გავედი დაბიდან და მალე ბებერ მუხისკენ მიმავალ გზას დავადექი. მზე დასავლეთით გადახრილიყო. ცხელოდა. გზა პირდაპირ მიიმართებოდა და შორს იკარგებოდა მისი ბოლო. ტრიალ მინდორზე მუხა დავინახე. ის ბებერი ხე იყო, რომელსაც პირვანდელი ტოტები აღარ ჰქონდა, მაგრამ ახალი ყლორტები წამოზრდოდა და სქელად შემორტყმოდნენ ტანზე. მუხა თითქოს ებრძოდა სიკვდილს და მეორე სიცოცხლეს იწყებდა. მის ჩრდილ ქვეშ დავჯექი და ქალაქისკენ ცქერა დავიწყე. გზაზე ისევ არავინაა. მზე დაჰყურებდა ამ ნაცრის-

ფერ გრძელ ზოლს, რომელზედაც ცხელი ეთერი თრთოდა. იქ, სადღაც ბოლოში, დაბა იყო. სრულიად არ ჩანდა და მხოლოდ ერთ ადგილას, თითქოს პირდაპირ მიწიდან, მაღლა ადიოდა ღვრია კვამლი. ეს, ალბათ, ბოლავდა საკირე, რომელიც დაბის ბოლოში იყო აშენებული.

გარშემო ვხედავდი ტყით დაფარულ მაღალ მთებს. ხეზე ფოთლები ისეთი მუქი მწვანეა, რომ აქედან შავად ჩანან. ჩრდილოეთით მოჩანდა გრძელი ვიწრო ვაკნარი, ხოლო ერთ ადგილას პატარა შენობა, — ეს იყო დუქანი რიონის შენართავ პატარა მდინარე ღარულაზე. დუქნის გვერდით იდგა რამდენიმე ხე, ალბათ ტირიფი, ეს იმაზე ეტყობოდა, რომ ფოთლები ვერცხლისფერად ბზინავდნენ.

დიდხანს ვიჯექი და გავყურებდი დაბიდან მომავალ გზას. მოუთმენლობა მიპყრობდა. იქნებ არ მოვიდეს? არა, რა თქმა უნდა, ის მოვა! თვითონ მთხოვა როგორ შეიძლება ამ სიშორეზე ტყუილად მალოდინოს!

გზაზე რაღაც წერტილი შევნიშნე. წერტილი მოძრავი იყო და თანდათან მატულობდა. კიდევ ცოტა და მისი ფერიც გავარჩიე — ცისფერი იყო.

„ალბათ ის არის!“ — მღელვარებით გავიფიქრე და შესაგებებლად წავედი.

სალომე შეშფოთებული მეჩვენა.

— დიდი ხანია მელოდებით? — მობოდიშებით მკითხა. — ვერ მოვახერხე, უფრო ადრე დამეღწია თავი. ვშიშობდი, ვინმეს არ შევენიშნე, რომ აქეთ წამოვედი...

შემოვბრუნდი და გვერდით გამოვეევი. ხესთან მივედით და სალომე ჩრდილში ჩამოჯდა. შავი ფეხსაცმლის წვერი მტვრით დაფარული ჰქონდა. მზისგან ლოყები შეწითლებოდა. რამდენიმე წუთი მდუმარედ ვისხედით. რომ სცოდნოდა, რა დაუსრულებელი მეჩვენებოდა ეს წუთები! რომ ეგრძნო, რა მოუთმენლად ველოდი! კიდევ ცოტა ხანი და იტყვის, რისთვისაც დამიბარა-ცხადია, ეს ორივესთვის მეტად მნიშვნელოვანი რამ იქნება, თუკი ამის სათქმელად საჭირო გახდა ასე შორს წამოსვლა!

— თქვენ შეგიძლიათ საიდუმლო შემინახოთ? — მკითხა უეცრად.

— რა თქმა უნდა! ამაში ეჭვიც არ უნდა მიიტანოთ!

— ჰო, მე ვიცოდი... მე თქვენ თავიდანვე გენდობოდით... და საკუსებით... — ოდნავ გასაგონად თქვა.

კიდევ წუთი და საიდუმლოს გამიმჟღავნებს. თუ ერთბაშად და თამამად არ ამბობს, ეს გასაგებია. ამისთვის ხომ ერთგვარი ძალის მოკრებაა საჭირო. თუ წანასიტყვაობა არ წარვუმძღვარე, ისევ ვერ ითქმის...

— მაშ წავიდეთ! — მოულოდნელად წამოდგა და გზაზე გავიდა.

ხელი მკლავში გამიყარა და რამდენიმე ნაბიჯი ასე გადავადგით.

— რა სილამაზეა! — თვალი მიმოავლო გარშემო.

რაღაც ჰანგი წაიღიღინა, მაგრამ მალე შეწყვიტა. სიარულზე, სახეზე, ხელების ქნევაზე ვამჩნევდი, რომ ახლა მხიარულ გუნებაზე იყო.

— გამოადგით ფეხი! — ამაჩქარა. — თოკი რომ მქონდეს, ჩაგაბამდით და წაგათრევდით!

გულღიად გაიცინა. ისე უჩვეულო და მოულოდნელი იყო ჩემთვის, რომ უნებურად გამიკვირდა.

— რას მომაშტერდით? — ღიმილით გადმომხედა. — გიკვირთ რომ გავიცინე? ამიტომ გაოცდით? მნახეთ, რაღა, ხელმწიფის გაუცინარი შვილი!

არ დავუფარე, რომ მოულოდნელი და სასიხარულო აღმოჩენა იყო ჩემთვის.

სალომემ ამაზე გულიანად გააცინა.

— უდიდესი აღმოჩენა! ვერა, ჩემო კარგო, თქვენ ამით უკვდავებას ვერ მოიპოვებთ!

პატარა მდინარესთან მივედით. მშვი-

დი, წყალმარჩხი, სუფთა და ცისფერი მიწანწკარებდა ღარულა დასალული სწორი კალაპოტით.

— არ მინდა ფეხები დავისველო, — ნაპირთან შეჩერდა სალომე. — შეგიძლიათ გადამიყვანოთ? მე რომ არც ისე მჩატე ვარ?

დავიკარწახე და მკლავები გავშალე. კისერზე ხელი მომხვია და წყალში შევტოპე. არ ენდობოდა ჩემს ღონეს, იცინოდა შიშისაგან, რომ დამივარდებოდა და უფრო ღონივრად მხვევდა ხელებს. ვგრძნობდი, როგორ ცახცახებდა მისი ტანი.

— გადავრჩი! — მხიარულად შესძახა და ჩამოხტა, როცა ნაპირზე გავედი.

ალერსიანი დაცინვით შემომხედა და სახე ცხვირსახოცით ჩამომწმინდა.

— როგორ გაწითლდით... ხომ გითხარით, რომ მძიმე ვარ! — ისევ გააცინა. — სამაგიეროდ, მე მოვიგე, ფეხები არ დამისველდა.

სალომეს ეგონა, რომ მისმა სიმძიმემ დამღალა და ამიტომ წამოვჭარხლდი. მინდოდა მეთქვა, რომ მზად ვიყავი, დაუსრულებლად მეტარებინა ხელით.

როცა დუქანს მივუახლოვდით, არღნის ხმა გავიგონე. მედუქნე ტირიფების ქვეშ იჯდა და უკრავდა. გაგონილი მქონდა მისი ჩვეულება: როგორც კი ვინმეს შენიშნავდა გზაზე, მაშინვე არღანს დაატრიალებდა. ამით მგზავრი თითქოს გუნებაზე მოჰყავდა და იტყუებდა. მედუქნემ, როგორც კი მივუახლოვდით იგრძნო, რა მუშტარიც ვიქნებოდით, შეწყვიტა დაკვრა და ტირიფების ჩრდილში მერხზე წამოწვა.

დუქანს ჩავუარეთ თუ არა, შორიახლოს ბოშების ბანაკი დავინახე. დაფლეთილი, ბრეზენტის ნაჭრები გაებათ მიწაში ჩასობილ ჯოხებზე. რამდენიმე ასეთი კარავი იყო. კარავების ქვეშ ჭილოფებზე ისხდნენ ბოშა ქალები და მამაკაცები, უმეტესად ხნიერები. ერთ ადგილას სამფეხად გაკეთებულ რკინის ციწრო სვეტებზე ჩამოკიდებული იყო ქვაბი, რომლის ქვეშ ნაცარი ეყარა და ნახევრად დამწვარი ხის ნაპლეი ეგდო. ფურგონების გვერდით [illegible] ბავშვებმა თამაშობას თავი მიანებეს. შემოგვეხვივნენ და ერთხმად რაღაცას შემოგვძახოდნენ. ალბათ გვთხოვდნენ რაიმეს. ერთი კარავიდან გამოვიდა ახალგაზრდა, შავტრუხა ბოშა ქალი, რომელსაც გულზე კაკილები ჰქონდა ჩამოკიდებული.

— აქეთ, ჩემთან! — დაგვიქნია ხელი. — სამკითხაოდ მოხვედით, არა?

მიგვიყვანა კარავთან, სადაც დედაბერი იჯდა. ცალ თვალზე ლიბრგადაკრულმა მოხუცმა განზე გადასდო ხელსაქნარი და კარავიდან გამოფოფხდა. ეშმაკსა ჰგავდა და მძაღე სუნი ასდიოდა.

— შენ გიმკითხაო, გოგონა? — მიმართა სალომეს. — აი ამ ქვაზე ჩამოჯექი. ფული წინასწარ!

ვერცხლი ჩამოართვა და კაბის ღრმა ჯიბეში ჩაიკუშნა.

— შენ გინდა იცოდე, რა ბედი გაქვს? ყველაფერს გაიგებ. მომეცი ხელი.

სალომე მორჩილად ჩამოჯდა ქვაზე.

— შენ, ახალგაზრდა, მოგვშორდი, — უხეშად მომმართა დედაბერმა. — შენ ის ახალგაზრდა გიმკითხავებს. ჩემი ქალიშვილია.

ახალგაზრდა ბოშა ქალმა მანიშნა, გავყოლოდი.

— არა, ის მოხუცი ჩემი დედა არ არის, — მითხრა ჩემმა მკითხავმა, — ოღონდ მისი გაზრდილი კი ვარ. ამ დედაბერმა ყველაფერი იცის, ის გულთამხილავია, მისგან დაფარული არაფერი არ არის. მან წინასწარ იცის, რა მოხდება. მეც ბევრი რამ მასწავლა. აქ მოდიან ხოლმე ქალაქიდან სამკითხაოდ. შენ ძმა ხარ ამ გოგოსი? არა? მაშ გიყვართ ერთმანეთი და გინდათ თქვენი ბომავალი გაიგოთ, არა?

ხელი გავუწოდე... დიდ ბედნიერებას მიქადდა მომავალში. მითხრა, რომ

ძლიერად ვუყვარვარ იმ ქალიშვილს და ოქროს კოშკში ვიცხოვრებთ. მრავალი რამ მობროდა და მარწმუნებდა, რომ ყველაფერ ამას ჩემს ხელზე კითხულობდა, რომ იშვიათად შეხვედრია ჩემსავით ბედნიერი მომაველის მოქნე ქაბუკი.

— მაგრამ შენ მწუხარებასაც გამოველი... თუ გინდა, ამაზედაც გიამბობ, და იმასაც გეტყვი, როგორ დააღწიო თავი, — მითხრა როცა მკითხაობა დასრულა. — ოღონდ ამისათვის ხელმეორედ უნდა გადაიხადო.

კიდევ მივეცი ვერცხლი, გადამაშლევინა ხელისგული და ისევ მიედ-მოედვა.

— გაიგე? გესმის? — შემეკითხებოდა ხოლმე. — იცოდე, ყველაფერი კარგად დაიხსომე, გამოგადგება.

თავს ვუქნევდი, მთელი გულისყური კი სალომესკენ იყო. დედაბერი დიდხანს ეუბნებოდა რაღაცას, ის კი მიშტერებოდა და ყურადღებით უსმენდა. ბოლოს, როგორც იქნა, იქაც დამთავრდა მკითხაობა და გამოვბრუნდით. ერთხანს უკან მოგვდევდნენ თმაგაჩეჩილი პატარა ჭინკები, ტანსაცმელში გვტაცებდნენ ხელს და რაღაცას გვთხოვდნენ.

— თქვენც ოქროს კოშკი გიწინასწარმეტყველათ? — ღიმილით ვკითხე სალომეს.

— ღმერთო, რას არ მიედ-მოედო! დავიჯერო მისი დაპირებები?

ხელი ჩააქნია.

— არც მინდა ისე ბედნიერი ვიყო, როგორც მითხრა. ეხ, რა არ მობროდა! ისე მარწმუნებდა, თითქოს მეუბნებოდა: შენთვის სჯობს, თავი მოიტყუო და არაფერი არ იცოდე მომავალზეო...

გაჩუმდა და მერე თითქოს თავის თავს უთხრა:

— მე მცირედი ბედნიერებითაც დავკმაყოფილდები, მაგრამ...

შევატყვე, უგუნებოდ იყო.

— ყურადღებას ნუ აქცევთ იმ კუდიანის მოჩმახულს, — შეეცადე დამემშვიდებინა.

დიდხანს ხმაამოუღებლად მივდიოდით. მალე გავუარეთ დუქანს და ისევ ღარულას მივადექით. მდინარესთან სალომეს გადასაყვანად მოვემზადე, მაგრამ მან უარი თქვა, გაიხადა ფეხსაცმელი და შეეადა წყალში.

— რომ მცოდნოდა, ასეთ გუნებაზე დაგაყენებდაო ის ალქაჯი, არ მიგიყვანდით, — ჩავილაპარაკე მე.

მუხას ვუახლოვდებოდით, სალომეს კი ჯერაც არაფერი ეთქვა იმაზე, რასაც მოველოდი. რატომ აგვიახებდა? ან იქნებ სულაც არ აპირებდა?

— თქვენ, მგონი, გინდოდათ რაღაც გეთქვათ ჩემთვის, — გავბედე, როგორც იქნა.

— მე მინდოდა? — გაკვირვებით შემომხედა. — არა, არაფერი.

ისევ შემომხედა და მერე ჩუმად:

— განა თქვენ გეგონათ, რომ რაიმე უნდა მეთქვა თქვენთვის?

ამის გაგონებაზე გავცოფდი, მაგრამ თავი შევიმაგრე და მხოლოდ ჩავიბურტყუნე:

— თუ გახსოვთ, ორჯერ დამპირდით, რომ... მე სულ ველოდი...

ჩაფიქრდა და ძალიან ჩუმად:

— განა? არ მახსოვს... ალბათ ისეთი უმნიშვნელო რამ იყო, რომ დამაყიწყდა.

მერე უეცრად მკითხა:

— რა უნდა მეთქვა? თქვენ რას ელოდით?

არ შემინიშნავს, თურმე ჩამოგვიტოვებია მუხა. ბინდი ეშვებოდა და გულიც დამძიმდა. შორიახლოდან უკვე გამოჩნდა დაბის პირველი შენობები. სალომემ ნაბიჯი შეანელა და ხელი მოშკიდა.

— მგონი რაღაც გაწყენინეთ... არ ბინდოდა, მერწმუნეთ. მე თქვენ დიდად გაფასებთ და გენდობით ისე, როგორც არავის... მე თქვენ მეგობრად მიმაჩნიხართ... განა ეს ცოტაა თქვენთვის? განა არ შეიძლება მხოლოდ მეგობრები ვიყოთ და...

არ დაამთავრა, მაგრამ ისედაც მავხვდი რა უნდა ეთქვა. როცა დაბაში შევედით, ოდნავ გასაგონად მითხრა:

— მე იქნებ ღირსიც არ ვიყო, რომ თქვენ გიყვარდეთ. თქვენ ბევრად უფრო წმინდა გული გაქვთ ჩემზე...

გავიარეთ შესახვევი და ჯერ კიდევ მოედნამდე დავშორდით ერთმანეთს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

VII

„ბანდეგილი"

ორი დღის შემდეგ მიშაგო მოვიდა ჩემთან და გამაფრთხილა, რომ ხვალ მიდიოდა ლაგვანთაში.

— შენ ხომ დამპირდი, რომ წამყვები? ჰოდა, დილით გამოგივლი და მზად დამხვდი.

სიხარულით დავთანხმდი. ბოშებისაგან დაბრუნების შემდეგ მთელი დღეები ისეთ სევდას ვგრძნობდი, რომლის მსგავსი აქამდე არ განმეცადა. მოდუნებული ვიყავი, თითქმის სულ ჩემს ოთახში ვიჯექი და მხოლოდ ხანდახან შუაბანდში თუ გავიდოდი. მოხუცი მღვდელი ყოველთვის ჩაიბურტყუნებდა რაღაცას როგორც კი მის შორიახლოს ჩამოვჯდებოდი და სათვალეების ზემოდან მწყრალად გადმომხედავდა. ამას ყურადღებას არ ვაქცევდი, რადგან ვიცოდი, რომ არ ვუყვარდი და უბრალოდ ჩემი შეხედვაც აღიზიანებდა.

ვცდილობდი ჩემი თავი დამერწმუნებინა, რომ აღარ მინდოდა სალომეს ნახვა. მაგრამ ამაოდ. ის მოუშორებლად იყო ჩემს ფიქრებში. ჯავრი მომდიოდა იმის მოგონებაზე, რომ ბოშებთან წასვლისას მან მხოლოდ გამცილებლად გამომიყენა... მე კი რა იმედს ვამყარებდი იმ დღეებზე, რა თრთოლვით ველოდებოდი ბებერი მუხის ქვეშ.

დილით ადრე გამომიარა მიშაგომ, ჩამოვიტოვეთ ქალაქი და ლაგვანთისკენ მიმავალ გზას დავადექით. ეს გზა ახლა მოგონებებით სავსე იყო ჩემთვის... შეიძლება სალომეს პატარა ფეხსაცმელის ნაკვალევი აქ ჯერ კიდევ ჩანდა სადმე. აი ის ხე, სადაც სალომემ იჩრდილა. აი ის ხე, სადაც ატატებული გადავიყვანე, . გარშემო იგივე მთები, თითქოს იგივე ღრუბლის ნაჭერი იმ დღიდან მთის თავზე ციდან გადმოკიდებული, მაგრამ რატომ არის ყველაფერი ახლა ასე ნაღვლიანი? როგორც სათუთი მეგობრები უსიტყვო თანაგრძნობით მიცქერიან და მიმაცილებენ.

როცა დუქანს მივუახლოვდით, არღნის ჭიჭყინი მომესმა. ტირიფების ქვეშ ფხიზლობდა ობობა და მსხვერპლს იტყუებდა თავის აბლაბუდაში. არღნის ხმაზე ბოშების ბანაკიდან კიჟინით გამოექანენ პატარა ჭინკები. როგორც კი მივედით ტირიფებთან, მიკიტანმა დაკვრა შეწყვიტა.

— შენ ბრძანდები? — მიესალმა მიშაგოს, მაგრამ შევატყვე, არ ესიამოვნა, რომ მუშტარზე იმედი გაუცრუვდა. — სოფელში გასწიე?

პატარა ტიტველი ჭინკები შორიახლოს გაჩერდნენ და იქიდან შემოგვყურებდნენ.

— ჰაუ, ჰაუ! — ხელი აუქნია მათ მედუქნემ.—მოსვენება აღარ მაქვს იმ გასაწყვეტლებისაგან. ასე ტურებივით შემომესევიან, როგორც არღანს დავატრიალებ და ვინმე მოვა . ჩემთან. მე შენ გეტყვი, მოიცილებ, სანამ რაიმეა არ გამოგლლეტენ. მეშინია გამქურდავენ და შინ ველარ წავსულვარ. როდის იქნება, რომ აიყრებიან ეს ღვთისგან დაწყევლილები!

ბანაკის იქით ჩრდილიანი აღმართი დაიწყო. ალაგ ჩვენს გზას მქავე წყლის ნაკადული სერავდა. მის პატარა კალაპოტს ქანგის ფერი ედო.

— რა კურორტების გაშენება შეიძლება აქ! — გულაჩვილებულად ოცნებობს მიშაგო. — ეს კუთხე ისეთ სიმდიდრეს ინახავს მიწის გულში, რომ წარმოდგენაც ძნელია. როგორ გამდიდრდება ხალხი, აქ რომ კურორტები მოეწყობოდეს!... აი ამ ადგილებზე აიმართებიან ნამდვილი სასახლეები, და ქვეყნის რომელი კუთხიდან არ ჩამოვა ხალხი... ა, რას იტყვი, განა ცუდი იქნება?

ვუდასტურებ, რომ კარგი იქნება.

— ამის შემდეგ ჩვენი დაბაც სწრაფად გადაიქცევა დიდ ქალაქად... ხუთსართულიანი სასტუმროები, მოკენჭილ ქუჩებზე ახალი ეტლები, შუა მოედანზე მქავე წყლის შადრევანი და მის გარშემო კი პალმები, პალმები, პალმები! — ამის წარმოდგენაზე აღტაცებაში მოდის მიშაგო და ხელებს ფრთებივით შლის.

ახალი ნაშუადღევი იყო, როცა ლაგვანთას მივაღწიეთ. მთებით შემოსალტულ ვიწრო ხევში რამდენიმე სახლი დავთვალე. კორტოხზე ობლად იდგა ნახევრად დანგრეული ძველებური სადარაჯო გოდოლი. სოფელს შუაზე ყოფდა დამშრალი მდინარის ქვით ამოვსებული კალაპოტი. წყალი მხოლოდ თოვლის დნობაზე და წვიმიან დღეებში სცოდნოდა აქ და მაშინ ზათქით და ღრიალით მოაგორებდა ატალახებულ ტალღებს.

მიშაგოს სახლი, წინიდან ქვის მაღალ სვეტებზე შედგმული დიდი ოდა, სოფლის შუაგულში იყო. ეზოში იდგა კიდევ სამზარეულო, თაილა და მარანი. მოხუცები და თავსაფრიანი ახალგაზრდა გლეხის გოგო ჩრდილში ისხდნენ, როცა ეზოში შევედით. მშობლებმა არცთუ დიდი სიხარული გამოიჩინეს ვაჟის დანახვაზე. ისე შეხვდნენ, თითქოს ორი თვის უნახავი კი არა, გუშინ იყვნენო ერთად. მიშაგომ თავის გულითად მეგობრად წარმადგინა მათ წინაშე. მოხუცმა ქალმა გულგრილად ჩამომართვა ხელი, მამამ კი მხოლოდ გადმოვხედა. მეტისმეტად მსუქანი იყო ორივე, მძიმედ სუნთქავდნენ და ეტყობოდათ განძრევაც ეზარებოდათ. მიშაგოს მამას მარჯვენა მხარეზე დამბლა ჰქონდა დაკრული და ხელი უღონოდ ედო ახალუხის კალთაზე.

— სულ დაგვიგვიწყე ბიჭო, — აგერ, როდისღაც, ხმა ამოიღო დედამ. — ძალიან მოგვანატრე თავი.

მარცხენა ხელით სახეზე მოუალერსა და თმაც აუშალა.

— მაგას არ სცალია ჩვენთვის, — ყრუდ ჩაილაპარაკა მამამ. — ... ...

შადაც დაგვიძახეს. ვახშამზე უკვე ოთხნი ვისხედით — მიშაგო, მისი მშობლები და მე. შორიახლოს იატაკზე წრედ მორთხმული იჯდა შვიდი თუ რვა ახალგაზრდა გლეხის გოგო და ისინიც ვახშმობდნენ.

— იმღერონ! — ბრძანა მამამ.

გოგოებმა სიმღერა დაიწყეს. რაღაც წარმართულ ძველ საგალობელს ამბობდნენ.

— ა? ხომ კარგად მღერიან? — ისევ ფულაჩვილებული იყო მიშაგო. — ესენი ჩვენი ადგილების მოზიარე გლეხების შვილები არიან. მე რომ მკითხო, კონსერვატორიაში უნდა მიაბარო ყველა. აი, როცა ჩვენი დაბა დიდ ქალაქად გადაიქცევა, მაშინ ეს საქმეც ადვილად გაკეთდება...

მოხუცებმა ჭამა მოათავეს და ყვინთავდნენ. მარშალმა ბოლოს თავი ჩაქინდრა. მაშინ გოგონები წამოიშალნენ, ბატონი და ქალბატონი საწოლამდე მიიყვანეს, გახადეს, ჩააწვინეს, ისევ მორთხმულად დასხდნენ საწოლის გვერდით და, სანამ მოხუცებმა ხვრინვა არ ამოუშვეს, ძილისპირულს ამბობდნენ.

მიშაგო გამომცდელი თვალით შემომყურებდა:

— როგორ მოგწონს? ვიცოდი, რომ გაგაკვირვებდა. ეს მშვენიერი ტრადიცია მხოლოდ ჩვენს ოჯახს შერჩა კიდევ.

მეორე დღე ისეთივე დაიწყო, როგორც გუშინდელი. მიშაგომ დამატარა ეზო, გადამიყვანა ვენახში, გადამახედა სერიდან, აღტაცებული ლაპარაკობდა ყველაფერზე, რასაც გარშემო ხედავდა, და ცდილობდა, ჩემშიაც აღტაცება გამოეწვია.

ისეთი სიმშვიდე იყო ლაგვანთაში, ისეთი სევდაც იგრძნობოდა ამ სიჩუმეში, რომ მასთან შედარებით პატარა დაბის ცხოვრება დიდად ხალისიანი მეჩვენებოდა. იქ რაღაც ვნებები ამოძრავებდა კიდევ ადამიანს, აქ კი მხოლოდ ძილის მომგვრელი სიჩუმე და მორჩილება.

ეზოში ჩრდილქვეშ ვისხედით, როცა უეცრად ცხენის ფეხის ხმა მომესმა. კიდევ წუთი და ჩვენს სახლთან სამი ცხენოსანი გაჩერდა. ის, რაც შემდეგ დავინახე, მოჩვენებას ჰგავდა. განა დღით არ არიან მოჩვენებანი?

სიმონიკამ და ირაკლიმ უნაგირიდან ჩამოსვეს სალომე, ცხენები ღობეზე მიაბეს და ეზოში შემოვიდნენ.

— გზად ჩავიარეთ და გადავწყვიტეთ, რამდენიმე წუთით შემოგვევლო. თქვენი ნახვა მოგვინდა. — თქვა სიმონიკამ.

— ძალიან მოგვენატრე, — დაუდასტურა ირაკლიმ.

ისინი არ ყოფილან მიშაგოსთან დაახლოებულნი, რომ მის სანახავად ასე შორს წამოსულიყვნენ. ცხადია, სხვა რამ იყო მათი მოსვლის მიზეზი. სალომე მხიარულად იყო, ბედნიერი მეჩვენებოდა და ამისგან კიდევ უფრო ვღონდებოდი. ბოლმა მაღრჩობდა, რომ სიმონიკასთან ერთად იყო. ერთი დღის წინათ მე გავექეცი დაბას, თავი შევაფარე ლაგვანთას და მოულოდნელად ყოველივე ცდა ამაო გამოდგა.

— ეს ჩემი თაოსნობა იყო, — მითხრა სალომემ. — ისინი მე შევაგულიანე ცხენებით სადმე გაგვესეირნა, გულში კი თავიდანვე ის განზრახვა მქონდა, რომ თქვენთან მოვსულიყავი. გუშინ გიკითხეთ და გავიგე, რომ მიშაგოს წაჰყოლიხართ. რატომ არ მითხარით, თუ აქეთ წამოსვლას აპირებდით? გაიქეცით დაბიდან? განდეგილობა არჩიეთ?

ვეღარ მოვითმინე და ვკითხე:

— როგორ გგონიათ, რას იტყვის მოსამართლე ამ თქვენს გასეირნებაზე?

— ის ვერაფერსაც ვერ გაიგებს, — მხიარულად თქვა სალომემ. — სამსახურის გამო რომელიღაც სოფელში წავიდა მთელი დღით და ვიდრე დაბრუნდება, ჩვენ შინ ვიქნებით.

უეცრად წარბები მოჭმუხნა:

— რატომ მკითხეთ ამაზე?

— თქვენზე ვზრუნავ. მეტი არაფერი, — ღიმილით ვუპასუხე. — ვიცი, არ ესიამოვნება, რომ სიმონიკასთან ერთად იყავით და ისიც ასე შორს.

შეკრთა ამის გაგონებაზე. ცხადია, არ მოელოდა ჩემგან. იგრძნო, რომ მისი ცხოვრების საიდუმლოსთვის ყური მომეკრა. უნდოდა რაღაც ეთქვა. თვალები გამომცდელად მომაშტერა და ბოლოს მხოლოდ ხელი ჩააქნია:

— რა გულუბრყვილო ვყოფილვარ. მე კი მეგონა გაგეხარდებოდათ ჩემი მოსვლა. სიმართლე თუ გინდათ, იმიტომ გავჩნდი აქ, რომ თქვენი ნახვა მინდოდა.

არ ვიცი, იქნებ ეს განზრახ მითხრა, მაგრამ ისეთი გულდაწყვეტით თქვა, რომ სიმართლედ შეჩვენა. ვუსაყვედურე ჩემს თავს, თუ რად ვაწყენინე და შევეცადე თავი იმით გამემართლებინა, რომ მხოლოდ ხუმრობით იყო ნათქვამი.

— არა, არ მჯერა, — თავი გააქნია სალომემ. — არ ვიცოდი, თქვენ თურმე ავი ყოფილხართ... ვნანობ, რომ მოვედი.

ესეც წყენით და ნაღვლიანად თქვა.

— არა უშავს რა, — თავი ასწია და გაბედულად შემომხედა, — ამ შეცდომას ახლავე გამოვასწორებ.

მოტრიალდა და თანამგზავრებს გადასძახა:

— რაღას ვაყოვნებთ, მეგობრებო? წავიდეთ!

მიშაგო მათ არ უშვებდა, სთხოვდა დარჩენილიყვნენ, მაგრამ ვერა გააწყო რა.

— ეგ შეუძლებელია, — აღშფოთებას გამოთქვამდა ის, — ეგ ჩემი შეურაცხყოფაა!

ყმაწვილები დარჩენაზე თანახმა იყვნენ, მაგრამ სალომე ვერ დაითანხმეს, დაგვემშვიდობნენ და ცხენებზე შესხდნენ.

— მშვიდობით, განდეგილო, მშვიდობით ლაგვანთის წმინდანო! — უკანასკნელად გადმომძახა სიმონიკამ, ლაფშასა შოლტი დაჰკრა და გააქანა.

სახტად დავრჩი. მომაგონდა სალომეს სიტყვები, როცა ახლახან ჩემს გაქცევაზე მითხრა. სიმონიკა ამ დროს მოხუცებს ართობდა და არ შეეძლო ჩვენი საუბარი გაეგონა. ნუთუ მათ გზაში ჰქონდათ ლაპარაკი ჩემს განდეგილობაზე? თვალებზე ბინდგადაკრული გავყურებდი როგორ მიიჩქაროდნენ ცხენები დალმართში. ორი მხრიდან როგორ ამოუდგნენ სალომეს მისი თანამგზავრები და მხოლოდ მაშინ გამოვერკვიე, როცა თვალს მიეფარნენ. რა იყო ეს. რატომ მიწოდა განდეგილი? დამცინა არა?

მიშაგოც შეურაცხყოფილად გრძნობდა თავს. მთელი დღე უგუნებოდ იყო და ამიტომ არ შეუნიშნავს, თუ რა მოწყენილი დავბორიალობდი ეზოში.

დაღამებისას სადღაც შორს წითელი ბურთი დავინახეთ. მიშაგომ ერთხანს ჩუმად უცქირა.

— ვერ გამიგია. სად უნდა იყოს ეს ცეცხლი, ან რას უკიდია.—ამბობდა გაკვირვებული. — თითქოს ჩვენი დაბის ახლოა, იქნებ სადმე გზაში, მაგრამ ასეთი დიდი კოცონი?

დიდხანს ეკიდა და წითლად ანათებდა.

ვახშმის დროს სოფლელი გოგონები ისევ მორთხმული ისხდნენ იატაკზე და შემდეგ ისევ ძილისპირულს უგალობდნენ მოხუცებს.

— არა უშავს რა, დღევანდელ მოწყენილობას ხვალ ავინაზღაურებთ, — დაწოლისას მაიმედებდა მიშაგო. — ხვალ თემის დღესასწაულზე გავალთ და უცბადვე გადავივიწყებთ რაც დასავიწყებელია. კოშკთან სათემო მინდორზე დიდძალი ხალხი იქნება. ვის და საიდან მოსულს არ ნახავ!

დიდხანს არ დამეძინა. ყურში ისევ სიმონიკას სიტყვები ჩამწოდნენ. რატომ არ გავსდე მაშინ, რომ უნაგირიდან გადმომეთრია! ღამის სიჩუმეში

ტყიდან ჭოტის კვნესა მესმოდა, თვალღიად ვიწექი, მივჩერებოდი ფანჯარას, საიდანაც მოვარსკვლავებული ცის ნაჭერი ჩანდა და ვფიქრობდი...

მეორე დილით იმ გადაწყვეტილებით ავდექი, რომ ლაგვანთიდან ახლავე წავიდოდი. მიშაგო ისეთი გაოცებული და გულნატკენი იყო ჩემი განზრახვით, რომ სიტყვა აღარ ყოფნიდა.

— ვერ გამიგია, რა მოხდა... როგორც გინდოდეს... შენგან კი ამას არ მოველოდი! — ამაღლა ამბობდა და გაკვირვებული ხელებს შლიდა.

რამდენიმეჯერ სცადა არ გავეშვი, მაგრამ რა დარწმუნდა, რომ ჩემი გადაწყვეტილება მტკიცე იყო, სოფლის ბოლომდე ჩამაცილა, დიდ გზაზე დამაყენა, გულნაკლულად დამეშვიდობა და, სანამ მოსახვევში არ მივიმალე, იდგა და ჩემსკენ იყურებოდა.

— „რატომ არ დავრჩი? რა მიმაჩქარებდა დაბაში? რატომ ვაწყენინე კეთილ მასპინძელს?“ — ვუსაყვედურებდი ჩემს თავს, მაგრამ ერთხელაც არ მიფიქრია, რომ დავბრუნებულიყავი.

დიდ გზაზე მხვდებოდნენ სოფლის დღესასწაულზე მიმავალნი. მოზოზინობდნენ ჩარდახიანი ურმები, მოდიოდნენ ქვეითნი და ცხენოსნები. სადღეობოდ გამოწყობილ ერთ ჯგუფს მოხუცი მესტვირე მოჰყვებოდა. ჯანმრთელი, ხალისიანი ხალხი იყო.

შუა გზაზე ორი ეტლი შემომხვდა. არც მიმიხედავს შიგ ვინ იყო და გვერდი ავუარე, როცა უეცრად ჩემი სახელი გავიგონე. ეტლები გააჩერეს და იქიდან ჟივილ-ხივილით გადმოვიდნენ ქალიშვილები, რომელთა შორის ელენე და ნატო იყვნენ. მათ ახლდა ორი ძმა, სტუდენტები, რომლებსაც დღეს თეთრი ჩოხები ჩაეცვათ. ძმები ტყუპები იყვნენ. ლამაზი ჭაბუკები ისე ჰგავდნენ ერთმანეთს, როგორც ორი მარცვალი პურის თავთავში.

— როგორ თუ შინ მიდიხარ? — გაოცებული შემომყურებდნენ ნატო და ელენე. — დღეს შორეული კუთხეებიდანაც ხალხი აქეთ მოედინება. დაბრუნდი, ბევრ რამეს საყურადღებოს და შენთვისაც გამოსადეგს ნახავ.

ხან ერთ, ხან მეორე მიზეზს ვიგონებდი, რომ თავი დამეღწია, მაგრამ მეგობრები არ მეშვებოდნენ. იმდენი ქნეს, რომ შევყოყმანდი, კიდევაც გავიფიქრე გავყოლოდი მათ, როცა ელენემ განზე გამიხმო და მითხრა:

— არც გირჩევ დღეს დაბაში დაბრუნებას... იქ ახლა შენთვის სასიამოვნოს ვერაფერს გაიგონებ.

ამის გაგონებაზე საბოლოოდ უარი ვთქვი დავბრუნებულიყავი, დავემშვიდობე მეგობრებს და წავედი.

გზაში ისევ მხვდებოდნენ ლაგვანთისკენ მიმავალი ჩარდახიანი ურმები, ცხენოსნები, ქვეითნი.

როდესაც იმ ადგილს მივაღწიე, სადაც ორი დღის წინათ ბოშების ბანაკი დავტოვე, იქაურობა დაცარიელებული დავინახე. აღარავინ იყო, აყრილიყვნენ. თავის დაუსრულებელ გზას გაჰყოლოდნენ და წინანდელი კვალიც მოეშალათ. მხოლოდ პატარა სახსოვარი დაეტოვებინათ; სადაც მათი ღარიბი კერა ენთო ხოლმე, მომწვარ ადგილზე ნაცარი დარჩენილიყო. ეს-ღა იყო იმის მოწმე, რომ ოდესღაც აქ ადამიანს ხელი მოეთბო და ღამე უთევია.

ნაბანაკარის ახლო დუქნის ზემოთ დიდი კოცონის ნაკვალევი დავინახე. იქ ნაცარი იყარა და დანახშირებული ძელები იდო. ერთი მათგანი ახლაც ბოლავდა. წინა ღამით რომ ლაგვანთიდან ცეცხლი ჩანდა, ეს ყოფილიყო.

მედუქნემ შემდეგი მიამბო:

— კონალამ მეც გადამწვეს იმ წყეულებმა. ისეთი კოცონი გააჩაღეს, ალი ცას წვდებოდა. დაბიდან საჩანძრო რაზმიც მოვიდა: ჰგონებოდათ, რომ ჩემი დუქანი იწვოდა. გუშინ მზის ჩასვლისას ერთი გადახჩუებული ბებერი მოუკვდათ ბანაკში. ეს წლამდე მიღწეული

კაცი იყო. ალარაფერში გამოსადეგი არ ყოფილა, ზედმეტ ტვირთად აწვათ, მაგრამ დიდი ხნიდან თავის წინამძღოლად თვლიდნენ და პატივს სცემდნენ. ...ჰო და, შენ ხარ ჩემი ბატონი, იმ მოხუცს საშველი რომ მიუტანეს, ნახეს, რომ მომკვდარიყო. ძილში გაჰპარვოდა სული. ისეთი ზარი დასცეს, ისეთი თავში ცემა და ვაი-უშველებელი ასტეხეს, ადამიანს შეზარავდა ამის დანახვა. კაცი, ქალი და ბავშვი თმებს იგლეჯდნენ, სახეს იხოკდნენ და საზარელი ხმით გაჰკიოდნენ... დამარხეს, შემდეგ ტყიდან ძელები მოზიდეს, საფლავზე დახვავეს და ცეცხლი წაუკიდეს. ბოლოს გარშემო შემოუსხდნენ კოცონს, ჯერ ჩუმად შეჰყურებდნენ, მერე სიმღერა წამოიწყეს და გათენებამდე მათი ხმა არ შეწყვეტილა. რამდენნაირი მათი სიმღერა არ გამიგონია, მაგრამ რასაც ახლა ამბობდნენ, სულ სხვანაირი იყო. კაცს გულს აუდუღებდა... არ დამნანებია, ბლომად ღვინო და რაც პური მომეძეოდა მივუტანე მათ, შესანდობარი დალიეთ-მეთქი თქვენი მიცვალებულის. ამ დილით კი ადრე აიყარნენ და გზას გაუდგნენ. მადლობა ღმერთს, მოშორდნენ აქაურობას. ისეთი რა ცოდვა ჰკიდიათ იმ უბედურებს, რომ ღმერთმა დაუსრულებელი გზა მოუსაჯათ!

მზე ჯერ კიდევ მაღლა იდგა, როცა შინ დავბრუნდი. დეიდა მანანა ისე გულგრილად შემხვდა, რომ უმალვე ვიგრძენი, ჩემზე ნაწყენი იყო. ერთხანს უბრად იყო ჩემთან.

— მე ვიცი, რომ ლაგვანთაში წაგიყვანა მიშაგომ, — მითხრა ბოლოს. — ამაში, რა თქმა უნდა, ცუდი არაფერია. მაგრამ ხომ იცოდი მოსამართლის ამბავი? რად ჩაგვაგდე მის ყბაში? ქუჩაში შეხვედრია ჩემს ქმარს და ათასი საყვედურები უთქვამს...

ვერაფერი გამეგო. სოფელში ჩემს ყოფნას რა კავშირი უნდა ჰქონოდა მოსამართლესთან?

მალე ყველაფერი გამოირკვა:

— რატომ მე მაინც არ მითხარი, თუ სიმონიკასთან და სალომესთან მოლაპარაკებული იყავი, რომ იქნი იქ ამოვიდოდნენ ვითომდა შენს სანახავად? შენ ხომ გაგონილი გქონდა, რომ მოსამართლემ აუკრძალა სალომეს სიმონიკასთან შეხვედრა? ის ამბობს, რომ შენ ხელს უწყობ მათ.

ხმაამოღებლად ვუსმენდი.

— მოსამართლე რომ იმ დღეს შინ არ ყოფილიყო, იქნებ ვერაფერსაც ვერ გაიგებდა. მაგრამ, სამწუხაროდ, ისე არ მოხდა, როგორც თქვენ ნავარაუდევი გქონდათ. ილიას საღამომდე შინ არ ელოდნენ, მაგრამ რაღაც მიზეზის გამო, შუაგზიდან დაბრუნებულიყო. ხიდზე გადმოდიოდა თურმე, როცა ცხენოსნები წამოწეოდნენ და უეცრად ვის ხედავს! სალომეს და იმ ყმაწვილებს. წარმოგიდგენია, რა ამბავს დაუწევდა? გუშინ მთელი დღე მესმოდა, როგორ ყვიროდა თავის სახლში. ზაფხული მალე გათავდება, შენც მალე წახვალ და აქ კი ჩემს მეზობლად ისევ იცხოვრებს მოსამართლე. ტყუილად გადამკიდე ის კაცი, მეტი არაფერი...

ვხედავდი, რომ გულწრფელად შეწუხებული იყო, შევეცადე დამემტკიცებინა, რომ ამ ამბავში სრულიად უდანაშაულო ვიყავი, მაგრამ, რა თქმა უნდა, არ დამიჯერა.

უგუნებოდ ვიყავი, შინ ყოფნა მიმძიმდა და სახეტიალოდ გავედი. ის-იყო გავცდი მოედანს, როდესაც ირაკლის და სიმონიკას თვალი მოვკარი. არ მინდოდა მათთან შეხვედრა და შევტრიალდი. უეცრად სიმონიკას ხმა მომესმა:

— ამას ვის ვხედავ! დაბრუნებულა ჩვენი განდეგილი!

მაშინვე შემოვბრუნდი. სიმონიკა და ირაკლი დამცინავი ღიმილით შემომცქეროდნენ. ეს შეურაცხმყოფელი, აბუჩად ამგდები ღიმილი კიდევ ჰქონდა სიმონიკას სახეზე, როდესაც მივიჭერ მასთან და ლონიერი დარტყმით მიწაზე დავანარცხე. სიმონიკა ჩემზე უფრო ჩასკვნილი და, ალ-

ბათ, ლონიერიც იყო, მაგრამ ბრაზმა იმ-დენი ძალა შემმატა, რომ გამკლავება გაუჭირდა. ბოლოს მან ქვევიდან დამი-თრია, ორივენი ვგორაობდით მიწაზე და დაუნდობელი მჯიღით ვუმასპინძლ-დებოდით ერთმანეთს. ჩვენს გარშემო შეგროვილიყვნენ. გვაზავებდნენ, მაგ-რამ ერთხანს ვერ იქნა და ვერ დაგვა-ცილეს. დასვრილი, ხალათშემოგლეჯი-ლი და სახედაკაწრული დავბრუნდი შინ. ტანში ტკივილს ვგრძნობდი, მაგ-რამ გული სიხარულით მიცემდა. იმ ქარაოცმა იგემა განდეგილის მუჯლუ-გუნები, რაც დიდი ხნით გადაავიწყებს ყოყლოჩინობას. ის აქამდე ცხვირაწე-ვით მიყურებდა არა მარტო მე, სალო-მესაც კი. დარწმუნებული ვარ, კიდე-ვაც სიამოვნებდა, რომ სალაპარაკოდ გახდა სალომესთან დამოკიდებულების ამბავი. იქნებ იმ ვაჟბატონს თავისი თა-ვი გულისა და თვალის წარმტაცველ დონ-ჟუანადაც მიაჩნდა. ვნახოთ ამიე-რიდან როგორი თავმომწონებით და ცხვირაწევით გაივლის დაბაში, სადაც დღესვე ყველას გაგებული ექნება მისი წახდენის ამბავი!

მეორე დღეს ოთახში წიგნს ვკითხუ-ლობდი, როცა კარი გაიღო და სალომე შემოვიდა. მისი დანახვა ისე მოულოდ-ნელი იყო, რომ ერთხანს გაოცებული შევყურებდი.

ჩუმად ჩამოჯდა ჩემს გვერდით. აღელვებული იყო და ხმის ამოღება უჭირდა.

— მხოლოდ თქვენთან მოსვლა შე-მეძლო. გამიწიეთ მეგობრობა... — ხმა უთრთოდა და ცრემლნარევი ჰქონდა.— ვიცი, უარს არ მეტყვით... თქვენ არა-ფერზე არ მეტყვით უარს... ხომ მართა-ლია?

მდუმარე ვუსმენდი.

— გუშინ თქვენ გიჩხუბიათ, — ახლა უკვე დამშვიდებულად თქვა და ღიმი-ლით შემომხედა. — მიზეზი მე ვარ, არა? თქვენ მართლაც ცოტა ავი ყო-ფილხართ, მაგრამ...

ავენთე და წამოვიჭერი:

— თქვენ გეწყინათ, რომ საკადრისი მიიღო? შეიცოდეთ, არა? ვიცი, თქვენ გიყვართ ის ვაჟბატონი და ამიტომ ახ-ლა გინდათ ნამუსი მოუწმინდოთ, არა?

ხელი მომკიდა და დამსვა. ბავშვი-ვით დავემორჩილე.

— არა, მაგიტომ არა... იქნებ ის მე-ტის ღირსი იყოს, მაგრამ რატომ იმაზე არ იფიქრეთ, რომ ეს შემთხვევა სალა-ყბო მასალას მისცემდა ხალხს?

— ამაზე მართლაც არ მიფიქრია. თუ აგრეა, ძალიან სამწუხაროა.

— ეს შემთხვევაც ხელზე დაიხვია ჩემმა ბიძამ და, რომ იცოდეთ, რა სიმ-წარე მაგემა... მაგრამ ახლა ამას თავი დავანებოთ. მე საშუალება არა მაქვს დიდხნს დავრჩე თქვენთან. ვიხელთე დრო, როცა მოსამართლე სამსახურში მეგულება... რომ არ მენახეთ, არ შე-მეძლო...

სალომეს ისევ მღელვარება დაეტყო.

— მე უბედური ვარ. თქვენ ეს იცით. მე მინდა წავიდე აქედან... თუნდაც ამ წუთში. მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ დამეხმაროთ ამაში. არ ვიცი, სად, ოღონდ კი მოვშორდე აქაურობას... მე ველარ დავბრუნდები სასწავლებელში, მოსამართლის ნაწყალობები მე არაფე-რი არ მინდა. ისიც მემუქრება, რომ პანსიონის ფულს აღარ გადაიხდის და შინ ჩამკეტავს. მე კი სხვა არავინ მყავს, რომ თავი შევაფარო. გარეთ დარჩე-ნილმა კი რა გავაკეთო. ყველა გზა შეკ-რული მაქვს, მაგრამ ამ სახლიდან მაინც უნდა გავიქცე. არ მინდა უსულო ტიკი-ნად ვიქცე იმ საძაგელი კაცის ხელში.

გაჩუმდა. დიდხანს თავდახრილი იჯდა.

— თავის მოკვლა ძნელია, არა? — მკითხა უეცრად. — ეგ ერთადერთი გა-მოსავალი იქნებოდა ჩემთვის, მაგრამ ამას გაბედვა უნდა... არა, მე ამის ძალა არა მაქვს.

ჩვეულებრივ სანტიმენტალობად მეჩ-

ვენა ეს სიტყვები და ჭკუის დარიგებით ვუთხარი:

— რა დროს სიკვდილზე ფიქრია, თქვენი ცხოვრება ახლა იწყება!

— არა, — ხელი ჩააქნია სალომემ,— მომავალში ალარაფერს არ ველი. ჩემთვის ყოველივე გათავებულია. ისეთები, როგორც მე ვარ, საჭირო არ არიან... ან თავი უნდა მოისპონ, ან ისე დაიკარგონ, რომ მათი კვალიც ალარ მოიძებნოს. — ხელი ჩამკიდა და ათრთოლებულმა ძლივს თქვა: — ეგ მხოლოდ ჩემმა დედამ გაბედა.

ველარ დაამთავრა.

— თქვენმა დედამ? — უნებურად ვკითხე გაოცებულმა.

— მე ის არ მახსოვს... პატარა ვიყავი, როცა მან საკუთარი ოჯახი დასტოვა... — ისევ შეჩერდა და მერე თითქმის მუდარით განაგრძო: — ამას მხოლოდ თქვენ გეუბნებით... ნურავის ეტყვით... არ მინდა ჩრდილი მივაყენო მის სახელს... ის თურმე გამრჯელი, ხალისიანი, სიცოცხლეზე დაწაფებული ქალი ყოფილა, მაგრამ ოჯახის მკაცრი პირობებისათვის ველარ გაეძლო და იძულებული გამხდარა დაეტოვებია, გასცლოდა იქაურობას... ეგონა, რომ თავისიანები ხელს გაუწვდიდნენ, მაგრამ მათ ზურგი შეაქციეს, ბედის წინაშე მორჩილება მოთხოვეს და, როცა ყველა იმედი დაჰკარგა, ისე წავიდა სადღაც, რომ დღემდე არავინ იცის სად არის და როგორ არის... მე მხოლოდ ამას წინათ შემთხვევით სხვისგან გავიგე ეს ამბავი. იქნებ უკეთესი იყო, არაფერი გამეგო.

დიდხანს მდუმარედ იყო.

— მე მარტო ვარ, სულ მარტო. მხოლოდ თქვენ მეგულებით საიმედო მეგობრად. ხომ დამეხმარებით, რომ თავს ვუშველო? ჰო, ვიცი, დამეხმარებით. იმიტომ მოვედი და გეუბნებით ასე თამამად. მე დავიღუპები, თუ თქვენც ხელი მკარით.

— ჰო მაგრამ, სად უნდა წახვიდეთ?

— არ ვიცი, ოღონდ შორს აქედან. თქვენ უნდა მირჩიოთ, სად წავიდე...

ვერა, ვერაფერი ვერ მოვიფიქრეფუჭ ოცნებად მიმაჩნდა ყოველივე.

— სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამისათვის ბევრი ფულია საჭირო. თქვენ ის არ გაქვთ, სამწუხაროდ, არც მე, თორემ...

— მაშ შეუძლებელია? ქვეყანა ასე დიდია და ჩემთვის ერთი პატარა ადგილი არ მოიძებნება?

— აბა სად, თვითონ მითხარით! სადმე ტყეში? ორ-სამ დღეს გასძლებთ იქ. მაგრამ შემდეგ?

მინდოდა რაიმე ნუგეშის მიცემა, მაგრამ ვერაფერი მოვიფიქრე.

— რა იქნება, რომ,—სალომემ თვალები მომაშტერა, ერთხანს მერყეობდა, თქმა უჭირდა და ბოლოს გაუბედავად: — აი ვთქვათ... აი, მაგალითად, მონასტერში...

უნებურად გამეღიმა.

— ჰო, მორჩილად მონასტერში... — ახლა უფრო თამამად ალაპარაკდა. ჩანდა, რომ ეს აზრი ახლახან დაებადა და რომ მან კიდევაც გაამხნევა. — მე სხვა გზა არა მაქვს... გესმით? მე სხვა გზა მაინც არა მაქვს და თქვენ დამეხმარებით ამაში.

ვიცოდი სალომეს ჯიუტი ხასიათის ამბავი, ვხედავდი, როგორ ჩასჭიდებოდა ამ აზრს და ვშიშობდი, რომ ალარ გადათქვამდა.

— გაგიჟებულხართ, მონასტერი რა თქვენი საქმეა! — წყრომით შევძახე. — არც მიგიღებენ!

გამოცოცხლდა, ხალისი დაეტყო, ოთახში გაიარა და მერე ისევ ჩემს გვერდით დაჯდა.

— ვერა, უარს ვერ მეტყვიან. იძულებული იქნებიან, მიმიღონ... თქვენ მიმაცილებთ მონასტრამდე და ჩამაბარებთ. ჩვენ ვიტყვით, რომ და-ძმა ვართ. ხომ მოხვალთ ხოლმე ჩემს სანახავად? მხოლოდ თქვენ, სხვა არავინ... აი, რო-

ცა შემდეგ მნახავთ, იგრძობთ, რომ ბედნიერი გავხდი. განა თქვენ უარს მეტყვით, რომ ერთხელ მაინც გამოვცადო, რა არის ბედნიერება?.

სალომეს გადაწყვეტილება მტკიცე იყო და ახლა ჩვენ უკვე იმაზე ვსაუბრობდით, თუ როგორ გვემოქმედა. უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო ისე გამგზავრება, რომ არავის გაეგო. ჩვენ წავალთ ხვალ, კვირა დილით, სალომე არაფერს არ წამოიღებს თავისი ბარგიდან, რომ ჩემოდნით ხელში არავინ დაინახოს. მე დღესვე დავიქირავებ ცალკე ეტლს. საამისო ფული ერთმანეთის დახმარებით შეგვიგროვდება. ეტლი მთავარი ქუჩის ბოლოში დაგვიცდის. ჩვენ გამოვალთ სახლიდან იმის შემდეგ, როცა მოსამართლე და მისი მეუღლე წირვაზე წავლენ. სალომე აივანზე გამოვა და გაშლილ ცხვირსახოცს ხელში დაიჭერს. ეს ნიშანი იქნება, რომ მზად არის.

— ჰო, აგრე, აგრე! — აღტაცებულია სალომე.

ახლა დასაზუსტებელი დაგვრჩა რამდენიმე წვრილმანი, მაგალითად, მონასტრის საკითხი. სად, რომელში? ქალთა მონასტერი არის მცხეთაში... მცხეთაში... მაგრამ ეს რთული ამბავია. საჭიროა მატარებლით გამგზავრება. მერე კიდევ ხომ შეიძლება ისე მოხდეს, რომ იქ არ მიიღონ და უკან წამოსვლა დაგვჭირდეს? ამდენი ფული კი ჩვენ არ გვექნება... ჰო, მართლა, რაღა ისე შორს წავიდეთ, როცა ბევრად უფრო ახლოა სხვა მონასტერი? აგერ, ჭიათურის მახლობლად, მღვიმევის დედათა მონასტერი. როგორ მოხდა, რომ აქამდე არ გაგვახსენდა! ულამაზეს ადგილზეა, მთებში, განმარტოებით, ქვეყნიერებას მოწყვეტილი პატარა მშვიდი კუთხე. ამაზე უკეთეს ადგილს ვერსად მოვნახავთ. აქედანაც ახლოა, ერთ დღე-ღამეში იქ ვიქნებით. ჩვენ ეტლით მივალთ ჭრებალომდე, იქიდან ფეხით აღმართს გავუყვებით, ღამეს რომელიმე სოფელში გავითევთ და მეორე დღეს მივალთ მღვიმევში. მაშ მე ახლავე წავალ და მეეტლეს გავურიგდები. მეეტლესთან რომ შევთანხმდი, ამას იმით ვანიშნებ, რომ ჩემი ოთახის ფანჯარაზე პატარა რტოს ჩამოვკიდებ... სალომე სიხარულმა აიტაცა და მეხვევა. მაგრამ რატომ არის, რომ ასე შორეული არასოდეს არ ყოფილა ჩემთვის, როგორც ახლა?

ის იმედით სავსე წავიდა ჩემგან. მე გულშეკრული დავრჩი ოთახში.

ერთ საათს არ გაევლო და ჩემი ოთახის ფანჯარაზე ფოთლებიანი რტო ჩამოვკიდე.

VIII

მოულოდნელი დაბრკოლება

ღამით ცა ამღვრეული იყო. ელავდა. სადღაც შორს ყრუდ დაგრუხუნა. დილით ისევ გადაიწმინდა და მზემ დააცხუნა.

ადრიანად ავდექი. მოლოდინში დრო ნელა გადიოდა. მოსამართლის აივანზე არავინ ჩანდა. როგორც თითქმის ყოველთვის, ახლაც ცარიელი იყო. მთელი სახლი ცარიელს და მიტოვებულს ჰგავდა. კვირა დილა იყო და მოედანზე ჩვეულებრივზე ცოტა ხალხი ჩანდა. მოედნის სამხრეთით სადღაც მოსახვევში სახლების ზემოთ ეკლესიის გუმბათი ამართულიყო. დროდადრო იქიდან მტრედები აფრინდებოდნენ და წრეს ავლებდნენ.

მოედანზე ეტლმა ჩაიარა ჭრახრახით და ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. რამდენიმე კაცმა ხმამაღალი ლაპარაკით გაიარა ჩემი სახლის წინ. ისევ სიჩუმე. რა საოცრად ნელა მიზოზინობდა დრო... მაგრამ, აი, ეკლესიის ზარი მოისმა. გაბზარული ზარი ცივი ხმით რეკავდა.

ივანზე თეთრი მოსამართლე და მისი მეუღლე გამოვიდნენ და ნელი ნაბიჯით ეკლესიისკენ გაემართნენ. სალომე არ გამოჩენილა. მასზე გამწყრალნი იყვნენ და შინ დასტოვეს. მოსამართლეს არ სურდა მასთან ერთად ხალხში გამოჩენა. არ სურდა კი არა, სამარცხვინოდაც მიაჩნდა.

დადარაჯებული ვიდექი ფანჯარასთან. თეთრი მოსამართლე მოსახვევში მიიმალა და მაშინვე სალომეც გამოჩნდა. გაშლილი ცხვრისახოცით ხელში ივანზე გაიარა და მერე ისევ ოთახში შევიდა. იმავე წუთში გავსწიე იქით, სადაც მეეტლე გველოდებოდა.

— სად ხარ, ყმაწვილო? მივდივართ თუ არა? — საყვედურით შემხვდა მეეტლე. — აგერაც შუადღე წამოვიდა. დავხოცო პირუტყვი სიცხეში?

პატარა ცხენებს ჩიჩვირი ჩამოუშვიათ და თვლემენ.

თვალს ვარიდებ ქუჩაში მიმავალთ, თითქოს ამით თავს ვიფარავდე ნაცნობებისგან. მეეტლე ნახევრად წამოწოლილა კოფოზე და უკმაყოფილოდ გადმომცქერის. აღარაფერს ამბობს, მაგრამ ეს უსიტყვო უკმაყოფილება კიდევ უფრო ძლიერად მოქმედებს ჩემზე და მანერვიულებს. ათამდე დავითვლი, და თუ მანამდე არ მოვიდა სალომე, წავალ მისი ამბავის გასაგებად. ერთი, ორი, სამი... ცხრა უკვე დავითვალე... ათის თქმას ისე ვაგვიანებ, რომ ამ ხნის განმავლობაში ერთი იმდენის დათვლა შეიძლება. არა, იქ რაღაც ცუდი ამბავია, თორემ შეუძლებელია ასე დაგვიანებოდა.

უეცრად სალომე გამოჩნდა იმ მხრიდან, საიდანაც სულ არ ველოდებოდი.

— აბა, მივდივართ! — მივაძახე მეეტლეს.

მეეტლე ზანტად შესწორდა კოფოზე და აღვირებს სწვდა.

— დავაგვიანე? — მღელვარება ემჩნევა სალომეს. — ხომ მივდივართ?

— შედით ეტლში! — ვაჩქარებ.

ის იყო დავიძარით, როცა ეტლთან ატუა მოვარდა.

— აბა, საჩქაროდ ექიმთან! — უბრძანა მეეტლეს და შემდეგ ვიღაცას უკან მდგომს გადასძახა: — მოიყვანეთ!

რამდენიმე ნაბიჯის დაშორებით ფარდულის ჩრდილში პოტეს და უცნობ მამაკაცს ხელებზე მისვენებული ეჭირათ სისო. ის ფერმიხდილი ჩანდა და ოხრავდა.

— ოხ, თქვენ ხართ? — მოგვესალმა ატუა. — იმედი მაქვს, ახალგაზრდებო, რამდენიმე წუთით ეტლს დამითმობთ. აგერ ჩვენმა პატივცემულმა სისომ ფეხი იღრძო და კაცი სიკვდილის პირზეა. თქვენ მოსამართლის დისწული ბრძანდებით, არა? — ხელი ჩამოართვა სალომეს. — დიდი ბოდიში მომიხდია, ქალიშვილო. თქვენი კეთილშობილების ამბავი რომ ვიცი, იმედი მაქვს, მაპატიებთ ამ უზრდელობას... გასაჭირი გვაიძულებს, შეგაწუხოთ. ახლავე უკან გამოვგზავნი მეეტლეს!

ფრთხილად ჩასვეს სისო და წავიდა ეტლი.

ამ უბრალო ამბავმა ისე იმოქმედა ჩემზე, რომ შინ დაბრუნება დავაპირე. სალომეს ვატყობდი, რომ აგერაც ატირდებოდა. გაჩუმებული ვიყავი და მოუსვენრად ვტრიალებდი.

— რა ვქნათ? — ვკითხე ბოლოს, — ვინ იცის, იქნებ მათ სულაც აღარ გაუშვან ეტლი.

— მე ვეღარ დავბრუნდები, — ყრუდ ჩაილაპარაკა სალომემ.

მაშინვე მივიღე გადაწყვეტილება:

— მაშ გამიგონეთ... ამ ადგილას თქვენი გაჩერება არ ივარგებს. მე აქ დავუცდი ეტლს, თქვენ კი ამ გზით პირდაპირ წახვალთ და, საცა იქნება, დაგეწევით. თანახმა ხართ?

მეეტლე ნახევარი საათის შემდეგ დაბრუნდა. მაშინვე დავიძარით და ვთხოვეთ, რაც შეიძლება მალე წასულიყო.

ხიდის ახლო სალომესაც წამოვეწიეთ.

— ყველაფერი რიგზეა! — ხალისიანად გადავძახე, შევსვი ეტლში და გავსწიეთ.

უკან ჩამოვიტოვეთ ხიდი რიონზე, აღმართიდან უკანასკნელად გადავხედეთ დაბლა ვაკეზე დაბუდებულ დაბას და მთებში გაჭრილ გზას დავადექით.

სალომემ მადლობით მომაპყრო თვალი.

— რომ იცოდეთ, რა კარგად ვგრძნობ თავს, — შვებით ამოისუნთქა. — მე ხომ ვიცოდი, რომ თქვენ ყველაფერს გააკეთებდით ჩემთვის.

ჩუმად ვლაპარაკობდით, რომ მეეტლეს არ გაეგონა.

— ხვალიდან ჩემთვის სულ სხვა ცხოვრება დაიწყება, — ოცნებობს სალომე. — მე აღარაფერი არ დამაკავშირებს იმ ქვეყანასთან, სადაც ამდენი ბოროტი ადამიანი ცხოვრობს. — წუთით მდუმარედ არის და მერე განაგრძობს კიდევ უფრო ხმადაბლა. — მხოლოდ თქვენ მომაგონდებით. მე ხშირად ვიფიქრებ თქვენზე...

ხელები მკლავში ჩამჭიდა და მხარით მომეკრა.

— ეგ ვერავითარი ნუგეშია ჩემთვის, — ვამბობ ისე, რომ არც მინდა გაიგონოს.

სალომეს, რა თქმა უნდა, ისმის ჩემი სიტყვები, მაგრამ არაფერს მეუბნება.

მეეტლე შოლტავს ცხენებს, მაგრამ ამით არაფერი არ იცვლება. ისევ ისე მიჩაკუნობენ. მეეტლემაც კარგად იცის, რომ ამით არაფერი შეიცვლება, მაგრამ შოლტავს იმიტომ, რომ მიჩვეულია.

— ალბათ ახლა მეძებენ მე, — ამბობს სალომე. — წარმოდგენილი მაქვს, რა აურზაური ატეხა ჩემმა ბიძამ, როცა ველარსად მიაგნო ჩემს კვალს!

ვგრძნობ, რომ შიში კიდევ ჩარჩა გულში და ვერ განთავისუფლებულა მისგან.

— ეგ არც ასე ჩქარა მოხდება, — იმედს ვაძლევ. — ისე უცბად რას იფიქრებს, რომ მიატოვეთ იქაურობა.

— ამის გაგება მისთვის ძნელი არ იქნება, — თავს აქნევს სალომე. — ბარათიც დავუტოვე.

— რა ბარათი?

შემატყო, რომ შევკრთი და მამშვიდებს:

— არა ისეთი არაფერია... „მშვიდობით, ბოროტო ადამიანო. თქვენ გამხადეთ იძულებული, გავქცეოდი ცხოვრებას. ჩემი და ჩემი დედის მოუსვენარი აჩრდილი მუდამ და ყველგან თქვენი მდევარი იქნება“... აი ეს დავწერე, მეტი არაფერი. მინდოდა ეგრძნო მთელი ჩემი სიძულვილი მისადამი.

— აბა ეგ როგორ ჰქენით! — აღშფოთებული ვარ მე. — ამის შემდეგ ის ხომ უმალვე თქვენს ძებნას შეუდგება. ის მთელ ქალაქს ფეხზე დააყენებს!

ამის გაგონება სალომეს ამხიარულებს კიდევაც.

— ბარათიც რომ არ დამეტოვებინა, ამით არაფერი შეიცვლებოდა. წირვიდან დაბრუნდებოდა თუ არა, ხომ დაინახავდა, რომ შინ არ ვიყავი... მე კი მკაცრად მქონდა ნაბრძანები, გარეთ ცხვირიც არ გამომეყო. სულ ერთია, მაშინვე შეუდგებოდა ჩემს ძებნას... ვინ იცის, იქნებ ჰგონია, რომ მდინარეში გადავვარდი და ახლა დამღრჩვალს მეძებენ... ალბათ ბიძაჩემს აკაპიწებული აქვს თავისი თეთრი შალვარი და ნაპირს არც ეკარება, რომ შხეფი არ მოხვდეს.

გულუბრყვილოდ იცინის ამის წარმოდგენაზე.

— არა, ეგ მაინც ზედმეტი იყო, — ვეუბნები საყვედურს. — ეგ სრულიად არ იყო საჭირო.

ერთხანს გაჩუმებული ვართ. სალომე ისევ მხარზე მეკვრის. ამით ის თითქოს ბოდიშს იხდის ჩემს წინაშე და ინანიებს თავის მოუფიქრებელ საქციელს. მაგრამ მეც მალე ვმშვიდდები. რა თქმა უნდა, ჩვენ ამით არაფერი გვევნება, ჩვენს კვალს ვერც ისე ადვილად დაადგებიან.

— სად მიხვალთ, ბავშვებო? ვისთან

მიხვალთ სტუმრად? — ისმის კოფოდან მეეტლეს ხმა. ის მოწყენილია და ხმის გამცემი ენატრება.

— მონასტერში! — ხმამაღლა ვაძლევ პასუხს.

სალომე გაკვირვებით შემომცქერის.

— მონასტერში? ხი, ხი!—არ სჯერა, რა თქმა უნდა, მეეტლეს. — ხუმარა ყმაწვილი ხარ, გეტყობა. ჭრებალოში მონასტერი არ არის და კიდევაც რომ იყოს, შენ ვინ მიგიღებს. რა დროს შენი მონასტერია, დედის რძე არ შეგშრობია ტუჩზე!

ხუმარა მოსაუბრედ მიმიჩნია, კმაყოფილია ამით და უფრო მეთამამება:

— მერე რომელი აპირებთ მონასტერში შესვლას? შენ თუ ეგ გოგონა? შენი და არის? უცბადვე შევატყვე. ჰგავხართ ერთმანეთს... შენ კი დამიბერდი ეგრე მხიარულად.. მაშ მონასტერში? ხი-ხი! თუ აგრე გემეტება შენი და. ბარემ მე მომეცი. ჩემს ვაჟს მივათხოვებ. ისეთი ბიჭია, მოგეწონება. ზეინკლის ხელობა ისწავლა, ოქრო ხელი აქვს... ოჯახის მოყვარულია. შინ შემომტანი იქნება... აი დაგლუპავს ღმერთი და გამჩენი! — ბოლო სიტყვებს უკვე გულმოსულად ამბობს, აჩერებს ცხენებს და კოფოდან ჩამოდის.

ჯუჯა ტანის კაცია და მარცხენა ფეხზე ძალზე კოჭლობს. მე და სალომე ეტლიდან ჩამოვდივართ. ვარჩიეთ ფეხით გაგვევლო სანამ მეეტლე გაწყვეტილ მოსართავს მახათით გადაკერავდა, ისევ შეაბამდა აშვებულ ცხენებს და ეტლს გამართავდა.

შევჩერდით ჩრდილში, სადაც კლდიდან პატარა ნაკადული მოწანწკარებდა. ამ ადგილმა როგორღაც მომაგონა ჩვენი მგზავრობის პირველ დღე.

— გახსოვთ, ალპანაში როგორ ვისხედით ნაპრალთან? მაშინ თქვენ მეუბნებოდით, რომ გინდათ წაიკითხოთ რას ვბეჭდავდი... ბოლოს ის მითხარით, რომ მოგწყინდათ ჩემთან, თუმცა ჩვენ მხოლოდ რამდენიმე წუთის წინ გავიცანით ერთმანეთი.

— არ მახსოვს, — თქვა სალომემ. ამისმა გაგონებამ გული მატკინა.

— ჩემთვის კი ის წუთები დაუივიწყარია. იმ დღიდან მე მხოლოდ თქვენზე ფიქრი და ოცნება შემეძლო.

— მე ეგ ვიცი. ყოველთვის ვგრძნობდი... — ჩუმად მითხრა და გულგრილად დაუმატა: — მაგრამ რა მექნა, არ შემეძლო მეპასუხა... იმიტომ, რომ ჩემს თავს აღარ ვეკუთვნოდი.

— ჰო, თქვენ ხომ სხვა გიყვარდათ.

ვამჩნევ, რომ ამის გაგონება არ სიამოვნებს. სახეს მარიდებს და თითქმის საყვედურით, რომ მოვაგონე:

— რაც იყო იყო... რა საჭიროა ამის გახსენება!

ეტლი დაიძრა და ჩვენსკენ წამოვიდა.

დღეს ერთად ვართ უკანასკნელად და ამაზე ფიქრი მათამამებს, ვუთხრა ზოგი რამ მაინც, რაც გულში დაგროვილიყო.

— თქვენ ბევრჯერ ნამდვილი ტანჯვა განმაცდევინეთ, — ვჩქარობ, მოვასწრო თქმა, სანამ ეტლი მოვიდოდეს. — უხეშადაც მექცეოდით. არა, არ იფიქროთ, რაიმეს გისაყვედურებდეთ... ოღონდ...

მდუმარედ მისმენდა.

— სალომე, — მოკრძალებულად დავიჭირე მისი პატარა ხელი, — განა შეუძლებელია, რომ...

ხელი გაითავისუფლა და თითქმის გულგრილად შემაწყვეტინა:

— ვიცი, რისი თქმა გინდათ... არ ღირს. ნუ ვილაპარაკებთ იმაზე, რაც შეუძლებელია. თქვენ ახალგაზრდა ხართ, თქვენში იმდენი ძალაა, რომ... მე კი, ასე მგონია, საოცრად მოხუცი ვარ. სადღაც, ოდესღაც უკან დარჩა მთელი ჩემი ახალგაზრდობა. წინ მხოლოდ სიბნელე, საოცარი სიბნელე...

— სანტიმენტალობაა, სხვა არაფერი! — ჩავაქნიე ხელი.

ეტლი მოვიდა, ჩავსხედით და გზა განვაგრძეთ. სალომე ეტლის კუთხეში მიიკუნჭჩა და გაინაბა.

შორიდან მომეჩვენა ოთხით მიმავალი

ცხენების თქარუნი. ორი მხედარი დავინახე. წამოგვეწივნენ, გადმოგვხედეს, გახურებულ ბედაურებს ნაბიჯი შეანელებინებს და მეეტლეს გადასძახეს, გაჩერებულიყო.

— საიდან მოგყავს? — მკვახედ ჰკითხა მეეტლეს ერთმა, რომელიც პოლიციის ფორმაში იყო. — ვინ არიან?

ჩამოხტა ცხენიდან და ეტლის საფეხურთან დადგა.

— შენი გვარი? — მკითხა და უცბადვე სალომეზე გადაიტანა თვალი: — მოსამართლის დისწული შენა ხარ?

სალომე შიშით შეჰყურებდა.

— გამოაბრუნე ეტლი! — წყრომით შესძახა მეეტლეს! — რაო? შენთან სალაპარაკოდ არ მცალია მე! მალე!

მეეტლემ სიტყვის შებრუნება ველარ გაბედა, შემოატრიალა ცხენები და უკან წავიდა. მხედრები გვერდით გამოგვყვნენ.

— დავიღუპეთ, — ათრთოლებული ხმით წაილუღლუღა სალომემ. — ის მეორე კაცი საასამართლოს დარაჯია.

— შიში ნუ გაქვთ, იქნებ სჯობდეს, რომ ასე მოხდა, — ვცდილობდი მის დამშვიდებას.

მეეტლე დაუზოგავად შოლტავდა თავის ჯაგლაგებს. ერთხანს ცხენებზე აცხრომდა თავის ბრაზს, დაოცებული ოჯერა, ბუზღუნს მოჰყვა:

— აი ასეა ყოველთვის... ღმერთმა დასწყევლოს ჩვენი ხელობა... შენ პატიოსნად გინდა ლუკმაპურის ფული იშოვო, გამოტყვრება ვიღაც და დავიდარაბაში გაგხვევს... მე რა შუაში ვარ, ჩემი რა ბრალია? შესახედავად პატიოსან ოჯახის შვილს ჰგავს, გამირიგდა, ბე მომცა და მეც ჩემი ვალდებულება შევასრულე... მე რა ვიცი მაგათ გულში რა უდევთ და რა დანაშაული აქვთ? რომ ვკითხე, მონასტერში მივდივართო. მასხარად ამიგდო, არა? ჭრებალოდან აქეთობას მუშტარიც მეყოლებოდა. კვირა დღეს იშვიათია მუშტარი არ იყოს. ახლა კი რა ვქნა მე? გამიცდეს ეს დღე? ვინ ამინაზღაურებს? მაშ ასე ტყუილ-უბრალოდ დავზარალდე? აჩუ, შე სამგლე, — დასცხო შოლტი ცხენებს. — თქვენ მაინც ნულარ მხეთქავთ გულზე!

ბაკუნით გადაიარეს ცხენებმა ხიდი და მალე დაბის ქუჩებში არიხინდა ჩვენი ეტლი.

სალომე ტიროდა.

IX

დასასრული

ეტლი მოედანზე შეჩერდა მოსამართლის სახლის წინ. აქ დავშორდი სალომეს. თავდახრილი, მძიმედ ავიდა ის კიბეზე.

მოსამართლე და მისი მეუღლე აივანზე დახვდნენ.

— ქუჩის გომბიო! — მიაყვირა მოსამართლემ.

სალომემ თამამად გადადგა მისკენ ნაბიჯი. ხელები მუშტებად ჰქონდა შეკრული და ისე იდგა, თითქოს მზად იყო სცემოდა.

— ამ როსკიპმა თავი მომჭრა ქვეყანაში! — განაგრძობდა ყვირილს მოსამართლე. — როგორ ბედავ და ასე ურცხვად შემომყურებ!

უეცრად სწვდა და სახეში სილა გაუწნა.

სალომემ სახე ხელებით დაიფარა და ქვითინით ოთახში შევარდა. აღელვებულმა მოსამართლემ გაიარ-გამოიარა აივანზე და, როცა შენიშნა, რომ მოედანზე სეირის მაყურებელნი იდგნენ და მისკენ იყურებოდნენ, საჩქაროდ გაშორდა იქაურობას. ერთხანს ოთახში სიჩუმე იყო, მაგრამ შემდეგ ისევ გაისმა მოსამართლის ხმა. ვერ დამშვიდებულიყო და ყვიროდა რაღაცას.

შინ გულმოსული შემხვდნენ.

— ჩემი დის პატივისცემა იყო, თორემ აქამდისაც უნდა გამესტუმრებინე აქედან, — მითხრა დეიდა მანანამ. — ამიტომ კი არ მიგიღე, რომ ჩემი ოჯახი შეგერცხვინა და პატივსაცემი ადამიანი ჩვენი მომდურავი გაგეხადა.

ბიძამ არც კი შემომხედა.

— ხვალვე გაგზავნე უკან, — ბრძანების კილოთი თქვა. გაშლილი გაზეთი ეჭირა ხელში, ჩასჩერებოდა და თვალები ისე ნერვიულად გაურბოდა სვეტიდან სვეტზე, რომ ვეჭვობ, რაიმე წაეკითხა.

მოხუცი მღვდელი, რომელიც იქვე ოჯდა შუშაბანდში, ღვარძლით შემავლებდა ხოლმე თვალს. იქნებ მან სულაც არაფერი იცოდა, მაგრამ მას ხომ საერთოდ არ სიამოვნებდა ჩემი დანახვა.

გავშორდი მათ და ჩემს ოთახში შევედი. საწოლზე გავიშოტე. უემურ სიზმარს ჰგავდა ყველაფერი. ჭრებალოსკენ მიმავალი გზა, ატუა, მეეტლეს ბუზღუნი, მოსამართლის ყვირილი, სალომეს ქვითინი, ყველაფერი თავში ირეოდა.

როგორც მოსალოდნელი იყო, და როგორც შემდეგ დადასტურდა, დილით სამ მუშკეტერთან შეხვედრამ დააჩქარა იმ ამბის გაგება, რომ მე და სალომე ეტლით გავემგზავრეთ. კიდევ ერთი საათი რომ დაგვცლოდა, ჭრებალოში ვერ გვიპოვიდნენ და შემდეგ სულ დაჰკარგავდნენ ჩვენს კვალს. ატუას და პოტეს შინ წაეყვანა სისო და, როცა მისგან ბრუნდებოდნენ, ქუჩაში შეხვედროდათ ეკლესიიდან ნაწირვებს მომავალი მოსამართლე. თავაზიანი მისალმების შემდეგ სრულიად გულუბრყვილოდ და უფრო იმ ანგარიშით, რომ სასიამოვნო რაიმე ეთქვა, ატუას შეეკითხა სალომე და ეამბო, თუ რა პატივი სცა ახლახან და როგორ დაუთმო ეტლი სისოს წასაყვანად. მოსამართლეს გაჰკვირვებოდა ამის გაგონება და დაწვრილებით გამოეკითხა, თუ სად ნახა სალომე, ვინ იყო მასთან, და რა მიმართულებით აპირებდნენ წასვლას.

ატუასთან ლაპარაკის შემდეგ მოსამართლემ თავის სახლს მიაშურა. შინ მისვლამდე კიდევ არ იყო საკმაოდ დარწმუნებული, რომ სალომე სადმე წასვლას გაბედავდა, მას ხომ აივანზე გამოსვლაც აკრძალული ჰქონდა. აღელვებულმა დაიარა ყველა ოთახი და ეძახდა სალომეს. არა, არსად არ ჩანდა. უეცრად თვალი მოჰკრა მაგიდაზე დადებულ რაღაც ბარათს და, როცა წაიკითხა, მხოლოდ მაშინ დაიჯერა, რომ ატუას მართალი ეთქვა და სალომე გაქცეულიყო. გაქცევა ერთი იყო, მაგრამ ბარათის კილო! ეს საზიზღარი გომბიო იმდენსაც ბედავს, რომ ბოროტ ადამიანს უწოდებს და მკვდარი დედის აჩრდილით ემუქრება!

თავგზააბნეულმა ჯერ ცოლი გაგზავნა ჩემს დეიდასთან გასაგებად, თუ როდის წავედი სახლიდან და ხომ არ მითქვამს, საით მივემგზავრებოდი. შემდეგ მივიდა იმ ადგილას, სადაც ეტლი გველოდებოდა, ფარდულში მოვაჭრისაგან გაიგო მეეტლეს ვინაობა, მოძებნა მისი სახლიც და იქ მეეტლეს ცოლისაგან გაიგო, რომ ქმარს ჭრებალოსკენ უნდა წაეყვანა მგზავრები. დედაკაცს ისიც კი ეთქვა, რომ წინა დღით გავურიგდი და ხე მივეცი. დაუზუსტა თუ არა მიმართულება, მაშინვე მიიჭრა პოლიციაში, განაცხადა, რომ მოტყუებით წაიყვანეს დისწული და მოითხოვა, დაუყოვნებლივ გაეგზავნათ მდევარი ჩვენს დასაჭერად. იმ აურზაურის გამო, რომელიც მოსამართლემ ასტეხა, დაბაში სულ მალე ბევრმა გაიგო, რაც მომხდარიყო. უცნაურ ამბავს ერთმანეთს უზიარებდნენ, მერე სადღაც პატარა ჭორი დაემატა, ჭორი კი ახალ ჭორს ბადებდა, ჭორმა ჭორი გაზარდა და ბოლოს ის ხმაც დაირხა, რომ მოსამართლის განაჩენით უკმაყოფილო პირებმა შური იძიეს და გაიტაცეს ქალიშვილი და რომ გამტაცებლებმა სროლა აუტეხეს დადევნებულთ და რამდენიმე კაცი მოკლეს...

სამ მუშკეტერს რომ იმ დილით იქ არ

გაევლოთ, ჩვენი ეტლი რომ თუნდაც წუთით ადრე დაძრულიყო, ანდა ეკლესიიდან მომავალ მოსამართლეს ატუა არ შეხვედროდა, ახლა ჭიათურისკენ მთებით მიმავალ გზაზე ვიქნებოდით, მეორე დღეს კი მღვიმევის მონასტრის კარები გაიღებოდა ჩვენს წინაშე და სამუდამოდ სამშვიდობო ადგილზე დავტოვებდი სალომეს. ჯიუტობად კი არა, სამართლიან სურვილად მიმაჩნდა ახლა, რომ სალომეს ამ გარემოდან გაქცევა უნდოდა. ის მართალი იყო, როცა ბოროტებას ხედავდა თავის გარშემო. რა თქმა უნდა, ის მართალი იყო, როცა არავითარ სიკეთეს არ მოელოდა ცხოვრებისაგან.

— მობრძანდით, ბატონო ილია!—მოესმა უეცრად შუშაბანდიდან.

ვიღაც ამოხაკუნდა კიბეზე.

— დაბრძანდით... აი აგერ...—გარიხინდა სკამი.

ნუთუ მოსამართლე იყო? წამოვვარდი და კარებიდან გავიხედე. ის რბილ სკამზე იჯდა, ცალი ხელი მოაჯირზე ჩამოედო და მეორით ოფლს იწმენდდა მელოტზე. რა უნდოდა, რომ მოვიდა? გაბოროტება არ აჩერებდა შინ და განმარტების მისაღებად მობრძანდა?

რამდენიმე წუთით სიჩუმე ჩამოვარდა.

— თქვენ, რა თქმა უნდა, პატივსაცემი ოჯახის შვილები ბრძანდებით, — ხმა ამოიღო მოსამართლემ, — ამაში მე ეჭვი არ შემაქვს, მაგრამ...

ცხვირსახოცით სახეც მოიწმინდა და გარშემო მყოფთ თვალი შემოავლო

— თქვენი წყალობით, მოწყალეო ხელმწიფენო, მე მთელი დაბის სალაყბო საგნად გავხდი... ჩემი სახელი, რომელსაც აგერ ორმოცდათხუთმეტი წელიწადია უმწიკვლოდ ვატარებდი, ტალახში ამოისვარა.

ძია ლადომ დააპირა, რაღაც ეთქვა ამაზე, მაგრამ მოსამართლემ უმალვე შეაჩერა.

— დიახ, დღეს ტალახში გახლავთ ამოსვრილი... თქვენ კარგად მოგეხსენებათ ჩემი სულგრძელობის ამბავი, მე ადვილად შემიძლია ვაპატიო ვინც არ უნდა იყოს ის, აუგად ჩემი ხსენება ურისხველი და მეტად დამთმობი ადამიანი ვარ. მე ვამაყობდი აქამდე, რომ არავის მთელ დედამიწაზე საბაბი არ ჰქონდა ჩემი ოჯახის პატიოსნებაში რაიმე ეჭვი შეეტანა, მე სამართლიანად ვამაყობდი იმით, რომ ვერავინ დამწამებდა რაიმე უღირს საქციელს. მე ნდობა მქონდა აქ და იქაც, ზევით, როგორც უმწიკვლო ადამიანს, ზნეობისა და უფლებრიობის ფხიზელ დარაჯს. რა მიზეზეს სამაგიერო? რითი გადამიხადეს? ეს ამბავი რომ მხოლოდ დაბაში დარჩებოდეს, ჯანდაბას ყველაფერი, მაგრამ ვინ მომცემს იმის გარანტიას, რომ აქაურობის საზღვარს არ გასცილდება?

ისევ თვალი მიმოავლო ყველას.

— აქამდე მე თამამად შემეძლო დამეტუქსა უცხო ვინმეც მისი უღირსი მოქმედებისათვის. თამამად ვიყავი იმიტომ, რომ ვერავინ მისაყვედურებდა. შენს თვალში დირეს ვერ ამჩნევ. მე ვგრძნობდი, რომ დიახაც მქონდა უფლება, გამესამართლებია ადამიანი, მაგრამ ახლა?

გაშალა ორივე ხელი და ამოიოხრა:

— ამიერიდან სხვა როგორღა უნდა გავასამართლო, როცა ჩემს ოჯახში სჩადიან ბოროტმოქმედებას? ყველაზე გარეწარ და შუბლგარეცხილ მდაბიოს შეუძლია ახლა ჩამაჩუმოს, როცა მას წესრიგის და ზნეობის დაცვას მოვთხოვ... და ყოველივე ეს დამემართა მე აი იმ ვაჟბატონის წყალობით...

ჩემსკენ არ გამოუხედავს, მხოლოდ მომათითა.

ისე აღელვებული ვიყავი, რომ არ შემინიშნავს, როგორ გამოვსულვარ შუშაბანდში. მოსამართლის სიტყვებზე ყველამ ჩემსკენ მოიხედა. ცხადია, თავხედობად თვლიდნენ, რომ ასე თამამად გამოვჩნდი.

— ამიხსენით, ყმაწვილო. — ახლა

უკვე პირდაპირ მე მომმართა მოსამართლემ. — რა უფლებით გაბედეთ ჩემი ოჯახის საქმეში ჩარევა? რა მიზნით წაიყვანეთ ჩემი დისწული?

პასუხი არ გავეცი.

— რა განზრახვა გქონდათ? სად მიდიოდით? გზაში რას გეუბნებოდათ ის ჩემი უბედური დისწული?

ვდუმდი.

— რას გაჩუმებულხარ? უპასუხე! — შემომმიტია ძია ლადომ.

როცა მოსამართლემ დაინახა, რომ არაფრის თქმას არ ვაპირებდი, ჩემი შეშინება სცადა:

— თქვენ მართალია, ჯერ სრულწლოვანი არა ხართ. მაგრამ დანაშაულის ჩადენისათვის თქვენც დაგსჯით შესაფერი კანონი... სჯობს გულახდილად მითხრათ ყველაფერი... ხოლო თუ გაჯიუტდებით, წინასწარ პატიმრობა არ აგცდებათ და მერე სასამართლოს გადაეცემა თქვენი საქმე. და იცით, ვინ იქნება მსაჯული? მე! დიახ, მე!

ერთხანს თვალებგადმოკარკლული შემომყურებდა.

— თქვენთან ერთად ის თქვენი მეგობარი ქალბატონიც ვერ ასცდება პასუხისმგებლობას... დიახ... თავისიანს მე უფრო სასტიკად ვეპყრობი, ვიდრე უცხოს... ყველამ იცის ჩემი ამბავი. ამით დავიმსახურე მე სახელი და პატივისცემა... დიახ, დიახ, მე პატივს მცემენ, მოწყალეო ხელმწიფევ! — ხმაარეულად შემომძახა და მერე უფრო მშვიდად, მაგრამ თითქოს დამუქრებით მითხრა: — გამიგონია, რომ სწერთ და კიდევაც ბეჭდავთ რაღაცას... თქვენმა სკოლამ იცის ეს ამბავი?

უხმოდ შევყურებდი. თავი დამანება და ისევ უფროსებს მიმართა:

— ამ ყმაწვილის დანაშაული ის გახლავთ, რომ ზეგავლენა მოახდინა ჩემს დისწულზე და გაქცევა აიძულა. დიახ, სწორედ მან. იმ საკოდავ ბავშვზე ზეგავლენის მოხდენა კი არც ისე ძნელია... ეს იმიტომ, რომ...

წუთით დადუმდა და შეიმჩნევოდა, რაღაც უნდოდა ეთქვა და ყოყმანობდა.

— თქვენთან დასამალავი არაფერი მაქვს, და იქნებ გაგონილიც გქონდეთ... მისი დედაც აგეთი იყო... წონასწორობადაკარგული ადამიანი... ის უბედური ქალი ჩემი და გახლდათ... სამწუხაროდ... მან ჩირქი მოსცხო ჩემი მამის უძრახველ ოჯახს. ამისათვის ის მკაცრად დავსაჯეთ ჩვენ. ახლოსაც არ გავიკარეთ, როცა ისევ ჩვენს კარებს მოაკაკუნა... ჩვენ ის არც მოგვიკითხავს, როცა სადღაც წავიდა. ცოცხალია თუ მკვდარი დღესაც არ ვიცით და არც გვინდა ვიცოდეთ... დიახ... ჩვენ რომ ბოლომდე მტკიცე ვყოფილიყავით, სხვისთვის მაგალითის მისაცემად მისი ნაშიერიც კი ახლოს არ უნდა გაგვეკარებია, მაგრამ რა გვექნა, ბავშვი შევიცოდეთ... ეს მე, მე შევიცოდე და თურმე როგორ ვცდებოდი... მე ვზრუნავდი მის აღზრდაზე, დღესაც მე ვიხდი მის პანსიონის ფულს... და, ასე გასინჯეთ, ისიც ჩემი წყალობა არის, რომ...

უეცრად რევოლვერის გასროლის ხმა მოისმა.

სადღაც ახლოდან დასჭექა და მოედანმაც გაიმეორა.

მოსამართლეს ხმა ჩაუწყდა, შემკრთალმა თვალი მოგვავლო, წამოდგა და მერე ისევ ჩაჯდა.

რამდენიმე წუთით ჩამოვარდნილი სიჩუმე უეცრად კივილმა შეძრა. მოსამართლის აივანზე ვიღაც დედაკაცი გამოვარდა. გაბმით კიოდა და სახეს იხოკდა.

გულმა მიგრძნო, რა უბედურებაც დატრიალებულიყო.

— თქვენთან გაისროლეს!—ვუყვირი მოსამართლეს. — ხედავთ რა ამბავია აივანზე? თქვენ მოჰკალით ის! თქვენ ხართ მისი მკვლელი!

გაფითრებული მოსამართლე შიშით შემომცქერის.

— ეს სალომემ გაისროლა! ეს სალო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე იყო! — მივიძახი და მივრბივარ მოედანზე.

უკან ხალხი მომდევს.

სალომე რამდენიმე დღის შემდეგ დაკრძალეს. აღარც მე გავჩერებულვარ დაბაში. ჩემს მასპინძლებს ცხადად ვამჩნევდი, რომ გახარებული იყვნენ ჩემი წასვლით. მხოლოდ ერთხელ თქმა დამჭირდა და მაშინვე დამიბეჭდეს ეტლში ადგილი.

პატარა დაბა დავტოვე იმ დღეს, როცა ყველა შეშფოთებული იყო. წინა საღამოს მოედანზე ხალხი შეკრიბეს და გამოუცხადეს რომ გერმანიის იმპერატორმა ვილჰელმმა ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ ომი დაიწყო.

ამ ამბავმა ისეთი მღელვარებით შეიპყრო ყველა, რომ დარწმუნებული ვარ, იქ უმალვე დაივიწყეს ამბავი, რომელმაც რამდენიმე დღის წინათ იქაურობა შესძრა. ამასთან ერთად, ცხადია, სალომეს სახელიც დავიწყებას მიეცა. დიდმა საერთო უბედურებამ სამუდამოდ წაშალა ერთი ქალიშვილის პატარა ცხოვრების სევდიანი ამბავი.

რიონის ხეობას მიჰყვებოდა ეტლი, რომელსაც ჩემს გარდა ოთხი სხვაც მიჰყავდა. ჩემი თანამგზავრები მთელი გზა მხოლოდ ომზე ლაპარაკობდნენ. თვითეულ მათ სიტყვაში მწუხარება და შეშფოთება იგრძნობოდა. სადგურებზე და გზაშიც, სადაც კი ვინმე შეგვხვდებოდა, ისევ და ისევ ომზე იყო საუბარი. გარემო კი მზით იყო განათებული. მწვანედ ბზინავდნენ ყანები და ხმაურით მიიჩქაროდა რიონი, იგივე მთები, ჩანჩქერები, ყველაფერი ისეთივე, როგორც იმ დღეს, როცა პირველად ვხედავდი აქაურობას.

* * *

ჩემი სიყრმის მეგობრის სანდრო კ...ს ეს ხელნაწერი გადმომცეს მისმა მახლობლებმა. ვაქვეყნებ დამწერის ნებადაურთველად, ვინაიდან ავტორი ცოცხალი არ არის, — ის აღარ დაბრუნებულა ყირიმიდან, სადაც სამამულო ომის დროს საველე ჰოსპიტალში ქირურგად მუშაობდა. ამას წინათ შემთხვევით მოვხვდი იმ დაბაში, რომელიც აღწერილია ხელნაწერში და თვალწინ წარმომიდგა ჩემი მეგობრის მიერ ახალგაზრდობაში გატარებული ის ერთი ზაფხული. არ ვიცი, იყო თუ არა აქ სანდრო იმ ზაფხულის შემდეგ, მაგრამ თუ არ ყოფილა, ბევრ რაიმეს ველარ იცნობდა წარსულიდან. სამაგიეროდ, დაინახავდა ისეთს, რაც, დარწმუნებული ვარ, მის კეთილშობილურ გულს გაახარებდა. დაბაში ცხოვრება მოსაწყენი არ მომჩვენებია. პირიქით, ის ახალგაზრდული ხმები, რაზედაც გულუბრყვილო სცენის მოყვარე ოცნებობდა, ყველგან გაისმოდა და ავსებდა იქაურობას. მოვიკითხე ის ხალხიც, რომელიც მოხსენებულია ხელნაწერში, მაგრამ ზოგიერთები სხვაგან გადასულიყვნენ საცხოვრებლად, ზოგიერთები კი აღარც ახსოვდათ. რა თქმა უნდა, მოხუც ლუკას და მის ფანტასტიკურ სახელოსნოსაც ვერ ვნახავდი, მაგრამ ისე მეჩვენა, თითქოს განხორციელებულიყო მისი ოცნება მარად მოძრავ მანქანაზე, — ეს იყო ის ხალისი, რომელიც ყველას ემჩნეოდა აქ. ამაზე უფრო ძლიერი მანქანა კი არა მგონია კიდევ არსებობდეს.

გიორგი კაჭახიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სიცოცხლე მისი

★

არ გამივლია მე ამ გზაზე დიდი ხანია,
დედულეთისკენ მიმავალ გზაზე.
მივდივარ მარტო, ადრინდულად მიმიხარია,
მიცინის მიწა სიცოცხლით სავსე.
მიცინის ცა და ეზოები მწვანედ გაშლილი,
ვიგონებ ჩემზე ამ კუთხის ამაგს.
მივდივარ, — თუმცა ვერ გამიღებს კარს ბიძაშვილი,
ჩემი სისხლხორცი — ოჯახის მამა.
ის ყირიმში წევს ომგადახდილ ვაჟკაცთა გვერდით,
ვინ გაიმეტა! მტერი მხეცია.
რა გამრჯე იყო,
ხვნა-თესვაში ვერ სჯობდა ერთიც,
ვფიქრობ, და ავტო წამომეწია.
წამომეწია და გუგუნით ჩემს წინ ჩერდება,
თვალი კრიალით მომჭრა მზესავით.
მიღიმის მძღოლი—ეს ცხადია, თუ მოჩვენება!
ვისზეც ვფიქრობდი, სწორედ ეს არის.
მეპატიჟება, მიცინის და... მეც გამეცინა,
მივხვდი—შვილია, სიცოცხლე მისი,
ვინც ყირიმში წევს,
რომ სამშობლოს დღეებს ებრწყინათ,
სამარადისო პატივის ღირსი.
— როგორ გაზრდილხარ ის შავთვალა, მალხაზი ბავშვი,
რამ დაგამსგავსა მამაშენს ასე?—
ვეუბნები და მღელვარება მერევა ხმაში,
თან აღტაცებით ხელს ვადებ მხარზე.
ვჯდები მის გვერდით,
გულმა გული ნახა, ვსაუბრობთ,
გალაღებული მანქანა მიჰქრის.
ამ სიამეში მომხიბლავი ხდება გზაც უფრო
და შთაგონებით ნათლდება ფიქრი.
— ეს ავტო სხვისი არ გეგონოთ, —იცინის ვაჟი, —
ჩემია, ურჩი არ არის, ხედავთ,
მეც ავტოქარხნის ოსტატი ვარ და ჩემი რაშით
ყოველთვის შაბათს შინ მელის დედა. —
მიჰქრის მანქანა, გაზაფხულით სივრცე ხალისობს,
ხეებზეც არ ჩანს ტოტი შემხმარი.
მღერის სიცოცხლე და იმღერებს სამარადისოდ, —
ვამბობ და ჭაბუკს გულით შევხარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საღამოს ოდამ გამიბრწყინა გონება სტუმარს,
მოსავლის მადლი სუფრას ამდიდრებს.
ძმებსა და დედას გადახედა ჭაბუკმა ჩუმად
და ყველამ სახლის მამა ვადიდეთ.
ერთურთის თვალში იმ ვაჟკაცის სახეს ვუცქერით,
ამ ნათელ ჭერქვეშ ის კვლავ დიდია.
ფრონტის სარდლისგან მიღებული ქების ფურცელიც
მისი სურათის გვერდით ჰკიდია.
და მე მგონია, მას ჩარჩოშიც გული აქვს თბილი,
აიდგამს ენას და გვეტყვის რამეს...
გზიდან მოისმის ქალ-ვაჟების სიმღერა ტკბილი
და ვარსკვლავებით ივსება ღამე.

ამიტომ გვიყვარს

★

არ გააკვირვებს თვალს ჩემი ბაღჩა,
არც მოსავალი, რაც მომცა
ნერგმა, —
მაგრამ შენ იცი, რა შრომა, გარჯა
მის აყვავებას დასჭირდა ჩემგან.
არ გააკვირვებს კაცს ჩემი ლექსი,
წრფელი სიმღერა გამთბარი
მკერდით, —
მაგრამ შენ იცი, ჩემს გულში ფესვი
როგორ გაიდგა და როგორ ვწერდი.
დიდხანს ვებრძოლე თავნება
სიტყვას,
სანამ წიგნისთვის დავძლიე იგი, —
დღის ნათელივით ამიტომ მიყვარს
ჩემი პატარა ბაღჩა თუ წიგნი.
ვიცი, შენც როგორ ჩეხავდი ჯაგებს
ჩემს გვერდით, ჩვენი და-ძმების
ახლოს,
სახლი აიგე, ხეხილიც დარგე,
ახლა კერა გაქვს და მკვიდრად
სახლობ.

ერთი გვაქვს ფიქრი, ერთმანეთს
ვშველით,
წინ ჩვენი გარჯით ცხოვრება
მიგვყავს, —
ამიტომ მიყვარს სახლ-კარი შენი,
შენც ჩემი კერა ამიტომ გიყვარს.
ამიტომ გვიყვარს მეზობლის კერაც,
ყველა მშრომელის სახლ-კარი
თბილი,
შრომით შექმნილი ანბანით წერა,
ჩვენი მთა-ბარის პური თუ ხილი.
შრომაა ჩვენი სიკეთის დედა,
ჩვენი კაცური ღირსების წყარო,
რაც დაგვითესავს ქვეყნისთვის,
ვხედავთ,
შრომით მადლიან ჯეჯილად
ხარობს.
ხარობს და მთა-ბარს საამოდ
შვენის,
სიცოცხლით გვივსებს საქვეყნოდ
სიტყვას, —
ამიტომ გვიყვარს მთა-ბარი ჩვენი,
დღის გათენებაც ამიტომ გვიყვარს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კონსტანტინე გამსახურდია

ვაზის ყვავილობა

რომანი [1]

★

სოლომონ გულუხაიძის ალსარებანი

კორინთელი დაზაფრული გამოვიდა საექიმო პუნქტიდან. მას უკვე შესძაგდა არა მარტო კნეინა ვარა... უკვე აღარ შეეძლო ამ გაუთავებელი ფარსის ატანა. ერთი კი გაიფიქრა: თელავს წავალ ძია ნიკოსთან, ვივახშმებ და ვისაუბრებ, გულს გადავაყოლებო, მაგრამ, როცა შოფერი შეეკითხა, კიდევ ხომ არსად მიბრძანდებიო, შეყოყმანდა: აგრე ივარაუდა: თელავს რომ წავიდე, სუსქიას ვინღა მიხედავსო.

უცნაურად მოენატრა ღვინო, იგი საერთოდ მარტოხელა არასოდეს სვამდა, ეთქვა ანდროსთვის: ჩამოდი, ვივახშმოთო? ვერც ეს გადაეწყვიტა, ამიტომაც ჭიშკრამდისაც არ იყო მისული, ისე უთხრა შოფერს:

„წადი, ჩემო ანდრო, შენც დაისვენე აწი“.

თავის აგარაკში ფეხი შედგა თუ არა, სახლიდან შემოესმა საშინელი რიხინ-რიხინი და ლიწინ-ლიწინი, რომელიც სავსებით კატასტროფული ჩხრიალითა და მსხვრევით დასრულდა.

რამდენიმე ნაბიჯი არა ჰქონდა გავლილი, მან თვალი წაატანა ჯუჯა კაცს, რომელსაც ორივე ხელი კეფაზე წაეფარებინა, ფაცხა-ფუცხით ჩამორბოდა კიბეზე.

მას უკან მოსდევდა ახმახი დედაკაცი ცოცხით ხელში.

კორინთელმა სავსებით მკაფიოდ გაიგონა ნაგვემის ყვირილი და გაანჩხლებული დიაცის კრიახი:

„ჰე, შე გველიჭამია, ნავსო“.

ქუჩდს მოსდევენო, ივარაუდა კორინთელმა, ორივე მკლავი შემოავლო ჯუჯას და როგორც კი ხმა გაიღო მან, ვისაც სცემდნენ, ნიორთავა შეიცნო.

დაუყვავა აქშინებულს, მხარზე ხელი დაადო, ნამორამდის მიიყვანა და ზედ დასვა. ბოლოს ასეთი დიალოგი გაიმართა პროფესორსა და მეწისქვილეს შორის:

„რა მოგივიდა, სოლომონ ჩემო?“

„ფეხი მომტეხოდა, ჩემო ბატონო, და არ გამომევლო თქვენსას მე უბედურს“.

„მაინც რა მოხდა, სოლომონ?“

„ჯერაც სასადილოში არ ვიყავი შესული, კნეინა ვარა გამოვიდა სამზარეულოდან, უამრავი თეფშები მოჰქონდა ერთმანეთზე შეკოლიკებული, თვალი შემასწრო თუ არა, ხელიდან გაუცვივდა თეფშები და ნაკუწებად აქცია. მას შემდეგ რაც მოხდა, თქვენივე თვალით ნახეთ. ხომ ხედავთ, ძველი დრო მონატრებია კნეინა ვარას.

მე დღენიადაგ მცემდნენ ვაჩნაძიანთ სასახლეში. ცემითა და ცრემლიანი პურით ვარ, ჩემო ბატონო, გაზრდილი. განაგონი გექნებათ, ალბათ, ჩემი დიდი პაპა იყო შეთე გულუხაიძე, თუშების სახალხო გმირი.

თუშები დღესაც თამაშობენ ათენგე-

* გაგრძელება. იხ. „მნათობი“ № 5.

ნობას შამილისა და შეთეს ბრძოლას, რომელიც შეთე გულუხაიძის გამარჯვებით თავდება მუდამ.

გამარჯვებული სახელი დაიმკვიდრა ჩემმა დიდმა პაპამ. მე ძველ დროშივე დამამარცხა ბედმა და დამარცხებულივე მოვედი ამ ახალ დროში.

ამასაც თავისი მიზეზი ჰქონდა, ჩემო ბატონო. პაპაჩემი ტყვედ ჩავარდნია ლეკებს და, როცა დარგოს აული აუღია გენერალ ვაჩნაძეს, პაპაჩემი ერთ გომურში უპოვნია ბორკილებშესხმული, ბერმუხაში ჩამოუყვანია სამგზის დაჭრილი და თავისი მოახლე მიუთხოვებია მისთვის.

ერთი წლის შემდეგ ორივენი ყვავილს უმსხვერპლნია. საკვებით თოთო ბალღი ჩარჩენილა ბედშავი მამაჩემი ნიკო ვაჩნაძის ოჯახში. უარესი ბედი სწვევია მამაჩემს, გერმანიასთან ომში დაუპულა მამაი, პერემიშლის აღებისას ხიშტზე აუყვანიათ გერმანელებს იგი. დედაჩემი ვაჩნაძიანთ თონეში დამწვარა ის საცოდავი, იმავე წელს.

მას შემდეგ თავლაში ვიზრდებოდი გაუკითხავად. ბზე და თივა იყო ჩემი საფენ-საგები. ცხენებთან და ვირებთან ერთად მეძინა, ვირებისა და ღორ-ხბოს მწყემსვა დამაკისრეს შვიდის წლის ბავშვს.

მოგეხსენებათ, ჩემო ბატონო, ადამიანის უბედურებისათვის სულ მცირე საბაბია საკმარი. თმა ადრე გამცვივდა თავზე, ადრევე გამოთეთრდა წვერი, თორემ ცეცხლივით წითელი თმა-წვერი მქონდა, იმიტომაც შემარქვეს „ნავსი“.

მოსამსახურეს თეფშები გაუვარდებოდა ხელიდან, იგი მე მომვარდებოდა და დამიშენდა ცხვირ-პირში, მეთონე დედაკაცს კუტი პურები ჩაუცვივდა ცხელ თონეში, ამოიღებდა ცხელ კუტს და მე დამახლიდა თავზე, ბატონს ცხენი წაექცეოდა ნამთვრალევზე, მათრახები მე მხვდებოდა, ცხვარს ციმბირის ჭირი დაერეოდა, ან უდღეური ბატკნები იმრავლებდნენ დოლში, ბარქალი მე მითაქებდა კომბალს.

ალბათ ბუნების წესია აგეთი, სისულელე ქათმის ჭირივით სწრაფად გადადის კაციდან კაცზე ხანდახან. ახალგაზრდები დღესაც ხუმრობით მეძახიან ნავსს, მაგრამ აბრიას, ლუოს, უთისა და ფოცხვერი უჯირაულებს და სხვა შავსოფლელებს ახლაც სჯერათ ჩემი ნავსობა.

როცა ვაჩნაძიანთ ოჯახი დაქცა, ყველას გადაავიწყდა ჩემი ნავსობა, მაგრამ ახალ დროში იმ წყეულმა აბრია უჯირაულმა შეახსენა ეს ამბავი ხალხს“.

„ერთი ეს მითხარი, სოლომონ, გველიჭამია რად გიწოდა იმ გაოხრებულმა კნეინა ვარამ?“

ნიორთავამ არა მიუგო რა, მძიმედ ამოიოხრა და დადუმდა. მთვარემ გამოიხედა ენდროსფრად შეწითლებულ ღრუბლის ფრთილიდან. უცნაურად გაანათა გველეთი და მისი შემოგარენი. თეთრად ავასვასდა კავკასიონი, ხოლო მის გასწვრივ გაჭიმულ წინ-კლდეებს ნამსუდისფერი გადაეკრა ერთობლივ.

ნიორთავა გაქვავებულივით იჯდა. გადასცქეროდა ბალს გადალმა ჩაბნელებულ უფსკრულს. ორივე იდაყვი მუხლის თავებზე დაეყრდნო, ხელის გულებში ჩაებღუჯა თავის პატარა, ჭკვიანი თავი.

„ადე სოლომონ, შინ შევიდეთ, ღვინო მომენატრა რატომღაც, ამას წინათ ძია ნიკომ, გამომიგზავნა საუცხოვო ღვინო, უნდა გაგასინჯო ერთი“.

ნიორთავამ თავი აიღო.

„მეც მინდოდა ამ წუთში სმა, მაგრამ თქვენსას ვეღარ მოვალ, სანამ ის აშარი კნეინა ვარა არ წაშავდება აქედან“. ნიორთავა მცირე ხანს სდუმდა და მერე წაიბუტბუტა:

„როგორ შევკადრო შენისთანა დიდკაცს, თორემ ღვინო მეცა მაქვს მთლად უკეთესი, პროფესორო ბატონო.“

ისევ მიეძალა კორინთელი. შეუფარველად აძაგა ის მეტიჩარა კნეინა, ბნელი

დროიდან ჩვენს ეპოქაში შემორჩენილი ღამურაააო ეს ქალი. დაიქადნა ბრაზმორეულმა: არ შევარჩენო ამ აბეზარ დედაკაცს, ჩემი სტუმრის აბუჩად აგდებას. უშენოდაც მრავალგზის დაუმსხვრევიაო ჭურჭელი ჩემს სახლში.

„ნუ იზამ ამას, ჩემო ბატონო, ჩემი გამოისობით რად უნდა შეეყარო უსიამობას, მოხუცი მაიასაგან განაგონი მაქვს, ისედაც აგირია ამ გველისთავმა ოჯახი. მოკლეებით თუ ჩავალთ, აქვეა ჩემი წისქვილი, კერის ცეცხლი ხომ გიყვარს, ეგეც ვიცი, მირონის ცეცხლს გავაჩაღებ. იმ ღამინდელი საუბრის გემო ჩამრჩა გულში, ეგებ კიდევ მიამბო რაიმე, რაც ჭკუას შემმატებს და გამამხნევებს.

თქვენ არც კი იცით, თუ როგორ გამამხნევა თქვენმა იმ ზაფხულის უეცარმა სტუმრობამ წისქვილში. გავიხარე, როცა ჩემი ღარიბული პურ-მარილი გაიზიარეთ...

აგრე მექცეოდა ჩვენი რაიკომი ციხისთავიც მუდამ. ამას წინათ უთენია წასულიყო ალაზანზე საშემოდგომო ნათესების დასათვალიერებლად, წისქვილში მომაკითხა. შოფერს თოხლის ბარკალი და ღვინო ჩამოატანინა მანქანიდან. ვიპურმარილეთ და ტკბილადაც ვისაუბრეთ.“

კორინთელს არ უნოდა აგრე ნაღვლიანი გაეშვა ნიორთავა წისქვილში. მასრასავით წვრილ მკლავზე ხელი წაავლო, წამოყენება მოუნდომა და სწორედ ამ დროს მოისმა ირმის ყვირილი მამუკასეულ ციხის სანახებიდან.

ნიორთავა ყმაწვილური სიკისკასით ზეწამოიჭრა, ერთის დაკვრით ძირს დააგდო მის მოდრეკილ მხრისთავებზე დაწოლილი ვარამი და აღტყინებულმა წამოიძახა:

„ჩუ შუნი ირემი მოსულა, ვგონებ!“

„რომელი ირემი?“

იკითხა გაოცებულმა კორინთელმა.

„უკვე რამდენიმე წელიწადია რაც ერთი წყვილი ირემი დადიოდა ირმის ტბაზე, გველეთში, ჩვენ, მონადირეებს, მინიშნებული გვყავდა ისინი, მოკვლას ვუპირდებოდით, მაგრამ მარჯვე დროს ვეძებდით. მერმე ის იყო, წრეულს ზაფხულში ბერმუხაში ჩამოეხეტა ხარი, შოფრები გამოუდგნენ მანქანით, რა თქმა უნდა, ველარაფერი დააკლეს, მერმე როგორც საოდუმლოდ გავიგეთ, ვიღაცას მოუკლავს ხარირემი აბაშის ციხის სანახებში“.

კორინთელი აღშფოთდა.

ვინ იყო ასეთი არამზადა, რომელსაც არა სცოდნია, ირმის მოკვლა კანონით რომ აკრძალულია ჩვენს ქვეყანაში? ჩაკითხავდა მეწისქვილეს.

მე გამანდვე, ვინ მოჰკლაო ირემი, მაგრამ ნიორთავამ არ ინდომა კანკრეს დასახელება, არც იმ ამბის გამხელა, რომელიც ჩვენ უკვე აღვწერეთ ამ რომანში.

ისევ შეეპატიჟა პროფესორი თავის შეურაცხყოფილ სტუმარს, შინ შევიდეთ და გავსინჯოთო ძია ნაკოს მიერ მორთმეული ღვინო, მაგრამ ახლა ისეთი დაიქუხა ირემმა, თავათ კორინთელსაც მღელვარება შეუდგა და ნებას დაჰყვა ნიორთავას, რომელიც დაბეჯითებით არწმუნებდა: ირმის ტბისკენ გავიაროთ, ამ მთვარიანში უცოლოდ გაჩვენებო ირემს.

კორინთელი შესდგა, სასაცილოდ ეჩვენა ნიორთავას ახირება, ნიორთავამ სთქვა:

„საექიმო პუნქტი ხომ იცი, სადაა, სწორედ იმის გასწვრივ ჭაობია ერთი, ირმის ტბად წოდებული, ტბა უკვე აღარაა, მანდ, მაგრამ ტყიანი კუნძულია ერთი, ირგვლივ ფშანებით შემოზღუდული, როგორც სჩანს, მარილიანი წყაროებია იმ ფშანებში და იმისთვის დადიან ირმები იმ ჭაობში“.

ისევ მოისმა ირმის ყვირილი.

კორინთელის გულში აღსდგა ნადირობისადმი ტრფიალი. მასაც მოუნდა შორიდან მაინც დაელანდა ირემი, რომე-

ლიც მხოლოდ ზოოპარკებში ჰყავდა თვალნათლივ ნახული.

პროფესორი და მეწისქვილე თანაბრად შეძრულნი იყვნენ იმ ქვეშეცნეული აღტყინებითა, რომელიც შესძრავს ხოლმე ადამიანს ტყიურის ხილვისაგან. ეს ადამიტური ინსტიქტები ჩვენს ბუნებაში სთვლემენ და მცირედი ბიძგიც საკმაოა მათ გასაღვიძებლად.

ამ გრძნობას ვერ წარხოცავს ჩვენს გულში ვერც დიდი ქალაქების ასფალტების ტკეპნა და ვერც ბიბლიოთეკებში ქედმოხრილი ჯდომა.

მიდიოდნენ ჩქარი ნაბიჯით, ეძინა ახალშენს. ღამის დარაჯები შესავლებთან ყვინთავდნენ. მამლების ყივილი ისმოდა უკვე.

კორინთელს უხაროდა, რომ ამ ნაციხარების, ნასაყდრალებისა და ნასახლარების სანახებში ისევ გაისმოდა ყივილი იმ შესანიშნავი ფრინველისა, რომელიც გათენებას უქადის კაცთა მოდგმას მარადჟამს.

მთვარის შუქით გაბადრულ გარემოში იდგა ბნელში გარინდებული მამუკას ციხე, უდრტვინველად მისცემოდა საუკუნეთაგან მონაბერ კომმარულ ძილს.

კორინთელს მზერა გაექცა იმ ხარაჩოებიან სახლისკენ, სადაც საექიმო პუნქტი ეგულებოდა. ერთადერთი ფანჯრიდან გამოკრთოდა მბჟუტავი სინათლე.

„როგორი სანუკველია ის სახლი, რომელშიაც შენთვის ძვირფასი ადამიანი სუნთქავს“.

ეს გაიფიქრა კორინთელმა, ნაბიჯს აუჩქარა, სულ ახლოს ჩაუარა უფარდო ფანჯარას, ყმაწვილურად აღტყინებულმა წამოიწია ცერზე და შიგ ოთახში გადაიხედა.

სუსქიას პირსახოცი აეფარებინა ფანჯარაზე, მაგრამ უკმარი აღმოჩნდა იგი და ამიტომაც ცნობისმოყვარე თვალმა წაასწრო მის მოშიშვლებულ, მშვენიერ მკერდს, კიდევ და კიდევ ეწადა ამ სანახაობისათვის ემზირა გამიჯნურებულ ჭაღარა პროფესორს, მაგრამ ერთბაშად ელექტრონი ჩაქრა და ბნელმა მოიცვა თვალისმომჭრელი სითეთრე სუსქიას ზემოტანისა.

ალბათ მხოლოდ ახლა დაწვა, გაიფიქრა კორინთელმა და ნიორთავას მკლავს მისწვდა, თითქოს ღონე აღარ ჰქონდაო წალმა წასვლისა.

უხმოდ ვიაროთო, თქვა ნიორთავამ, ძველმა მონადირემ.

ირმის ტბასთან მისულნიც არ იყვნენ, ისე გაისმა ლიწინ-ლიწინი ფშანების გადაღმელ ტყეში. ძალოვანად გაშლიგინა რაღაცამ, რქაბორჯღალა ლანდი გარბოდა მთებისკენ და მერმე ისევ მდუმარებამ მოიცვა ბუნება.

ჭოტი იძახოდა სადღაც, ფოლადის ლენტებად ელავდნენ ფშანები.

„წავიდა!“ ამოიოხრა ნიორთავამ.

კორინთელმა მდუმარედ გადახედა ჭაობს.

„ნუთუ ირმის ტბასაც დააშრობენ?“ ნაღვლიანად იკითხა ნიორთავამ.

„ეს მიდამო მეორე ჯერის სამუშაოთა გეგმაშია უკვე შეტანილი. — სთქვა პროფესორმა. — არაშენდა-გველეთის მთელს ზეგანზე, ვიდრე იმ წოპიან მთამდის ზვრების გაშენებას აპირებს მთავრობა. ციხისთავი კომისიას მოელის ამის გამო თბილისიდან ამ დღებში. ეს ტყეც ამოიძირკვება, ამ ფშანებს დააშრობენ“.

„წავიდა ჩვენი ნადირობის საქმე. ნაღვლიანად ჩაიდუდუნა ნიორთავამ. აქ ჯერაც ბოგინობენ ლორი, ხოხობი და შველი. მაგრამ აქ ცხოვრობს ერთი ვინმე, რომლის ხსენებას ამ ღამეში ვერიდები, მაინცდამაინც“.

კორინთელი დაინტერესდა, თუ ვინ უნდა ყოფილიყო ის „ერთი ვინმე“, ყაჩაღი ხომ არ არისო? ჰკითხავდა მეწისქვილეს.

„ყაჩაღზე უარესია,“ დასძინა ნიორთავამ.

კორინთელს ცნობისწადილი მოეძალა, ხელახლა შეეკითხა ნიორთავას.

მაგრამ იგი არ აპირებდა ამ ამბის განხელას. დაჟინებით ჩააცივდა პროფესორს, ამაღამ ღვინო რომ არ დავლიო, შესაძლოა გული გამისკდესო, თუ მიკადრებ და მოიხალისებ, წისქვილში წავიდეთ, ცეცხლს გავაჩაღებ, მწვადებს შევწვავ და ყოველივეს წვრილად გიამბობო.

კორინთელი გულის სიღრმეში გამოუტყდა თავის თავს, რომ მასაც უცნაურად ენატრებოდა ღვინო. დიდ ქალაქში რომ ყოფილიყო, რესტორანში წავიდოდა უთუოდ. მას აღარ უნდოდა შინ მისვლა, მზად იყო, ამ მშვენიერ მთვარიან ღამეში ქვეყნის კიდემდის ფეხით ეარა თუნდაც.

„ჰო მაგრამ, აქედან როგორღა ჩავალთ შენს წისქვილში, სოლომონ, შარაგზიდან რომ მოვუაროთ, გათენებამდის ვეღარ ჩავალთ“. ნიორთავა მოკრძალებულად მკლავში წაეპოტინა პროფესორს, ქარაფის კიდემდის მიიყვანა.

„ეჰე, ეგერ არ მოსჩანს, წისქვილი, ორი წნორი უდგას აქეთ-იქით. მათ გადაღმა მაღალ ვერხვებს ხომ ხედავთ, ოცი წუთიც არ დაგვჭირდება ისე ჩაგიყვანთ ძირს“.

ნიორთავა ფაცხა-ფუცხით მიჰყვებოდა დაკლაკნილ ბილიკს, ბარდებში გზას უკაფავდა მის უკან მომავალ პროფესორს. ზვავებისაგან შეძრულ ქარაფებს შორის მიდიოდა საცალფეხო გზა, უზარმაზარ ლოდებსა და გორიხებს შორის.

კბოდეებიდან გადმოშვერილი ფესვები ისე დაკლაკნილნი ეკიდნენ უფსკრულების თავზე, თითქოს დაოსებული გველები გადმოუყრიაო ვიღაცას ამ მთვარიან ღამეში.

ნიორთავა ხელს ავლებდა მათ, სრიალით ჩადიოდა ძირს, კორინთელიც მას ბაძავდა, მიიკვლევდა გზას ძეძვებს შორის. სადღაც ხეების წყალი ქშუოდა, ალაზნის პირიდან მოისმოდა ტურების ერთობლივი ღნავილი.

კორინთელი სდუმდა და ფიქრობდა. გულის სიღრმეში გამოუტყდა — თავის თავს: რომ იგი ვეღარ შეერია თავის გულის დარდს, წისქვილში თან გაჰყვა ნიორთავას, რადგან არც მას გაეჩინა „შინა“.

რომელიღაც ბნელფრთიანმა ფრინველმა გადაუქროლა მათ, წყვილმა კურდღელმა გადაირბინა მთვარის მიერ განათებულ შარაზე. წისქვილიდან გამომკრთალი შუქი უკვე ჭიატობდა შინდის ბუჩქებს შორის. იხვები დგებოდნენ ფშანებიდან, წიწინით მიჰქროდნენ ალაზნისაკენ.

კორინთელი უკვე ჰხედავდა წისქვილს გადაღმა ჩარაზმულ გოლიათურ ვერხვებს ხვიარებით დაბარდნილს, ისინი უცნაურად მიაგავდნენ ანძებიან გემებს აურაცხელი ბაგირებით გათოკილთ.

წისქვილის კარებთან დაჯორგილმა ძაღლებმა ყეფა ასტეხეს კორინთელის დანახვისას. ნიორთავამ დააშოშმინა ისინი. მერე დიდხანს უჩხიკინა მან დაეანგულ ბოქლომს, როგორც იქნა გახსნა და წისქვილში შეუძღვა სტუმარს.

კორინთელის ყნოსვას მისწვდა დაობებული ფქვილისა და თაგვის სუნი.

კორინთელმა მხოლოდ ახლა იგრძნო, რომ ამდენი ხეტიალისაგან ძლიერ მოშივნოდა. მოუთმენლად უმზერდა ნიორთავას საქმიანობას. ბოლოს, როცა მასპინძელმა ცეცხლი დაანთო და თოხლის ნეკნები გადმოიღო კაჩხიდან, თავათაც წილი დაიდო ნიორთავას საქმიანობაში. ერთ შამფურზე თვითონ ააგო თოხლის ხორცი, მარილი მოაყარა და შეუფიცხა ცეცხლს.

ჯირკვზე ცხენურად გადამჯდარი ატრიალებდა შამფურს და ნერწყვმორეული ისმენდა ცხიმის საამურ შიშხინს.

ნელ-ნელა წითლდებოდა მწვადი, პროფესორი მარდად ატრიალებდა შამფურს და უამბობდა მეწისქვილეს: ძველბერძენი პოეტის — ჰომეროსის

მიერ შექებულ ბატკნებისა და ციკნების შიშხინა მწვადების გამო.

ნიორთავა შეწუხდა, როცა გაიგო რომ ქართველებზე ადრე ძველ ბერძნებს რომ უგემნიათ მცვრიანი მწვადები.

ნიორთავა ძლიერ გახალისდა ნასმურევზე. კორინთელიც სიამოვნებით სვამდა, ერთი-ორჯერ საათს დახედა, წამოდგომა დააპირა, მაგრამ ისევ ნეტას დაჰყვა მასპინძელს, უმძიმდა მოგიზგიზე ცეცხლის დათმობა. კარგად იცოდა: გათენებამდის წასვლას რომ დადგომოდა, ნიორთავა მის გაცილებას არ დაიშლიდა.

ახლა მშობლების მოსაგონარი სადღეგრძელო დალია ნიორთავამ და შემდგომ ამისა დასძინა:

„ჩემი მუშაობა ისეთი ერთგვარია და იოლი, ყოველი ჩერჩეტი ადვილად გაართმევს ამ საქმეს თავს. ღარისთავების დროზე გადაკეტვა და აშვება, საფქვილე ალატების გავსება და დაცლა, ამას მაინცდამაინც დიდი სიბრძნე არა სჭირდება, ამიტომაც მეწისქვილედ მოხუცებსა და ხეიბარებს ნიშნავენ ხოლმე. ახალგაზრდობაში ნადირობითა და ღვინის სმით ვიოხებდი გულს. მე აგრე მგონია ჩემის მოკლე ჭკუითა, ვიდრე ჩვენ ძალა მოჭარბებული გვაქვს, ხანდახან ჭკუა გვაკლია და, როცა ჭკუა მოგვეძალება, ძალა გამოგვეცლება ხოლმე.

სიბერეში გადასული სურვილები და ოცნებები შეგვემატება, რადგან უძალოდ შემატებული ნაოცნებარი ქვიშაზე დაწერილი აღმოჩნდეს ბოლოს-დაბოლოს.

მეც ეგ მომივიდა, როცა ჭკუა შემემატა, უკვე გვიან იყო დაოჯახება. ამასობაში მხეცებზე და ფრინველებზე ნადირობის საქმე წახდა. ტყეებს სჩეხენ, ჭაობებს აშრობენ, მანქანებისა და ტრაქტორების ბუბუნმა დააფრთხო ტყიური. უცნაური სევდა შემიპყრობს ხოლმე ხანდახან.

მე შეთე გულუხაიძის ნამიერი ვარ და ჩემს ცხოვრებას მხოლოდ საფრთხე თუ შეჰმატებს ხალისს.

გაგეცინებათ, მაგრამ ამასაც გეტყვით, ამ ბოლო ხანს მწერლობას მივყავი ხელი. მწერლობა, თუ არა ვცდები, პროფესორო ბატონო, ღარიბების თავშესაფარსა ჰგავს ხანდახან, რომელიც არაერთ ჭკუით ღარიბს ატყუებს და უიმედო იმედებს უღვიძებს, აქ მაჭმევენო პურს. ყოველ კაცს, რომელსაც თავის საქმეში ხელი მოსცარვია, აგრე ჰგონია: ჩემმა ხელობამ არ გამიმართლა, მოდი, ახლა ისეთი ხელობა ვსინჯო, რომელსაც არც საანგარიშო ჩოთქის რაკუნი ესაჭიროება, არც ჩაქუჩის კაკუნი; იგი აგრე ფიქრობს, ყველაზე უფრო ადვილი ეგ არისო: კალმის მელანში ტყაპუნი... ჩემი მოკლე ჭკუით ერთ რამესაც გეტყვით, ქართული ასოების საოცრად მარტივ მოხაზულობას ბევრი ჩემისთანა შლეგი შეუყვანია შეცდომაში.

მთელი ღამე ვიჯექი, ვწერდი და ვხევდი, ღამით დაწერილი, მეორე დილით არ მომეწონებოდა და წისქვილის წყალს ვატანდი ჩემს ნაჯაფარს. ბოლოს დავრწმუნდი: წერა ძნელზე უძნელესი საქმე ყოფილა თურმე.

თქვენ ყველაფერი ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ, ჩემო ბატონო, იმისთვის, რომ კაცმა თვალსაჩინო რამ დასწეროს; ძლიერად უნდა შესძრას იგი რაიმემ. სხვა დანარჩენი ქაღალდის გაფუჭებაა, მეტი არაფერი.

ამ უკანასკნელ წელს კითხვას მივყავი ხელი, ხურჯინით ჩამომქონდა თბილისიდან წიგნები. ამოტოლა კითხვამ უარესად ამიცრუა წერაზე გული.

მართლაც-და, იმდენი რამ შესანიშნავი დაწერილა ამ ქვეყნად, მე უკვე დავრწმუნდი: უთუოდ თავხედებია ისინი, ვინც ხელაღებით ჰბედავენ წერას. თავხედობა და ფულის სიყვარული ამოძრავებს ალბათ მათ, როცა კალამს აწობენ მელანში.

ამ დილით ერთმა მონადირემ ახალი გაზეთი ჩამომიტანა თბილისიდან, კაცმა რომ სთქვას, მე ამ გაზეთის მოსატანად შემოგიარეთ“, ეს თქვა ნიორთავამ, დაჭმუჭნული გაზეთი ამოიღო უბიდან და წინ დაუგდო კორინთელს.

„ჩემი მოკლე ჭკუით, აგრე მგონია, ფაშისტები ისე გაზულუქდნენ, ომში გაგვხვევენ უთუოდ.

და თუ ეს მოხდა, არ გაგეცინოს, ჩემო ბატონო, ჩემისთანა ნაცარქექიას ქადილმა. შესაძლოა არც მიმიღონ არმიაში, როგორც ჩია-კაცი, მაგრამ მოხალისედ წავალ. ვინ იცის ეგებ ამიხდეს ჩემს სიჭაბუკეში დანაქადები: მამიჩემის სისხლი ავიღო კიდევაც“.....

უკვე რიჟრაჟი იწყებოდა როცა კორინთელი წისქვილიდან გამოვიდა. მან ყური არ ათხოვა მასპინძლის ვედრებას: კიდევ დაყოვნდი მცირე ხანს, ხელახლა შევსწვავო მწვადებს.

ვისაც ალაზნის პირას წისქვილებსა და მეკამეჩეთა ბინებში ღამე უთევია, მხოლოდ მან იცის, თუ რა მშვენიერია განთიადი ალაზნის ველზე. ჭაობებიდან და ფშანებიდან ზანტად დგებოდნენ ნისლის ფრთილები, იხვების გუნდები შავწერტილებით წინწკლავდნენ სადაფის ცას. მზეს მთებს გადაღმა უკვე დაედგა ოქროს კარავი, ჯეირნისფერი გადაკვროდა ღრუბლების ქულებს:.....

მხნედ მიჰყვებოდა გველეთისკენ მიმავალ დამრეცილ ბილიკებს ღამენათევი კორინთელი. ერთადერთი ფიქრი ღიმღამობდა მის გონებაში: როგორ გადაიტანა ციების შემოტევა გასულ ღამეს სუსქია მინდელმა?.....

მტყუანს კარამდის მიჰყვნენ

ცხოვრებაში აგრე ხდება ხანდახან: როგორც უსიამო, ისე სასიამოვნო ამბებიც ზედიზედ წაეწყობიან ხოლმე ურთიერთს. იმავე დღეს, როცა გოდერძი ელანიძე კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩიეს, მოხდა მერგოლურის ნუნუ უჯირაულის დაწინაურება, იგი ბრიგადირად გამოჰყვეს. ნუნუ დაჟინებით ეევედრა თავის ამომრჩევლებს: ნუ დამაკისრებთო ასეთ მძიმე მოვალეობას, თავს ვერ გავართმევო ამდენ საქმეს, მიუხედავად ამისა, საერთო კრებამ მისი განცხადება არ შეიწყნარა და ერთხმად დანიშნა იგი.

ბერმუხის კოლმეურნეობამ სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვა როგორც მევენახეობაში, ისე მემინდვრეობაში, მხოლოდ მეცხოველეობა ჩამორჩა იმ გარღვევებისა და უყაირათობის მეოხებით, რომელთა გამო პროკურატურას გადაეცა მეცხვარეობის ბრიგადირის ამბრია უჯირაულის საქმე.

გვალვიანი ზაფხულის მიუხედავად, ვენახმა, სიმინდმა და პურმა საუკეთესო მაჩვენებლები მოუპოვეს კოლმეურნეობას.

ახალმა მოსავალმა, სამასამდე შრომადღემ და ორგზის მიღებულმა პრემიალურმა ნუნუს საშუალება მისცა, ფეხზე წამოეყენებინა წაქცევაზე მიმდგარი მამისეული ოჯახი. ნუნუს მამა, გობრონ უჯირაული, თავისი მეორე ცოლის, ქეთუას, ხუშტურებს აყოლილი, დღენიადაგ თბილისში გადასახლებისათვის ოცნებობდა, გაყიდვას უპირებდა სახლსა და გომურს, ამიტომაც არასოდეს უფიქრნია მათ შეკეთებაზე.

სახლს იმდენი აწვიმა წლების განმავლობაში, კაკუტები დაულპა და სერაბახი ჩაექცა, ხოლო გომური ფრთამოტეხილ ბატსავით დააფრაკებული იდგა და ძლივს უმკლავდებოდა ქარების შემოტევას.

სულ ერთი თვის განმავლობაში ნუნუმ სახურავი განაახლებინა, გომური დაარღვევინა და ხელახლა ააგებინა ოსტატებს.

ქეთუა გააცოფა ნუნუს მიერ ეგზომ „ვაჟური“ თავიანობის“ გამოჩენამ. ქეთუას სულ სხვა გეგმები ჰქონდა: უკეთუ ნუნუს კობერიძეს მიათხოვებდნენ როგორმე, თავათ ეწადა მთელი სახლ-კარის გაყიდვა და თბილისს გადაბარგება. ნუნუს მიერ კობერიძისათვის მტკიცე უარის შეთვლას იგი სთვლიდა „ქალურ გაპრანჭვად“, რადგან თავათ ვერც კი წარმოედგინა, თუ რომელიმე ქალი ცოლობაზე უარს ეტყოდა „ისეთ მდიდარს, ახოვანსა და ლამაზ ვაჟკაცს“, როგორიც იყო მისი აზრით კობერიძე.

ქეთუა უკვე ხედავდა: ნუნუს მიერ სახლ-კარის შესაკეთებლად გაწეული ხარჯი უფლებებს უმატებდა ნუნუს მამისეული ოჯახის შენარჩუნების საქმეში.

ნუნუს და გოდერძის რომანის გამო იმდენი იჭორავეს ქეთუამ, მეზობლიანთ მარუამ და ნუნუს მეგობარ-ყოფილმა ნათია თარალაშვილმა, ბერმუხელები გოდერძის ოფიციალურ საცოლედ სთვლიდნენ.

ქეთუა და მისნი ამყოლნ-დამყოლნი აგრე ვარაუდობდნენ: სანამ გოდერძის სულით ავადმყოფი მამიდა ცოცხალი იყო, ნუნუ შინ ვერ მიიყვანდა საქმროს. ამიტომაც მათ ეჭვი არ ეპარებოდათ: გოდერძის ზედსიძედ მიიყვანსო ნუნუ, რამდენადაც მალხაზს, გობრონისეული ოჯახის „ნამდვილ მემკვიდრეს“ შუშუტად სთვლისო ნუნუ და აგრე ასკვნიდნენ ხელაღებით ისინი, მიუხედავად უფაქიზესი მზრუნველობისა, რომელსაც იჩენდა ხოლმე ნუნუ თავის ბნედიანი ძმის მიმართ.

ქეთუას მხარს უჭერდნენ ამ შემთხვევაში უჯირაულთა უხუცესები: აბრია, ლუო, უთი და ფოცხვერი უჯირაულები. ისინი ქალს შესცქეროდნენ, როგორც „ოჯახიდან მიმავალს“, ამიტომაც გობრონისეული ოჯახის კანონიერ და ერთადერთ მემკვიდრედ სთვლიდნენ მალხაზს.

ნუნუსადმი სიძულვილი გოდერძიზე გადაიტანა ქეთუამ. „ნუნუს რა უშავს, კოლმეურნეობის თავმჯდომარის საყვარელია, არშიყობაში გატარებულ დღეებსა და ღამეებს შრომადღეებში უთვლიან“.

ამას ამტკიცებდნენ ქეთუა და მარუა, თუმცა დღენიადაგ თავათ ხედავდნენ, როგორ გათანგული ბრუნდებოდა ნუნუ კოლმეურნეობის ფართობიდან. მთელი წლის მანძილზე გოდერძისადმი ცხოველური სიძულვილით დაბრმავებულმა უჯირაულთა გვარის თავკაცებმა შეიძაგეს ნუნუ. გოდერძის „სათრეველა ხასას,“ „გვარის შემრცხვენელს“ უწოდებდნენ მას.

ყოველი დროის ცილისმწამებლებს კარგად სცოდნიათ, რომ ადამიანის უსასტიკესად დასჯა მხოლოდ მაშინ ხდება, როცა მას სწორედ იმაში დასდებენ ბრალს, რის წინააღმდეგაც თავათ იბრძვის იგი.

გოდერძის ინიციატივა იყო აბრიას პასუხისგებაში მიცემა, ბოლოს გოდერძის თავმჯდომარედ არჩევის შემდეგ უსასტიკესი ზომები ჩაატარეს სოციალისტური ქონების მიმთვისებელთა წინააღმდეგ.

არც ის გამოპარვიათ ცილისმწამებლებს ოდესმე, უდიდესი და უმტკიცესი ცილისწამებისაგან, შესაძლოა უმცირესი ჩრდილი მაინც მიადგეს ძას, ვისაც ცილი დასწამეს.

ეს ჭეშმარიტებაც მინიშნებული ჰქონდათ უჯირაულთა უხუცესებს; თუ გსურთ ღირსეულს მიაყენოთ ჩრდილი, ულირსის ქებას უნდა მიჰყოთ ხელი.

ვიდრე თედო თარალაშვილი კოლმეურნეობის თავმჯდომარედ იყო, მუდამ მის ლანძღვაში იყვნენ როგორც აბრია, ისე დანარჩენი მოხუცებული შავსოფლელები. „ბეყეირათს“, „უქნარას“, „შუშუტას“ ეძახდნენ ძას, მაგრამ, როგორც კი გადააყენეს თედო, მათ ერთბაშად კეხი შეაბრუნეს და ისეთი სიქველენი მიაწერეს თედოს, რო-

მელთა გამოჩენისათვის არც კი უფიქრია მას. დიდი ხელმომჭირნე, შორსმჭვრეტელი და მშრომელი თავმჯდომარე იყო თედო.

ყიამყრალებმა პირი შეჰკრეს ერთობლივ, დაბეჯითებით ამტკიცებდნენ: ორასი შრომადღე ზედმეტი გამოუწერია გოდერძიმ თავის „საყვარელს“ ნუნუს, სწორედ ამის მეოხებით შესძლო ამ უკანასკნელმა სახლის და გომურის შეკეთება.

ქეთუას, აბრიას და სხვა შავსოფლელებს აჰყვა ნათია თარალაშვილი, იგი გოდერძისადმი უნუგეშო სიყვარულით გაბოროტებული ისეთ ფანტასტიურ ამბებს თხზავდა გოდერძისა და ნუნუს „ღამეული შეხვედრების“ გამო, რომელთა გამოგონება მრავალნაცად რომანისტსაც გაუძნელდებოდა.

ნოემბრის დამლევს გოდერძი ელანიძე ყვარელში გაიძახა რაიკომის მდივანმა მეცხოველეობის თათბირზე დასასწრებლად. იმავე დღეს თელავს წარგზავნეს მევენახეთა თათბირზე ბერმუხის კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანი ცისკარიშვილი, ბრიგადირები — შველა გაბადაიძე და ნუნუ უჯირაული.

ქეთუამ, მარუამ და ნათიამ ხმა დაარხიეს ბერმუხაში: გოდერძიმ და ნუნუმ მივლინება მოიმიზეზეს, თბილისს გაიპარნენ, რათა საწოლები, ბუფეტი და რბილი ავეჯი ჩამოიტანონო ახალი ოჯახისათვის.

შემთხვევითობა უცნაურ როლს ასრულებს ადამიანთა ყოფაშიაც. სწორედ იმ დღეს, როცა ნუნუ თელავიდან ბერმუხას უნდა გაბრუნებულიყო, მის მიერ სამი წლის წინათ შეძენილ ობლიგაციას ათი ათასი მანეთი მოეგო ერთი თვის წინათ... სიხარულისაგან ცას ეწია ქალი. თელავში მან მართლაც იყიდა ორი საწოლი, მაგიდები, სუფრა, სკამები, საზაფხულო და საზამთრო ტანისამოსი, ტუფლები, კაბები და წინდები, დიდძალი საჩუქრები მალხაზისათვის. სატვირთო მანქანას შოფერი აიყვანა ერთი ბერმუხელი — და, ვიდრე გოდერძი და ბრიგადირები სოფელში ავტობუსით მიბრუნდებოდნენ, ნუნუმ ჩამოასწრო მათ.

როცა მანქანა ეზოში შემოვიდა, ქეთუა ძროხას წველავდა. მალხაზი ეზოში კოჭაობდა. შოფერმა ახალნაყიდი ნივთების მანქანიდან ჩამოლაგება დაიწყო. მალხაზი ჯერ გახარებული გადაეხვია ნუნუს, მერმე ბოსლისკენ გაიქცა და უცნაური ყვირილით ამცნო დედამისს: ჩვენი ნუნუ „დამდიდრებულაო“, და ისევ მოკურცხლა.

ქეთუას სული ყელში მოებჯინა, ეგ უნდოდა, საქმისათვის ხელი შეემვა, და მყისვე გაქცეულიყო შინისაკენ, მაგრამ ბოსლის მახლობლად მოჩალიჩე ლორს ველარ ანდო რძით სავსე ქვაბი.

ქეთუამ სწორედ მაშინ მოუსწრო ნუნუს, როცა მას ჩემოდანიდან ამოჰქონდა მალხაზის საჩუქრები: საზამთრო პალტო, ბლუზა, შარვალი, ფეხსაცმელები და ახალი კალოშები. მალხაზმა არაფრად ჩააგდო ისინი, შიშველ ფეხზე კალოშები ჩაიცვა, გამალებული ეცა ცხენჯოხს და უკვე შეღერებული ყმაწვილი აღტყინებული შემოახტა მას. საკვლებით ჩვეულებრივი სათამაშო იყო ეს ცხენჯოხი, საკმაოდ ულაზათოდ გამოჩორგილი, გრძელ ჯოხს თავზე წამოცმული ჰქონდა აღვირიანი ცხენის თავი. ეს იყო და ეს, მიუხედავად ამისა, მალხაზი უცნაურად აღტყინდა მის დანახვისას, ზედაც არ შეხედა დანარჩენ საჩუქრებს.

ქეთუა გაოგნებული იდგა კარის ალაგთან და ვერ გაეგო, ეს ყოველივე სიზმარი იყო, თუ ჩვენება? შოფერი წასული აღმოჩნდა, იცოდა მალხაზისაგან ვერაფერს გაიგებდა, აღარ იცოდა რა ექნა, რა მოემოქმედა? თავათ ნუნუს ვერაფერი გამოჰკითხა, რადგან დაუბრებული იყო მასთან.

ამ დაუბრებას თავის მიზეზი ჰქონდა. სწორედ იმ ღამეს, როცა კობერიძეს სცემა კანკრემ, გვიან შინ მიბრუნებულ ქეთუას დაბეჯითებით მოსთხოვა ნუნუმ, დაუყოვნებლივ მოეძებნა კობერიძე და მის მიერ ნუნუსათვის მოტანილი საჩუქრები უკან დაებრუნებინა.

ქეთუა დაჰპირდა: თავში მივახლიო კობერიძეს თავის ჭინჭებს, წაიღო კიდევაც ისინი სადღაც, ბოლოს ნუნუმ შეინიშნა: ქეთუამ ისევ მოიტანა ისინი, ხან ერთ კაბას გადაიცვამდა, ხან მეორეს, ხოლო ტუფლებს უკვე მოქცეული ჰქონდა ქუსლები.

ეს იყო და ეს, ამ დღიდან ნუნუს ხმა არ გაუცია დედინაცვლისთვის. მეზობლიანთ მარუას პირით ასეთი მობოდიშება შემოუთვალა ქეთუამ გერს: ნუნუს რა ესაქმება, ეს საჩუქრები მე მიფეშქაშაო კობერიძემ.

ახლა ასეთი „გაუგონარი სიმდიდრის“ საკუთარი თვალით მხილველმა ქეთუამ უკვე დაბეჯითებით ირწმუნა მის მიერვე მოჭორილი ამბავი გოდერძის მიერ უკანონოდ „გამოწერილი“ ორასი შრომადღის ამბავი.

სული სხეულში არ ეტეოდა, აღარ იცოდა, ვისთვის ემცნო ეს ყოველივე პირველად. სასწრაფოდ შეინახა რძის ქვაბი და მარუასთან გაიქცა აქელებული.

შავსოფელში ადამიანის ხმა არ ისმოდა, ქეთუა გამალებული მიდიოდა ჩამობნელებულ, უკაცრიელ შუკაში, ეზოებში ნელ-ნელა წყდებოდა ადამიანების ჩქამი და საქონლის ბღავილი. ნატრობდა ქეთუა: მარუსას მისვლამდის თუნდაც ერთი ნაცნობი შეხვედროდა და თავისი გულის ჭირი გაეზიარებინა მისთვის.

ორიოდე კომკავშირელი გზაში შეეხეჩა, კრებიდან მომავალი, მაგრამ რა აზრი ჰქონდა მათთვის გულისტკივილის განდობას. მარუას დაფეხვილი ქოხიდან ძაბუნი სინათლე გამოკრთოდა.

მარუას ეზოსთან მისულმა ერთი დაიძახა „მარუა“. გაავებული ძაღლი მოვარდა ჭიშკართან, ყეფა [illegible] მარს.

ქეთუამ კარგად იცოდა, რომელიღაც მოხულიგნო შოფერის მანქანამ რომ გაიტანა მარუას ძაღლი, ქეთუა ბევრს ეფერა შორიდან ახალს, მაგრამ მყეფარი არ აპირებდა ლმობიერების გამოჩენას, უარესად გაავებული უყეფდა ქეთუას. ერთი მიაწყევლა ქეთუამ იმ „ქარაფშუტა მარუას“, შინ არაფერი აქვს და რომელი მემამულე ისა მყავს, მეორე დღესვე გაიჩინაო ძაღლი, ახლა ნათიას სახლისაკენ გაეშურა.

აქაც მოსდია „უიღბლომ“ ქეთუას. ნათია და მისი მეგობარი ელიკო, კინოდან შინმობრუნებულნი, ახალი ფილმის გამო საუბრობდნენ. ოთახში საამურად გუგუნებდა თუნუქის ღუმელი. ქალები გარს უსხდნენ და წაბლსა სჭამდნენ.

ნათიამ წაბლი შესთავაზა ახალმოსულს, მაგრამ დანა პირს არ უხსნიდა ქეთუას, უკანვე დაუბრუნა წაბლით სავსე თეფში.

„რა მოგსვლია, ქა, რად ჩამოგტირის თავპირი?“

„არაფერი, შეუძლოდა ვარ, გო“, იცრუა ქეთუამ.

ქეთუა გაავებული შესცქეროდა ელიკოს, რას უცდის ეს. გომბიო, რად არ წამავდებაო აქედან. ქეთუას გულში შიშხინებდნენ წარმოუთქმელი სიტყვები სიავისა და ძაგებისა, აგრე ეგონა, სადაცაა გული გაუსკდებოდა და ისინი თავისთავად ამოხტებიანო მისი თხელი, სიფრიფანა ტუჩპირიდან.

ელიკო ოჯდა და ახალ ფილმში ნანახ კაბებსა და ტუფლებს აქებდა. თავათ ნატრობდა იმ მოსასხამებს, ქუდებსა და მაკინტოშებს, რომელთაც უკანასკნელ მოდად სთვლიდა იგი. ქეთუამ ჯერ სევდიანად უსმინა ამ ხოტბას და მერე სახეში შესცინა ნათიას და უთხრა:

„სწორედ ასეთი მაკინტოში, ასეთივე კაბები და ტუფლები ჩამოიტანა ერთმა ქალბატონმა წელან“.

ვინაო? დაინტერესდა ნათია.

„არაფერი, მერმე გეტყვი“, სთქვა მიკნავებული ხმით ქეთუამ.

ელიკო მიხვდა რაღაც „დიდი საიდუმლოს“ საუწყებლად მოსულაო ქეთუა, მაჯის საათს დახედა და წასვლას დაადგა. ნათია წამოეპოტინა თავის მეგობარს მკლავზე, დაჯეო ცოტა ხანს, ისევ შესთავაზა ცხელი წაბლი. ქეთუას გული უთრთოდა, ვაითუ კიდევ დარჩესო სტუმარი, კარებამდის მიაცილა ნათიამ ელიკო და ამ დროს გასკდა ღადარში ჩაგდებული წაბლი. „უიმე“, იყვირა ქეთუამ და სკამიდან გადავარდა.

როცა ნათიამ წყალი ასვა სტუმარს და მოასულიერა, ქეთუამ სთქვა:

„ეგრე მეგონა, თოფი გავარდა-მეთქი, გო“. ნათიამ ხელახლა მიაწოდა ქეთუას წყალი.

„გული საგულეს აღარა მაქვს, გო, სულ უსიამოვნება...“

„რა მოხდა, ქეთუა?“ იკითხა ნათიამ.

„ხომ გამართლდა ჩემი ნათქვამი. გაწკიპული მანქანით ჩამოიტანა ნუნუმ უამრავი ავეჯი, ათასგვარი კაბები და ტუფლები, სწორედ ისეთი ფასონის, როგორც კინოში გინახამთ წელან“. და მოჰყვა ქეთუა ამ „აურაცხელი“ სიმდიდრის აღწერას.

„ნუ მკითხავ, ნუ მკითხავ, გო, რადარაგვარი მაკინტოშები, რა საწოლები, რა სუფრები, კობერიძის საჩუქრები ვის დაკარგვია, ზღაპრებში თუ გამიგონია ისეთი სიმდიდრე, გო. ამდენი რამ ჩამოიტანა, გო, მხოლოდ ერთი გატყაული ხის ცხენი ჩამოუტანა ავადმყოფ ბავშვს“, ამბობდა ქეთუა.

ნათია გაშრა და სიტყვა ვერ დასძრა, ხოლო ქეთუა გამალებული აჭარტალებდა ენას:

„აბა რა გგონია, გო, ანგრე კარგია კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოფეერება. შენც ბევრი გდია გოდერძის, ბედი კარზე გადგა, მაგრამ გაიპრანჭე, ახლა მოდექი და სდიე შენს ელიკოს და მეზობლიანთ თინიას. რა გამოდის გომბიოებთან მეგობრობისაგან, გო. რა ენაღვლება გოდერძი ელანიძეს, ჩვენს ნაოფლარს თავის საყვარლებს უწერს. ხუმრობაა ორასი შრომადღე, გო? განა შენ ნაკლებად შრომობდი? მე, თედო თარალაშვილს არ გავყავდი ფართობზე, რაც გოდერძი დანიშნეს, თვეში ოცდახუთ დღეს გავყავართ, ავადმყოფი ბავშვის პატრონი“.

ქეთუას არ დასცალდა გოდერძისა და ნუნუს ძაგებით გულის მოოხება, მეზობლიანთ თინიამ შემოჰყო თავი. ქეთუამ კარგად იცოდა გოდერძის შორეული ნათესავი იყო თინია, შეეშინდა: ვაითუ გამცესო თინიამ, ხმა ჩაიკმინდა და წაბლს დაუწყო კვნეტა, როცა თინიაც მადიანად შეექცა წაბლს, გულამრეზილი წამოდგა ქეთუა.

„რა გეჩქარება, დაიცა, ქა“ მიაძახა ნათიამ; არც იგი იყო მაინცდამაინც კმაყოფილი სტუმრის შემოსწრებით, რადგან მას გული მოოხებული არა ჰქონდა გოდერძისა და ნუნუს ძაგებით.

„აბრიასთან საქმე მაქვს,“ მოიბოდიშა ქეთუამ.

„მაშ კარგი, შესაძლოა მეც გამოვიარო გვიან“. წაიდუდუნა ნათიამ და კარამდის მიაცილა სტუმარი.

ვიდრე აბრიასას მიაღწევდა ქეთუა, შინ გავლა განიზრახა, რათა ენახა, მალხაზი თუ დაწვაო დროზე. ეზოში შესულმა თვალი მოჰკრა, წოწოლა ბიჭი ცხენჯოხს დააჯირითებდა აივანზე, ყიოდა, ყიჟინებდა, ისე გახარებული, თითქოს ნამდვილ ცხენზე მჯდარიყო.

„ვაი დედიშენის შავს დღეს, — გაიფიქრა ქეთუამ, — შენი თანაკბილა ბიჭები სკოლაში ფრიადოსნები გახდნენ და შენ კი ცხენჯოხს დააჯირითებ ამ ღამეში“, ეს გაიფიქრა ქეთუამ და ისევ გავიდა ჩამობნელებულ გზაზე.

ღელვისა და ქოთქოთისაგან ქანცმილეული იყო ქეთუა, ერთი ახედა აბრიას სახლისკენ მიმავალ ცერაღმართულ ბილიკს, ძლიერ დაეზარა ამ სიბნელეში გზის განგრძობა, მაგრამ ეს იყო, გული შეჯერებული არა ჰქონდა ბილწსიტყვაობით, და ოფლში გაღვარული შეუდგა ალმართს.

აბრიას ეზოში საოცარი გნიასი ასტეხეს ბომბორა ცხვრის ძაღლებმა, იერიში მიიტანეს სტუმართან, მაგრამ, როგორც კი მათ მეთაურს მოესმა ალერსიანი „ბროლავ, ბროლავ“, მან კუდის ქიცინი დაიწყო და დანარჩენებმაც დაზავება არჩიეს.

შუაცეცხლს მისხდომოდნენ აბრია და მისი ძმები. უზარმაზარი ქვაბი იდგა სამფეხზე, ღორის შიგნის საამური სუნი ეცა ქეთუას. ახლად გატყაული ღორი ეკიდა შუა ცეცხლთან ახლოს, კაჩხაზე.

მაო დაფათურობდა, ფეხმონგრეულ, დაბალ სუფრაზე ალაგებდა შოთი პურებს. როცა მაომ ქვაბიდან ამოიღო ორთქლიანი ჯიგარი და სუფრაზე დაალაგა გულ-ღვიძლი, ელენთა და ფილტვები, უცნაური შიმშილი შეიცნო ქეთუამ, რადგან მას განსაკუთრებით უყვარდა ღორის ელენთა და ფილტვები.

ახალმოსულმა წაუსწრო ძმებს შორის ატეხილ პაექრობას, ახალი სენსაციური ამბის გამო ატეხილს. ეს ამბავი შეეხებოდა თეთროს შინიდან გაქცევას. აბრია გაავებული ბრდღვინავდა: როგორ გაბედა მისმა შვილიშვილმა თეთრომ ჯერ შინიდან გაქცევა და მერე იმ „უნიფხო კოხივთან“ ლალბაწასთან ხელის მოწერა.

ფოცხვერი უფრო ზომიერად მსჯელობდა. სტეფანე მარტიაშვილი არცთუ ურიგო კაციაო, ლოთობას მოეშვა, ახლა კოლმეურნეობაში კარგადა აქვსო საქმე, ორას ორმოცდაათი შრომადღე მოაგროვაო, მალე ბრიგადირი გახდებაო. თეთროს ერთადერთი დანაშაული ეგაა, პირველ ქმარს რომ გაექცაო.

აბრიამ გაჰგლიჯა ღორის გული, თავისი ძალოვანი ღოჯებით დალეწა, მადიანად გადასანსლა და მერე შეულრინა ძმას, რომელსაც ჯერ კიდევ „ბიჭავს“ ეტყოდა, თუმცა ეს „ბიჭა“ სამოც წელს იყო მიღწეული.

„რას ამბობ, ბიჭავ, შენ თავათ არ იცი, რას ბრძავ. დიაცი უკითხავად არ უნდა გაჰყვეს ქმარს, ეგეც იცოდეთ, ვინც პაპის ან მამის უკითხავად ქმარს გაჰყვება, იგი უკითხავადვე გაექცევა როგორც მეორე, ისე მესამე ქმარს. აბა ნახეთ, თუ იმ ყლანწო ლალბაწასაც არ გაექცეს თეთრო“. მერმე მოჰყვა აბრია უწმაწურ ღაღადისს იმის გამო, თუ როგორ „გაუფუჭეს“ მას „ანგელოზი“ თეთრო ჯომკავშირში.

ქეთუამ თავი მოიკატუნა უჯირაულთა უხუცესების წინაშე.

„მე ერთს ვიტყოდი, პაპა აბრიავ, ქალი დიაცაც უნდა წავიდეს ოჯახიდან, რადგან დიაცს არა მართებს მამის, ან პაპის ოჯახში დიდხანს მოცდა. მამაჩემი ჭკვიანი კაცი იყო და მისგან მაქვს განაგონი: გაუთხოვარი ქალი ოჯახის წყევლაა, ამბობდა მამაი“.

„ენა დაიმოკლე, იავოჰ, შეუბღვირა აბრიამ სტუმარს. მამაშენის მიერ ჭკვიანურად გაკეთებული კუბოები ბევრი მინახავს, მაგრამ ერთი შენ გაგაკეთა ჭკვიანი. კუბოს საქმე აგრეა, შვილოსან, რაც უნდა უჭკუოდ გააკეთონ მაგ ტიალი, მკვდარი ვერსად გაექცევა კუბოს. ჰე, ჰე. მამაშენს რომ ჭკუა ჰქონოდა გობრონს არ გაატანდა შენს თავს. ჩემი ძმისშვილი იყო შენი ქმარი, მაგრამ იგიც ქარაოცი იყო, რამდენი ვემუდარე მას, ნუ ირთავ-მეთქი მეორეხელ ცოლს, ცოლს დიდი ცომი უნდა-მეთქი, შვილოსან, ჩემი იმედით მოგიყვანა მან. ახლა რა გამოვიდა, იავოჰ, შენ დღეს-ხვალ გათხოვდები და ის უბედური მალხაზი ჩემი სარჩენი დარჩება, ხომა?“.

ქეთუამ ხმა გაკმინდა ამჯერად, გუნებაში იამა, აბრია რჩენას რომ უპირებდა მალხაზს, ქეთუას გათხოვების შემთ-

ხვევაში. მოკრძალებულად მისწვდა მაოს მიერ დათრეულ ელენთას. მცირე ხანს სჭამდა ბოლოს თქვა:

„ერთი მიბრძანე, პაპა აბრიავ, მაშ ეგა სჯობს, ნუნუ რომ შინა გვყავს გაუთხოვარი? მთელს სოფელში თავი გეჭრებათ უჯირაულებს, კოლმეურნეობის ბეღლებში და სათივეებში დაათრევს გოდერძი“.

„გაუთხოვარი ქალი და გაუსვენებელი მკვდარი ერთიდაიგივეა, იავოჰ, მემრე შენ რა გააკეთე. კობერიძეს რად არ გააყოლე მაგ გომბიო. ეგეც შენი უჭკუობა იყო, იავოჰ, ის გადარეული კანკრე არ დაგვეპატიჟებინა და კანკრეს არ ეცემა სტუმარი, ის კობერიძე შეირთავდა ნუნუს“.

„მე აგრე მეჩვენება, ქეთუა, — სიტყვა ჩააკერა უთიმ, — ის კობერიძე შენთვის უფრო გინდოდა, არა?“.

ქეთუამ ლოყებზე ხელი შემოიკრა, ანგელოზები დაიმოწმა, მალხაზი დაიფიცა, კობერიძე თუ ნუნუსთვის არ მომეყვანოსო.

„არა, გამოტყდი, ქეთუა, — უთხრა აუღელვებლად ლუომ, — საჩუქრები ხომ შენ დაგრჩა არა?“

„ნუნუმ არ მიიღო, კობერიძემ არ წაიღო, აბა ქუჩაში ხომ არ გადავყრიდი საჩუქრებს“. თავი იმართლა ქეთუამ.

ახლა „უკანონოდ გამოწერილი“ ორასი შრომადღის ამბავი წამოიწყო ქეთუამ და საჩუქრებით „გაწკიპული მანქანით მოტანილი ზღაპრული სიმდიდრე“ ახსენა. ამ ამბავმა დიდი აღშფოთება დაატრიალა მოხუცებულ უჯირაულთა შორის.

ამასობაში მოაღწია ნათიამ, დამხვდურებს მიესალმა და ქეთუას ამოუდგა გვერდით.

ფოცხვერიმ სთქვა:

„ახალგაზრდა კაცი არ უნდა აგვერჩია თავმჯდომარედ, უცოლო კაცი საყვარელს გაიჩენს, აბა რაღას იზამს, ხოლო საყვარელს საფანელი უნდა, შვილოსან, არა?“

უთიმ სთქვა:

„თედოს კიდევაც რომ ნდომოდა რაიმეს მოპარვა, ნაპარავი რაში დასჭირდებოდა, არა? კუჭი ჩაქცეული აქვს ციხეებში ნაშიმშილარს, ერთი გამოყრუებული უკბილო დიაცი უგდია სახლში, წანდილის მეტი არაფერი ეჭმევა“.

ნათიამ დიდხანს უსმინა მოხუცი უჯირაულების ჯაჯღანს, გოდერძისა და ნუნუს ძაგებას, ბოლოს ასეთი რამ განაცხადა:

„ეს ლაპარაკი ვერას უშველის საქმეს. მთავრობას მისწერეთ ეს ყოველივე, ეგა სჯობს“.

აბრიამ არაყი გადაჰკრა, უცნაურად დაემანჭა სახე და დაიბუზუნა:

„მივწეროთ? ჩვენ რა უნდა მივწეროთ, ქალავ, არც ერთ მთავრობას წერა-კითხვა არ უსწავლებია ჩემთვის. მე როცა ცხვარს ვითვლი, იმის ჩამოწერაც არ შემიძლია, კომბალზე ვინიშნავ ნაჭდევებს. რომელი მწერლები გვნახეთ ჩვენ. ახალგაზრდები თქვენა ხართ, შვილოსან, წერა თქვენ გასწავლათ თქვენმა მთავრობამ, ბარემ თქვენ მისწერეთ, შვილოსან“.

„მივწერ, დიახაც მივწერ, პაპა აბრიავ, ოღონდ თქვენ უკან არ დაიხიოთ, როცა თბილისიდან კომისია მოვა. თქვენ რა გგონიათ, ის ორასი შრომადღე საიდან აიღო გოდერძიმ? ყოველი თქვენთაგანის სარჩოდან, მთელი სოფლის სარჩოდან, ხომა?“.

ლუომ სთქვა:

„მართალს ამბობს ნათია, რა გამოვა, აქ კერის პირად რომ ვლანძღოთ გოდერძი, ამას მთავრობა რას გაიგებს. ჩვენ რას მივწერთ, ნათიამ მისწეროს“.

ფოცხვერიმ სთქვა:

„ნუნუმ შეგვარცხვინა, უჯირაულები, მაგრამ მაინც ჩვენი სისხლი და ხორცია. შენ რას იტყვი, აბრიავ, ჰა?“

აბრიამ მწარედ გაიცინა:

„რას მიჰქარავ, შვილოსან, კარგია სისხლი და ხორცი ჰე, ჰე... მე წურბე-

ლები დამისხამს ქეჩოზე და წამხდარი სისხლი მომიცილებია, ჰე, ჰე“...

მაომ დიდხანს უსმინა შეზარხოშებულთა როხროხს, აბრიას გვერდით დაუცუცქდა, იდაყვები მუხლის თავებზე დაიდო, ორივე ხელები შემოიჭდო დამჭკნარ ლოყებზე და წაიდუდუნა:

„მე ვიცი, აბრია მომახლის: კაცებო, ქალის ჭკუა თხამ სჭამაო, მაინც უნდა ვთქვა მეცა: გოდერძი დიდი კაცი გახდა, აბა, ნუნუ თქვენ შვილიშვილად გერგებათ, ოთხივეს. თუ გოდერძი ნუნუს შეირთავს, ეგ ხომ თქვენთვისაც კარგია, არა?“

აბრიამ დაუტატანა ცოლს:

„ხმა ჩაიწყვიტე, იავოჰ, მართლაც თხამ სჭამა შენი ჭკუა. შეირთავს კი არა, ბისტი, ნუნუსთანა გომბიოები რამდენი უთრევია გოდერძის“.

ნათია აილეწა, ამის გამგონე. რატომღაც ივარაუდა, მასაც გოდერძის მიერ „ნათრევად“ გულისხმობდნენ მოხუცი

უჯირაულები, ბრაზი წაეკიდა გულზე, მაგრამ არაფერი სთქვა და ცეცხლს ფაშტერდა გულგასენილი. აბრიამ კიდევ გამოსცალა ერთი ჭიქა არაყი, ძმებსაც უწილადა იგი, მერე გაავსებული, ჭრუტა თვალები მიანათა ნათიას და უთხრა:

„შენ მისწერე, ნათიავ, ყველაფერი მთავრობას, იგემოს გოდერძიმ, თუ რა ტკბილია პროკურორის კარზე ტალახის აყენება, ჩვენ უკან არ დავიხევთ, ოღონდ შენ მისწერე, ნათიავ“.

მინაწერი:

თბილისიდან ჩამოსულ კომისიას დიდხანს მუშაობა არ დასჭირვებია, ბერმუხის კოლმეურნეობაში ყველაფერი რიგზე აღმოჩნდა და, როცა ნუნუმ მოგებული ობლიგაციის ნომერი ჩააწერინა ამ კომისიის თავმჯდომარეს და ტელეფონით შეამოწმეს ეს ამბავი თელავის შემნახველ სალაროში, ყოველივე ნათელი გახდა.

წვიმა

დიდხანს იმძვინვარა იმ წელს ზამთარმა. კავკასიონიდან გადმოვარდნილი გრიგალები ზედიზედ ლაშქრავდნენ ალაზნის ველს. მკაცრმა ყინვებმა დაშარტეს დურუჯის ხეობის წყაროები. კბოდეებზე გადმოღვარული ნაკადულები ვერცხლის ლუსტრებივით ჩამოეკიდნენ ფლატეებს.

კოლმეურნეობის საგაზაფხულო საქმიანობა საგრძნობლად შეფერხდა, გაჭიანურდა დოლი, საგაზაფხულო ხვნა ძლივს მოათავეს ტრაქტორისტებმა. ბრიგადირები და მერგოლურები ამაოდ ცდილობდნენ, სტიქიის უგუნურ ბობოქრობას გამკლავებოდნენ როგორმე.

დილიდანვე ნისლი დავარდებოდა ხეობებში, ნისლში იფლობოდა არა მარტო კავკასიონი, წინკლდეებიც მოეცვა ნისლს, ნისლი გადაეფოფრა გველეთის ზეგანსა და ალაზნის ველს, ასე რომ ჰორიზონტების დახშვის მეოხებით სავსებით დაპატარავდა ბერმუხა, კაცს ეგონებოდა, ამ პაწია სოფლის გარშემო აღარაფერი არსებობსო ამქვეყნად. ადამიანისა და საქონლის მკრთალი სილუეტები სიზმრის ქიმერებივით დალასლასებდნენ ნისლში.

მარტის მიწურულში დაიწყო თქორი, ისეთი დაჟინებული და მონოტონური, როგორც ტროპიული წვიმები.

უკანასკნელად მთლად თავაწყვეტილი ქარბორბალა გადმოიჭრა ლეკიმთიდან, ღრიალით მოჰყვა დურუჯის ხეობას, ორბები წამოჰყარა, კლდეთა ნაპრალებში მყუდროდ შეყუჟულნი. ცხვრის ფარეხები მილეწა ხევის თავებთან, ზათქითა და ბუბუნით ეკვეთა გველეთის ზეგანს, მუქარით გადაუქროლა ნაციხარებს, ნასაყდრალებსა და ნასახლარებს, ახალ ნაგებობათა ხარაჩოები ალაგ-ალაგ დაანგრია, უფსკრულში გადაუძახა ქარაფების კიდეებზე მდგარ ასწლოვან მურყანებს, ეკვეთა ალაზნის პირად განმარტოებულ ბერმუხას, ორიოდე შტო კი-

დევ ჩამოლეწა, კოლმეურნეობის ფარდულებს სახურავი გადააძრო, ბრესავით აისროლა ყავარი ჰაერში, გზა გადაუჭრა ალაზნისკენ მომფრინავ წეროებს, რომელნიც მხედრული წესით გაწკაპულნი მოფრინავდნენ ცაში, მათი სასომიხდილი ყივილი გახმიანდა ეთერში.

საღამოს დაიწყო ტლაშუნა მერეხი, ნიაღვრები დაიძრნენ მთებიდან ზათქით, ამომშრალ ხევებსა და ნაღვარევებს მიჰყვნენ, წყლით გაივსო ირმის ტბის კალაპოტიც, ელსადგურის შლუზები დააზიანა წყალმა, სამ ადგილას გაარღვია ბეტონირებული სამარქაფო არხი.

მთელი ღამე არ ეძინა დაზაფრულ გოდერძის, მისი მღელვარება პაპა მიქელასაც გადაედო, გარიჟრაჟზე ოდნავ წაეძინა ბაქს, ჯოხის რაკუნმა გამოაღვიძა იგი. პაპა მიქელა ნერვიულად დადიოდა ოთახში, მიდიოდა ფანჯარასთან, ამაოდ აშტერდებოდა მისი ღამენასვამი თვალები ვაგლახად მოღუშულ ცას, წვიმებით მოქადულ ღრუბლების სქელ ჯიქნებს.

გული აუჩქროლდა ამ სანახაობის შემყურე გოდერძის, ხმაგაკმენდილმა საბანი გადაიხურა თავზე.

პაპა მიქელა ეუბნება ბებლიას:

„დავიღუპეთ, ბებლია, წრეულს თუ ცუდი მოსავალი გვექნა, გოდერძის ჩამოართმევენ თავმჯდომარეობას“. ამ უკანასკნელ სიტყვას ისე ომახიანად წარმოთქვამდა უსინათლო პაპა, თითქოს მთავრობის თავმჯდომარე ყოფილიყო მისი შვილიშვილი.

გოდერძი წამოდგა, რამ აგაყენაო ასე ადრე, უსაყვედურა პაპას. ბუხარში ცეცხლი გააღვივა, ხელის გულები მიაფიცხა უსიამოდ შეშფოთებულმა. შესჩივოდა პაპა მიქელას:

„რაღა ახლა უნდა მოხდეს მაინცდამაინც ყოველივე უბედურება, ჰა? ჯერ დოლიც არ მოთავებულა ფერმებში. ასიოდე ბატკანი ნიაღვარმა დამიხრჩო. საბძლები მილეწ-მოლეწა ქარმა, რამდენიმე ტონა ბზე მოგვტაცა. ეგ კიდევ არაფერი, [illegible] ახლად ჩაყრილი ვაზები თუ გადაგვრეცხა ღვარმა. გუშინღამ კოოპერატივის წინ დამდგარიყო აბრია ავსიტყვა. მოშაინობდა: ნახეთ, რა დღე დააყაროს ბერმუხის ზვრებს მთებიდან დაძრულმა ნიაღვრებმა“.

„ნუ დარდობ, შვილო, — კვნესოდა მიქელა, — ლელმა მხოლოდ წინკლდეებში თუ იქნება დაწყებული, ლეკიმთაზე ჯერაც ყინვები მძვინვარებენ ალბათ. თუმცა ვინ გამოიცნობს განგების ნებას, წრეულს იმდენი სთოვა, ზაფხულში, შესაძლოა, წყალდიდობა იქნეს, მაგრამ ღმერთი მოწყალეა, შვილო, განა ცოტა ნიაღვრებს გადარჩენია ქვეყანა მშვიდობით.

ეჰა, სადა ხარ, ჩემო დავსილო თვალის სინათლევ! ერთხელ მაინც მომავლებინა კავკასიონისათვის თვალი, წამსვე გეტყოდი, წყალდიდობა გვექნება თუ არა წლეულს“.

ერთ კვირასაც არ გაუვლია იმ დღიდან, ქარბორბალა ჩადგა, ხანგამოშვებით თქორავდა დილაობით, ბოლოს, როგორც იქნა, გადაიკარა, მსუბუქი ქარი დაერია ღრუბლებს ლეკიმთისკენ მიხერგა ისინი.

ორიოდე კვირას თავგამეტებით იმუშავეს ბრიგადირებმა, მერგოლურებმა და კოლმეურნეებმა, რათა მინდვრის სამუშაოები დროზე მოეთავებინათ, ვაზნარებში მინერალური სასუქების შეტანა, ბარვა, გასხვლა და ვაზის აკვრა მოესწროთ კვირტის დაძვრამდის.

* * *

ქეთუას და მოხუცი უჯირალების მიერ ატეხილი მითქმა-მოთქმის შეოხებით გოდერძი და ნუნუ დაუბრებულებივით ხვდებოდნენ კოლმეურნეობის ფართობებზე ურთიერთს, იმასაც კი ერიდებოდნენ, მუშაობის მოთავების შემდეგ ერთად მიბრუნებულიყვნენ სოფელში.

ნუნუს და გოდერძის დათქმული ჰქონდათ, ბერმუხის ქვეშ შეხვედროდნენ ერთმანეთს დღის ბოლოს, შაბათს.

სანერგე ფარდულებიდან გამოდიოდა გოდერძი, სწორედ ამ დროს თედო თარალაშვილი შემოეყარა წინ. თედო მთელი თვით თბილისს იყო მივლინებული, ამიტომაც საგანგებოდ გაუხარდა მისი დანახვა გოდერძის.

„გამზდარხარ, გოდერძი, რა შოგსვლია, ბიჭო?“

„დავიღალე, ძია თედო“, წაიდუდუნა ვაჟმა.

„ششش, აგეთი რამე არ გამაგონო, ყმაწვილო, დაღლა და დაღონება არც უნდა დასცდეს პირიდან ვაჟკაცს. შენი ჯანი და ჯეელობა მომცა, სპეროზიას მთას გადავახტები, ჩემმა მზემ“.

„არა, ძია თედო, მომეტებული ტვირთი დამაკისრეს. მართალი გითხრა, მეშინია, თავი ვერ გავართვა ამოდენა საქმეებს და შევრცხვე. მე შენოდენა რევოლუციური დამსახურება როდი მაქვს, „განთავისუფლება“ რომ მაკმარონ. ამ ავდრებმა და ქარებმა მთლად მოგვითავეს ხელი, დიდი ზარალი მოგვაყენეს, ალბათ გაიგებდი“...

„ნუ წუწუნებ, ჩემო გოდერძი, პარტია ბრძენია, შვილო, კაი ქნეს, მაგრად რომ დაგტვირთეს, ახალგაზრდებია უნდა იმუშაოთ, აბა ჩვენისთანა საბრინჯე ბებრებმა რა უნდა გავაწყოთ; სამ წელიწადს ველმერთვ ციხისთავს, დავბერდი, დავსნეულდი - მეთქი, ჯანი აღარ მაქვს-მეთქი, მაინც არ მომეშვა, მერმე, ის იყო, იმ წყეული აბრიას საქმეზე წავიტეხე ფეხი. ვენახის ჭკვიანი მსხვლელი არასოდეს ნაძველარ რქას არ დაენდობა, ნორჩ რქებს სტოვებს სანაყოფოდ და სამამულეო...

შენ ახლა დიდი სიფრთხილე და სიფხიზლე გმართებს, გოდერძი, ჩემი ნაუბარი მიიხიშნე, იცოდე, კაცის ვაჟკაცობა ორ რამეში გამოჩნდება ხოლმე: როცა მას დააწინაურებენ და როცა მას დააქვეითებენ, ორივე შემთხვევაში გონიერება და ხნეობა საჭირო, არა მარტო მხნეობა, თავმდაბლობაც, შვილო.

ჩემს შეცდომებზე შენ უნდა ისწავლო, ყმაწვილო, საზოგადო საქმეში მამაშვილური მოპყრობით ფონს ვერ გახვალ თურმე. დანდობილად ნურვის მიანდობ საქვეყნო საქმეს და ქონებას. ბრძენკაცს უთქვამს: ფრთხილი იყავ, შინაც იყვე, შენი საკუთრება, ვისაც გენებოს, იმას მიანდევი, თუ მოგატყუებს, ეგ არის და ეგ, საბოლოო ანგარიშში შენ ერთი დაზარალდები. როცა საზოგადო ქონებას განუკითხავად მიანდობ სხვას და მოგატყუებენ, აქ ორგვარი ზარალია — როგორც შენი, ისე საზოგადოებისა. ამას ემატება სახელის გატეხა და სახელის გატეხას თავის გატეხა სჯობსო, ეგეც გსმენია ალბათ.

ჩვენი უბედურება ისაა, ბევრი რამ თეორეტულად ვიცით, მაგრამ წიგნებში ამოკითხული სიბრძნე ცხოვრებაში ვერ გამოგვიყენებია, ყოველ კაცს რომ შეეძლოს ამოკითხული და განაგონი სიბრძნის გამოყენება, მაშინ ერთ მშვენიერ დღეს დავბრძენდებოდით ყველანი და არც ამდენი ლექციები დაგვჭირდებოდა, არც ამდენი კრებები და ჩიჩინი.

მე ეს ყოველივე ადრეც ვიცოდი, მაგრამ მაინც მომატყუეს, კიდევ კარგი, პარტია ენდო ჩემს პატიოსნებას, ჩემი სიცოცხლე არაერთხელ შემიგდია სასწორზე რევოლუციისათვის, ხალხისათვის, ავკაცობას არ იკადრებსო, აგრე დაასკვნეს, თორემ ამ სიბერის დღეს მოსაკლავი მექნებოდა თავი“.

თედო მცირე ხანს სდუმდა და მერმე განაგრძო:

„დღეს ძლივს წამოვდექი ნაავადმყოფარი, მოდი, აქ დავიმუხლოთ მცირე ხანს“. ესა სთქვა და წიფლის ნა-

მორზე ჩამოჯდა, იქვე გდებული ჩხირი აიღო, ჯიბის დანით დაუწყო თლა.

„იცი, გოდერძი, ძალიან მესიამოვნა, ჩემმა მზემ, შენი კაიკაცობის ამბები გადმომცეს წუხელ. იმ კვირეებში შაბათობა მოგიწყვიათ თურმე შენ და ნიორთავას იმ საცოდავი ლალბაწასათვის. ქარს დაულეწია მისი ქოხი, ლალბაწა და თეთრო გაბედაიძიანთ გომურში ათევდნენ თურმე ღამეს“.

„მე და ნიორთავა მარტონი როდი ვიყავით, ძია თედო, ბარე ორმოცი კაცი გვეხმარებოდა, სასეირო ამბავი იყო, ზოგს აგური მოჰქონდა, ზოგს ქვები, ზოგმა მინები აჩუქა, ზოგმა მზა კარ-ფანჯარა“.

„სანაქებო სახლი გამოგიჭიმიათ, ბიჭებო, ამფერუმ. თქვენს ვაჟკაცობას. კაი ხანია, უცნაურად გამოსწორდა ლალბაწა, არ ვიცი, რა მოხდა, მე ველარ ვცნობილობ ამ კაცს, როგორც იქნა, მოეშვა ბედოვლათობასა და ლოთობას, წინეებში მხრისთავები ჰქონდა გადათეთრებული კირით შეთხუპნილ კედლებზე სიმთვრალეში მიყუდებისაგან, ყურთასმენა არ იყო მისი ღრიალისაგან, დღენიადაგ გაბრანგული დაბორგანობდა.

მახარებს შენი კაიკაცობა, გოდერძი. ბიჭობა ისაა, შენზე დაბლა მდგარს ზევიდან რომ არ დასცქერი, საქმე ისაა. შენს სიმაღლეზე ამოიყვანო შენს ქვემოთ მდგარი, თორემ თავაწეულის წინაშე მუცელზე ხოხვასა და თავშიჩაკრულისათვის წიხლის მიყოლებას ყოველი გაიძვერა იოლად შესძლებს“.

გოდერძის ძლიერ უყვარდა თედოს ტკბილი საუბარი, მაგრამ ეჩქარებოდა, მაჯის საათს დახედა და წამოდგა, თედო მკლავში წაეპოტინა ვაჟს და ეუბნება:

„მე კაი ხანია შენი ნახვა მინდოდა, ყმაწვილო, მაგრამ ქალაქიდან ავადმყოფი დავბრუნდი, ეს სამი დღეა, ვწევარ, დამანელა კუჭის ტკივილმა. რა იქნებოდა, იმ ოჯახქორ ლმერთს უკუჭოდ გაეჩინა კაცი. კუჭია კაცთა მოდგმის უდიდესი მტერი.

ჰო, სათქმელს გადავცდი... იგიც ძლიერ გამეხარდა, ჩემმა მზემ, რევიზია რომ კარგად დამთავრებულა, ხომ დაესხათ ლაფი ანონიმური წერილების მჯღაბნელებს...

კიდევ ერთ საქმეზე მინდოდა გამოგსაუბრებოდი, გოდერძი, მაგრამ, სწორედ გრცხვა, მიმძიმს. ეს ძლიერ სათუთი საქმეა, ადამიანის პირადულ ცხოვრებში ჩარევა, მაგრამ ეგეცაა, მე თუ არ გითხარი, სხვა ვინ გეტყვის, მამა შენ არა გყავს და საცოდავი პაპა-შენი ვერც სიკეთეს ჰხედავს ამ ქვეყნისას და ველარც სიავეს.

ბერმუხაში ჩამოსვლისთანავე უამრავი ახალი ამბავი დამახვედრეს, რევიზიის გამო დადუმდნენ. მე მივახალე ჩემებურად, როყიოდ, ხომ სუფთად გამოვიდა-მეთქი ამ საქმიდან გოდერძი. ახლა გადარჩა, მაგრამ კიდევ იქნებაო რევიზია. რევიზია მუდამ იქნება-მეთქი, ეს სახელმწიფური ლონისძიებაა და, სანამ სახელმწიფო იქნება, მუდამ იქნება-მეთქი რევიზია“.

„მაინც რა უნდათ, ძია თედო, ჩემგან?“ იკითხა გოდერძიმ.

თედომ ჩხირის თლა განაგრძო და სთქვა:

„არ იცი, რა უნდათ? შენ არცთუ დაუკვირვებელი ვაჟი ხარ, გოდერძი. შენი ჯელელობის მიუხედავად, ხანდახან ბრძენკაცად მეჩვენები, ჩემმა მზემ. უჩემოდაც კარგად იცი, წარმატებანი განა მარტო სიხარული მოჰყვება? წარმატებას მტრებისა და მეშურნეთა გაბოროტებაც მოსდევს ხოლმე, შვილო.

ეგეც გეცოდინება, ალბათ, განა მარტო კლასთა ბრძოლაა ამქვეყნად, ზარმაცსა და ბეჯითს შორის, რეგვენსა და ჭკვიანს შორის, უნამუსოსა და პატიოსანს შორის, საქმეში გამარჯვებულსა და საქმეში ხელმოცარულს შორის ბრძოლა წარმოებს ნიადაგ.

იმ დღიდან, რაც ადამიანი წარმა-

ტებას მიალწევს, სახელთან ერთად მტრებს მოიხვეჭს ხოლმე. ალბათ განაგონი გექნება ქართული ანდაზა: „არ ვარგა კაცი უმტერო, მაგრამ არც მტერმოორეული“, იგიც გსმენია ალბათ: ეინც პირველი ფანდური გამოიგონა, პირველი მტერი მანვე გაიჩინაო. ჰოდა...“

აქ შედგა თედო და გოდერძიმ ისევ იკითხა ხმადაბლა:

„მაინც რა უნდათ, ძია თედო, ჩემგან, მე ხომ არ მითხოვია დამაწინაურეთ-მეთქი. ვერც კი წარმოვიდგენდი, ასეთი ნდობის ღირსი თუ გავხდებოდი, ამირჩიეს და ვმუშაობ, რაც შემიძლია ნამუსიანად, ნეტავი მშვიდობით გადავრჩე ამ საქმეს, სანამ ეს მარჯვენა თანა მაქვს, მუდამ ვარჩენ ჩემს უსინათლო პაპას, ჩემს საცოლესა და ჩემს საწყალ დას ბაბლიას, შენც კარგად იცი, უსინათლო პაპის მოვლაში. სკოლის გარეთ დამირჩა ბაბლია. მე კიდევ ვაცი ერთი ორი ხელობა, არმიაში შოფერობა მასწავლეს, ნაცადი არტილერისტი ვარ, მეზარბაზნე. სადურგლო საქმე მემარჯვება, თუ დამჭირდა, ტრაქტორზე დავჯდები, საზეიმოკლო საქმესაც არ დავერიდები. ყამეჩის მოზვერი ვერ გამიძლებს შრომაში. მეტი აღარაფერი მინდა, ძია თედო“.

თედომ მწარედ გაიცინა:

„ჰმ, რა უნდათო? ხომ გაიგონე, რაც წელან გითხარი, შვილო. როცა მთავრობა კაცს აწინაურებს, ყოველი უქნარა და ხელმოცარული აგრე ვარაუდობს: ის რომ არ იყვეს, მე დამსვამდენო მის ადგილას, აი რა უნდათ“.

შენ არ გესაჭიროება ჭკუის დარიგება, გოდერძი, შესაძლოა შენ ჩემზე მეტი აღმოგაჩნდეს ჭკუა, მაგრამ შენ ჯეელი ხარ და გამოცდილება ვერ გექნება ჩემდენი. ამიტომ გეთამამები მამამვილობას. იმ ანონიმურ წერილებში შენსა და ნუნუს სახელს ერთიმეორეს არ აცილებენ“.

„ეს ყოველივე მოხუცი უჯრარულების მოჩმახულია ალბათ“.

„როგორც ამბობენ, ეს ლეგენდა და ფოცხვერი, წერა-კითხვაზე მწყრალად არიან, იმ წერილებს, როგორც ყური გამეხვრიტა, ვილაც ქალი აწერს ხელს. ეს ხომ ხელზე შეეტყობა ნაწერს. ახლა მე ერთ რამეს გეტყვი, თუ საწყენად არ დაგრჩება, გოდერძი. ამ საქმეს თავი უნდ დაადგა როგორმე“.

„რა საქმეს, ძია თედო, არ მესმის?“

„მთელი სოფლის უქნარები შენი და ნუნუს შეხვედრების გამო ჭორაობენ, რა თქმა უნდა. პარტია ჩვენ არ გვიკარნახებს ბერად შედგომას, მაგრამ შენ ჭკვიანი ვაჟი ხარ და უჩემოდაც იცი, ნუნუ, როგორც ბრიგადირი, ასე თუ ისე შენი ხელქვეითია, ეს საკითხი აქამდის უნდა მოგეგვარებინა როგორმე და ყიამყრალებს ჭორაობის საგანი გამოეცლებოდა ხელიდან...“

„რანაირად, ძია თედო“.

„რანაირად? ხელი მოაწერეთ, მორჩა და გათავდა“.

„განა მარტო ხელის მოწერაზეა, ძია თედო, საქმე? ქეთუას შემხედვარე, მე მაგ ოჯახში ზედსიძეი არ მივალ. თუნდაც ქუჩაში რომ მოგვიხდეს მე და ჩემს საცოლეს ღამის გათევა.

ჩემთან, აბა სად მოვიყვანო, ძია თედო. ცოლი; როცა მაგ უბედურ მამიდაჩემს მოუვლის, ისეთ კივილს ასტეხს, მე ტუჩებს ვიკვნეტ სიმწრისაგან. ხოლო პაპაჩემი კერის პირად მდუმარედ მჯდარი თავზე წაივლებს ორივე ხელს, სანამ ბაბლია მიუსწრებს, თმის ბღუჯას ამოაცლის ხოლმე თითებიდან პაპაჩემს“.

თედომ ჩხირი გადატეხა, ბმის გამგონემ. მცირე ხანს დასცქეროდა მიწას, მერმე თავი აიღო, გოდერძის შეხედა გულდაგულ და უთხრა:

„ცხოვრებას არ უნდა შეუშინდე, ყმაწვილო, თუ შეკრთა და უკან დაიხიე,

წაგახდენს. ცხოვრებას უნდა შეუტიო, როგორც კი შეგიძლია, ყმაწვილო“.

„მე რა შემიძლია, ძია თედო, სანამ კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვარ, პაწაწკინტელა ქოხიც რომ ავაშენო, ჩემი მტერმოყვარენი ქვეყანას შესძრავენ, ფანჩატურები აიშენაო. იმ საცოდავმა ნუნუმ ათიათასი მანეთი მოიგო ობლიგაციით, ამ ამბის შეუმოწმებლად ქვეყანა შეუყარეს, ამოაშხამეს საწყალს“.

„მაშ, შენის აზრით, აგრე გამოდის, ყმაწვილო, რაც კოლმეურნეობის უცოლო თავმჯდომარეებია ჩვენს საქართველოში, მათ შორის ვერავინ ვერც ცოლს შეირთავს და ვერც სახლს აიშენებს, არა?“

„ჩემი საქმე აგრეა, ძია თედო, და სხვების რა მოგახსენოთ“. მცირე ხანს სდუმდა თედო, ახლა სხვა ჩხირი აიღო, თლა დაუწყო და სთქვა:

„ აბა ერთ რამეს გეტყვი. მე ავიღებ ჩემს თავზე, შაბათობას გავამართვინებ შენთვის, ერთ ოთახს მიგიშენებთ პაპისეულ სახლზე“.

„ამდენი მასალა სადღა ვიშოვნო, ძია თედო?“

„ჰმ, მასალა... მე კარგად მახსოვს, როცა მიქელამ თვალის სინათლე დაჰკარგა, სწორედ იმ წლის აპირებდა ძველი სახლის დარღვევას და ახლის აგებას, მარნის გვერდით, ფარდულქვეშ თქვენ იმდენი მასალა გაქვთ შემონახული, რატომ ორ ოთახს არ ეყოფა. მე ძველი დურგალი ვარ, შალაშინს ვეღარ დავაჯდები, მაგრამ მეთვალყურეობას გავუწევ. ბოლოსდაბოლოს ხუთასიოდე კრამიტის მოტანა დაგვჭირდება, ეგ არის და ეგ“.

გოდერძიმ თავი ჩაჰქინდრა.

„ჰო, მაგრამ შენი შეწუხება, ამდენი ხალხის შეწუხება...“

„სამაგიეროდ, მთელი სიცოცხლე უნდა ემსახურო იმ ხალხს. ხომ გაგიგონია: ხელი ხელსა ჰბანსო და ორივენი ერთიმეორეს. შენ ნუ გეშინია, მე კიდევ ერთ თვეს დავრჩები აქ, ყველაფერს გავაკეთებ, ოღონდ კეთილი დასასრული მიეცი ამ საქმეს...“

გოდერძი დაფიქრებული მიჰყვებოდა ვაზნარებიდან ბერმუხისაკენ მიმავალ ბილიკს, ღაწვის თავზე წვიმის წვეთი დაეცა, შესდგა და ცას ახედა. გამჭვირვალე ლრუბლის ფრთილები ნელ-ნელა გროვდებოდნენ, მუქი ფორეჯები ლოყაზე დასასხდნენ მოლიბრო ცას.

გახარებული მიჰყვებოდა ვაზების მწკრივებს შორის მიმავალ საცალფეხო გზას. ახალგაზრდა ვაზებს ურთიერთისკენ გაეშვირათ რქები, ზოგი მათგანი თავის ტოლს გადასკვნოდა. ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა მაცქერალს, თითქოს ეუბნებოდნენ კიდევაც ერთიმეორეს: ხელი ხელს მიეცეთ ბიჭებო, მედგრად დავუხვდეთ ქარიფანტია ქარს.

მოეწონა გოდერძის ეს თამამი რქები, ლონთქოში ფოთლები მწვანენი როდი იყვნენ, ოქროში ამოვლებულ ლაზურისფერს გადაიყრავდნენ, უდიდესი მხატვარიც ვერ გამოსახავსო ამ სილამაზეს, აგრე ფიქრობდა გოდერძი, გახარებული მიჰყვებოდა ბილიკს.

გაზაფხულის ტიტინა ნიავი იდუმალ ამბებს ეჩურჩულებოდა მათ, და როგორც აურაცხელი ჩიტი, აქ ყოფნის სიხარულისგან აღტაცებულნი, ააპარპალებენ ფრთებს, თრთიან და ცახცახებენ, ეთერში ასაფრენად განმზადილნი, ისე შეფრინვით შეხაროდნენ ვაზის ახლად გაშლილი ფოთლებს გაზაფხულს, მზესა და აბრეშუმივით ხასხასა ცას.

მიდიოდა ბედნიერი, თავაწეული გოდერძი, ისე მიისწრაფვოდა ნუნუს სანახავად, თითქოს სხვა საღამო აღარ დადგებოდა აწი.

კიდევ დაეცა წვიმის წვეთი ლოყაზე

ვაქს, უკვე ერთი კი არა, ბარე საძი, მცირეოდენი წყენის ჩრდილი მიეფინა მის ბედნიერებას, ვაითუ წვიმა მოვიდეს ამ საღამოს და ნუნუსთან შეხვედრა წამამწაროსო წვიმამ.

მთელ სოფელში არსად საიმედო ადგილი არ ეგულებოდა მას ისეთი, სადაც ჭორიკანების თვალთაგან განრიდებულ მიჯნურებს შესძლებოდათ ერთად ყოფნით დატკბობა.

გოდერძიმ სათითაოდ გადათვალა თავის გუნებაში ყველა მისთვის მისანდობელი ოჯახი. დასკვნა: არსად არ შეიძლებაო შეხვედრა; შავსოფელზე ფიქრიც ზედმეტი იყო, ხოლო ბერმუხის დანარჩენ უბნებში ისე მიჯრით მაწყობილნი იყვნენ ურთიერთზე სახლები, ლანდის უსწრაფესად მოედებოდა ეს ამბავი მთელ სოფელს.

კორინთელის მაკროუბანში შესდგა გოდერძი და დასავლეთს ესროლა მზერა. უჩვეულოდ ვარვარა მზე ნელნელა ინთქებოდა კვერცხის ყვითელისფერ ღრუბლებში, ალუმინისებრ ელავდა ალაზანი წნორებს გადაღმა.

შორს, ძლიერ შორს სავსებით გალურჯებულ პირამიდასებრ მთას თავზე წამოდგომოდნენ სავსებით ლეგა ღრუბლები, ამ ღრუბლებსა და მთას შორის გაბმულიყვნენ ახლადამოლებული აბრეშუმისფერი ლარები წვიმისა.

იმ მთის ქიმზე წვიმსო, გაიფიქრა გოდერძიმ და მოუჩქარა ნაბიჯს.

ვაზნარების კიდეებში აყვავებული ატმები ატკბობდნენ მის მზერას, ახალი ზვრებიდან დაწყებული, ვიდრე ჭალებამდის, გაბნეული ალუბლები ისე გადათეთრებულნი იყვნენ, თითქოს გაზაფხულს დაუდგამსო თავისი კარვები ბერმუხასა და ალაზანს შორის.

პაპისეულ სახლისთვის პატარა ოთახის მიშენების იდეამ, რომელიც თედომ მიაწოდა გოდერძის წელან, უცნაურად ააფორიაქა მისი ფანტაზია. მას უკვე ეოცნებებოდა საკუთარი ოჯახი, საყვარელი, გამრჯელი ცოლი, მასთან ერთად შრომა და ერთად ბრძოლა ნათელი მომავლისათვის.

გოდერძის თვალწინ წარმოუდგა უმცირესი წვრილმანიც თავისი განახლებული ცხოვრებისა. იმ ოთახს ფანჯარა უნდა ექნეს სწორედ იმ მხარეს, სადაც უნაბის ხე სდგას ამჟამად. ოთახის ერთ კუთხეში ბუხარი უნდა გაიმართოს. გოდერძის ძლიერ უყვარს ბუხარი. ეგაა ოლონდ, ერთადერთი ნაკლი აქვს ბუხარს.

თელავში უამბეს მას: ამას წინათ ბუხრის წინ თავის ტოლებთან მოთამაშე ბავშვი პირდაპირ შევარდნილა ცეცხლში და ორივე ხელი დაუფუფქავს.

გოდერძი ასეთ სისულელეს არ იზამს. თუჯის კარები უნდა გაუკეთოს ბუხარს. შინიდან წასვლისას ნუნუს დაუბარებს: უეჭველად მიხუროს ბუხრის კარი.

ახლა ასეთ რამესაც ფიქრობს გოდერძი: რა უნდა დაარქვას პირველ ვაჟს? რა თქმა უნდა, თავისი პაპის სახელი — მიქელა.

გოდერძის ძლიერ უყვარს ცხენზე გადამჯდარი ბიჭების ჯირითი. მათრახებს უტლაშუნებენ თავიანთ მერნებს და ისე ომახიანად ყივიან, თითქოს შეტევაზე მიჰყავთო კავალერიის ესკადრონი.

ამ წუთში თვალნათლივ ხედავს გოდერძი, თუ როგორ დააგელვებს თავის ცხენჯოხს პატარა მიქელა, თითქოს მოესმისო კიდევაც მისი აღტყინებული ყიჟინა...

თუმცა უკვე ნაბიჯებს მოუჩქარა გოდერძიმ, მაგრამ ვიდრე ბერმუხამდის მიაღწევდეს იგი, ავტორს საჭიროდ მიაჩნია მკითხველს შეახსენოს: განა მარტო ი-

ჰბადებს აღტაცებას, რაც უკვე მოცემულია და შექმნილი, არამედ ისიც დიდ აღტყინებას იწვევს, რაც ფანტაზიის მიერ გამონაგონია და შეთხზული.

...და არა მარტო ბალღების გულში...

* * *

„ვაზის ყვავილობის“ მკითხველს ალბათ ახსოვს, თუ როგორ შეხვდნენ ამ რომანის დასაწყისში გოდერძი და ნუნუ ბერმუხის ქვეშ ერთმანეთს. ამჯერადაც დასხდნენ ისინი იმ დალვარეულ ფესვებზე, რომელთაც აქლემის კუზს უწოდებდნენ ბერმუხელები.

მოსვლის უმალვე მოიბოდიშა გოდერძიმ: ძია თედო შემეყარა, საუბარი გამიბა, ამიტომაც დამაგვიანდაო. ნუნუმ არა მიუგო რა, ხოლო გოდერძიმ დასძინა:

„იცი, ნუნუ, მას შემდეგ, რაც შენ შემიყვარდი, ჩემი მოუცლელობის მიუხედავად, რამდენიმე ძველი რომანის გადაკითხვა მოვასწარი. მე სად შევხვდები ამ ავტორებს, მაგრამ შემთხვევა იქნეს და რომელიმე მათგანს რომ გადავეყარო, უთუოდ ვუსაყვედურებდი:

მაინცდამაინც რა საჭიროა-მეთქი ასეთი რამ: ვთქვათ, ვაჟი ქალს ეტრფის, ბევრს იწვალებენ შეყვარებულნი, ათასგვარ დაბრკოლებას გადალახავენ, ბოლოს სადაცაა და ბედნიერებას უნდა ეწიონ, ამ დროს ვიღაც მესამე ჭინკასავით გამოუხტება მათ, ან არა და, მთლად უარესი, ქალს დააჭლექებს ავტორი, ან ვაჟს რაღაც ხიფათი ეწევა“.

„ამის გამო მეც ხშირად მიფიქრია, გოდერძი. ამას წინათ ერთი რომანი გადავიკითხე. ქალსა და ვაჟს თავგამეტებით უყვარდათ ერთიმეორე, მაგრამ ავტორი უგულო აღმოჩნდა, ბოროტმა ენებმა დააშორეს ერთმანეთს ისინი, პირდაპირ გული დამწყდა ამ ამბის გამო... მე არ მიყვარს მითქმა-მოთქმის აყოლა, მაგრამ უნდა გითხრა: ნათია თარალაშვილი [illegible] რამეებს ლაპარაკობს... რომ...“

„აბა მე ერთ რამეს გეტყვი, ნუნუ, ამიერიდან ვერავინ და ვერაფერი გაგვყრის მე და შენ...“ ეს უთხრა გოდერძიმ ქალს და თავისი ძლიერი მკლავი შემოხვია წელზე.

მცირე ხანს სდუმდნენ ორივენი, გასცქეროდნენ ალაზანს გადალმა ღრუბლებში მოჩალიჩე მზეს. ბოლოს ნუნუმ ხელი მოუფათურა დაკორძებულ ფესვს და სთქვა:

„მართლაც, აქლემის კუზს არა ჰგავს ეგა?“

„მე კიდევ გადავიკითხე ერთი რომანი, ავტორმა აქლემზე შესვა შეყვარებულნი და უდაბნოში გაგზავნა.

მე და შენ აქლემის კუზზე ვზივართ ახლა და დიდი, დიდი მანძილი გვიძევს წინ, ალბათ მრავალი დაბრკოლება და ხიფათიც, მაგრამ არ უნდა შევკრთეთ. ძია თედომ გზიანი სიტყვა მითხრა წელან. ცხოვრებას თუ შეუშინდი და უკან დაიხიე, შემოგიტევს და წაგახდენსო“.

ადამიანების ჩქამი მოისმა ალაზნის პირიდან. მეველეები რაღაცას გადასძახოდნენ ერთმანეთს. როცა მყუდროება დამყარდა ისევ, ნუნუმ სთქვა:

„მოდი, აქედან წავიდეთ, გოდერძი, არ მინდა აქ მოგვისწროს ვინმემ“.

გოდერძის გაეცინა:

„კანკრესა ხომ არ გეშინია, ჰა?“

„კანკრე მორჯულდა ვგონებ, როგორც კი დამინახავს, თავს ჩაღუნავს და ნაბიჯს მოუჩქარებს“.

ამის თქმა მოასწრო ნუნუმ და ნაზამთრალი ფოთლების შარიშური მოისმა. ნიორთავა გულდაგულ მოდიოდა მათკენ, ორი მერცხალი ეჭირა ხელში.

„ესენი გზის პირად ვიპოვნე წელან“, სთქვა ნიორთავამ და ხელის გულზე დაიდო მკვდარი მერცხლები.

„მერცხლები ამასწინათ ეწვივნენ ჩემს წისქვილს, ბარე ათიოდე წყვილი ბუდობს მანდ, ეს ორი ალბათ უსახლკარონი ყოფილან, შარშანდელი ნაბარტყევებია, ბუდის აშენება ვერ მოუსწრიათ საწყლებს. წუხელ ციოდა, მიტომაც დალუპულან უბინაოდ დარჩენილები ალბათ.

ხომ გახსოვს, შარშან რა გითხარი, გოდერძი: ბუდე გაიშენე-მეთქი. ახლაც ამასვე გეუბნებით, ჩემო მერცხლებო“, თქვა ნიორთავამ და მის ჭრუტა თვალებში აციმციმდა სიხარულის სხივი.

„სხვა როგორა ხართ, ჩემო მერცხლებო?“ შეეკითხა ნიორთავა ქალვაჟს.

„ყველაზე უკეთესად, ძია სოლომონ, რათ უნდა ვიყვეთ ცუდად, ქარიშხალი ჩადგა, გაზაფხული მოვიდა, ადამიანს სხვა რაღა უნდა, ჰა“.

„ბზისპირიდან სიმღერა მოისმა. ხელაანთ ვანოს ტრაქტორი მიჰყავდა ალაზნის ჭალისკენ ტაატით. ტრაქტორისტი გულიანად მიღიღინებდა:

„საპრეთლით დახვრეტილი ხარ,
არ გირევია სატეხე,
სულ რომ ნარბილში დაძვრები,
ერხელ ყამირი გატეხე“.

„ხომ ხედავ, როგორ გულმხიარულია მშრომელი ადამიანი. რა გულიანად მიიმღერის ხელაანთ ვანო. მე ძლიერ გვიან გავიგე, ჩემო გოდერძი, ამქვეყნად მხოლოდ შრომაა სიხარულის მომნიჭებელი. ამიტომაც უამრავი სიმღერა და ლექსი აქვთ შეთხზული ჩვენს გუთნისდედებს, მწყემსებს, მეხრეებს, დურგლებსა და კალატოზებს.

ამას წინათ თბილისში ვიყავი, რამდენი უსაქმური ზიმზიმებს რესტორნებისა და კინოების შესასვლელებთან, დახურულ კინოებში ჯდომისაგან გამოთაყვანებული ადამიანები დარბიან და დაფუსფუსებენ, ზოგს ს

დან. მე ისეთ ადგილას წაგიყვან, ერთად ყოფნა არავინ დაგვიშალოს, ეჰე, მაღალი, მაღალი კიპაროსები რომ მოსჩანს, საბჭოთა მეურნეობის გადაღმა, ერთი დანგრეული ნასაყდრალია, ადამიანების ჭაჭანება არაა მანდ".

როცა ბორანზე ფეხი შესდგეს, მოღუშულმა მებორნემ ხარბი მზერა ესროლა ნუნუს, უდიერად ახედ-დახედა, მაგრამ გოდერძი რა შეიცნო, თვალი აარიდა ქალს და როყიოდ შეეკითხა ვაჟს:

„საითკენ გაგიწევია გოდერძი?" ესა სთქვა და ორთაყვირს წაეპოტინა.

„გალმა მივდივარო, სათალარ, ნამყენი უნდა გამოვართვა საბჭოთა მეურნეობაში ბიჭებს". უნებურად იცრუა გოდერძიმ.

მებორნე ორთაყვირს მოეშვა, როცა მეორე ნაპირს მიადგა ბორანი, ისევ ნუნუსკენ გაექცა მზერა. ქალს არ მოეწონა მისი თავხედური ჭვრეტა, გაეცალა და ბორნის კიდეს მიაწყდა.

მებორნე ჯიქურ მივიდა გოდერძისთან და ხმადაბლა უთხრა:

„ეგ შენი დაიკო უნდა იყოს, გოდერძი, არა?" გოდერძის გუნებაში გაელიმა, არ უნდოდა ნუნუს ვინაობის გამხელა, ამიტომაც თავი დაუქნია თანხმობის ნიშნად.

„ეგ ისაა, შენს უსინათლო პაპას რომ უვლის, არა? ღვინის ორი წვეთივით ჰგავხართ ერთმანეთს ღვთიამადლსა".

ისევ დაუქნია მას გოდერძიმ თავი, მხოლოდ ამჯერად გაცალებით უფრო უხალისოდ. ოდნავ გაგულისდა კიდევაც, ასეთი დაეინებული დაკითხვა გამო და საკმაოდ მკვახედ უთხრა მებორნეს:

„ყველაფერი კარგი, მაგრამ შენ რაში გაინტერესებს, ძმობილო, ეგა?"

მებორნემ თავისი ყვითელი ღოჯები გამოაჩინა, ისევ ესროლა მზერა ბორნის კიდესთან მიმდგარ ნუნუს და წაიდუდუნა:

„იცი, გოდერძი, ეს ქალი გულში ჩამივარდა ჯერ კიდევ შარშან, პაპ, პაპ, რა გოგოა, მაგის ნაბანი დაილევა ღვთის მადლსა. თუ დავმოყვრდებით, მტლედ დაგედები, იცოდე".

გოდერძის ისევ გაელიმა გუნებაში და მიუგო:

„არა, ჩემო ძმაო, მე ჯერ არ ვათხოვებ ჩემს დას".

მებორნემ ახლა გამოაჩინა სიმინდის მარცვალივით ყვითელი კბილები და წამოიძახა:

„რაო ვითომ, მებორნე რომა ვარ, იმიტომ არა მკადრულობ, არა?"

„არა ჩემო ძმაო, ჩვენს ქვეყანაში ყოველი ხელობის კაცი პატივისცემის ღირსად გვყავს მიჩნეული, რა თქმა უნდა, თუ იგი მშრომელია".

მებორნე გაამხნევა ამ ფრაზამ და სთქვა:

„შენ აგრე ნუ მიყურებ, გოდერძი. მე ხუთთვალიანი სახლი მაქვს იმ სოფლის ბოლოს, ერთი ჰექტარი საკარმიდამო, ერთი ფურკამეჩი და სამოცი ცხვარი მყავს".

გოდერძიმ მხოლოდ ახლა შენიშნა, რომ იგი ნაღვინევი იყო და უთხრა:

„იცი, ძმობილო, ჯერ შენ ღვინო გამოინელე, ლოთი სიძეები ჩვენ არ დაგვჭირდება. საერთოდ, რა წესია, სამსახურში მთვრალი რომ მოსულხარ? ჰა?"

მებორნე წამოჭარხლდა.

„მართალია, მე ცოტა გამოყოლილი მაქვს, წუხელ და გავათხოვე, და თუ დღეს სამსახურში გამოვცხადდი, ეგ იმიტომ, რომ ჩემს შემცვლელს დედა მოუკვდა".

გოდერძიმ ბორნიდან გადასვლა დააპირა, მებორნე წინ გადაეღობა. ევედრებოდა, მოიცადეთო მცირე ხანს, ცოტა წავიპურმარილოთო იმ ფარდულის ქვეშ.

გოდერძიმ წარბები მოღუშა, იდაყ-

ვით განზე გასწია მებორნე და მკლავში ხელი წაავლო ნუნუს.

მებორნემ ისევ დაადგა თავისი ჭროღა თვალი ნუნუს და წაიდუდუნა:

„მე არა მგონია მეურნეობამდის მიასწროთ წვიმას. ის გირჩევნიათ, ამ ფარდულში მოუცადოთ გადაკარებას“.

„შენ რა იცი, ძმობილო, ჰა?“

შეეკითხა გოდერძი.

„ჰმ, რა ვიცი, მაშ სხვა რა მცოდნია ამ ქვეყნად? ამინდისა და ვარსკვლავების ამბები ჩემზე უკეთ ვინ იცის. მთელი ჩემი სიცოცხლე ამ ბორანზე ვარ გამოყუდებული“.

გოდერძიმ ცას აჰხედა, მართლაც შენიშნა: საგანგაშო ნიშნებს იძლეოდნენ ეს ჯეირნისფერი ღრუბლები, რომელნიც აღმოსავლეთისკენ მიეშურებოდნენ საკმაოდ სწრაფად.

უკანასკნელად გამოაშუქა შეწითლებულ ღრუბლების მორევიდან ცეცხლებრ აღგზნებულმა მზის ეტლმა, სპილენძისფერი სხივები გადააფოთოვა ატმისა და ალუბლის ყვავილებს.

ქალ-ვაჟი მდუმარედ მიჰყვებოდა საბჭოთა მეურნეობის გასწვრივ გაწკაპული ალუბლების მწკრივებს, მავთულის ღობის გადაღმა ატმები ჰყვავოდნენ, თემშარის მეორე მხარეს ალუბლები.

მათი შტოებიდან ჩამოყრილ ყვავილთა ნამუსრევებს ისე მოეჩითათ გზა, თითქოს ახალი თოვლის უხვად დაყრილი ფიფქები ყოფილიყვნენ ისინი.

მიდიოდნენ ორივენი ისე ბედნიერნი და გაოგნებულნი, რომ სიტყვები ზედმეტი გამხდარიყო უკვე. გოდერძი მხნედ მიჰყვებოდა თავის სასურველს გვერდით, იგი ამ წუთში მზად იყო, ქვეყნის კიდემდის ეარა აგრე.

„კიდევ შორსაა ის ნასაყდრალი?“ იკითხა ნუნუმ.

სწორედ ამ დროს გაისმა საგაზაფხულო ქუხილი. ლეკისმთისკენ გაიხედა გოდერძიმ. აფხორილი ლეგა ღრუბლები შესხდომოდნენ კავკასიონს ქედზე. აქლემის ფერნი სხვანი, წინ კლდეებთან მიეხერგა ქაოს.

დაიგრუხუნა ისევ და კიდევ ერთი წვეთი დაეცა გოდერძის შუბლზე.

„მართალი სთქვა მაგ ოჯახქორმა მებორნემ, წვიმა მოგვიწრებს, ნასაყდრალზე წასვლას მოვეშვათ, მოდი მეურნეობაში შევუხვიოთ და იქ გადავიწვიმოთ“. სთქვა გოდერძიმ.

ნუნუს აღარ უნდოდა საბჭოთა მეურნეობაში შესვლა, ამერიკული მწარის მოსატანად გამაგზავნა შარშან ძია თედომ მანდ, უეჭველად მიცნობენო.

ისევ განაგრძეს გზა ალუბლის ხეივნების გასწვრივ, ამასობაში დაიქუხა, ცას ტყვიის ფერი გადაეკრა ერთობლივ, მხოლოდ ერთი დახამხამება თვალისა, და მოისმა ისეთი ხივილი, რომელიც მერეხის მოსვლას წინ უსწრებს ხოლმე. და წამოვიდა წვიმა ჯერ წვეთწვეთად, მერმე მოისმა ქუხილი ხელახლა, ქალი ნებას დაჰყვა ვაჟს, ჯერ ჩქარი ნაბიჯით იარეს ბოლოს იკადრეს რბენა.

გოდერძი მიხვდა, ალაყაფის კარებამდის რომ ერბინათ, გასაწურავი გახდებოდნენ უთუოდ ერთბაშად შენიშნა, ერთ ადგილას გარბილის ღობე მოეხსნათ და მის ნაცვლად ეკლიანი მავთულის გაჭიმვა მოეხდომებინათ, ეს ვერ მოუსწრიათ, ამიტომაც რამდენიმე მეტრის მანძილზე ღია დარჩენოდათ საკმაოდ მტკიცედ შემორაგული ვრცელი ფართობი საბჭოთა მეურნეობისა.

ნალობარის გადაღმა პატარა ფარდულს ქვეშ ყვინთავდა თეთრწვერა დარაჯი, მან თვალი გაახილა, ერთი შეხედა ახლადმოსულებს, მერე ისევ ჩაჰქინდრა თავი.

გოდერძი ვაზის ამ მეურნეობაში არაერთგზის ყოფილა ნამყოფი, ამიტომაც

უცებ მოისაზრა: მეურნეობის კონტორამდის ბარე ორი კილომეტრი უნდა ერბინათ, ამიტომაც მკლავში ხელი წაავლო ნუნუს. საყარაულო კოშკისკენ გავიქცეთო, უთხრა.

წვიმა უკვე როდი წინწკლავდა, მსხვილმსხვილ წვეთებად ეშვებოდა ძირს, წვიმის შხეფები მოსილულ მარაზე ეცემოდნენ, მოარბენალებს ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდათ, ბელურები ფართხალებენო ქვიშაში.

გოდერძი ხედავდა: ნუნუს მხრის თავები დაუსველდა უკვე, ამიტომაც გაიხადა თავისი სანადირო ტყაპუჭი და ზედ წამოასხა საკმაოდ გაწუწულს.

გოდერძის ბლუზა გასაწურავი იყო უკვე, როცა საყარაულო კოშკამდის მიაღწიეს აქშინებულნი.

ეს საყარაულო კოშკი წარმოადგენდა რკინის ფეხებიან უზარმაზარ პირამიდასებრ მახინას, რომლის ზეთავზე წამოდგმული იყო სამკედლიანი ოთახი. როცა ქალ-ვაჟი ხვეულ კიბეზე ადიოდა, ისე ძალოვნად ქანაობდა და ჭრაჭუნობდა ეს პირამიდა, ნუნუს ეშინოდა, არ წამოიქცეს იგი.

ბოლოს მიაღწიეს სამკედლიან ოთახამდის, მასში ერთადერთი მაგიდა იდგა. ზედ — ტუჩმომტვრეული დოქი და ერთიც გამურული ფარანი. კუთხეში თივა ეყარა კაცის სიგრძეზე, ერთი საპირეშემოხეული მუთაქა ეგდო იქვე. გოდერძიმ გახადა თავისი ტყაპუჭი ნუნუს და ძირს დაგებულ თივაზე გადააფინა პირუკუ შებრუსეული, ზედ დასვა ქალი. იელვა ერთბაშად, ნუნუ ზე წამოიჭრა.

რკინის მოაჯირთან მივიდა, გადახედა ძირს გაშლილ ზვრებს, რამდენიმე კილომეტრის სიგრძეზე გაჭიმულთ, უბან-უბან დაყოფილი იყო ზვარი, ყოველ უბანს ატმისა და ალვის ხეების მწკრივები მისდევდა.

ნუნუს ვაზებისკენ გაექცა თვალი, ბრავალი ათასი რქათამამი ვაზი გადასკვნოდა ურთიერთს რქებით, მხაპუნა წვიმის ღარები ტალავნობდნენ ნათზე, თვალის მომჭრელად ციალ-ციალებდნენ და ტოკავდნენ ფოთლები.

„ნეტავ როდის იქნება ჩვენი ზვრები ამოტოლანი, გოდერძი, ჰა, ნახე, შენი მაჯის სისხო შტამები აქვთ, ღმერთო, რა თამამი, მხარგაშლილი რქები აქვთ! აჰ, რა სილამაზეა გოდერძი. მე რომ მხატვარი ვიყვე, ლოთოდ დავხატავდი ამ კვიპაროსებს, ამ ვაზებს, ამ ატმებსა და იმ ალუბლის ხეებს“.

„სულ მალე, ნუნუ, ერთი ორიოდე წლის შემდეგ, როცა გველეთის ზეგანში ოცი ათას ვაზს ჩავყრით, მაშინ ნახე... ბერმუხის ტაფობი და გველეთის ზეგანი ტერასებით, დაუკავშირდებიან ერთმანეთს, თბილისელები საგანგებოდ ჩამოვლენ ამის სანახავად“.

ქარი ამოვარდა, ნუნუ მოეშვა რკინის მოაჯირს, იატაკზე დაყრილ თივაზე დაგებულ ტყაპუჭს დააჯდა და სთქვა:

„ეჰ, ნეტავ ასეთი სამკედლიანი ოთახი მაინც მოგვცა, გოდერძი, მე და შენ. მართალს ამბობდა ნიორთავა. ბუდეს გარეთ დარჩენილ მერცხლებს ვგავართ ჩვენ, გოდერძი“.

„ნუ გეშინია, ჩემო, სულ მალე ოთხკედლიანიც გვექნება. ერთი ხუთასამდე ცალი კრამიტი უნდა ვიშოვნო, სხვა ყველაფერი აქვს პაპაჩემს“.

ნუნუ დაინტერესდა, რად გინდაო ხუთასი კრამიტი? მერმე გეტყვიო, მიუგო ვაჟმა.

მოუხშირა ქუხილმა, წვიმა მერეხად იქცა, იძალა ქარმა, ახლა ატმისა და ალუბლის ყვავილთა ნამუსრევები დაფარფატობდნენ ჰაერში, აგრე ეგონებოდა მაცქერალს: თოვსო ამ აყვავებულ ვაზნარებში შებინდებისას.

კიპაროსები ტოკავდნენ და როკავდნენ დაუცხრომლად. ნუნუ გოდერძის ტყაპუჭზე იჯდა, კისკისებდა. ასე-

თი ბედნიერი და მხიარული ჯერ არასოდეს ენახა იგი გოდერძის.

ისევ გაიელვა, კავკასიონის ნაჩრდილევი მოიჭრა ცაზე. ნუნუ წამოდგა. რკინის მოაჯირს მივარდა. უნდა შევხედო კავკასიონს, ასეთ დროს მიყვარსო კავკასიონის ჭვრეტა.

გოდერძი მიუახლოვდა, ხელი მოხვია ნაზად, რკინის მოაჯირზე გადამდგარს.

წამო, თივაზე დავსხდეთ.

ნუნუმ დაიჩემა, აქ ვიყვეთ ჯერ, აქედან დავტკბეთო ამ სანახაობით, ხელი წაავლო რკინის მოაჯირს. გოდერძი ქალის მაჯას მისწვდა, ნუნუ მეორე ხელითაც მოეჭიდა რკინის მოაჯირს, გოდერძიმ ხელები გააშვებინა მოაჯირისთვის ქალს, ბალღივით აიყვანა იგი და თავის სანადირო ტყაპუჭზე დააწვინა.

... მთელი ღამე გადაუღებლად სწვიმდა, ხანაც ელავდა, საგაზაფხულო გრგვინვა ზობოქრებდა კავკასიონის მთებში, ქარ-ბორბალა დაჯირითობდა ვაზნარებში, ატოკებდა საყარაულო კოშკს, ალუბლისა და ატმის ყავავილების ნამუსრევებს ზედ აყრიდა სიყვარულისა და ვნებისაგან ცნობამიხდილ ქალ-ვაჟს.

დილაადრიან კოშკის კიბეების ჭრაჭუნმა გამოაღვიძა ვაჟი. თეთრწვერა მოხუცი შემოვიდა ოთახში.

დილა მშვიდობისა უსურვა გოდერძის. უცხო მამაკაცის ხმაზე გველვივით წამოვარდა ნუნუ, საკენძე შეიბნია სასწრაფოდ.

თეთრწვერა მოხუცი სამბობდა მშვიდად:

„გაიხარეთ, გაიხარეთ, შვილებო, მე ამ დოქის წასაღებად მოვედი, შვილებო“.

გოდერძის ეცნაურებოდა ეს მოხუცი, მაგრამ ვერ მოეგონებინა, სად ენახა იგი პირველად. ბოდიშობდა: თავსხმამ მოგვისწრო, ვერასგზით ვერ წავედით შინ.

„ეჰ, შემთხვევას დაუდგეს თვალი, თორემ ჩემგან ნამდვილი პატივისცემა გეკუთვნის, გოდერძი“.

დაინტერესდა გოდერძი, საიდან მიცნობო, ჰკითხავდა მოხუცს.

„შესაძლოა შენ არ გახსოვარ, შვილო, მარშან ნოემბრის ღამეს მომაკვდავი შვილიშვილი ურმით მიმყავდა თელავში, შენ მანქანა გამიჩერე ხიდის ყურთან და სულთმობრძავი ბავშვი საავადმყოფოში მიმაყვანინე. მე გიცანი, ფარდულთან რომ გამოიარეთ. მივხვდი, გადასაწვიმებლად მოდიოდით, მაგრამ არ გამოგეცნაურე განზრახ“.

მოხუცი ქვეშეცნეულად მიხვდა, შეშფოთებული იყო ქალი, ამიტომაც დააშოშმინა იგი. „ჯავრი ნუ გაქვს, მამაშვილობას, შენც გიცნობ, ვინცა ხარ, მაგრამ, გაიხარეთ, გაიხარეთ შვილებო“...

(დასასრული იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აკაკი ბელიაშვილი

უღელტეხილი

რომანი*

★

თავი მეშვიდე

რამდენიმე დღის განმავლობაში სროლის ხმა სრულიად აღარ ისმოდა ყველამ შვებით ამოისუნთქა. მაღაროებში მუშაობა წესიერად დალაგდა.

— დღეს აღარ გაგიგონიათ?

— აღარ. მიწყნარდა ყველაფერი, — უპასუხებდნენ მეორე ცვლაზე მიმავალნი.

—ალბათ მიარტყეს მაგრად ჩვენებმა და ყველა გაქაჩეს.

— ალბათ, მაშ როგორ ეგონათ!

იაკობ დემიანოვმა დაპირება შეასრულა და ცვლაში სამოცდათხუთმეტი სანტიმეტრით წასწია წინ გვირაბი. მალე მას პელაგია დაეწია. ბესალომი კმაყოფილი იღიმებოდა ულვაშებში, მაგრამ ვანო მეორე დღეს ოთხმოცი სანტიმეტრით წავიდა წინ, ხოლო მესამე დღეს ერთი მეტრით და ამის შემდეგ ამაზე ნაკლები წინსვლა არა ჰქონია. ვერც ერთმა ვერ შეძლო დასწეოდა ვანოს, მარტო დემიანოვი და ოცუპი მისდევდნენ მას კვალდაკვალ და ისინიც დღეში თითო მეტრით მიანგრევდნენ კაჟივით მაგარ ქანებს.

— კომპრესორები, კომპრესორები აამუშავეთ დროზე, — ეუბნებოდა პელაგია დავითს. — აი მაშინ მესმის წინსვლა. ხელით ამ ქანების ბურღვა ძნელია. ჩვენ კარგად ვიცით პერფორატორებით მუშაობა. მე ყველა სისტემის ანგრევი ჩაქუჩით მიმუშავია, პნევმატური ბურღითაც და ელექტროპერფორატორითაც. მშვენიერებაა!

— იქნება, მალე იქნება, — ანუგეშებდა დავითი. — აი, ჩვენს შალვას უნდა დავუცაცხანოთ. თვითონ ძალიან გვიყრუებს ყურებს პატრიოტული სიტყვებით და კომპრესორების აწყობას კი გვიგვიანებს.

დავითი ყასიდად საყვედურობდა, თორემ თვითონაც კარგად იცოდა, რომ შალვას დღედაღამე თითქმის არ ეძინა და თავაუღებლად მუშაობდა მანქანების ასაწყობად. მისი ხელქვეითი შეგირდები ისე იყვნენ დაქანცულები, რომ ცხენივით ფეხზე იძინებდნენ. მართალია, შალვა სულაც არ აძალებდა მათ, ზედმეტი საათები ემუშავათ, მაგრამ აბა რომელი მათგანი მიატოვებდა სახელოსნოს, როდესაც მათი მასწავლებელი დაზგას არ სცილდებოდა და თავაუღებლად აწყობდა და მართავდა დანადგართა ნაწილებს. მრავალი დაკარგული ან გაფუჭებული ქანჩისა და ჭანჭიკის მოჭრა ან გაჩარხვა დასჭირდა საკუთარი ხელით და ამას, ცხადია, დრო სჭირდებოდა.

ბოლოს შალვამ, როგორც იქნა, დაამთავრა საკომპრესორო დანადგარების მონტაჟი და მანქანები აამუშავა. მათმა ხმაურმა მთელი ხეობა გამოაცოცხლა. შალვამ მანქანის ბოლოს გამომშვებ მილებს საგუდავები მოხსნა და ორივე კომპრესორი ისე აგრიალდა, რომ მიდამო გააყრუა.

ამ ხმებმა ისეთივე გავლენა მოახდინა მუშებზე, როგორც კარგად დაკრულმა

---

* გაგრძელება. იხ. „მნათობი" № 5.

მარᲨმა საპარადოდ გამოსულ ჯარზე. ყველას გულში და ფეხებში შეუღიტინა. მუშები აფუსფუსდნენ, გამხიარულდნენ. მაᲨინვე გაიქცნენ და ამუშავებული კომპრესორები დაათვალიერეს.

მანქანები გუგუნებდნენ რიტმულად, დინჯად და საქმიანად. გაზოლინის მიმწოდებელი სარქველის მუშტები ჩიტებივით კენკავდნენ ცილინდრების თავებს. კბილანა ბორბლები, ციბრუტა რეგულატორები წაღმა-უკუღმა ტრიალებდნენ და ველოსიპედისმაგვარ ბორბლებზე გამართული ეს ორივე დანადგარი შეᲨინებული არაბული ბედაურივით თახთახებდა. ზეთში გათხუპნული შალვა მეჯინიბესავით უტრიალებდა მანქანებს, ხან ქვემოდან უკირკიტებდა, თითქოს სამურველით უნოდა მათთვის მკერდი და მუცელი გაეწმინდა, ხან რომელიმე ქანჩს უფრო მაგრად უჭერდა, ხან რაღაც იდუმალ ონკანს გახსნიდა, და მანქანას სურდოᲨეყრილივით აცემინებდა.

შემდეგ, როდესაც ჰაერის ბალონების მანომეტრთა ისრებმა საკმაოდ აიწიეს, შეუდგნენ პნევმატური ჩაქუჩების გამოცდას. აქამდე მიყრუებულ გვირაბებში, წინანდელი დაგუდული ყრუ ბაგაᲨეგის ნაცვლად, გაისმა მჭექარე გრიალი, თითქოს ნანგრევთან მძიმე ტყვიამფრქვევები დაედგათ.

პირველ გვირაბში მთელი დღე არ შეწყვეტილა ცნობისმოყვარეთა სიარული. საწყობის გამგეც, მეჯინიბეც, ბუხჰალტერიც რიგრიგობით Შიდიოდნენ და, ბოლოს, თომა Შზარეულიც კი მოვიდა, რომ საკუთარი თვალით ენახა ამ უცნაური ჩაქუჩებით მუᲨაობა. გზადაგზა ერთი-ორჯერ თავი აარტყა გვირაბის ჭერს და ხელების ფათურით, როგორც იქნა, მიფრაᲠუნდა სანგრევთან. ჰაერი სქელი თეთრი მტვერით იყო გაჟღენთილი და ლამპები ამ მტვრის ნისლში ოდნავ ბეუტავდნენ. სანგრევთან ცალ მუხლზე ჩაᲩოქილი ნადია Შპურს ბურღავდა.. პელაგია იქვე იდგა და თავის პნევმატურ ჩაქუჩს რეზინის შლანგზე ამაგრებდა.

— ᲰᲝ, ᲰᲝ, ეს რა ყოფილა, ᲨვᲜიერებრამე? — ხმამაღლა დაიძახა თომამ, მაგრამ მას ყურადღება არ მიაქციეს. თავისი ხმა თვითონაც ვერ გაიგონა.

პელაგიამ შლანგის სახელური მაგრად მოქაჩა, ჩაქუჩის ლულაში ბური ჩადგა და მეორე Შპურის გაბურღვას შეუდგა. მაგარ ქანებზე ამუᲨავებული ჩაქუჩები ძლიერად უკუცემდნენ, თითქოს ციებისაგან თახთახებდნენ. Შპურებიდან სტვენითა და ᲭᲨუილით გამორბოდა ორთქლისმაგვარი მტვერი.

— რაა, კაცო, ეს ტეხნიკა! — წამოიძახა თომამ, მაგრამ მან მხოლოდ აგრძნო, რომ ეს სიტყვები თქვა. ყურებში გამაყრუებელი რახრახის მეტი არა ესმოდა რა.

ნადიამ თავისი ჩაქუჩი გამოთიᲨა, რათა ლულაში ახალი, უფრო გრძელი ბური ჩაედგა. ძებნა დაუწყო და, როდესაც თომას მოჰკრა თვალი, გაუღიმა.

პელაგიამაც გამოთიᲨა თავისი ჩაქუჩი, მოიხედა.

— რას ეძებ? — Ჰკითხა მან ნადიას.

— ბურებს.

— აი იქ აწყვია, — მიუთითა პელაგიამ და მერე თომას მოუბრუნდა: — რაო, თომა?

— ძალიანაა, ძალიან!

— მოგწონს?

— რა საკითხავია. აი ამას Ჰქვია მეცნიერება და ტეხნიკა. სიმაქოს Რრძენმა თქვა, როგორც გლახაკი ცდილობს გამდიდრდეს, ეგრეთ ᲩᲕᲔᲜ უნდა ვეცადოთ სწავლა და განათლება შევიძინოთ.

— ვინა თქვა ეგ?

— სიმაქოს Რრძენმა.

— სადილების შესახებ რას ამბობდა შენი სიმაქოსი? — სიცილით Ჰკითხა პელაგიამ, თან ნადიას ბური გამოართვა და ჩაქუჩის ლულაში ჩადგა, — ლობიოს შეᲭამანდს გაუმჯობესება არ ეᲭირვებაო?

— დღეს ცხვარი დავკალი.

— ეგ კარგია, მაგრამ შენ თუ იცი, რომ კარგი სადილის დამზადებაც მეცნიერებაა.

— დღეს ისეთი სადილი გაჭამოთ, რომ თქვენი მოწონებული.

— აბა ერთი ვნახოთ...

კიდევ რაღაც თქვა პელაგიამ, მაგრამ თომამ ველარ გაიგონა, რადგან ნადიამ ისევ აამუშავა ჩაქუჩი და წამსვე პელაგიამაც ააგრიალა თავისი იარაღი.

თომამ ერთხანს კიდევ უცქირა ქალების მუშაობას. ის უაღრესი პატივისცემის გრძნობით გაიმსჭვალა ამ ბრეზენტის ტანსაცმელში გამოწყობილ, ღონიერ ქალებისადმი, ქვისაგან გამოთლილ ქანდაკებებივით, რომ მიყრდნობოდნენ სანგრევისაკენ მიმართულ ჩაქუჩებს და გრიალით ბურღავდნენ კაკისებურ მაგარ ქანებს.

— დაილოცა თქვენი მარჯვენა! — ჩაილაპარაკა თავისთვის თომამ, გაბრუნდა და კიდევ რომ არ დაეჯდინა თავზე კოპები, თავდახრილი გაემართა გარეთ. შორს პატარა ოთხკუთხა სარკესავით ანათებდა გვირაბის პირი.

„დღეს რაღაც კარგი უნდა გააკეთო სადილად. — უთხრა თომამ თავის თავს. მას ჩვეულება ჰქონდა, თავის თავთან, როგორც გარეშე პირთან, ისე ესაუბრა. — გესმის, შენ? ისეთი კერძი უნდა გააკეთო, რომ თავი ისახელო“.

„ეგ კი მესმის, მაგრამ რაფრად, ჩემო თომა! —უპასუხა თავის თავს, — რაფრად? მასალა უნდა კარგი კერძის დამზადებას, მასალა!“.

„ე, დაიწყო ახლა ამან თავისი ამბები, — გაბრაზდა თომა, — ამისთანა ხალხს პატივი უნდა სცე. მასალა არ მაქვსო, რომ იძახი, უნდა მოიფიქრო რამე“.

„ბიჭო, რა მოვიფიქრო! სადილის გაკეთებას ათასი რამე სჭირდება. ვერ ხედავ, რომ ნიორის მაგივრად ჭყანტა ბალახს ვნაყავ?“

„თუ ვარგიხარ, კიდევაც მოიფიქრებ“.

„რაფრად, კაცო, გიჟი არაა ეს ვილაცაა?“

„ამას უყურეთ ახლა! აბა რა გინდა, ხომ ხედავ, ეს ხალხი რაფერ მუშაობს და რას აკეთებს? ამ მიუვალ მთაში ზურგით ამოზიდეს ამხელა მანქანები და ამ კლდეს გადმობრუნებას უპირებენ. შენ რა ღმერთი გაგიწყრა. გადი აგერ ტყეში, მეაუნა რამდენიც გინდა, იმდენია, ახლა მაინცდამაინც ქილებში დაბეჭდილი ტომატი თუ არ მოგართვეს, ისე ნუ იკადრებ ნურაფრის გაკეთებას. ქინძი, პიტნა, ომბალო შეხვ ბოსტანში არ მოდის იმდენი რამდენიც მარტო ამ შენი სამზარეულოს გვერდით იზრდება. პატარა მიდექი, მოდექი. შენ რავა გგონია, ჯერ მარტო რაც ტყეში მწიფე ყოლო, ყურძენივით მოცხარი და კინკრიყაა, ეგ რო დაკრიფო და მოიტანო, სუფრას დაამშვენებს. ქალაქში მაგ ხილს გრამობით ყიდიან. მერე, შე კაცო, ფხალი გააკეთე, ჩვენებური, ნიგვზით, საცივი გააკეთე, ჩიხირთმა, ბოზბაში. მასალა! შენც იტყვი რალა?“.

„არა, მართალს ქე ამბობ, იცი შენ?“.

„შენმა თავის გახეთქამ, აბა ტყუილს ვიტყვი. ამ რესტორნებში რომ არქმევდი ჩვენებურ ისპანახისაგან და მწვანილისაგან გამზადებულ კერძებს: სალატ ოლივიე, სალატ ნატურელ, შპინატ ალა პარიზიენ, ვითომ რაღაცა განსაკუთრებულს აკეთებდი. იმაზე უკეთესი არ შეიძლება აქ გააკეთო? შემძვრალხარ იმ სამზარეულოში, დაადგამ ერთ დიდ ქვაბს და ჩაუშვებ შიგ ან ლობიოს ან ხორცსა და მაკარონს და ეგაა სულ. გამოდი, გამოდი გარეთ, ბევრს ნუ ლაპარაკობ. მოსკოვში მიმუშავნია მზარეულადო, რომ ტრაბახობ, თუ ბიჭი ხარ, ქეც უნდა აჩვენო ხალხს შენი ოსტატობა“.

„მოგიკვდეს თომა, თუ ეგ ვერ მოახერხოს, გავიდე ერთი გარეთ, რო ალარ გათავდა ეს გვირაბი!“ — აჯობა თავის თავს კამათში თომამ, ფეხს აუჩქარა და გარეთ გამოვიდა.

ზედა გვირაბიდან ჩამოგრეხილ ბილიკზე ჩქარი ნაბიჯით მოალაჯუნებდნენ მუშები. მათ წინ დავითი მოუძღოდა. დავითმა მხიარულად გადმოძახა თომას

— სად იყავი თომა?

— გვირაბში. ვნახე ჩვენი ტეხნიკა. — უპასუხა თომამ.

— მოგეწონა? — დავითმა ჩამოიცაკა და თომასთან ახლო შეჩერდა.

— ნუღა მკითხავ, ნუღა მკითხავ. ჩემი სამზარეულოსათვის რო მაგისთანა რამე მომაგონებია, ტეხნიკური მანქანა...

— შენს სამზარეულოს მანქანა არ სჭირდება, თავი უნდა, თავი! — უთხრა თომას ვანომ, რომელიც იქვე შორიახლოს შედგა და თუთუნის ხვევას შეუდგა. — მანქანა, რაო, გემოს მოუმატებს შენს შავ სუპს?

— მაგაზე რო გითხრათ რამე, ტრაპახი გამომივა. დღეს ვფიქრობ რაღაცა კარგის გაკეთებას და... მართალია, ეფრიდონ ბრძენს უთქვამს, სმენა კარგი სიტყვისა და მირთმევა ტკბილეულისა ერთიაო, მაგრამ...

— რაო, რაო რა უთქვამს? — შეაწყვეტინეს თომას სიცილით აქეთ-იქედან.

— აკი იმიტომაც მუდამ ტკბილი სიტყვით არ გვიმასპინძლდები! — თქვა ღიმილით დავითმა — როგორ, მაშ მირთმევა ტკბილეულისა და მოსმენა კარგი სიტყვისა ერთიაო?

— არა, მე ის მინდოდა მეთქვა, — დაიწყო თომამ თავის მართლება. მას უნდოდა განემარტა, თუ რისთვის მოიყვანა ეს მოსაზრება, მაგრამ დავითმა აღარ აცალა, მუშებს ხელით ანიშნა, გაჰყოლოდნენ, და ყველანი პირველ გვირაბისაკენ გაემართნენ.

მარტო ვანო ჩამორჩა მათ. კვესი გაჰკრა, პაპიროსი გააბოლა, მერე ერთ წუთს ჩაფიქრებული შედგა და ცოტა მოგვიანებით გადაიხარხარა:

— ეგ რა უთქვამს, კაცო, — თავი გააქნია ვანომ და წასულებს დაეწია.

— ეგ რა ზორბად უთქვამს..

— რაზე ვთქვა ეგ, იცი? — სცადა თომამ ვანო შეეჩერებინა და მისთვის განემარტა, რომ ის სწორედ კარგი საღილით უპირებდა დღეს ყველას გამასპინძლებას და არა მარტო ტკბილი სიტყვით, მაგრამ არც ვანომ შეიცადა.

თომამ ხელი ჩაიქნია და სამზარეულოსაკენ წავიდა.

დავითმა მუშები გვირაბის სანგრევთან მიიყვანა. პელაგიას და ნადიას პნევმატური ჩაქუჩების გამაყრუებელ ხმაურში არც კი შეუმჩნევიათ მათი მოსვლა.

— პელაგია სემიონოვნა! — მოჰკიდა მაჯაში ხელი დავითმა პელაგიას და თავისკენ მოახედა, მერე ხელით ანიშნა, ჩაქუჩები გამოეთიშათ. — პელაგია სემიონოვნა, დღეს სხვაგვარად უნდა გავანაწილოთ მუშაობა.

— როგორ?

— აი თქვენ ამ ხუთ მნგრეველთან იმუშავებთ. პრაქტიკულად აჩვენებთ სანგრევთან ჩაქუჩით მუშაობას. ამათ წინასწარ თეორიული მომზადება გაიარეს. მაგრამ პრაქტიკულად არა გაეგებათ რა, იქ ერთ ჯგუფთან აბესალომი მუშაობს. ის ჭიათურელია და ეს საქმე კარგად იცის. თქვენ ესენი აიყვანეთ ბუქსირზე.

— არის, ამხანაგო კაპიტანო! — ღიმილით უპასუხა პელაგიამ.

— ნადიას კი მეორე სანგრევთან წაიყვან. წავიდეთ, ნადია. ერთი ჯგუფი გველოდება.

ნადიამ უსიტყვოდ მოხსნა ჩაქუჩი შლანგიდან, ბურები აკრიფა და, სანამ დავითი პელაგიას უხსნიდა, თუ როგორ ევარჯიშებინა მუშები, თვითონ ნელი ნაბიჯით გაემართა გასასვლელისაკენ. როდესაც ნადია გვირაბიდან გამოვიდა, მას აჩქარებული ნაბიჯით მომავალი დავითი დაეწია. ორთავემ ერთმანეთს შეხედეს და რატომღაც გაიღიმეს.

— მართლა, მე თქვენთვის საჩუქარი მაქვს, — უთხრა ნადიამ.

— რა საჩუქარი? — გაუკვირდა დავითს.

ნადიამ ნაბიჯი შეანელა, ბრეზენტის ქურთუკის ჯიბეში ხელი ჩაიყო და დავითს გაუწოდა ოთხკუთხედად, ლამაზად გამოტეხილი ნამცხვრის მაგვარი ქვის ნატეხი. ეს იყო ერთმანეთში შეზრდილი მინდვრის შპატისა და გამჭვირვალე კვარცის არაჩვეულებრივი კრისტალი. მინდვრის შპატი ჩუქურთმასავით მსხვილ სხივებათ განშტოებული შეჭრილიყო ალმასივით მოელვარე კვარცის კრისტალებში და მთელი ეს პატარა ქვის ნატეხი ზეცა ოპიზარის ხელით ნაჭედი ხატივით ბრწყინავდა.

დავითს აუარებელი მშვენიერი ნიმუშები ენახა და თვითონაც ჰქონდა დაგროვილი კრისტალების იშვიათი კოლექცია, მაგრამ ამისი მსგავსი ჯერ არ შეხვედროდა. იმდენად აღაფრთოვანა შესანიშნავმა საჩუქარმა, რომ სრულიად გულუბრყვილოდ, ისე როგორც ძმა მოეხვევა თავის დას მადლობის ნიშნად, ორივე ხელი მოხვია ნადიას.

— გმადლობთ საჩუქრისათვის, — წაილულლულა მან და კრისტალს დახედა.

— კარგი კრისტალია? — ჰკითხა ნადიამ დავითს, რომელიც ისევე ჩაჰკირკიტებდა კრისტალს, თუმცა ახლა სულ სხვაზე ფიქრობდა.

— ლენინგრადის მუზეუმშიაც არ ექნებათ ასეთი ნიმუში, — უპასუხა დავითმა და ნადიას თვალებში შეხედა.

ორივეს თითქოს ერთმანეთის შეეშინდათ. ისევ განზე გაიხედეს, მაგრამ ამავე დროს უცნაური სიახლოვე იგრძნეს ერთმანეთისადმი.

ჩუმად იდგნენ.

ისევ შეხედეს ერთმანეთს.

ნადიამ თავი დახარა და თითქოს ამოიკვნესაო ისე, ჩაიცინა.

— წავიდეთ, — თქვა დავითმა.

— წავიდეთ, — უპასუხა ნადიამ და დაიხარა ბურებისა და ჩაქუჩების ასაკრეფად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავითმა ნადიას ხელიდან ბურები მოარიდა, თვითონ დაავლო ხელი იარაღს, იღლიაში ამოიჩარა და წინ წავიდა.

— ოი, ეგ რისთვის? მომეცით მე წამოვიღო, — დაედევნა ნადია.

— არა.

— მომეცით-მეთქი!

— ჯერ ერთი, თქვენობით ნუ მომმართავ.

— მაშ როგორ?

— მე დავითი მქვია.

— დავით, მომეცი ჩემი იარაღი.

— არა.

— რატომ?

— იმიტომ რომ...

დავითს რაღაც უნდოდა ეთქვა, ფეხს აუჩქარა. თითქოს სურდა სათქმელს გაქცეოდა. სწრაფი თავისუფალი ნაბიჯით აიარა ალმართი. შედგა, მოიხედა.

ნადია იმავე ადგილზე შეჩერებულიყო. სახეზე თავსაფარი აეფარებინა, მხრები ისე უთახთახებდა, თითქოს ტიროდა.

* * *

— რამდენი ყვავილებია!

— გიყვარს ყვავილები?

— მე არ ვიცი ისეთი ქალი, რომელსაც არ უყვარდეს ყვავილები. რა მშვენიერი გვირილებია. მე მინდა თაიგული შევკრა.

— კარგი. მე აი, აქ მოლზე წამოვწვები.

დავითი მოლზე მიწვა. ნადია ყვავილების კრეფას შეუდგა. ალპური ბალახი წელამდე წვდებოდა. მთელი მინდორი დაფარული იყო გულყვითელა, ხელისგულისოდენა გვირილებით, ლურჯი ლომისპირებით და წერწეტა შროშანებით. აქა-იქ ქოლგასავით ამართულიყო გიგანტური ანწლისმაგვარი ბალახი.

ბალახში გამუდმებით ბზუოდნენ ბუზარები. დავითი ხანგამოშვებით იგერიებდა ამ სისხლისმწოველ ბუზებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლებიც თავიანთ ხორთუმებს თავისუფლად აძვრენდნენ ტანსაცმელში. მინდვრიდანაც ისმოდა ნადიას შეკივლება და ხელის ტყაპუნი.

— რაო, ნადია! — გასძახა დავითმა.

— ბუზარები! როგორ მწარედ იკბინებიან.

— დაგესივნენ ფაშისტებივით?

— ჰო! რა საზიზღრებია.

ნადიამ მოაგროვა მთელი იღლია ყვავილები დავითის გვერდით დაყარა.

— როგორი სიჩუმეა, — თქვა დავითმა. — უკვე ორი კვირა იქნება, რაც სროლის ხმა არ ისმის, ალბათ ჩვენებმა განდევნეს მტერი.

— ვითომ?

— აუცილებლად.

— ოჰ! ნეტავი აგრე იქნებოდეს.

— ნადია, რას იზამდი, მტერი რომ მოვიდეს?

— არ ვიცი, შენ?

— ტყეში წავალ პარტიზანად.

— მეც შენთან ერთად.

— იარაღი რომ არ გვაქვს?

— ვიშოვით.

— მაშ ჩემთან ერთად იბრძოლებ?

— უჰუ!

— მერე სროლა რომ არ იცი.

— ვინ გითხრა? ოცდახუთი შესაძლებლობიდან ოცდახუთ ქულას ვაგროვებ.

ნადიამ თაიგული შეკრა, განზე გადადო. მერე გვირილებს მისწვდა და გვირგვინის დაწვნა დაიწყო.

— დავით?

— რა?

— შენი ცოლი ლამაზი იყო?

— ძალიან.

— გიყვარდა?

დავითმა პასუხი არ გასცა. მთებს უცქეროდა.

— გიყვარდა? — გაუმეორა კითხვა ნადიამ და დავითს შეხედა.

— რასაკვირველია. — ახლა დავითმაც შეხედა ნადიას. — რად მეკითხები?

— ახლაც გიყვარს?

— არა. ახლა მე ნადია მიყვარს, — თითქოს უგუნებოდა თქვა დავითმა. თვითონვე არ მოეწონა, ისე უხეშად და ცივად წამოიძახა ეს სიტყვები.

ნადიამ ამოიოხრა და ისევ გვირგვინის დაწვნა განაგრძო. მერე თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა:

— მე ბედნიერი ვიქნებოდი, რომ ეგ მართალი იყოს.

— რისთვის? — წამოჯდა დავითი. — ჩემი არ გჯერა?

— არა.

— რატომ?

— ეჰ, დავანებოთ ამას თავი. შენ ეს მითხარი...

— არა, მიპასუხე, რისთვის არ გჯერა?

ნადია ერთხანს სდუმდა, თითქოს არ სურდა პასუხი გაეცა. დაწნული გვირგვინი შეათვალიერა და თავაუღებლად უპასუხა დავითს:

— მჯერა.

მაგრამ მას, რასაკვირველია, არ სჯეროდა.

სიო ოდნავ არხევდა ბალახს. ტყე ზანტად შრიალებდა. მთები გარინდულიყვნენ და მათ კალთებზე ლანდებივით მიიპარებოდნენ ჩრდილები, ღრუბლებში ჩამალული მზე ხანგამოშვებით იპყიტებოდა ცელქი ბავშვივით.

ნადია ხელებზე დაეყრდნო და ქვემოდან ახედა დავითს.

— იცი რა?

— რა?

— მე ვჯობივარ თუ გალინა?

დავითმა არ უპასუხა. ღიმილით დაცქეროდა ზემოდან.

— რატომ არ მიპასუხებ?

— სისულელეს მეკითხები.

— შენ რომ სეირნობდი მასთან?

— არასოდეს.

— შენ გიყვარს გალინა? მე ხომ ვიცი ყველაფერი. რისთვის მიმალავ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— უკვე ეჭვიანობ?

— ო, არა, არა, მე რა უფლება მაქვს. მე ისე გითხარი. არ შეიძლება, რომ გკითხო?

მერე სიცილით მოხვია ხელი კისერზე, თმებში თითები შეუცურა და თავით მკერდზე დაეყრდნო.

— აი შეხედე, ღრუბლების ჩრდილი ჩვენსკენ მოდის. — ანიშნა ნადიამ, — თუ ის ჩრდილი ჩვენ გადაგვივლის, მაშინ შენ გიყვარვარ, თუ არ გადაგვივლის, მაშინ არ გიყვარვარ. — უთხრა სიცილით.

ორივემ დაუწყო ცქერა ჩრდილს, რომელიც ნელა უახლოვდებოდა მათ.

დავითი უცბად წამოიჭრა ფეხზე და ნადიას ხელი წაავლო.

— რა იყო? — ჰკითხა ნადიამ.

— წამოდი ჩქარა, ჩრდილი განზე მიდის. თუ მთა არ მიდის მაჰმადთან, მაშინ თვით მაჰმადი მივა მასთან, წამოდი.

ნადიამ დასტაცა ხელი თავის თაიგულს და ორივენი სიცილით დაედევნენ ჩრდილს. ისინი მას მინდვრის ბოლოს დაეწივნენ, ჩრდილმა ორთავეს გადაუარა, ნადიამ თვალი გააყოლა მას და ამოოხვრით თქვა:

— წავიდა! როგორ ჰგავს ამ ჩრდილის ჩავლა ჩვენს...

ველარ დაამთავრა, უცბად დაენამა თვალები, მერე, ვითომ ხელის უცაბედი მოძრაობით მოიშორა უპის ბოლოზე დაკიდული ცრემლი და ძალდატანებით გაიღიმა.

დავითმა ორივე ხელი მოხვია, თავისკენ მიიზიდა და თვალებში ჩახედა: „გინდა იყო ჩემი ცოლი?“ — გაიფიქრა დავითმა და მერე ჩურჩულით გაიმეორა:

— გინდა იყო ჩემი ცოლი? — თავისი ხმა თვითონაც არ მოეწონა. „ეს რა გლახად ვთქვი, უნიჭოდ“.

ნადიამ ერთხანს გაკვირვებით უცქირა თვალებში დავითს. ეტყობოდა, თავისთავს ებრძოდა. ძალიან დიდი იყო ცდუნება. მერე გულზე ხელები მიაბჯინა, თავი გაითავისუფლა და მტკიცედ თქვა:

— არა.

— რატომ? — იწყინა დავითმა.

— მე არც ისე სულელი ვარ, როგორც შენ გგონია. — თმები და ტანსაცმელი შეისწორა, მერე დასწვდა თაიგულს, რომელიც ძირს დავარდნოდა. — მე მოწყალებას არავისგან არ ვღებულობ, — განაგრძო ნადიამ. — შენ არ გიყვარვარ, ხომ სწორია? არ ისულელო და არ დამიწყო იმის მტკიცება, რომ გაგიჟებით მიყვარხარო. ასევე შეგეძლო გალანა მოგეწვია, მასთან ერთად გესეირნა და კიდევაც გადახვეოდი. შენ ჯერ, მე მგონია, არც კი იცი, თუ რას ნიშნავს ნამდვილი სიყვარული. წავიდეთ შინ.

დავითი ადგილიდან არ იძვროდა და წარბშეჭმუხვნილი დაჟინებით უცქეროდა ნადიას.

— წავიდეთ, — გაუმეორა ნადიამ. — არ გეწყინოს, რაც მე გითხარი. სულაც არ მინდოდა შენი შეურაცხყოფა. მე მხოლოდ სიმართლის თქმა მიყვარს.

— მაშ რისთვის წამოხვედი ჩემთან?

— იმისათვის, რომ მეც ადამიანი ვარ. გარდა ამისა... — ნადია შეჩერდა, უნდოდა ეთქვა, რომ გარდა ამისა მე მართლა მიყვარხარო, მაგრამ გადაიფიქრა და აჩქარებით დასძინა, — წავიდეთ, არ მოდიხარ?

— არა, წადი. მე აქ დავრჩები.

— როგორც გინდოდეს, — უხასიათოდ უთხრა ნადიამ და თავდახრილი წავიდა. თაიგული, დაკლული ქათამივით თავდაყირა ეჭირა ხელში და ისე მიჰქონდა.

მინდორი ჩაეარა და ისე მიიმალა ტყეში, უკან არ მოუხედავს, დავითი დიდხანს იცქირებოდა იმ მხარისაკენ, სადაც მიიმალა ჭრელკაბიანი ნადია, მერე შუბლზე ხელი მოისვა და მიმოიხედა.

შიმშილი იგრძნო.

„რისთვის არ წავედი მასთან ერ-

თად? — გაიფიქრა დავითმა. — ერთად ვისამხრებდით. მთელი დღე მშიერი ვარ. რისთვის დავრჩი. ვითომ განსაკუთრებული განცდები მაწუხებს. არაფერიც არ მაწუხებს“.

ალმართს აუყვა. გზადაგზა მოაგონდა, რომ დღეს თომა კუპატებით გამასპინძლებას დაპირდა. ტაფაში ჩახრაკული კუპატები ალბათ ღუმელში უდგას თომას და ელოდება.

მართლა! მჭადიც ხომ უნდა გამოეცხო.

სიმონს სამი ბოთლი ღვინო აქვს გადამალული. იმას ოღონდ კუპატები უხსენე და მაშინვე მოარბენინებს ღვინოს. ყველი, ცხელი მჭადი, კუპატები და ფუცხუნა ღვინო...

დავითი შედგა და ალმართი გაკვირვებით შეათვალიერა. რა უნდოდა ამ ალმართზე, რომ მიაბიჯებდა, სად მიდიოდა?

სწორედ ამ დროს ქვემოდან ძახილი მოესმა:

— დაااა...ვიით!

— ეჰე... ჰეეეო... — გასძახა დავითმა.

მინდორზე ვილაც იდგა და ქუდს უქნევდა. დავითმა სწრაფად ჩაირბინა ალმართი და, როდესაც ტყისპირს მიუახლოვდა, იცნო ვანო, რომელიც დოინჯმოყრილი ელოდებოდა.

— რა ამბავია, ვანო? — ჯერ კიდევ შორიდან გასძახა დავითმა და, როდესაც სულ ახლო მივიდა, კიდევ ჰკითხა, — რა ამბავია?

— წამოდი ჩქარა. თბილისში გიბარებენ.

— ვინ მიბარებს?

— არ ვიცი. რაიონიდან შიკრიკი მოვიდა.

— რა ამბავიაო?

— წამოდი, გიამბო. ამბავიაო? რაიონს სცლიან თურმე.

— რაო?

— გერმანელები ულელტეხილზე მოსულან და სადაცაა გზას მოგვიჭრიან.

დავითს თითქოს გულზე უკბინა რაღაცამ. მწვავე ტკივილი იგრძნო, ისეთი მწვავე ტკივილი, რომ სული ძლივს მოითქვა. შეჩერდა და წარბებშეკრულმა გულმოსულად გადახედა ვანოს:

— ხუმრობ, თუ მართალს ამბობ?

— თავი დამანებე, თუ ძმა ხარ. რა დროს ხუმრობაა.

— კაცო, მე მეგონა გერმანელები გადარეკეს-მეთქი. ორი კვირაა სროლის ხმა არ გაგვიგონია... — ველარ დაამთავრა. ხელი ჩაიქნია და თავქვე თავგამეტებით დაეშვა. ვანო ფართო ნაბიჯით მისდევდა.

თავი მერვე

რაიონიდან გამოგზავნილი შიკრიკი სამზარეულოს წინ მერხზე იჯდა და გარშემოხვეულ მუშებთან საუბრობდა. ყველანი სეტყვასავით აყრიდნენ კითხვებს და ის ვერც კი ასწრებდა პასუხის გაცემას. დანარჩენები ჯგუფ-ჯგუფად შეყრილიყვნენ ეზოში და გაცხარებული ყაყანებდნენ. ყველას ალელვება ეტყობოდა. აბესალომს ბარგიც კი შეეკრა და სტეფანეს ეჩხუბებოდა, სპეცტანსაცმელი ჩაიბარეო.

გამოჩნდა თუ არა დავითი, მუშები მაშინვე შემოეხვივნენ და ყველანი ერთად ალაპარაკდნენ. საერთო ყაყანში მხოლოდ ერთი აზრის გაგება შეიძლებოდა; რომ მათ სურდათ ახლავე შეეკრა ყველას ბარგი და გზას გასდგომოდა. მხოლოდ თითო-ოროლა ადგა იმ აზრს, რომ დილამდე დაეცადათ.

დავითი შიკრიკთან მივიდა. იგი მაშინვე ფეხზე წამოდგა, ქუდი ოდნავ მოიხადა და შემდეგ ხელი გაუწოდა დავითს.

— გამარჯობა შენი! — უთხრა დავითმა.

— იცოცხლე, ჩემო ბატონო.

— რას გადამირიე, კაცო, ეს მუშები? — დავითი მერხზე დაჯდა და შიკრიკი გვერდზე მოისვა, — რისთვის გამოგაგზავნეს.

— ახლავ უნდა წამობრძანდეთ, ბატონო. — უპასუხა შიკრიკმა.

— როგორ ახლავე?

— ამ წუთში. ასე მითხრეს, როგორც მიხვიდე, ცხენიდან არ ჩამოხვიდე, იმ წამსვე წამოიყვანეო.

— ვინ გითხრა?

— რაიკომის მდივანმა.

— ვალიკომ?

— ვალიკომ. ასე მითხრა, გზაში არ შეჩერდე, არც დღე, არც ღამეო. რაიონიდან ისე მოვდივარ, რომ არ დამისვენია. მოვკალი ცხენი.

— რა ამბავია ასეთი?

— რა ვიცი, შენი ჭირიმე, რა ამბავია ჩვენს თავს!

— ვალიკო იქაა?

— ჯერჯერობით იქაა. ერთი სიტყვით, მე იქ დავტოვე და მერე თუ წავიდა სადმე, არ ვიცი.

— სად უნდა წასულიყო?

შიკრიკმა თავი გაიქნია და ცალი მხარი ასწია, ვითომ მაგ რალა საკითხავია, სად უნდა წასულიყოო.

— სხვა არაფერი დაუბარებიათ?

— არაფერი.

— ან სამუშაოს შესახებ, ან მუშების შესახებ. რა ვუყო ამ ხალხს?

— არაფერი, ბატონო, არაფერი არ უთქვამს.

— რაიონში რა ამბავია? მართლა სცლიან?

— მგონია ასე უნდა იყოს. დანამდვილებით ვერ გეტყვი. ახლა ნუღარ დავაგვიანებთ, შენი ჭირიმე. დროზე გავუდგეთ გზას. იქნება თქვენი ცხენი მათხოვოთ, ჩემსას აქ დავტოვებ, თორემ ეგ მე კი არა, თავის თავს ვეღარ ატარებს.

— კარგი, ახლავე. — წამოდგა ფეხზე დავითი და ვიღაცას დაუწყო თვალით ძებნა. — სტეფანე!

— ბატონო, — უპასუხა სტეფანემ და იმწამშივე აბესალომს ჯაჯღანით შეუტია: — მომშორდი, კაცო, დამანებე თავი-მეთქი, გელაპარაკები.

— სტეფანე, ჩემი ცხენი და შავი იაბო შეკაზმე ახლავე.

— კი ბატონო, მარა ეგ კაცი მომაშორე, — გაიშვირა ხელი აბესალომისაკენ სტეფანემ.

— რა გინდა აბესალომ? — ჰკითხა აფუსფუსებულმა დავითმა და ისე მიიხედა მისკენ, რომ მთელი გამომეტყველებით ეუბნებოდა. ჩქარა თქვი, რაც გინდა, თორემ არ მცალიანო.

— რა მინდა და ჩაიბაროს ყველაფერი, შენი ჭირიმე, სხვებივით კი არ ვიცი მე, სახელმწიფო ქონებას რომ ფეხებზე მოიკიდებენ.

— რა ჩაიბაროს? — გაოცდა დავითი. მისთვის სრულიად გაუგებარი იყო აბესალომის სურვილი.

აბესალომი პირველად კიდევაც შეაკრთო დავითის ამ თავისებურმა გამომეტყველებამ და შეკითხვის კილომ. ამიტომ გაუბედავად უპასუხა:

— სპეცები, იარაღი.

— რატომ ჩაიბაროს? — კიდევ უფრო გაოცდა დავითი.

— იმე! თუ მივდივართ?

— სად მივდივართ? ვინ მიდის, ვინ გითხრა, მივდივართო?

— აბა... — აბესალომმა უმწეოდ მიმოიხედა თანამგრძნობლებს ეძებდა. — ასე რავა იქნება.

— რა რავა იქნება! გაგიჟდი? მე შენ ყველაზე ჭკუადამჯდარი კაცი მგონიხარ და ასე ამჩატება არ გეკადრება. — დავითი ცდილობდა მშვიდად ელაპარაკა. — იცოდეთ, უჩემოდ ფეხი არავინ არ მოიცვალოს აქედან. სამუშაო არავინ მიატოვოს, თორემ ჩემთან ექნება ყველას საქმე. ხვალ დილას ჩვეულებრივად ყველანი გახვალთ სამუშაოზე. ამ მთებიდან მტერი არ მოვა. გზა არა აქვთ. ქვევით კი რაიონამდე ერთი გზაა. იქედან, თუ რამე იქნება, მე თვითონ შემოგითვლით.

— ი, აგრე რავა იქნება? — შეედავა აბესალომი. — აქ თუ მტერი მოვიდა, შენი შემოთვლა რაღას გვიშველის, თაგვებივით ხაფანგში მოვემწყვდევით. ორი დღე აქედან შენ მოუნდები ჩასვლას, ორი დღე იქედან, სანამ ამბავს გავიგებდეთ და... არა, აჰ! არ გამოვა მაგრე ეგ საქმე. კაცი აღარ იქნება ჩვენი პატრონი.

— როგორ არ იქნება? მელიტონ! — მიმოიხედა დავითმა.

— აქა ვარ! — გაისმა ხმა.

— მელიტონ, მოდი აქ. შენ იქნები ჩემს მაგივრად. იცოდე, პასუხს შენ მოგთხოვ. წამოდი აქ ჩემთან, ოთახში მოვილაპარაკოთ. მართლა, შალიკო სადაა, დამიძახეთ. ახლავე ჩემთან მოვიდეს.

ორივენი ოთახში შევიდნენ. დავითი ფუსფუსით შეუდგა ჩაცმას, თან მელიტონს მთელ რიგ განკარგულებებს აძლევდა.

— მელიტონ, ხომ იცი, ადამიანს ჭირში გამოცდი, თორემ ლხინში ყველა მარჯვეა. მუშაობა არ შეაჩერო. ხვალ თუ მოახერხო, მოძებნე ისეთი საიდუმლო ადგილი კლდეებში, რომ დინამიტის საწყობის გადატანა შეიძლებოდეს. ვინიცობაა, ღმერთი გაწყრეს და მტერი მართლა მოგვადგეს კარზე, ხელში არაფერი ჩავუგდოთ. თქვენ თვითონ ტყეში გახვალთ. აქ ორმოცდაათ კაცს კი არა, მთელ დივიზიას დავმალავ და კაცი ვერ მოგაგნებს.

— მაგას რაღა ლაპარაკი უნდა.

— ჰოდა, სურსათის მარაგიც იმისთანა ადგილზე უნდა გაზიდოთ, რომ მტერს ერთი გრამი არაფერი დაუტოვოთ. ერთი სიტყვით, ხომ იცი, ახლა როგორ უნდა მოიქცეთ. რომ გაჭირდეს, სამ თვესაც კი შეინახავ თავს ამ სურსათით. მართალია, იარაღი არა გაქვთ, მაგრამ თუ ისე შეიქმნა მდგომარეობა, იმასაც ვიშოვით. ერთი სიტყვით, მე რომ მივდივარ, ყველაფერს გავითვალისწინებ, რაც საჭიროა. შეიძლება არაფერი არ შეიქნეს საჭირო, არც ტყეში გასვლა და არც კვინტრიში, მაგრამ წინასწარ მაინც უნდა გავითვალისწინოთ ყველაფერი. ასეა, ხომ?

— მართალი ბრძანებაა, შენი ჭირიმე. ოთახში შალიკო შემოვიდა.

— მოდი, შალიკო, მოდი, — შეეგება დავითი, — მოდი, თუ ძმა ხარ.

— რა მოხდა?

— მე რაიონში მიბარებენ. აქ აიწყვიტა, მგონია, ხალხმა. ყველა წასვლას აპირებს.

— წასვლას?

— აი შენზეა ახლა საქმე. უნდა უპატრონო ამათ.

— შე კაცო, — უბრალოდ და თანაც მშვიდი ღიმილით თქვა შალვამ. — მე მართლა რაღაც უბედურება მეგონა. მაგის ნუ გეშინია.

— მუშაობა ჩვეულებრივი წესით უნდა განვაგრძოთ. წასვლა რომ აუცილებელი ყოფილიყო, არ შემოგვითვლიდნენ? — ხალისიანად ჰკითხა შალვას, — ხომ ასეა?

— ცხადია.

— ჰოდა, აბა შენ იცი. მე მალე დავბრუნდები. მითხარით, ახლა ვის რა წამოგიღოთ.

სანამ ასე საუბრობდნენ, დავითმა ჩაიცვა სამგზავრო ტანსაცმელი, სავალე ჩანთა მხარზე მოიგდო და სამივენი გარეთ გამოვიდნენ. ცხენები შეეკაზმათ და იქვე ხეზე ბიებათ, სასადილო ბარაკიდან ყაყანი მოისმოდა. ეტყობოდა, ყველანი იქ შეგროვილიყვნენ, რადგან გარეთ არავინ ჩანდა შიკრიკის გარდა, იგი კბოდეზე გადამდგარიყო და ხეობისაკენ იცქირებოდა. დავითმა მიმოიხედა და ამბულატორიისაკენ გაიქცა.

— სიმონ, — გასძახა შორიდან დავითმა, აივანზე გამოსულ სიმონს, — შენთან პატარა საქმე მაქვს.

— მიდიხარ?

— ჰო. თუ ძმა ხარ, აქაურობაზე თვალყური გეჭიროს.

— შენ! — მიაძახა სიმონმა. — გეს-

მის? ღვინო წამოიღე, ისე არ დაბრუნდე.

— კარგი, კარგი. მართლა! — გაახსენდა დავითს, — მგელივით მშია. წამოდი, იქ მგონი კუპატები აქვს თომას. წავიდეთ, ვჭამოთ.

— კუპატები? — შეხტა სიმონი, — ერთი ბოთლი ღვინო მაქვს, გზას დაგილოცავ.

— ერთი კი არა, სამი გაქვს, მაგრამ მაინც წამოდი, — სიცილით მიაძახა დავითმა და სამზარეულოსაკენ გაემართა.

ქალთა ბანაკიდან გალინა გამოვიდა და პირდაპირ დავითისაკენ გაეშურა.

— თქვენ რა, მიემგზავრებით? — კეკლუცი ღიმილით ჰკითხა გალინამ დავითს.

— ჰო, ერთი ხუთი დღით, — უპასუხა დავითმა და შეჩერდა.

— მერე არ გრცხვენიათ? მიდიხართ და არც გინდათ გამოგვეთხოვოთ.

— აბა რას ამბობთ? სხვების რა მოგახსენოთ და თქვენ კი აუცილებლად. რას დამაბარებთ?

— არაფერს. მე არაფერი არ მინდა.

— არა, მაინც.

— გეფიცებით, არაფერი!

— ოო, ნუთუ არაფერი არ გინდათ ისეთი, რაც გაგეხარდებათ?

— მხოლოდ ერთი რამ.

— რა?

გალინამ გაიღიმა და ამ ღიმილით დავითმა უცბად იგრძნო, რასაც გულისხმობდა გალინა? ჩქარა დაბრუნდი. რა მომხიბლავი და მშვენიერი ქალია ეს გალინა. როგორი ცისფერი თვალები აქვს.

— ვიჩქაროთ, შენ გენაცვალე, ვიჩქაროთ, — მოესმა უცბად დავითს შიკრიკის ხმა. შიკრიკი შეუმჩნევლად მიახლოვებოდა ორივეს, — ვიჩქაროთ, თორემ ახლა როგორი დროა, ხომ იცით, მე აგერ ფეხზე ველარ ვდგავარ, ისე ვარ დაღლილი, მაგრამ რა ვქნა.

— ახლავე, ახლავე, — უპასუხა დავითმა, მერე გალინას ხელი გაუწოდა და ჩურჩულით უთხრა: — კარგი, ჩემზე იყოს, რასაც ჩამოგიტანთ. ნახვამდის!

გალინამ მაგრად ჩამოართვა ხელი.

ბანაკში ატეხილმა ყაყანმა უნებურად მიიქცია დავითის ყურადღება, გალინას გულდაწყვეტილი ღიმილით განშორდა და შიკრიკთან ერთად ბარაკისაკენ წავიდა.

ბარაკში ერთი ალიაქოთი იდგა. ყველანი აქ შეგროვილიყვნენ, ქალები და კაცები. ზოგი ტახტზე ჩამომჯდარიყო. ზოგი ფეხზე იდგა და ყველა ერთად ლაპარაკობდა. შეუძლებელი იყო რაიმეს გაგონება. განსაკუთრებით აბესალომი ჭირვეულობდა, რადგან მარტო წასვლას ვერ ბედავდა და უნდოდა ყველანი აეყოლებინა.

— ბიჭო, რა ჭკუა აქვს ახლა აქ ჩვენ დარჩენას, — ხაოდა აბესალომი, — ამ უხეირო ადგილას! იარაღი გვაქვს, მტერს რომ შევებრძოლოთ, ჯარი გვარტყია გარშემო, რომ გვიცავდეს, თუ რა?! მითხარით ერთი. გამაგებინეთ. ვკითხოთ აგერ ქალებს, ესენი როგორ მოიქცნენ, როცა მტერი მოადგეთ კარზე. პელაგია, სკაჟი პოჟალუსტა.

— ჩვენ გვიბრძანეს და მხოლოდ მაშინ წამოვედით. — უპასუხა პელაგიამ.

— ჩემი აზრით, სანამ არ გვიბრძანებენ, ჩვენ უფლება არა გვაქვს წავიდეთ, — თქვა ილიკომ, — იციან ხომ, რომ ჩვენ აქა ვართ. ხომ არ დაგვტოვებენ.

— ერთი შენც ლაპარაკობ რაღა, — გაბრაზდა აბესალომი. —

ატყდა ალიაქოთი.

— მაგას რა ენაღვლება.

— რას ლაპარაკობ, არ დაგვტოვებენო, ჩვენი თავი აქვს ახლა ვინმეს?

—არა, ძმაო, ახლა იმისთანა დროა, ქალაქებსა და რესპუბლიკებს ვტოვებთ, და ჩვენ ვის მოვაგონდებით.

აბესალომი რუს მუშებს მოუბრუნდა:

— შენ რას ეტყვი, იაშა?

— მეც ვფიქრობ, რომ უნდა შევიცადოთ, — თქვა მან მცირე დუმილის შემდეგ, — წასვლას ყოველთვის მოვასწრებთ. მართალია, რაიონს სცლიანო, ამბობენ, მერე რა! იქ გერმანელები კიდევაც რომ მივიდნენ...

— მაშინ უკან დასახევი გზა მოჭრილი გვექნება, — შეაწყვეტინა აბესალომმა.

—რატომ გვექნება. ასე ქედს გადევივლით, ნახევარი დღის სავალია, და უცბად ჩავალთ ჭინჭარას ხეობაში.

— გზა? სადაა გზა? — არ ეშვებოდა აბესალომი.

— გზა რას მიქვია. ხალხი იალბუზზე ადის და ჩვენ აქ ტყიანი მთა ვერ უნდა გადავიაროთ? სირცხვილია მაგაზე ლაპარაკი, სხვა რომ არა იყოს რა.

იაკობ დემიანოვის ამ მშვიდმა კილომ თითქოს ყველა დააწყნარა. მარტო აბესალომი ვერ ისვენებდა.

— იცი, რა გითხრა, იაშა? შენი არ ვიცი და მე გული არ მიდგება. მთას გადავივლითო იძახი, კი გადავივლით, მაგრამ გერმანელი თუ წამოგეწია, იმის ტყვიას ამ დაკიდულ ალმართზე გინდა აასწრო? ამას იმისთვის კი არ ვამბობ, რომ სიკვდილის მეშინოდეს, მტერს არ მინდა ხელში ჩავუვარდე. მერე-და, თუ რაიონის ევაკუაციას ატარებენ, ჩვენ რატომ უნდა დავრჩეთ აქ, გამაგებინეთ ერთი!

მელიტონი პირმოკუმული უცქეროდა მუშებს და ხმას არ იღებდა.

ერთი ორჯერ კი სცადა დაერწმუნებინა აბესალომი, ნუ წავალთ, როგორც გვიბრძანეს, ისე მოვიქცეთო, მაგრამ გრძნობდა, რომ ერთი დღე კიდევაც რომ შეეკავებინა დავითის წასვლის შემდეგ მას ხელში ვეღარ დაიჭერდა.

კარები ჯახუნით გაიღო და ბარაკში დავითი შემოვიდა.

— რა ამბავია? რა ალიაქოთი აგიტეხიათ? — იკითხა მან და უცბად ჩაჩუმებულ მუშებს ქორივით გადახედა.

პასუხი არავინ გასცა.

— არ იტყვით, რა მოგივიდათ? თუ ყველანი დამუნჯდით!

— დავით, ბატონო, აქ ვლაპარაკობდით ახლა ჩვენ, და ასე მგონია, შენი ჭირიმე, რომ ჩვენი აქ დადგომა ახლა შეუძლებელია, — წამოიწყო ნელა აბესალომმა.

დავითმა რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, ტახტზე ჩამოჯდა და აბესალომს შეაცქერდა.

— რატომაა შეუძლებელი?

— რატომ და საიდან სად მოსული ხალხი ვართ, შენი ჭირიმე, რა გვინდა აქ? ამ უსიერ მთაში?

— ჰო, მაგრამ რისთვის მიბარებენ, თქვენი ჭკუით, რაიონში?

— ეგ ჩვენ რა ვიცით!

— მე რა ვთქვი? — იკითხა წარბშეკრულმა დავითმა.

— შენ ქე თქვი, მაგრამ...

— მერე?

— როგორც გენებოს, ბატონო, — მხრებს აწევით თქვა აბესალომმა, და დანარჩენებს ისე გადახედა, თითქოს ეუბნებოდა, „ელაპარაკეთ ახლა ამასო“.

— მელიტონ, არ უთხარი ყველას, რაც დაგავალე? — მიუბრუნდა დავითი მელიტონს, მაგრამ პასუხს აღარ დაუცადა და ისევ მუშებს მიუბრუნდა, — მაშ წასვლა გინდათ?

— გვინდა მაშ... — წაიდუდუნა ვანომ.

დავითმა გულმოსულად შეანათა თვალები ვანოს, მაგრამ არაფერი არ უთხრა და ისევ აბესალომს შეხედა.

— მაშ, თქვენი აზრით, ჩვენ უპატრონო თხებივით უნდა დავიფანტოთ, არა? აბესალომ, რამდენი ხანია მე და შენ ერთად ვმუშაობთ? წელიწადნახევარია, ყველანი ერთად ვართ აქ და პირდაპირ შევასკდით ამ კლდეებს. მთელი თვეების განმავლობაში თქვენთან ერთად ვმუშაობ მნგრეველად, მებიგედ, მბურღავად, სულ ჩვენი ხელით არის გაკეთებული ყველაფერი, ეს ბარაკებიც, მაღაროებიც, ერთად გვეძინა,

ერთად გვიჭირდა და ერთად გვილხინდა. როგორ გგონია, შენ სასიკვდილოდ მემეტები?

— არა, მაგას რაზე ბრძანებთ! — აიწურა აბესალომი.

— მოიცა, ნუთუ ისეთი სულელი გგონივარ, რომ მე ყველაფერი არ მქონდეს გათვალისწინებული. განა თქვენ ისე გაგიმეტებთ, რომ მტრის ხელში ჩაგყაროთ? მერე-და, სად იბრძვიან შენი შვილები?

— ერთი ლენინგრადის ფრონტზე, მეორე მოსკოვთან სადღაც, — უპასუხა აბესალომმა.

— მერე, შენი ბიჭები იქ იბრძვიან და შენ აქ წარმოებას ველარ უნდა მოუარო? იმან იქ სისხლი დაღვაროს და შენ ოფლიც აღარ გინდა მოიწურო?

— ბატონო, მუშაობაზე ვინ თქვა უარი, — წყენით უთხრა აბესალომმა, — მუშაობაზე კი არა, მე არ მოგიკვდე, იარაღი რომ მქონდეს, მაღაროში თუ ფეხი შევადგა. დავდგები ამ მთებზე და იმ კლდეებზე მტერი ამომივა? მუშაობაც ვიცი და ბრძოლაც შემიძლია, მარა, შე დალოცვილო, თოფიან კაცს ლომები რომ დაესხონ, ისინიც ვერაფერს დააკლებენ და ჩვენ ურიოებით რას დავაკლებთ ხელის ტყვიამფრქვევებით შეიარაღებულ გერმანელებს. ერთი დაჟანგული, გადაჭრილი ვინტოვკა აქვს ჩვენი დინამიტის საწყობის ყარაულს და ესაა სულ ჩვენი იარაღი. მგონია არც ვარდება, თორემ სხვას ვინ ჩივის.

— ჩემო აბესალომ, სასიკვდილოდ რომ თოფიანი მეზობელი გამოგეკიდოს, მაინცდამაინც ზარბაზანი თუ არ მოგართვეს, სხვას არაფერს მოჰკიდებ ხელს? ალბათ ან ქვას ამოეფარები სადმე, ან ყორეს, შეურჩევ დროს და, კეტიც რომ ზუზღო თავში, მტერს მაინც გააფუჭებ. შე კაცო, საქმე საქმეზე რომ მიდგეს და სულ რომ გაწყდეს ყველაფერი, ორი ტონა მარტო დინამიტი გვიწყვია საწყობში. დანაღმე გზები. ელექტროდეტონატორები გვაქვს და, თუ მოინდომებ, ამ მაღაროებში ჩატანაც კი არ შემოაფრენს კაცი. შერე-და, მე რომ მივდივარ, სასეირნოდ ხომ არ ვაპირებ წასვლას. ან იქნებ ვინმეს ჰგონია, რომ მივიპარები?

— ეჰ, ეგ რა ბრძანებაა... მაგას ვინ ფიქრობს.

— აბა, ბევრს ნუღა მალაპარაკებთ. ისედაც მაგვიანდება. ერთი სიტყვით, ნურავინ ფიქრობს, პატრონი აღარ გვყავსო. ოცდაერთი წელიწადია, საქართველოს ბოლშევიკები პატრონობენ და ერთხელ და სამუდამოდ უნდა გავიგოთ, რომ საბჭოთა ქვეყნის წაქცევა არ მოხდება. ეს ქარიშხალი გადაივლის და მზე ისევ გამოანათებს.

ყველანი სულგანაბული უცქეროდნენ დავითს და მიუხედავად იმისა, რომ გარეგნულად თითქოს კიდევაც თანაუგრძნობდნენ, აშკარად იგრძნობოდა, რომ მათი სიმშვიდე დიდხანს ვერ გასტანდა. საჭირო იყო რაიმე გადამჭრელი ზომების მიღება, რომ მუშები არ აშლილიყვნენ და ჩვეულებრივად განეგრძოთ მუშაობა-გვირაბებში.

და უცბად მოაგონდა თავისი ბავშვობის დრო, როდესაც დედა სადმე მიდიოდა და შვილს მარტო ტოვებდა შინ, მურაბით სავსე ქილების განსაკუთრებულ მეთვალყურეობას მასვე ავალებდა. უნდა გენახათ, რა გულმოდგინედ დარაჯობდა ამ ქილებს პატარა დათიკო.

— აბესალომ.

— ბატონო!

— შენ თვითონ ბატონო, აი ეს მუშები და ეს შენ. მე მივდივარ, რადგან მიბარებენ. ჩემს მოსვლამდე შენთვის ჩამიბარებია ამათი სვე-ბედი. გინდა ახლავე აყარე სუყველა და წაიყვანე, მაგრამ იცოდე, რომ პასუხისმგებელიც შენ იქნები, თანახმა ხარ?

— მე რა შუაში ვარ...

— როდესაც გავალებ, შუაშიც ხარ და თავშიდაც. არ იფიქრო, დავითი მი-

დრს და აქ ჩვენს ნებაზე, რასაც გვინდა, იმას ვიზამთო. აგერ ყველას გიცხადებთ, როგორც აბესალომი გეტყვით, ისე მოიქეცით. თანახმა ხართ?

— თანახმა ვართ, თანახმა, — იყვირეს აქეთ-იქიდან.

— აგრე. წესრიგი არ დაარღვიოთ. ჩემს მაგვარად ტექნიკურ ნაწილში მელიტონი იქნება. საერთო ხელმძღვანელობა შალიკოს ეკალება, როგორც პარტორგანიზაციის მდივანს. აბესალომი კი პირადად იქნება პასუხისმგებელი ყოველი თქვენგანის ყოფაქცევაზე. ახლა, როდესაც მტერი კარზე მოგვადგა, უფრო გვჭირდება თავდაჭერილობა და სიფხიზლე, თხებივით თუ ავირიეთ, რას ემსგავსება ჩვენი ყოფაქცევა.

აბესალომი ჩაფიქრებული უსმენდა დავითს და, თუმცა ისე იყო აწრიალებული, ისე უმძიმდა დარჩენა, რომ მზად იყო ახლავე ქუდმოგლეჯილი გასდგომოდა გზას, იძულებული გახდა, ბედს დამორჩილებოდა. ულვაშზე ხელი გადაისვა, ამოიოხრა და დავითს ოდნავი ღიმილით უთხრა:

— შენ კი რა გითხრა, გამაბი ხომ ხაფანგში?

— რატომ, კაცო — ჩაიცინა დავითმა

— იცი კარგად, აწი, რომ მომკლან, აქედან ფეხს აღარ მოვიცვლი, სანამ შენ არ დაბრუნდები.

— არა, შე კაცო, მე იმას კი არ გეუბნები, მაინცდამაინც თავი შეაკალი-მეთქი. როგორც შეხედო საქმეს, ისე გადაწყვიტე. შალიკოს უკითხავად ნაბიჯი არ გადადგა, ხომ იცი?

— ვიცი, ვიცი...

— ჰო, აგრე მოიქეცით!..—დავითმა. მიმოიხედა და წასასვლელად გაემზადა.

— რა გადაწყვიტეთ? — ჰკითხა პელაგიამ, — ვრჩებით?

— რასაკვირველია. შეგატყობინებთ ყველაფერს.

დავითი ჩქარი ნაბიჯით გავიდა ბარაკიდან, ყველანი წამოიშალნენ, ზოგმა იგი კარებამდე მიაცილა. ილიკომ ჩაიხითხითა და აბესალომის შეკრულ ბარგს მუშტი დაჰკრა.

— რა ტყუილად შეგრჩა ნაბარგის შეკვრა, აბესალომ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისუფლად ალაპარაკდნენ და თითქოს კლასიდან მასწავლებელი გასულიყოს, ცელქობა დაიწყეს. ტახტებს ახტებოდნენ, შეკრულ ბარგს ერთმანეთს ესროდნენ და სიცილ-ხარხარით იქაურობას იკლებდნენ.

სამზარეულოში თომას უკვე გაეწყო სუფრა. დავითმა აჩქარებულად ივახშმა შიკრიკთან და სიმონთან ერთად, რომელსაც თავისი გადამალული სამი ბოთლი ღვინო მოეტანა და ახლა რიგრიგობით აჩენდა, შემდეგ ჩანთა გადაიკიდა, ეზოში გამოვიდა და ცხენს მოეკლო.

უკვე ბინდდებოდა, როდესაც ორივენი დალმართს დაუყვნენ.

ბილიკი მდინარის პირს მიჰყვებოდა. საღამოობით მდინარე ყოველთვის მოდიდებული მოდიოდა და გამაყრუებლად ხმაურობდა. მისი სათავე ყინვარის ბოლოდან იწყებოდა და დღის განმავლობაში დამდნარი ყინულის წყალი მხოლოდ საღამოობით აღწევდა ამ ადგილამდე.

ცხენის ფეხის ხმა სრულიად არ ისმოდა.

მოსახვევიდან დავითმა უკან მოიხედა.

ნაცნობი ადგილები სიბნელეში ჩაძირულიყო. მაღალი მთები გიგანტური ლანდებივით ამართულიყვნენ ზეცაში და მდუმარებდნენ.

მხოლოდ მდინარე ხმაურობდა. ცივ შხეფებს ისროდა, ქვებსა და ლოდებს ღრენით ეხეთქებოდა და ყრუ ქუხილით მიაგორებდა მორენებს.

როდესაც თხმელებში ჩავიდნენ, დავითის ცხენმა ყურები ცქვიტა და დაიფრუტუნა. ახალგაზრდა კაცმა კი დაკვირვებით შეათვალიერა ბინდ-ბუნდში ჩალანდული ბუჩქები და თითქოს ადამიანს მოჰკრა თვალი.

— ვინ არის? — დაიძახა დავითმა.

— ეს მე ვარ, — გაისმა ქალის ხმა და უცბად ბუჩქებიდან თავი გამოჰყო ნადიამ.

დავითმა ცხენი შეაჩერა და გაოცებით შეხედა მის წინ ალანდულ ქალს.

— შენ! აქ რას აკეთებ?

— არაფერს. მიდიხარ?

— ჰო!

— მე მინდოდა... — ნადია შედგა, მეორე ცხენოსანს გადახედა, — მე მინდოდა... გამოგთხოვებოდი.

დავითმა გაიცინა. შოკრიკს მიუბრუნდა.

— წადი წინ. ახლავე დაგეწევი.

შოკრიკმა გადაჭრა ცხენს მათრახი და თხმელებში შლიგინით მიიმალა.

— ამისთვის წამოხვედი ქვემოთ? — ჰკითხა დავითმა და ხელი გაუწოდა, — ნახვამდის.

— ნახვამდის, — უპასუხა ნადიამ, — მშვიდობით, ჩემო ძვირფასო. ჩვენ ალბათ ველარასოდეს ვნახავთ ერთმანეთს. გახსოვდეს, რომ მხოლოდ შენ მიყვარდი, მხოლოდ შენ. ახლა ბნელა და როგორ თამამად ვლაპარაკობ. ხომ მართალია? ჩამოდი ცხენიდან, მინდა გაკოცო, ხომ შეიძლება?

დავითი ჩამოხტა ცხენიდან, ნადიას ხელები მოხვია, მან კი ორივე ხელით მისი თავი მიიზიდა და ტუჩებზე დაეკონა.

— შენ ტირი? — ჰკითხა დავითმა, რაკი ტუჩებზე მლაშე სისველე იგრძნო.

— ო, არა, ეს ისე...

— სულელო. მე ერთ კვირაში დავბრუნდები.

— ნუ მამშვიდებ. მე ვიცი, რომ ჩვენ ველარასოდეს შევხვდებით ერთმანეთს. შენ ფრონტზე წახვალ, ჩვენც წავალთ აქედან და, კარგი... წადი, — გაიბრძოლა ნადიამ, თავი გათავისუფლა და მძიმედ ამოისუნთქა, — იყო და არა იყო რა. ცუდად არ მომიგონო.

მერე უცბად გაბრუნდა და თხმელნარში სწრაფად მიიმალა.

— ნახვამდის, — გასძახა დავითმა, მაგრამ ნადიამ აღარ უპასუხა.

თავი მეცხრე

საოცარი სიჩუმე იყო გარშემო. ცხენები მოწყენილი მიაბიჯებდნენ საცალფეხო ბილიკზე. ხანდახან თავებს აიქნევდნენ, რომ დახვეული ბუზები მოეშორებინათ ან შექუჩულად ამოზრდილ ბალახს წაატანდნენ პირს, რომ თავი მოეტყუებინათ. მათ უკვე შიმშილი აწუხებდა, რადგან მთელი ღამის განმავლობაში, და აგერ ნაშუადღემდე, შეუჩერებლად მოაბიჯებდნენ და მათი პატრონები არც კი ფიქრობდნენ შეჩერებას.

მთელი ღამის უძინარი დავითი ახლა უნაგირზე თვლემდა. ხანდახან უცბად ახელდა თვალს, უცქეროდა მშვიდსა და მდუმარე მთებს არეული ღრუბლებით დაფარულ ცას და მერე ისევ იწყებდა თვლემას. გზის პირზე გადმოწოლილი ხეები, ნასხლეტებში ჩამოშვავებული ქვიშა, ღორღებში აბუყბუყებული ნაკადულები, ტყეთა სიმწვანით შეღებილი მთები და ზარმაცად აცურებული ღრუბლები, ყველაფერი ისევ ისე ჩვეულებრივი იყო, ზვიადი და წყნარი.

ბილიკი ხან მდინარის პირს მიუყვებოდა, ხან უცნაურად დაგრეხილი მაღლა ადიოდა, კლდეებს და ქარაფებს თავს ევლებოდა, ქედზე თოკივით მოიკლაკნებოდა, ასწლიანი წიფლების ძირკვებში ძვრებოდა, ჩაშვავებულ ღრანტეებს გვერდს უვლიდა და ისევე მდინარის პირად ეშვებოდა. ალაგ-ალაგ ტოტებდაგრეხილი ბებერი მუხა ან წიფელი თავისი დაბურვილი ფოთლებით სრულიად ფარავდა მდინარეს.

„როდესაც აქ გზატკეცილს გავიყვანთ, ეს იქნება ულამაზესი კუთხე, — ფიქრობდა დავითი, — მაგრამ როდის გავიყვანთ, ოჰ! ეს ომი, ომი!“

სიპებზე გამომძვრალ ხვლიკებს ლა-

შაზი წვრილი თავები მაღლა აეწიათ და შხეედრების მოახლოებისთანავე გასაოცარი სისწრაფით გარბოდნენ ბალახებში დასამალავად. თეთრი პეპლები ფრთების ფარფატით ფრენდნენ და ყვავილებზე ასეთივე ყვავილებად სხდებოდნენ. აქა-იქ მოჩანდა გარეული თხილის ბუჩქები თვალგახელილი თხილის კუნწულებით. მწიფე კინკრიჟა ყურძნის მტევნებივით გამოსჭვივოდა ფოთლებში, უფრო მაღლა თვალისმომჭრელად ბზინავდა მეწამული ჭნავის ჯაგნები.

ალაგ-ალაგ ქვაზე შესკუპებულიყო ერთი ციცქნა მარწყვის ბუჩქი და მწიფე ნაყოფით თავდახრილი, სოფლის ბიჭივით გაკვირვებული უცქეროდა მგზავრებს.

მშვიდად იყო მთელი სამყარო და დავითი რატომღაც განსაკუთრებულად განიცდიდა ამ სიმშვიდეს. წინათ მას ბევრჯერ უვლია ასეთ უდაბურ ხეობებში, მთებში, გაუტეხელი ბუნების წიაღში, მაგრამ არასოდეს არ უფიქრია, რომ შესაძლებელი იყო სიწყნარის ასე მძაფრად შეგრძნება. ამიტომ უნებურად ქალაქის ნახვის წყურვილმა შეიპყრო. მოენატრა ახმაურებული ქუჩების დანახვა და პირველ რიგში ქვაბნარა წარმოიდგინა, პატარა ქვაბნარა, რომელიც ქალაქად არც იწოდებოდა, მაგრამ თავისი დაწესებულებებით ყველაზე მეტად ჰგავდა ქალაქს. ჯერჯერობით ამ ახალშენს მხოლოდ ერთი ქუჩა ჰქონდა და ამ ქუჩაზე იყო ჩამწკრივებული რაიონის ცენტრის დაწესებულებებიც და საცხოვრებელი სახლებიც.

ქვაბნარას რაიონი ომის დაწყების წინ იქნა გამოყოფილი ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად და ის რუკაზე არც კი იყო აღნიშნული. თვით რაიონის ცენტრი ახლად გააშენეს ომ პატარა ვაკე ადგილზე, სადაც სამი ხეობა იყრიდა თავს და გარშემო ამართულ მაღალ კლდეებს ამშვენებდა უამრავი გამოქვაბული. ჩქერულას მთავარ ხეობას, რომელიც პირდაპირ ლარივით მიემართებოდა კავკასიონის ქედისაკენ, ქვაბნარასთან მარცხნიდან გულის ტბის ხევი ერთვოდა, ხოლო მარჯვნიდან ის უსახელო ხეობა, სადაც იმყოფებოდა დავითის მაღაროები.

ოდესღაც ჩქერულას ხეობაზე გასული საუკუნის 50-იან წლებში საულელტეხილო გზის გაყვანა განეზრახათ, მაგრამ შემდეგ თავი დაენებებინათ და გზა მხოლოდ ულელტეხილამდე გაეჭრათ. მიტოვებულ გზაზე მთაში ხე-ტყეზე მიმავალი თითო-ოროლა გლეხის გარდა არავინ დადიოდა, და ეს გზა მალე დაიფარა თხემლითა და ძურწა ბალახით. მხოლოდ ამ თხუთმეტიოდე წლის წინათ, მას შემდეგ, რაც ახალგაზრდა გეოლოგებმა ეს მთიანი რაიონი ერთიანად დაიარეს და აუარებელი მადნეულობა აღმოაჩინეს, ისევ წამოიჭრა გზის შეკეთების საკითხი. შემდეგ, როდესაც მთებში ხუთ-ექვს ადგილას მაღაროები გაიხსნა, საჭირო გახდა ახალი რაიონის შექმნაც და ამ რაიონულ ცენტრად განგებ იქნა შერჩეული ეს ადგილი, თუმცა აქ წინათ მოსახლეობა სრულიად არ იყო. რაიონის ფარგლებში შესული რამდენიმე სოფელი სამხრეთის მხარეზე მდებარეობდა.

პატარა მინდორზე გაშენდა ეს ახალი ქალაქი. სასწრაფოდ ააგეს შენობები, სადაც მოთავსდა რაიკომი, რაისაბჭო, ბანკი, ფოსტა-ტელეგრაფი, სასტუმრო და სხვა დაწესებულებები. მთელ მოსახლეობას მხოლოდ მუშა-მოსამსახურენი და მათი ოჯახები შეადგენდნენ და ამ ახლად ჩასახული ქალაქის მცხოვრებთა რიცხვი ძლივს აღემატებოდა სამას სულს.

ომამდე და ომის დაწყების პირველ წელს ამ მომავალი მთის ქალაქის ცხოვრება უწყინრად და მშვიდად მიმდინარეობდა. სამთამადნო წარმოებათა სიმრავლის გამო ქვაბნარას სასტუმროში განუწყვეტლად ათევდნენ ღამეს თბილისიდან და სხვა რაიონებიდან ჩამოსული ინჟინრები, მექანიკოსები, სამე-

ურნეო და მრეწველობის მუშაკები, პროფესორები, პრაქტიკაზე მიმავალი სტუდენტები და ათასი სპეციალობის ადამიანები. ყოველ საღამოობით სასტუმროს აივანზე ისმოდა მაგიდაზე დასადგმელი პატარა ბილიარდის ფოლადის ბურთების ჭახაჭუხი. ბილიარდის ექვსივე ლუზას მოგლეჯილი ჰქონდა ბადის ჯიბეები და ფოლადის ბურთები მუდამ იატაკზე ცვივოდნენ. ხანდახან რომელიმე უსაქმო ცნობისმოყვარე წყაროზე მიმდგარივით შეუშვერდა ლუზაზე პეშვებს და წინასწარ იჭერდა ოსტატურად გაჭრილ ბურთებს. სასტუმროს გამგე, როდესაც მას უსაყვედურებდნენ ბილიარდის ასეთ საცოდავ მდგომარეობას, სულ ერთსა და იმავეს იმეორებდა:

— ბატონო, ამ უდაბურ ადგილას ეგეც რომ გვაქვს, არ გიკვირთ?

მას, რასაკვირველია, სწყინდა, რომ მოთამაშეები მადლობას არ ეუბნებოდნენ და, პირიქით, საყვედურებით ავსებდნენ:

— რომ გაქვს, მოვლა უნდა!

— თუ ასე მოუარე, მალე აღარც ეს გექნება!

—ხომ გაგიგონია, საქონელი პატრონს ჰგავსო. არავინ არ იტყვის შენზე კარგს, თუ შენსას შენ თვითონ არ მიხედე.

— საკუთარი რომ იყოს, მაშინ ხომ მოუვლიდი.

სასტუმროს გამგე ძველი ყაიდის გრძელ ულვაშებს თოკივით წვრილად იგრეხდა და ახლა მართლა გულმოსული პასუხობდა:

— ბატონო, ქვეყანა მაგაზე თამაშობს, ძალი და მამაძალი (თქვენთან ბოდიში) და რა მოუვა. აგრე რომაა, ისიც საკვირველია.

საღამოობით, როდესაც დაწესებულებები მთლად ცარიელი იყო, მამაკაცთა უმრავლესობა ან სასადილოში იყრიდა თავს ან უნივერსალური მაღაზიის წინ სამასლაათოდ. ასეთ დროს რაისაბჭოს თავმჯდომარის მეუღლე-მაღალი და მოჭიდავესავით სქელი დედაკაცი, ჩაიცვამდა თბილისის საკუთარი — ბრეზენტის კაბას, საზღვარგარეთულ „პაუტინკებს“, ძვირფას ფეხსაცმელებს და ასე მორთულ-მოკაზმული ათიოდე ქალის თანხლებით ჩაესეირნებდა ამ ერთადერთ უსახელო ქუჩაზე. გზადაგზა აუცილებლად გამოელაპარაკებოდა ყველას, ზოგს შინაურულად გაეხუმრებოდა, ზოგს რაიმე ამბავს ჰკითხავდა, სასტუმროს აივანზე შეგროვილ უცხო ხალხს იდუმალი ცნობისმოყვარეობით შეათვალიერებდა და ისეთი მსუბუქი რხევით ჩაივლიდა, თითქოს აგარაკზე ჩამოსული თავაშვებული ქალი ყოფილიყოს.

ქვაბნარას მშვიდი და საქმიანი ცხოვრება არც ომის დროს დარღვეულა, სანამ ფრონტი მთებს არ მიუახლოვდა და ჩქერულას ხეობაში ჩაკლაკნილ გზაზე არ დაიწყო დენა უკან დახეულმა წითელი ჯარების ნაწილებმა.

პირველად, როდესაც წვერგაუპარსავი, დაღლილ-დაქანცული და ტანსაცმელგახუნებული წითელარმიელები გამოჩნდნენ, ჩრდილოეთ კავკასიიდან ევაკუირებულ მცხოვრებლებთან ერთად მთელი ქვაბნარას მოსახლეობა შიშმა შეიპყრო. მართალია, ევაკუირებულნი უფრო ადრე გამოჩნდნენ, მაგრამ მათ შორის წითელარმიელების დანახვამ რატომღაც თავზარი დასცა ყველას.

ჯარები ამ მიუვალი უღელტეხილის გადმოვლით განუწყვეტლად მოდიოდნენ ჩქერულას ხეობაზე. ისინი მოდიოდნენ დღისით და ღამით, მოდიოდნენ პატარა გუნდებად, ზოგი სრულიად უიარაღოდ, ზოგი თავით ფეხამდე შეიარაღებული.

ჯარისკაცები ცოტას შეისვენებდნენ ხოლმე ქვაბნარას მოედანზე. დაღვრემილნი ათვალიერებდნენ ამ რამდენიმე სახლიან ქალაქს და ისევ გზას განაგრძობდნენ.

— შორს არის მტერი? — ეკითხებო-

დნენ მებრძოლებს ქვაბნარის მცხოვრებნი.

— არ ვიცით.

—თქვენ სად მიდიხართ?

— არ ვიცით.

— ჩვენი ჯარი თუ არის იქ? — უთითებდნენ ულელტეხილზე.

— არის. ჩვენს უკან კიდევ მოდიან ჩვენები.

ასე გაგრძელდა ერთ-ორ დღეს, მაგრამ ერთ დილას, როდესაც კარგა ხნის ლოდინის შემდეგ მცირე გუნდი დაინახეს და ჰკითხეს სად არის მტერი, მოულოდნელად მიიღეს თავზარდამცემი პასუხი:

— ულელტეხილზე.

მაშინ კი ყველა აფუსფუსდა გასახიზნავად. რაიკომის მდივნის პატარა თავლია „გაზი", გულმოსულ ფინიასავით, ერთი ხველებითა და ცხიკვებით დარბოდა ქვაბნარსა და რკინიგზის სადგურს შორის და გაჭირვებით მიჰყავდა შეკრულ ლოგინებსა და ჩემოდნებს შორის ჩაჭედილი ქალები, ბავშვები და მოხუცები.

რაიკომის მდივანი რამდენიმე დღის განმავლობაში ტელეფონს არ მოშორებია, მაგრამ მას შემდეგ, რაც თბილისიდან დაურეკეს და უბრძანეს, ინჟინერი დავით ბექაია სასწრაფოდ გაეგზავნა ამიერკავკასიის შტაბის განკარგულებაში, მან ველარ მოახერხა, კვლავ დაკავშირებოდა ცენტრს. ხაზი მუდამ დაჭერილი იყო. მაშინ ტელეფონთან თანამშრომელი დატოვა და თითონ ულელტეხილზე წავიდა მდგომარეობის გასარკვევად და თავდაცვისათვის სასწრაფო ზომების მისაღებად. თავისი რაიონის თანამშრომლებისაგან რაიკომის მდივანს მოხალისეთა ორი ოცეული ჰყავდა დაკომპლექტებული. ყოველ საღამოს ამ მომავალი ქალაქის დაწესებულებათა მუშაკები, მწყობრში ჩამდგარნი, გულმოდგინედ დააბიჯებდნენ ქვაბნარას ერთადერთ ქუჩაზე. იგი ჯერ კიდევ ბალახით იყო დაფარული და შუა ადგილზე მოზრდილი ტლაპო ლივლივებდა. „ოპოლჩენცები", ანუ ჩვეულებრივად მოხალისე მოლაშქრენი, გაგრძელებულნი დააბიჯებდნენ ამ ბალახოვან ქუჩაზე.

ჯარის ნაწილების დინება სრულიად შეწყდა და ულელტეხილიდან არავინ გამოჩენილა, ამ მოულოდნელმა სიწყნარემ ყველა შეაშფოთა. ყოველ წუთში ელოდნენ მტრის ნაწილების გამოჩენას. ვალოკომ განკარგულება გასცა, ქალები და ბავშვები დაუყოვნებლივ გაეხიზნათ, თვითონ კი თავის მოხალისე რაზმის თანხლებით ულელტეხილისაკენ გაემგზავრა. ამიტომ იყო, რომ, როდესაც დავითმა შიკრიკის თანხლებით ქვაბნარის ქუჩაზე ჩაიარა, ერთ კაცსაც ვერ მოჰკრა თვალი. ცხენი რაიკომის შენობის აივნის ხარიხაზე გამოაბა სადავით, აივანზე ავიდა და კარებს ჯაჯგური დაუწყო. შენობის ყველა კარი დაკეტილი აღმოჩნდა და არც გარშემო ჩანდა ვინმე.

— რა ამბავია, არავინ არაა? — ჰკითხა დავითმა შიკრიკს.

— რა მოგახსენოთ. მე რომ თქვენთან მოვდიოდი, მაშინ ყველა აქ იყო.

— წადი ერთი, გაიგე, თუ კაცი ხარ, ნახე ვინმე. როგორ შეიძლება, რომ ვინმე არ იყოს. იქნება საქმელი ვიშოვნოთ რამე, მგელივით მომშივდა.

შიკრიკი მძიმე ნაბიჯებით წავიდა. ცხენზე ჯდომით დახუთულ ფეხებს ძლივს მიათრევდა. დავითმა მიმოიხედა და კიბეზე ჩამოჯდა. დაღლილს ძილი მოერია. წამოსაწოლ ადგილს თვალით ძებნა დაუწყო. მუხლებში ტკივილს გრძნობდა. ადგომა დაეზარა, თუმცა აივნის ბოლოში ძველ ტახტს მოჰკრა თვალი.

მოღლილ ცხენებს მოწყენით ჩაეჭინდრათ თავები. მშივრები იყვნენ.

რამდენიმე ხნის შემდეგ შიკრიკი დაბრუნდა და დავითმა შორიდანვე მიაძახა:

— როგორაა საქმე?

— ეს რა მომხდარა, შენი ჭირიმე, წასულა ყველა.

— ნახე ვინმე?

— ფოსტის გამგე ვნახე. ტელეფონთან ზის, ვერ ვცილდები, სანამ ვალიკო არ დაბრუნდებაო, არა-და, არც ვიცი, დაბრუნდება თუ არაო. თბილისიდან დაურეკიათ, რაიონი დაცალეთო, მერე ხალხში ხმა დარხეულა, უღელტეხილზე გერმანელები არიანო. ჯარს, რაც ყოფილა ჩვენი, ქე ჩაუვლია სულ. ვალიკოს, ვისაც კი იარაღის ტარება შეეძლო უღელტეხილზე, წაუყვანია, დანარჩენები გახიზნულან და აქ აღარავინ არაა. ეგ ვნახე და ღამის ყარაული. ფქვილი გამოუტანია საწყობიდან და პურს ზელავს, მეპურეც აღარ დარჩენილა, თორემ სხვას ვიღა ჩივის.

— არიქა, იქნება ჩვენც გვაჭამოს პატარა პურის ყუა. რა სისულელე მომივიდა, საგზალი რომ არ ვიგულე. რა მეგონა, მე ვთქვი, ქალაქ ქვაბნარში მივდივარ, რად მინდა რამე-მეთქი.

— რას ბრძანებთ, ბატონო, საჭმელს ახლა თქვენთან უფრო თუ იშოვის კაცი, თორემ აქ როცა ხალხი იყო, მაშინაც არაფერი იშოვებოდა, ახლა მგონია თაგვმაც ვერაფერი იშოვოს, არათუ ჩვენ.

— ამ ცხენებს ვერ ვაჭმევთ? ხედავ, რა საცოდავად არიან.

— რა ვიცი, თივა არც ქე უნდა იყოს მგონია. თუ არა-და. გავუშვებ ამ ხსლტეებში, მოკიწნიან რამეს.

— გარეკე, გარეკე, — ჩაიქნია ხელი დავითმა და ფოსტის შენობისაკენ წავიდა.

ფოსტის გამგე ტახტზე წამოწოლილიყო და თვლემდა. ბლუზის საყელო გაეხსნა და ცალი ხელი უბეში ჩაეყო. ხანგამოშვებით ბუზები აწუხებდნენ, ცხვირზე ან წარბებისმაგვარ ულვაშებზე ასხდებოდნენ და ისიც ყატასავით სახის კუნთებს ახტუნებდა, რომ ჯიუტი მწერები მოეშორებინა. მაგიდებზე ეყარა ამომშრალი სამელნეები და როდინებივით ჩაღრმავებული ბეჭდის ბალიშები. კედელზე მიდგმულ ხოკერშემოხსნილ ძველისძველ ტელეფონის აპარატს მთელი შიგნეული უჩანდა. ნაწლავებივით გადახლართული მავთულები, მაგნიტური ღუზები, ბატარეები გარეთ გამოცვენას ლამობდნენ. კუთხეში მიდგმული პატარა ცალკარიანი კარადა სასაციილოდ გადაწოლილიყო განზე, თითქოს წამოწოლას აპირებდა.

ფოსტის გამგემ აიწია და შემდეგ ფეხზე წამოდგა.

— გამარჯობა შენი, — მიესალმა დავითი, ტაბურეტი მიიწია და დაჯდა.

— გაგიმარჯოს, — თვალების ფშვნეტით მიუგო გამგემ.

— რა ამბავია, კაცო, ეს?

— რა ვიცი, შენი ჭირიმე, ველარაფერი გავიგე ამ ქვეყნისა.

— სადაა ხალხი.

— წავიდნენ ზოგი ზევით, ზოგი ქვევით, — დაამთქნარა გამგემ, — ვალიკო მაინც გამოჩენილიყო. მგონია, მართლა ჩავარდა ტყვედ. თქვენ რა ჰქენით. არ დაბურეთ მაღარო?

— რატომ უნდა დამეხურა? — გაიკვირვა დავითმა.

— რა ვიცი, თბილისიდან დარეკეს, რაიონი დაცალეთო. ხალხი აიყარა და მიდის. რაღას უნდა ვუცადოთ. მეც ვიცდი კიდევ ამაღამ და, თუ ვალიკო არსად გამოჩნდა, უნდა მოვუსვა ხვალვე.

— თბილისიდან მეტი არაფერი უთქვამთ? — თვალით ანიშნა ტელეფონზე დავითმა.

— მაგ ტელეფონმა დამტანჯა. სამი სოფლის საბჭო უნდა გავიარო, სანამ

მეორე რაიონს შემიერთებდნენ, იქიდან ქუთაისს, ქუთაისიდან თბილისს და გაიგონებ რამეს! მგონია, აქედან რომ დაუძახო, უფრო ჩააწევ ხმას. თქვენს შესახებ რომ რეკავდნენ...

— თბილისი რეკავდა?

— კი. ძლივს გავიგე, რაში იყო საქმე. მალე წახვალთ?

— რა ვიცი. მე რითი წავიდე. ცხენები ფეხზე ველარ დგანან. წუხელ რომ წამოვედით, გზაში არ გამიჩერებია.

— თბილისიდან დარეკეს, ერთ წუთს არ გააჩეროთ, ყოველგვარი სატრანსპორტო საშუალება პირველ რიგში მიეცითო.

— მანქანა არაფერია?

— წამლად. ერთი პატარა „გაზი“ იყო რაიკომის მდივნის და გაასავათეს. სადღაც გზაში აგდია, ოთხიღე „პაკრიშკა“ სულ წიაწიათ აქვს წასული. საბარგო მანქანა გვყავდა ერთი და წელიწადია, თვალით არ მინახავს. ცხენები, რაც იყო, ვალიკომ წაიყვანა ულელტეხილზე.

— ფეხით უნდა ვიარო?

— არა, ეგ თქვენი ცხენები ისევე! პატარა დაასვენე, ბალახი მოაძოვე. ქერი უნდა იყოს საწყობში. ჩაგიყვანს. შებინდებისას თუ წახვალ, დილას სადგურზე იქნები. გზა კარგია. მანამდე დაისვენე. იქნება ვალიკოც გაჩნდეს.

— თვითონ თბილისში რა ამბებიაო?

— რა ვიცი, ამბობენ, ნახევარი თბილისი დანგრეულიაო.

— დაუბომბიათო?

— დაუბომბიათო. რამდენად მართალია, არ ვიცი.

— სისულელეა. პროვოკაციაა!

— მეც აგრე მგონია, მაგრამ ვლადიკავკავი აუღიათ გერმანელიბს. თუ ეს მართალია, მაშინ მეც მეპარება ეჭვი, იქნება მართალია ყველაფერი. ნავთლულში დესანტი გადმოუსხამთ გერმანელებსო, და კიდევ სად თქვეს, ჰო, მცხეთაშიო თუ მუხრანშიო, მგონი.

— მე ვინ მიბარებს, არ გაგიგია?

— შტაბი გეძახის. აქ მქონდა სადღაც ტელეფონოგრამა. ვიღაც გენერალი აწერდა ხელს, რუსს ჰგავრა იყო, მაგრამ აღარ მახსოვს.

მოულოდნელად ტელეფონი აწკარუნდა. გამგე მაშინვე წამოიჭრა ფეხზე და აპარატთან მივარდა.

— არიქა, მიდი, მიდი. — მიაშველა ხმა დავითმა, — ვინ რეკავს, გავიგოთ.

— გისმენ... ქვაბნარა გისმენს, —ჩაყვირა გამგემ მილში, — რაო... ხონია? რომელი სონია, გაგიჟდი, ვიღაცა ხარ... სონია კი არა, ბებიაჩემი მაკრინე მომთხოვე ახლა, თუ კაცი ხარ. რაო?... ჩემს მეტი აქ არავინ არაა... წამოვიდა ალბათ, რა ვიცი მე! არ ჩამოსულა? ახლა მე ვეძებო... რა ვიცი, წავიდა. იქნება სხვამ წაიყვანა... რომელი ლაპარაკობ.... წადი შენი... — გულმოსულად დაკიდა მილი გამგემ და ტელეფონს მოცილდა. — მოდი ახლა შენ და სონია უძებნე! რამდენი სულელი ჰყავს ამ ქვეყანას...

დავითმა ჩაიცინა. მცირე ხნით ორივენი სდუმდნენ. კარებში ვიღაცას დედალმა შემოიხედა, უცნაურად დაიკრუალა და დაურიდებლად შემოაბიჯა.

— აქშა, — მიაძახა გამგემ, — რა ჯანაბა გინდა, აქ რომ მოდიხარ. აქშა. მე საჭმელი მომთხოვე და გერმანელებს თავი შეაჭამე.

შეშინებული დედალი ერთი კრიალხით და ფრთების ფართხუნით გავარდა გარეთ.

— ეს რა სისულელე მომივიდა, — თქვა დავითმა, — საგზალი რომ არ წამოვიღე. რა მეგონა...

— მართლა შენ მშიერი იქნები. ლაზარეს ვუთხარი, პური გამოეცხო. წამოდი, მეც მაქ პატარა რაცხა. ვჭამოთ რამე. ღვინოსაც ვიშოვნი, თუ გინდა.

— ტელეფონმა რომ დარეკოს?

— წამოდი, თუ დარეკავს და მოვალ, შორს არ ვიქნებით, აქვე ვარ ახლოს.

თავი მეათე

უკვე ბინდდებოდა, როდესაც დავითმა მოაყვანინა თავისი დაღლილი, ნახევრად მშიერი ცხენი და ზედ უნაგირი შეადგა. შიკრიკმა საიდანღაც მოიტანა ძველი ვედროთი მტვრიანი ქერი და ცხენს წინ დაუდგა. ცხენმა ერთი-ორჯერ ნესტოებით მაგრად ჩაბერა ვედროში, თითქოს სურდა ქერი გაენიავებინა და შემდეგ მადიანად აახრამუნა. დავითი იქვე იცდიდა და სახრეს ჩექმის ყელზე იტკაცუნებდა.

ღრუბლები დაბლა ჩამოწოლილიყო და საწვიმრად ემზადებოდა. ჩქერულას სათავიდან ცივი ნოტიო ნიავი უბერავდა. ალბათ უღელტეხილზე უკვე წვიმდა.

უცბად ცხენმა ვედროდან თავი ამოიღო და ყურებდაცქვეტილმა ჩრდილოეთისაკენ გაიხედა. ყბების მოძრაობა ნელა შეაჩერა და დაიფრუტუნა.

დავითს ცხენის მოძრაობა არ გამოჰპარვია და ცოტა ხნის შემდეგ აშკარად გაიგონა შორიდან მომავალი ცხენების თქარათქური.

— ვინ არიან ნეტავი? — იკითხა დავითმა.

— ვალიკო თუ დაბრუნდა, — უპასუხა შიკრიკმა და მაშინვე გაემართა მომავალთა შესაგებებლად.

„ვინ არიან! — დასცინა თავის თავს დავითმა, — ვალიკო იქნება, მაშ ვინ უნდა იყოს! იმის მაგივრად, რომ წამომეძახა, აგერ ვალიკო დაბრუნდა-მეთქი, შეშინებული ბავშვივით ვიძახი: ვინ არიან!“

თავი ანება ცხენს, რომელმაც ისევ განაგრძო ქერის მადიანი ხრამახრუმი, და აქარებული ნაბიჯით დაედევნა შიკრიკს.

მალე ცხენოსნებიც გამოჩნდნენ. ათმა თუ თორმეტმა მხედარმა თქარათქურით მოაგელვეს თავიანთი ბედაურები და მთელი მაყრიონი რაიკომის წინ შეჩერდა. მოსულებში დავითმა ორი სამხედრო პირიც დაინახა, ერთი მათგანი საფეთქლებშეჭაღარავებული ოთხშპალიანი პოლკოვნიკი და ერთი ლეიტენანტი.

შიკრიკი მიუახლოვდა რაიკომის მდივანს და მიესალმა. ვალიკომ თავის ოდნავი ქნევით უპასუხა და დავითს შეეგება.

— შენ ჯერაც არ წასულხარ? — გაოცდა ვალიკო, — მერე აქ დგახარ და მელაპარაკები? იცი, შენზე როგორი ბრძანება მივიღე შტაბიდან! ახლავე შეჯექი ცხენზე და სანამ სული არ ამოხდეს იარე. მარქაფად ამ ცხენს გაგაყოლებ, მერე მეორეზე გადაჯექი, თუ ისიც წაიქცეს — მესამეზე.

— დაიცა, ნუ ჩქარობ, — უთხრა დავითმა, — რაც არ უნდა ვაქენო, ღამის ორ საათამდე რკინიგზის სადგურზე უნდა ველოდო მატარებელს.

— გიჟი ხომ არა ხარ. სადგურის უფროსი გაფრთხილებულია. იქ ალბათ ორთქლმავალი გელოდება, დაიცა, ახლავე დავურეკავთ.

რაიკომის მდივანი აივნისაკენ გაემართა და გვერდით მიმავალ შიკრიკს მიმართა:

— რა ამბავია, სძინავს ხალხს, თუ რაა, რომ ვერავის ვხედავ.

— დაურეკიათ, რაიონი დაცალეთო, და გახიზნულა ყველა. მერე ხმა დარხეულა, ვალიკო გერმანელებს ჩაუგდიათ ხელშიო. იფიქრეს, ეს უიარაღო ხალხი მტერს ხომ ვერ ჩავუცვივდებითო, და წასულან.

— აქ აღარავინაა?

— სეკერიანია, ლაზარე, ვანო, თქვენი შოფერი და არის კიდევ ვიღაც-ვიღაცა, ერთი-ორი კაცი. მილიციონერები არიან, მაგრამ გზაზე იყვნენ წასულები და ჯერ არ დაბრუნებულან. ხალხი ისედაც არ ვიყავით ბევრი, ახლა ცხადია, თვალში ვიღა გვეცემა.

ყველანი რაიკომის მდივნის კაბი-

ნეტში შევიდნენ. ვალიკომ ლამპა მოძებნა და შუშა მოხსნა, მაგრამ ასანთებად სხვებს მიუტოვა, თვითონ ტელეფონს ეცა.

დავითმა ჯიბეში ასანთს დაუწყო ძებნა, მაგრამ პოლკოვნიკმა დაასწრო, ჯიბიდან ბენზინის ასანთი ამოიღო და ლამპა აანთო.

— აქ დაბნელება არაა საჭირო? — იკითხა დავითმა.

— ეე, ჩეპუხა! — ჩაიქნია ხელი პოლკოვნიკმა, — ცოტა ჩავუწიოთ და არაფერია.

პოლკოვნიკმა ჯიბიდან მომჩვარული რუკა ამოიღო, გაშალა და თვალიერება დაიწყო. ყველანი უნებურად დაიხარნენ რუკისაკენ, თითქო ამ მრავალჯერ ნასრეს ქალალდზე უნდა ამოკითხულიყო მათი ბედ-ილბალი.

— ამ უბანზე, — ფანქარი მსუბუქად შოავლო რუკას პოლკოვნიკმა, — გარდა ამ ულელტეხილისა, გერმანელები ვერსად ვერ გადმოვლენ, ბევრიც რომ ეცადონ.

— რატომ? — იკითხა დავითმა.

პოლკოვნიკმა თავისი უფერული თვალებით ოდნავ გულმოსულად ახედა დავითს. ჯარში ის არ იყო შეჩვეული სიტყვის შებრუნებას, მით უმეტეს, მაშინ, როდესაც სრულიად დარწმუნებული იყო თავის მოსაზრებათა სისწორეში.

— აქ მარტო ერთი ულელტეხილია, რომელიც ჩქერულას ხევს ებჯინება ამ უბანზე აქედან, — ხელით მონიშნა პოლკოვნიკმა, — აქამდე. ეს ნათელია. ამ ულელტეხილზე თავდაცვითი ხაზის დაპერა არ არის ხელსაყრელი, მტერი იქითა ხეობიდან აი ამ პლატოებს დაიპერს და ულელტეხილზე ამოგვწყვეტს. ჩემი აზრით, ვამჯობინე გადმოლმა გადმოსვლა და ყველაზე ვიწრო ადგილზე ხეობის ჩაკეტვა. მაშინ ჩვენ ციბატონებთ გზაზე და გერმანელები ძალიან მცირე ძალებით, შეიძლება შევაჩეროთ.

— განა ულელტეხილის გადალმა ხეობაში არ შეიძლება ასეთივე თავდაცვა მოვაწყოთ? — ჰკითხა ვალიკომ.

პოლკოვნიკმა ქუდი მოიხადა, მაგიდაზე დადო, შემდეგ პირწმინდად გადაპარსულ თავზე ხელი გადაისვა და ერთ წუთს დაფიქრებული დასცქეროდა რუკას.

— არ შეიძლება, — მცირე დუმილის შემდეგ თქვა პოლკოვნიკმა.

— რატომ?

— იქ ტოპოგრაფიული პირობები არ გვიწყობს ხელს. ისევ ულელტეხლზე სჯობს დროებითი თავდაცვის ხაზის მოწყობა. იქ ჩვენ შეგვიძლია, დიდი-ღიდი, ერთი დღე შევაჩეროთ მტერი. როგორც კი მოსინჯავენ ჩვენს ძალებს მოწინააღმდეგენი. მაშინვე დარწმუნდებიან, რომ იოლად შეუძლიათ ამოცანის გადაწყვეტა და ერთ წუთს აღარ დააყოვნებენ.

— გამაგებინეთ ერთი, ამ ჩვენს ხეობაზე ამდენმა ჯარმა ჩაიარა და ნუთუ მათი მობრუნება არ შეიძლება, თუნდაც ერთი ბატალიონისა? — შეეკითხა ვალიკო.

— საქმე ისაა, რომ ჩრდილო-კავკასიის ფრონტზე მოქმედი ჩვენი არმია მთლიანად გაწვეულია უკან, ამიტომ ჩვენს ნაწილებს უბრძანეს, რამდენიმე ულელტეხილი გადმოგველახა და გადმოვსულიყავით ამიერკავკასიაში. ფრონტის სარდლობას ალბათ შემუშავებული აქვს წინასწარ, სადაც უნდა მოეწყოს ახალი თავდაცვის ხაზი, და იქ ალბათ გაგზავნის ჯარის ნაწილებს. ჩვენს არმიას კი ალბათ, სულ გაიყვანენ ამიერკავკასიიდან, ვფიქრობ, შუა აზიაში. იქ ხელახლა მოახდენენ მათს ფორმირებას ფრონტზე. ახლა კი ამ არეულ-დარეული ნაწილების გამოყენება შეუძლებელია.

— თქვენი აზრით, სად გადის თავდაცვის ეს ახალი ხაზი, — ჰკითხა დავითმა პოლკოვნიკს.

— ჩემი აზრით, კავკასიონის წყალ-

გამყოფ ქედზე უნდა გადიოდეს. ამაზე უკეთესი თავდაცვის ხაზი შეუძლებელია, ხოლო, თუ მტერმა ეს ქედი გადმოლახა, მაშინ...

პოლკოვნიკმა აღარ დაამთავრა.

ვალიკოს რაღაც უნდოდა ეკითხა, მაგრამ სწორედ ამ დროს ტელეფონში ძახილი მოესმა და მაშინვე ხელი ასწია, რომ გაჩუმებულიყვნენ.

— გისმენ! — ჩასძახა მილში რაიკომის მდივანმა, — სადგურია? რომელი ხარ? ამბერკი, როგორაა საქმე? ჩვენი კაცი? მოდის. გაგზავნი ხომ? ორთქლმავალი ელოდება? მოდის. მოიცა ტელეფონთან. დათიკო, — მიუბრუნდა ვალიკო დავითს და მიკროფონს ხელი დააფარა, — აბა, გასწი! ამხანაგო პოლკოვნიკო, თქვენც წადით. კარგი თანამგზავრი შეგხვდათ. ჩქარა მოვიდნენ, ორივემ ორთქლმავალი შეიძლება წამართვანო.

პოლკოვნიკმა ქუდი დაიხურა, რუკა დაკეცა, ჯიბეში ჩაიდო და წამოდგა.

დავითი გამოეთხოვა ყველას. შემდეგ ორივენი გარეთ გამოვიდნენ, თავიანთი ცხენები მონახეს და გზას გაუდგნენ.

უკვე კარგა დაღამებულიყო, მაგრამ ხრეშით მოკენჭილი გზა მაინც კარგად მოჩანდა, ორივენი კარგა ხანს ჩუმად მიდიოდნენ და ღამის მყუდროებას მხოლოდ მათი ცხენების ფეხის ხმა არღვევდა. დავითს ცოტათი, ასე ნახევარი კორპუსით, უფრო წინ მიჰყავდა თავისი ცხენი და ერთგვარად მეგზურის მოვალეობას ასრულებდა. ალაგ-ალაგ გზა მაღლა იწევდა, ხან კი ისე დაბლა ეშვებოდა, რომ მდინარის ჩხრიალი მიდამოს აყრუებდა. გზისპირას აყუდებული ნაძვის ან წიფლის ხეები ნაბდიანი მამაკაცებივით ალანდულიყვნენ. ერთ ადგილზე წაქცეული დამპალი ხე საოცრად ანათებდა და დიდი ნაკვერცხალივით ყვითლად ღვივოდა.

(გაგრძელება იქნება)

მირონ სურგულაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სულხან-საბა ორბელიანი

მიძღვნა

★

მრავალ ეტრატს დაათიე
ამოგიშრა ჭრაქში ზეთი,
ქაღალდი შენ შეგაბერდა —
თუ ქაღალდს შენ შეაბერდი,
გაწამებდა ქართლის კვნესა —
მისი სვე და მისი ბედი.

მთა და ბარი შეაჯერე,
ხელში გეპყრა მგზავრის კვერთხი,
დადიოდი დამაშვრალი,
ხალხში სიტყვის ყვავილს ჰკრეფდი,
ჯერ უბეში ინახავდი,
ათბობდი და აბარტყებდი,
შემდეგ ცეცხლად აღაგზნებდი,
სტრიქონებად ალაგებდი,
წიგნად ქმნიდი სიტყვის კონას
და მწარ ქაღალდს აბაღებდი.

იყავ სიტყვის მებადური,
ფიქრის ბადე გაგიშლია,
შეგიპყრია კალმახები
სტრიქონებში გაგიშვია,
ვით ჩაჰკეტდი უდაბნოში
სულს მგზნებარეს, ქარიშხლიანს!

სამშობლოსთვის თავი დასდე,
ერის წყლულებს შეაბერდი,
სტრიქონებად აგიკინძავს
სისხლისა და ცრემლის წვეთი,
სული სანთლად აგინთია,
რომ დაგიშრა ჭრაქში ზეთი,
იყავ დიდი მეცნიერი,
ქვეყანასაც განაგებდი,
საქართველოს დასახსნელად
სიბნელეში გზას იკვლევდი.

ბრძენო, შენი შემოხედვა
საუკუნის ფიქრებია,
ეს შენს მხრებზე ღრუბლებია
თუ იანვრის ფიფქებია!
გადახედე ქართლის მთა-ბარს,
მზის სხივებით ირთვებიან,
ეს ხომ შენი ფიქრებია,
ცოცხალს რომ არ გღირსებია, —
შენი ქვეყნის ველ-მინდვრები
სიხარულით ივსებიან.

მზის სხივებში რომ ეხვევა —
შენი ქვეყნის ქედებია,
ცის ლაჟვარდი რომ დაფარეს —
შენი უბის მტრედებია,
შენი ქვეყნის ჭაბუკები
მფრინავ მერცხლებს ეძრებიან.
აქ იმდენი სიცოცხლეა,
მზესაც შეაბერდებიან!

აღმოცენდა წალკოტები,
ამობრწყინდა ქალაქები,
ველარ იცნობ ქართლის მამულს,
შენ რომ მაშინ განაგებდი,
აჩრდილია მასთან რომი,
მონათაგან ანაგები.

დღეს რომ ქართლში გაგახედა,
მაშინ რომს არ ინატრებდი,
ტანძიაში სახლს დადგამდი,
ლაღად დაიბინადრებდი,
შენს მიწაზე, შენს მამულში
ირემივით ილაღებდი.

წიგნს დაწერდი, წიგნს შექმნიდი
სიცოცხლის და სინათლისას,
ახალ ქართულ სიტყვის კონას
და წიგნს სიბრძნე-სიმართლისას.

— : —

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიტყვის კონა

★

„ამ ლექსიკონის რიგები თუ ბრძენმან დაბეჭდნონთა,
ჩემს დროს ვეძიე, ვერ შევხვდი თქვენთანას დასარწმუნოთა,
ეს რა შეეკრიბე, მიქებდნენ მაშინ, აწ დასამგუნოთა“...

საბა

უკვე მესამედ ყივის მამალი,
მაგრამ იანვრის ღამეა გრძელი,
სად უნდა ჰპოვოს სულმა წამალი,
თუ ღამეს არ სტეხს მაშვრალი
ბრძენი.

სულს საზრდო უნდა, არ აჰყვე
დარდებს,
დაგიფასდება მამულზე ღვაწლი,
სხვის ქვეყანაში დაკრეფილ ვარდებს
უნდა გერჩიოს მამულის ანწლი.

ფიქრობ, გონებით გრიგალებს
ებრძვი,
სულში აანთე ჭიაკოკონა,
თითქოს ნასხლავი ვენახის ლერწის
ფრთხილად შეჰკარი სიტყვების კონა.

იფურჩქნებიან ნორჩი კვირტები
და დიდოსტატი სიტყვებს —
ფერადებს
ეძებ, ამოგაქვს მარგალიტები,
რომ ჩაუქრობელ ცეცხლით ელავდე.

სულს საზრდო უნდა, დათრგუნე
ხორცი,
ბრძენის გონება სხეულს განაგებს,
მხრებზე დაგაწვა წელი სამოცი,
გულიდან ოქრო ამოალაგე.

დრო არ დაგიცდის, — ამბობდი
ბერი, —
არც შენ გამხდარხარ დრო-ჟამის
მონა,
და თვითეული ჭაღარის ღერით
თრთოლვით შეგიყრავს „სიტყვების
კონა“.

— : —

საბა ბარეჯის უდაბნოში

★

„აჰა, განვლო დღემან და ღამემან! აჰა, წარხდა ძსგეფსი ერთი თვე და წელიწადი, აჰა მოაღწია სიკვდილი!“

საბას საღალადებელი.

ეს გარეჯა თონეა და ბუხარია,
არსად მწვანე, არც ყვავილთა ბორცვი,
აქ რად მოხველ, განა სულს ეს უხარია,
თუ დატანჯე სხეული და ხორცი?

რად დააგდე სასახლე და მეფის კარი,
რად არჩიე ნაპრალი და მღვიმე!
თვალებს გიშრეტს ქვიშიანი ცხელი ქარი,
იქნებ ცოდვა ჩაიდინე მძიმე.

დილით ადრე ბნელ მღვიმიდან გამოძვრები,
რომ ილოცო და მიიღო ზიარება,
მარტო არ ხარ, აქ მოსულან სხვებიც,
რომ იგვემონ და შეჭამონ იარებმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და როდესაც მონასტრიდან მწუხრის ზარი
უდაბნოში ასპიტივით აწივლდება,
ხმა მოგესმის: „რად იტვირთე ქრისტეს ჯვარი,
განა სული მართლა ცაში გაფრინდება?“

ეხ, ვინ იცის, გული რარიგ მწუხარია,
რა ცეცხლია მის სიღრმეში დანთებული,
ქართლზე ფიქრობ და გულსაც ის უხარია,
თუ შესძელი მისთვის საქმე მართებული.

ქარი ლეწავს შენი ქვეყნის მუხის რტოებს,
სალაროში განძი აღარ ალაგია,
ამ დროს კაცმა ქვეყანა რად მიატოვე?
შენი საქმე, მართლაც, მელას არაკია.

ერი მამას გიწოდებდა მეფის ბიძას,
უდაბნოში რა გინდოდა ქვეყნის მმართველს?
ჯვირნების ჯოგთა შორის ლოკავ მიწას,
ეს ვერ მოგფენს ქვეყნის თვალში, ბრძენო, ნათელს.

მეცნიერი იყავ,—გახდი უფლის მონა,
უდაბნოში რა გინდოდა მეფის ბიძას?
ბავშვობიდან აგიკინძავს „სიტყვის კონა“,
გიწერია წიგნი: „სიბრძნე-სიცრუისა“.

იყავ სულხან, აქ მოხველ და გახდი საბა,
მონასტერში ერის ტანჯვამ დაგაჩოქა,
რად გაცვია ორბელიანს მწირის კაბა,
როცა უნდა სარაინდო გეცვას ჩოხა?

რად დატოვე უპატრონოდ შენი ერი?
დაესახლე, სად უნასთა ბუნაგია! —
ასე ფიქრობს უდაბნოში საბა ბერი,
ეჰ, ვინ იცის გული რა ცეცხლს უდაგია!

ერი-სულხან ეკითხება: „ბერო საბა,
რად ჩამაცვი სამოსელი ასე თალხი?
გავიხადოთ სამონაზნო მწირის კაბა,
ქართლს მივხედოთ, გვიხმობს დედა, გვიხმობს ხალხი.

რად გამხადე მონაზონი და ასკეტი,
რად ჩამაცვი განდგომილმა მწირის ჩოხა?
ბერო საბა, საიდუმლოს რად არ მეტყვი,
გარეჯაში რა ცოდვებმა დაგვაჩოქა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქ ვახტანგი, შორს სპარსეთში, ყაენს ტყვედ ჰყავს,
არც ფული გვაქვს, რომ დავიხსნათ, არც გვყავს ჯვარი.
უნდა ქართლში მას სამეფო ხმალი ერტყას.
რას უშველის უდაბნოდან ლოცვა ჯვარით".

ეს ფიქრები ბერს სპარსეთში გაიტყორცნის,
უალერსებს, ეფერება ტყვედქმნილ გაზრდილს,
რას უშველის ტყვეს გამზრდელის გვემა ხორცის,
ეუბნება: „დამიხსენი, ჰქენი მადლი.

აქ, სპარსეთში მრავლად ძვლები დაიმარხა,
სასაკლაოდ იქცა მთელი იმპერია,
ვერც მე ავცდი გაუმაძღარ ლომის ხახას,
ვინც რომ შთანთქა ერთ დროს მძლავრი ივერია".

ბოლოს მაინც გაიხადე მწირის ჩოხა
და ირანში გაემგზავრა ქვეყნის ელჩი,
ო, ვინ იცის ბედმა სად არ დაგაჩრქა,
ლუის წინ თუ რომში, პაპის სასახლეში?..

— : —

სპარსეთში გამგზავრება და ტყვე ვახტანგის ნახვა

★

სპარსეთში გიხმობს მეფე ვახტანგი,
ტყვეა, ლექსებით თავს იქცევს ალბათ,
სხვა არვინ შერჩა იქ ამხანაგი,
ქართლს ვეღარ უვლის, წიგნს ვეღარ სტამბავს.

ხელში აიღე იმედის კვერთხი,
გზას დაადექი კაცი მაშვრალი,
მყინვარწვერივით წმანდა და თეთრი,
უდაბნოს სიცხით ბაგეგამშრალი.

გემუქრებოდნენ მთები თალიშის,[1]
მთა დემავენდი და დუდეკუხი,[2]
გაზრდილის ნახვას როგორ დაგიშლის,
მოდიხარ მტკაცედ და მგლის გაქვა მუხლი...

სტეპები, ჰმუნვით ჩანაქუფრები,
გრიგალით ქვიშის სეტყვას გიშენდნენ,
ალბათ ეგონე წვიმის ღრუბელი, —
მუქნარი ვარდები რტოებს გიშვერდნენ.

გული არ გიკრთის უდაბნოს ქარში,
თუმც სულს გიხუთავს ცხელი თაკარა,
გინდა, რომ გაზრდილს შეუდგე მხარში,
ბედმა დაცინვა რომ არ აკმარა.

იმედად მხოლოდ შენ ეგულვები,
მიდი და ეცი გაზრდილს ნუგეში,
მას არვინ ახლდა სხვა ერთგულები,
მხოლოდ წერილი ედო უბეში.

გითხრა: „ქვეყნისთვის შენც გული გერჩის,
მეც მამასავით გენდობი, საბა,

[1] თალიში — მთაგრეხილია ირანში.
[2] დემავენდი და დუდეკუხი —მაღალი მწვერვალები ელბორუსის ქედზე.

ლუისთან წახვალ, ვით ქართლის ელჩი,
დაუფარავად ეტყვი ჩემს ამბავს.

აქ ტყვეობაში ამაოდ ვწვალობ.
გზები გამიხდნენ უნაპირონი,
ქართლს ილეწება ჩვილ ბავშვთა ქალო,
სვეტიცხოველში შრება მირონი.

ხმა ნუგეშინის არსაით მესმის,
ყანებს და ბაღებს ჯაგნარი ფარავს,
თუ აღარა ჰყავს ერთგული მწყემსი,
ძუ-მგელი დაჰფლეთს მოუვლელ ფარას!

ქართლის მამულში ვაზები ახმა,
ციხეებს ლეწავს სპარსელთა ჯარი,
ახლა სჯულმდებელს მომთხოვა შაჰმა,
უარვყო ქრისტე და მისი ჯვარი.

თუმც ჩემი გული ჯერ ურყევია,
იმედის წყარო არ მინდა დაშრეს,
სისხლში ცრემლები გამირევია
დეშთექევირის[1] მარილზე მლაშე.

ალბათ წამებით სულს ამომხდიან,
აღმართულია ჩემს თავზე ხმალი,
მე გული მწყდება, არ მომიხდია
ჩემი ქვეყნის წინ მცირედი ვალი.

მე ქართლის ბედი მაფიქრებს შავი,
მისი ცრემლები ქვეყანას აწვიმს",—
თქვა და შენს მკერდზე დახარა თავი,
ჰგავდა მყინვარზე დაფრენილ არწივს.

შემდეგ გადმოგცა ლუის წერილი,
გზას დაადექი, ვით ციხკრის ფეთქვა,
მშვიდობის მტრედად წამოფრენილი,
რომ პარიზისთვის სალამი გეთქვა.

— : —

ევროპაში გამგზავრება

★

ვით საბას წვერი — ღამეც თეთრია,
რამდენი რბევა, ხანძარი, ომი,
საფიქრებელი ერთადერთია:
შორეული გზა, პარიზი, რომი.

ოცნებამ ფიქრი ნისლად გაშალა,
ირგვლივ დუმილი დამკვიდრდა დიდი,
ცხოვრების წყარო ჯერ არ დამშრალა
და ვერ დარჩები, მოხუცო, მშვიდი.

ზოგი ეცემა, ზოგი წინ მიდის
და უერთდება მსოფლიო ძალას
და წინა კაცი — უკანას ხიდი —
ხშირად ფეხს ადგამს საკუთარ ქალას.

და შენც ეს გსურდა, რომ შენი ქალა
მამულისათვის გაგედო ხიდად,
ქართლს მისცემოდა სიცოცხლის ძალა,
რომ ივერიას ეცხოვრა მშვიდად...

გამოსავალი გზა ეს ერთია,
თორემ წაგვლეკავს და მოგვსპობს მტერი,
ობლის მოწყალე ბოლოს ღმერთია,
თუმც იქნებ გვიან გამოცხვეს კვერი.

სჯობს გვიან იყოს, — სახით მწუხარით
ამბობს და გულში სამშობლოს ფიცავს,
ცრემლს გადმოაფრქვევს ბერი სულხანი
და კოცნის ქართლის მადლიან მიწას.

შორი გზა უძევს, ვინ იცის, საბას
სად დაეწევა სიკვდილის ცელი,
არვინ მოიტანს ქართლში მის ამბავი,
მიწა თან ჰქონდეს უბეში მწველი.

[1] დეშთექევირი — მარილოვანი უდაბნოა ირანში.

წასვლის წინ მიწას ემთხვევა
თრთოლვით,
მწუხარებისგან ცრემლებიც გაშრა,
დამძიმებულა სიბერის თოვლით,
სხვა რა შემორჩა ქართლისთვის
მაშვრალს.

შემდეგ შეხედავს თანამგზავრ
რიშარს
და უფლის მიმართ ლოცვას
ლაღადებს:
„უფალო, ველი შენგან რამ ნიშანს,
გადაარჩინე შენი სახატე.

იყავი ქართლის შემწე და მხსნელი
და მოავლინე ქვეყნად მშვიდობა,
გადააფარე მზრუნველი ხელი
და ააცილე უამინდობა...“

— : —

ფოთიდან წასვლა

★

ზღვა ვრცელია, ქარი არხევს გემის აფრებს,
გემბანიდან ზღვას გაჰყურებს საბა,
ქართლისაკენ ფიქრის მერცხალს გამოაფრენს,
ოცნებაში ახალ სიტყვებს სტამბავს.

ირგვლივ მხოლოდ სილურჯეა სივრცის,
აღარ მოჩანს სანაპირო ფოთის,
ამ დროს კაცმა დაფიქრება იცის
და გულმა კი — შავ ზღვასავით შფოთი.

გული შფოთავს. რა აშფოთებს ზვირთებს!
იქნებ, 'შენ გულს გაუმართა ტალღამ ომი,
ზღვა რას გერჩის ჯვარის მტვირთველს?
ოცნებაში ილანდება პარიზი და რომი.

ზღვა ვრცელია, გზა გრძელია და ძნელია, —
ტალღებივით ბობოქრობენ იალქნები,
გზა გრძელია, ზღვა ვრცელია და მხსნელია,
თუ კი ამ გზით ვერსალის მზეს მიადგები.

მკერდზე თითქოს თოვლის ფიფქი დაგფენია,
მყინვარივით მოგხვევია მხრებზე ნისლი,
ძირს ზღვა თითქოს ლურჯი ზეცის ნაჭერია,
სხვისი მიწა, სხვისი სიო, ზღვებიც სხვისი.

წამოდგები, ზღვას გაჰყურებ უთენია,
ქარი ავობს და ზღვის ტალღა გრგვინავს რისხვით,
ეხ, ვინ იცის კვლავ სავლელი რამდენია,
არსად მიწა, სილურჯეა მხოლოდ სივრცის.

„მივალწევ კი? ეჰ, ვინ იცის! — ფიქრობს საბა,—
სამშობლოში მოუთმენლად მომელიან,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერის ხსნისთვის გავიხადე მწირის კაბა,
სამათხოვროდ რა მინდოდა ორბელიანს?“

წახველ, გულმა მოსვენება ვერსად ჰპოვა
თუმც იმედით თვალს აპყრობდი გზისკენ,
სევდამ თვალზე ცრემლის წვეთი დაგიტოვა, —
ტუჩზე სიტყვა — „ივერია იხსენ!“

— : —

ოცნება მგზავრობაში

★

მქადაგებელი თავისუფლების,
კაცი მართალი, კაცი კეთილი,
ხომალდს გაჰყევი, როგორც
ლრუბელი,
სამშობლოს მთიდან გადაფრენილი.

შორით ვარსკვლავი ისე კიაფობს,
თითქოს შუქურა მოჩანს იმედის,
ნელი ზვირთები არაკს გიამბობს,
ქარი გპირდება მგზავრობას კეთილს.

დამძიმებული შავ ღამის ფიქრით
ბნელში ხომალდი ტალღებს მიაპობს,
ღამის ოცნების გამალე წიგნი,
ალთქმის ქვეყანას როგორ მიაგნო.

ხომალდს ამგვანებ ნოეს კიდობანს
და ქართლს მომავალს კეთილს
ჰპირდები,
ერს კვლავ მოუვლენ სულის
მშვიდობას
და ივერიის მხსნელი იქნები.

ზღვიდან ხომალდით აჰყვები
ფაზისს,
უბიდან მტრედებს ააფრიენ
წყვილად,
მადლობას გეტყვის შრიალით ვაზი
და მთებს შესძახებ: „მშვიდობის
დილა!“.

ვახტანგს აცნობებ ქვეყნის ხსნის
ამბავს,
მკერდში ჩაიკრავ საყვარელ
გაზრდილს,
ისევ აღადგენთ დარბეულ სტამბას,
რომ ივერიას მოჰფინოთ მადლი.

შემოუძღვები ჯვაროსანთ ლაშქარს,
ჰაპის დალოცვილ უძლეველ
კვერთხით,
სიცოცხლის წყაროს, გვალვისგან
დამშრალს,
ააჩუხჩუხებს წყალობით ღმერთი.

ქართლი კვლავ ბაღად გადაიქცევა.
მუშა ქვეყნისთვის მოიწევს
ხორბალს,
ვენახი ისევ მოისხამს მტევანს,
მწყემსი ხმლის ნაცვლად აიღებს
კომბალს.

ამ დიდ მომავალს შენ თითქოს
ხედავ,
როცა ქვეყანა მშვიდობას ჰპოებს,
გორის ციხეზე არწივნი სხედან
და ზეთისხილი დაბლა ხრის
რტოებს.

ჩრდილში აკვანი დაუდგამს დედას
და იავნანა გაისმის ტკბილი,
სახლის ერდოზე მტრედები სხედან,
საამო ხმაზე ღუღუნებს ჩვილი.

— : —

საბა ვერსალსა და პარიზში

★

შორით გამოჩნდა ტაძრები
აი, ნანატრი ვერსალი,
შენი გულიდან აფრინდა
იმედის ლაღი მერცხალი,

თითქოს ჭაბუკად გადიქეცა,
ჭალარით შენავერცხლავი.

შორი გზა გამოიარე
გულს საგზლად ჰქონდა სიმართლე,

მოგყვა ქართული სიდინჯე,
სპეტაკი სახის სინათლე,
ვერსალის დიდი სასახლე
ვახტანგისათვის ინატრე!

ნახე პარიზის დიდება
და ბრწყინვალება ოქროთა,
ეს იყო აღთქმის ქვეყანა,
ქართლში მშვიდობა მოჰქონდა.
სენასთან იდექ, გეგონა —
ალგეთის სიო მოჰქროდა.

თქვი: „ჰა ვიპოვე ქართლისთვის
მშვიდობის ნავთსაყუდარი!“
ლუის წინ მუხლი მოხარე
და ქართლის ჭირი უთხარი:
„ყოველმხრივ მტერი გვაწყდება,
ურიცხვი როგორც ფუტკარი.

ახლა ვახტანგი ტყვე არის,
ქართლს უბედობა ეწია,
მტრის შიშით ველარც მოგვიხნავს,
ძნაც ველარ გაგვილეწია,
ლეკი, თურქი თუ სპარსელი
მუმლივით შემოგვესია,
დალმართში ქვა რომ დაგორდა,
ალმართში წამოგვეწია,
თუ ვინმე მხსნელი არ იქნა,
ჩვენი სიცოცხლე ბეწვზეა.

სარწმუნოება შეირყა,
მამულში მტერი მრავლდება,
დედას მკერდიდან შვილს გლეჯენ,
სანამ უბეში გათბება,
ხე ნაყოფს როგორ მოისხამს,
ფესვი თუ ამოვარდება,
დღეს შინაური არ გვინდობს,
კარგი არ დაგვემართება,
ტაძრებზე ჯვართა სანაცვლოდ
მთვარე თუ ალიმართება.

ბალებში ვაზი ახეხეს,
არ იწურება მტევანი,
სისხლით ირწყვება ქვეყანა,
გამრავლდა შემოტევანი,
მფარველი გვინდა ძლიერი,
რომ გვქონდეს მტერზე ძლევანი.

ცეცხლმა გადასწვა სოფლები,
შეიქმნა ნაპარტახალი,
ხალხს მშვიდობა სურს, რომ ისევ
კვლავ ააშენონ ახალი,
ქვეყანას ზღუდე მოავლოს
მტრისგან უძლევი, მაღალი.

გვიხსენი, დიდო მეფეო,
მოგვფინე შენი ნათელი,
მარადჟამს შენი მოვალე
იქნება ყველა ქართველი,
თუ კვლავ აღდგება ქვეყანა,
მტარვალთა ქუსლით ნათელი.

როცა ლერწამს ქარი არყევს
დიდ ხეს უნდა მიეყუდოს,
ჩიტი, როცა სეტყვა მოდის,
ხის ტოტებში ეძებს მყუდროს,
დღეს ვახტანგი ლერწამია,
უნდა მუხას მიეხუტოს,
რომ ქვეყანა გამოგლეჯოს
მუსულმანთა ველურ ურდოს“.

ავედრე მეფეს და შემდეგ
რუქა, ფაქიზად ნახაზი —
ფრთხილად გაშალე მეფის წინ,
გაოცდა მთელი დარბაზი.

თქვი: — „აი, ჩვენი ქვეყანა
დიდი სავაჭრო გზა არი,
აქეთ შავი ზღვა, ფაზისი,
შემდეგ კი ლიხის მთა არი,
მტკვრით მცხეთა-თბილისს გაივლით,
შემდეგ გურგანის ზღვა არი.

გწამდეთ, ამ ზღვაზე თქვენს ვაჭრებს
არსად შეხვდებათ ზიანი,
თვით დარწმუნდება ამაში
თქვენი ქვეყანა მზიანი!“
და დიპლომატი მეფის წინ
იდექი თავაზიანი.

— : —

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲡᲔᲜᲘᲡ ᲜᲐᲐᲘᲠᲐᲓ

★

დაფიქრებული უცქერდი
დიდი პარიზის სანახებს,
მოიგონებდი შენს მამულს
და მაშავერის ქარაფებს.

ახლა დმანისის მინდვრებში
ჰყვავის სპეტაკი სუმბული,
ამბრის სურნელი იკმევა,
ღამეს უგალობს ბულბული.

იმღერე, ჩიტო, ხმატკბილო,
მანდ დარჩა ჩემი ბავშვობა,
ბავშვი ალბინე, თუ მოხუცს
არ ძალუძს ცრემლის დაშრობა.

ეხ, ღმერთო, ვერ გამიგია
სიმართლეს რატომ სჯი ასე,
ზოგის ბედს ცამდე აიყვან,
ზოგსაც საწამლავს შეასმევ,
ზოგს გარეშე მტერს მოუსპობ,
ზოგჯერ ძმას ძმაზე მიასევ,
მაჰმადის რჯულზე დამდგარი
ვახტანგს განუდგა იასე.

სენასთან იდექ, გესმოდა
ნელი დუდუნი მტკვარისა,
გულში ნაღველი დაგუბდა,
თვალები ბინდმა დანისლა,

და გადილანდა ქვეყანა
მოჯაჭვულ ამირანისა.

ორბელიანო, სად ეძებ
ქართლის ხსნას, შესაბრალისი?
სადღაც შორს, ცხრა მთის გადაღმა
როგორ გიშველის პარიზი?
აქედან ძლიერ შორს არის
შენი ქართლი და დმანისი,
რად ფიქრობ, — გადამთიელებს
თითქოს შეეძლოს ხსნა მისი.

დიდებით შეგვხვდა პარიზი,
ამქუხარებდნენ ზარბაზნებს,
შემოკრბენ დიდებულები,
ტევა უჭირდათ დარბაზებს.

მეფემ ალერსით მიგიღო,
გვცა სიტყვიერი ნუგეში,
ტკბილი სიტყვები „მზე-მეფემ“
საგზლად ჩაგიდო უბეში.

სიტყვა რა არის, — ქარია,
დროებით სულის მალამო,
სიცხით შეხუთულს ფრთას
გაგკრავს,
როგორც ნიავი საამო,
გულს ისევ რჩება წყლულებით
ტკივილი დაუსაბამო.

— . —

ᲡᲐᲑᲐ ᲠᲝᲛᲨᲘ

★

წმინდა იყო რომის ზეცა
ლაჟვარდისფერ ფიქლის,
ცაში შეჭრილ სამრეკლოებს
გააყოლე ფიქრი
და ოცნებით სივრცეებში
გრიგალივით მიქრი.

აედევნე სასახლეებს,
წალკოტებს და ბაღებს,
თლილ სვეტებზე გადაკიდულ
მარმარილოს თაღებს,

ოცნებაში გაფრენილი
მეშვიდე ცას აღებ.

შენ გჯეროდა, — რომი მზეა
ჩაუქრობელ ცეცხლის.
მის მარადის ბრწყინვალებას
ავდარი ვერ შეცვლის,
მაგრამ რომი იყო ელვა
ქვის, ოქროს და ვერცხლის.

შენს ქვეყანას ჯანღი ბურავს,
სიახლის წვიმა აწვიმს,

რომის ზეცა ქართლზე ფიქრით
უფრო მაღლა ასწია,
პაპს მუხლებზე მოეხვია,
სახე ცრემლით დასწვა,
შეჰღაღადე: „დაეხმარე
დატყვევებულ არწივს.

ზღვა შეიქნა ცრემლების,
რაც თვალთაგან გვადინეს,
ღამის ფერი დაედო
ქართველ ქალთა მანდილებს,
ჩვენს ყრმებს ლუკმა მოსტაცეს
და ხვებს გაუნაწილეს.

თვით ოჯახშიც დაგვოჯდა
მტერი, სახლის ამკლები,
ცას კიბეს ვერ მივადგამთ
და ვერც ღრუბლებს გავყვებით,
აისხლი არ დავიშურეთ,
არც თუ ზღვაზე ნაკლები.

ცაში ელვად დაჰქროდა,
ქართლში ხმალთა კაშკაში,
ყოველი მხრით იქნევდა
მას მებრძოლი ვაჟკაცი —
და ის არ ჩაუგია
მოსვენებით ქარქაშში.

ქვეყანა გვაქვს სავარდე,
ფირუზის ცით შემკული,
ჯვარი ვაზის ლერწისა,
ქალწულის თმით შეკრული
ლამის მტერმა წაგვართვას,
დარჩეს ერი ბედკრული.

უფლისწორო, მოგვხედე,
შველას თქვენგან მოველით,
თქვენს საყდრის წინ ვემხობი
ბერი, უდაბნოელი,
გადასწერე ჩვენს მამულს
შენი ჯვარი ცხოველი,
გზიდან ჩამოგვაშორე
მავნე სული ყოველი,
მოაშუქე ქართლის გულს
თვალნი სხივთა მთოველი,
შეაფარე შენს ქალთას
მცხეთის სვეტიცხოველი“.

პაპმა ქართლი დალოცა,
ღმერთი მოგვცა თავდებად,
შენც გჯეროდა: „აწ ქართლში
კარგი დარი დადგება!
მაგრამ ღმერთი, ოჰ, განა
ვინმეს გამოადგება?
სანამ სისხლს არ დააქცევს,
მის წინ ია-ვარდებად...

ევროპის საზღვრებთან
სანამ ღმერთი დადგება,
მანამ, აბა, ქართველთა
რა სისხლი ათავდება?“

ფიქრობდი ასე, მიჰყვებოდი რომის ფოლორცებს,
და ემთხვეოდი სასოებით წმიდა ნაწილებს,
ამაოდ ღვარე მდუღარება, უქმად ილოცე,
შენს გულის ტკივილს განა ვინმე გაინაწილებს?

შენს წინ ბრწყინავდა მარმარილოთ ნაქები რომი,
და გაოცებდა პიზის ტაძრის დახრილი კოშკი,
გსურდა ქართლისთვის აგეცდინა რბევა და ომი
და გამოგეხსნა ტყვეობიდან ბრწყინვალე ოშკი.

მოიგონებდი მიტაცებულ ციხე-დარბაზებს,
თურქთა ტყვე იყო ბანა, ხანძთა, ტბეთი, შატბერდი,
მათ გამოხსნისთვის ინატრებდი ფრანგთა ზარბაზნებს
და ამ ნატვრაში, ბრძენო კაცო, უფრო დაბერდი.

რომში ფიქრობდი, როდის დარეკს ქართლი ოშკის ზარს,
შენმა ოცნებამ რომის ზეცა მაღლა ასწია,
მოიგონებდი დიდ ბეშკენს და ბექა ოპიზარს
და დიდ ოსტატებს, რომ გამოსჭრეს კლდეში ვარძია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

✪

სამოწყალოდ მოიარე მეფის კარი,
ავედრებდი: „მტრისგან ისე გავითელეთ,
დახმარება გვინდა ფულით, გვინდა ჯარით,
თორემ წავხდით, ახალწელს ვერ გავითენებთ“...

წამოხველ, და—გზად გამოგყვა იმედები,
აღარც სესხი, არც დამხმარე ჯარი,
ვიდრე მოხვალ, კიდევ უფრო დაბერდები,
შეგრჩა პაპის ნაჩუქარი ჯვარი.

ჯვარის ძალა განა დასძლევს მტერთა ლაშქარს.
ჯვარს გარეჯის უდაბნოშიც ატარებდი,
მარტო ჯვარი რად გინდოდა იმედგამშრალს,
ჯვარს ერისთვის ფარად ხომ ვერ იფარებდი.

— . —

საბას ლოდინი სტამბოლში

★

გარინდებული სივრცეს გაჰყურებს,
ალბათ ზეცასთან საუბარს აბამს,
მინარეთიდან, როგორც საყურე,
მთვარე დაჰყურებს ქრისტიან
საბას.

იქნებ დასცინის, აღარ შემორჩა
იმედის საგზლის მცირე მარაგი,
საფრანგეთიდან ცნობა არ მოჩანს,
გულში დარდებმა დასცეს ბანაკი.

მუხლებმოხრილმა შეხედა
ჯვარცმას,
მთრთოლვარე ბაგით გაათბო ჯვარი,
გულში დარდები მაინც არ დაცხრა,
შუქი დაეცა ნახევარ მთვარის.

კვლავ დაჟინებით დაჰყურებს
მთვარე,
საბა იმედით შესცქერის ჯვარცმას,
თვალთაგან მოსდის ცრემლი
მდუღარე,
ჰეშმარიტების დაეძებს მარცვალს.

ოცნება სად არ მოითარეშებს,
მთვარემ და ჯვარმა გაუყო სული,
ლამის დატოვონ ღმერთის გარეშე,
გაისმის ბერის ოდნავ ჩურჩული:

„ბავშვობიდანვე შენ შეგღაღადებ,
არ შემშრობია მუხლზე ტალახი,
გულში დამიცავს შენი სახატე
და მიძოვია მინდვრად ბალახი.

ერთხელ ჩვენს ხმასაც მიაპყარ
ყური,
საქრისტიანოს შემწევ და მცველო,
რატომ გსურს, ჩვენი არსობის
პური
ნახევარმთვარის ნამგალით
სცელო?

ლამის იმედი გულში დავნაცრო,
იქნებ ცრემლები ამაოდ ვღვარე,
სოფიის ტაძარს ჯვარის სანაცვლოდ
რისთვის დაჰკიდე თურქული
მთვარე?

ერთს ააყვავებ, მეორეს მოსპობ,
მიწიერ ქვეყნის უფალ კლიმენტეს
რისთვის მიეცი იმდენი ოქრო,
მოძმისთვის გროშს თუ ვერ
გაიმეტებს?

ჩვიდმეტი თვეა, აქ ვიცდი ბერი,
წყალობას ველი მწირი, საწყალი,
რად დამინაცრე იმედის კვერი,
გამომილიე სულის საგზალი?"

ირგვლივ ღამეა და გულში მწუხრი,
ლოცვისთვის თითქოს ბაგე დახურე,
ღამეს უერთებ ჩვენს გულისწუხილს,
ფიქრმორეული სივრცეს გაჰყურებ.

ახლა იმედიც აღარ არსებობს.
არავინ უსმენს ახლა შენს ძახილს,
მტერს, მოზღვავებულს ქართლის
გარშემო,
ვინ გამოსტაცებს სასლიან ძახვილს.
ლუის სიკვდილი დღეს ამცნეს
სტამბოლს
და სამშობლოსკენ მისთვის აჩქარი,
და აწ ვახტანგმა წიგნი ვით სტამბოს,
თუ შემოლეწეს ქართლის ჭიშკარი.

ფიქრებით ლამის ზღვა გადასცურე,
თქვი: „მეც კაცი ვარ, აქ რისთვის
ვიცდი?!
ქართლში ხედავდი მტირალ
ქალწულებს,
მაგრამ ცრემლისგან ვით დაიხსნიდი?

— · —

საბას სტამბოლიდან წასვლა და თურქების მიერ შეპყრობა

★

„ბერიკაცი ვარ ნუ მომკლავ
ყველა დაგიწყებს გმობასა"
ხალხური

სტამბოლიდან რომ გამოხველ,
იმედიც კი არ შემოგრჩა,
იმედი არ დაერქმევა,
პაპმა მცირე ჯვარცმა მოგცა,
მასზე ლოცვის სული დასწვი,
მაგრამ გული განა მორჩა?
რომში ყოფნის ხსოვნად გერგო
მხოლოდ პაპის ფეხზე კოცნა.

რა წაგადგა, რა გიშველა,
პაპმა ფეხი რომ დაგბანა,
ხონთქრისა და შაჰის ხელში
ალმართული დარჩა დანა.

გზას დაადექ ნაწამები
და გზაში ზღვა აგიღელდა,
არ გაკმარა გასაჭირი,
გაგიმრავლდა გულში ელდა,
სალოცავად ხელს აპყრობდი,
რას შესთხოვდი უფალს ნეტავ?
თუ არსებობს მაღლა ღმერთი,
ასე რისთვის გაგიმეტა?

თხოვნა კაცმა არ გისმინა,
უხილავი რად გიყვარდა?
რაც იმედი დაისახე
ჩვიდმეტ თვეში განიავდა,
სულში ვარდის რტო რომ დარგე,
არ იხარა, არ ივარდა.

თუკი ჯვარი არ ჯვარობდა,
ლოცვით გული რისთვის დასწვი,
ურჯულოებს რა უნდოდათ,
რად წაგართვეს სულის განძი,
ციებამაც არ დაგინდო
გაძარცული ბერიკაცი.

რად შეგიპყრეს, რად დაგაბეს,
რა უნდოდათ ენგიჩარებს?
სარდლად ხომ არ მიუძღოდი
ჯვაროსანთა რჩეულ ჯარებს,
იყავ მწირი მოგზაური,
დიდკაცს რისთვის შეგადარეს?

გამოგტაცეს სალოცავი —
ჯვარცმა, პაპის ნაჩუქარი,
შენ ზეცამაც არ დაგინდო,
გამოუშვა წვიმის ღვარი,
ციებისგან კანკალებდი,
ჩამოგართვეს საწვიმარი,
უკან ხელი გაგითოკეს,
არ გაკმარეს სატკივარი.

გრძელ ალმართზე აგატარეს
დაგცინოდნენ თანაც გზა-გზა,

წვიმა, წვიმა განა იყო
სვეტიცხოვლის აიაზმა?
ალმართი რომ აიარე,
შემოგხვია ლერწი ვაზმა,
„პაპიშენის დარგული ვარ“,
ჩაგჩურჩულა თრთოლვით ნაზმა.

მოგეხვია ისე ნაზად,
მოხუც პაპას, ვით გოგონა,
ტყვეობისგან მიხსენიო, —
თითქოს სიტყვა გაგაგონა,
მოგიშვირა ნორჩი ლერწი
და ცრემლები გაგაყოლა,
ვაზის ნახვამ შორს—სპარსეთში
ტყვე ვახტანგი მოგაგონა,
შენი ბედი დაგავიწყდა,
მისმა ბედმა დაგაღონა.

თქვი, ქართველის დარგულია,
მოუვლელი გაველურდა,
ვაზი ძლიერ სათუთია,
მას ბავშვივით მოვლა უნდა.

პარტახად ქმნილ ნასახლარზე
ვაზი როგორ იხარებდა,
ქართლისათვის დარი გაურდა
მაგრამ განა იდარებდა?
იმ დროს შენი სატკივარი
ქვეყნისათვის იკმარებდა.

აქ ხომ ქართველს უცხოვრია,
დღეს ნანგრევებს ფარავს ხავსი,
ვისლა უნდა დაუძახო:
„მასპინძელო, წყალი გვასვი“.

წყალს მოითხოვ, წყლის სანაცვლოდ
ვინ მოგიტანს ღვინოს დოქით?
მუხიდან ვინ ჩამოუშვებს
ყურძნით სავსე გიდელს თოკით,
ქვევრის თავზე ვინ აანთებს
თაფლის სანთელს მუხლზე ჩოქვით?

— . —

სამშობლოში დაბრუნება

★

მოალწიე ქართლის საზღვარს,
მამულს ველარ გაუცინე,
შემოუძეხ სამშობლოში
ფეხშიშველა კაპუცინებს,
ფულის ნაცვლად მოგყვა ვალი,
მშვიდად როგორ დაიძინებ?
ქართლში დაგხვდა ცრემლის ღვარი,
გახდი მისი მონაწილე,
და მამულზე მწარე ფიქრი
გულს, ვით საზრდო, მიუჩინე.

გრძელი გზიდან მოგყვა დარდი,
ვალს და დარდებს ვინ წაგართმევს,
სანუგეშოს რალას ეტყვი
შენს მამულს და მოძმე ქართველს?
ვინ მოგივლის ტანჯულ მოხუცს,
სამშობლოზე ღამენათევს?

ყოველი მხრით ხმლის ქნევაში
დავლარიბდით, გავითელეთ,
ერთი დილა უშფოთველად
მამულში ვერ გავითენეთ.

ქვეყნის ფიქრში გაგითეთრდა
ლრუბელივით თმა და წვერი
ქართლისათვის ღამეს სტეხდი,
რომ გეხილა ბედნიერი,
მისთვის დასთმე მეფის კარი
და გარეჯის გახდი ბერი,
რისთვის გახდა ახლა ყველა,
ბრძენო კაცო, შენი მტერი.

ქვეყნისათვის თავი დასდე,
რად გაგიხდნენ უმადური,
განა შენ ხარ კმაყოფილი
და მწარე ბედს არ ემდური?
ვინ გაიგებს, რა მწარეა
სხვისი მოტეხილი პური.

ახლში მოხვეულ შორი გზიდან,
ასე რისთვის დაგიმტერდნენ,
ცაში ღმერთმა არ გისმინა,
მოგისმენდა განა მეფე?
ანაფორით შაოსნები
რას გიღრენდნენ, რას გიყეფდნენ?

ეჰ, ამაოდ მოვლე რომი,
წამწამები ცრემლით დასწვი,
ისე შურით გიცქერს ყველა,
შეგეძინოს თითქოს განძი,
მუდამ ქართლზე ოცნებობდი,
მისი დარდი მხრებით ასწი,
ყრმობიდანვე ვარდს თესავდი,
მოხუცდი და მომკე ანწლი,
რაგინდ სუფთა თესლი თესო,
გაერევა სადმე ღვარძლი.

თუმც არ გჯერა საბოლოოდ,
ერი ასე გადაგვარდეს,
რომ არწივი საბუდარზე
ისევ დაზრდის ფრთამალ მართვეზს.
კავკასიის მთების მიღმა
თითქოს არჩევ ცაზე ნათელს,
შორეული ციხკრის ელვა,
იქნებ, ქართლსაც შემოადგეს,
მტრის ძლევაში დაგვეხმაროს,
თანამოძმედ გამოგვადგეს.

ქარმა მუხა ძირს რომ დასცეს,
მაინც რჩება რკო და ფესვი,
ზედ კვლავ მუხა გაიზრდება,
ძველ მუხაზე უმაღლესი,
ზედ არწივი შემოჯდება
და უშიშრად ივლის მწყემსი.

— . —

ფიქრები საბას მიერ ალწერილი მოგზაურობის დაკარგულ პირველ ნაწილზე

★

დაბრუნდი ნუგეშს რას გვეტყვი?
შენც არ შემოგრჩა ნუგეში,
დაბრუნდი გრძელ გზით ნასეტყვი
მხოლოდ დღიურით უბეში.

დღიურით, მაგრამ სად ვნახოთ
მისი პირველი ნაწილი,
ქართლიდან წასვლა სად არის,—
გზა — ცხარე ცრემლით ნაწვიმი!

გორის ციხესთან ტირილი
და პეშვით მიწის აღება,
იმედის ჯვართან, შორ გზაზე,
სამშობლოს სითბოს წაღება,
ნიავზე თეთრი თმის გაშლა
მშვიდობის ბაირაღებად.

სად არის ლიხზე გადასვლა,
გულში რა გრძნობა არწიე,
მყინვარი აქ ვინ დადგაო, —
გაჰკვირვებიათ არწივებს.

სად არის, — მაშვრალ ქვეყნის ელჩს
როგორ შემოგხვდა ვერსალი,
როგორ დახარე ლუის წინ
თავი სულ შენავერცხლავი!

იქნებ არც დაგიწერია
კრთომა ზღაპრული პარიზის,
იქნებ არც მოგგონებია
იავარქმნილი დმანისი?

იქნება გზაში დაჰკარგე,
ცას ცრემლით გადაუკურცხლავს,
ვარსკვლავებს წაუკითხავს და
ქარიშხალს გადაუფურცლავს.

იქნება დაგრჩა პარიზში,
ამ ვრცელი ზღვების გადალმა,
და მოგაგონდა როდესაც
დაიძრა მეფის კატარღა?

დავეძებთ, ვერ გვიპოვია,
გვითხარ, სად ვპოვებთ ადგილად?
იქნება რომში დაჰკარგე —
უნახავს ვინმე კარდინალს
და სძინავს რომის სეიფში
შენახულს წმიდა ნაწილად?

იქნებ თურქებმა წაგართვეს,
რომ იყავ გზით დახუთული,
დახიეს, შიგ გაახვიეს
თრიაქიანი თუთუნი?

დავეძებთ, ვერ გვიპოვია,
იქნებ შენ გვითხრა მართალი,
თუ სადმე უცდის მზრუნველ ხელს,
ჩიტივით გულის ფართქალით?

ან იქნებ არც დაგიკარგავს,
არც სადმე წვიმა აწვიმდა,
იქნება შენი ნებართვით
მშვიდობის მტრედად გაფრინდა!

— . —

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელი ულელტეხილი

★

ქარაფებიდან უფსკრულში
გრგვინვით ლოდები ცვივიან,
ცივია კავკასიონი,
მდინარე ვაწაც ცივია,
მთიდან-მთით გადაფრენილი
ცაში ორბები ჰყივიან,
თუ კავკასიონს გადივლი,
მცირე იმედის სხივია.

ქაფმორეული მდინარე,
მყინვარებიდან დაძრული,
გზა, სახიფათო სავლელი,
ორწოხზე გადაბაწრული,
კლდით გადმომქუხარ ჩანჩქერში
ისეა სხივი ჩაწნული,
თითქოს სურს — ცაზე დახატოს
მირაჟად ქართლის წარსული,
მზის სხივში მკრთომი ქვეყანა,
ბუნება — მარად ქალწული.

მდინარე ვაწის ხეობას
მიჰყვება მეფის ამალა,
ჰგოდებენ, ცრემლებს აფრქვევენ,
სევდა მეფემ ვერ დამალა.
მტერმა გადასწვა თბილისი,
სოფლები გაატრამალა.

მიდიან, წინ მიუძღვებათ
წინაპარ მეფის აჩრდილი,
ამ გზით წავიდა ქართლიდან
ბედდაცარული არჩილი,
ვახტანგმაც ვეღარ იხილა
სამეფო დროშა გაშლილი,
ძმამ უღალატა, გაჰყიდა,
თურქებთან შეჰკრა კავშირი,
მტერს მიეგება მეგზურად,
გადმოატარა ტაშირი.

ორბელიანო, სად მიხვალ,
მგზავრობამ აღარ დაგღალა?
თუკი დღეს ქართლის მამულზე
სიკვდილმა გადიხარხარა,
მაინც აღდგება ფერფლიდან
შენი სამშობლო ჭაღარა,
არწივის საბუდარზედა
ყვავი ვერ გაზრდის ბახალას!

თუ მტერი დაეპატრონა
შენს კერა-მამულს საკუთარს,
სად მოასვენებ დაღლილ ძვლებს,
სადღა იშოვი საბუდარს?
უკანასკნელად ვინ მოგცემს
მოხუცო, სულის საყუდარს?

შორს დარჩნენ ქართლის ველები,
ბარაქიანი უბითა,
დავითმა ხმლით რომ გაზომა
და გორგასალმა შუბითა,
ცადაღმართულნი მწვერვალნი
ჭიუხიანი შუბლითა,
არწივთა ლაღი მართვენი,
გადმოფრენილნი ბუდიდან.

შენ გულზე გქონდა სამშობლო
ჩუქურთმად ამოკვეთილი,
მაგრამ იხილე ბოლოჟამს
მამული გადაჩეხილი,
კეთილი თესლის მთესავმა
ძნად ვერ შეჰკონე კეთილი,
იხილე მოძმის მახვილი
ძმის ხმალზე გადატეხილი,
უკანასკნელად გადავლე
ზეკარის ულელტეხილი.

ღრუბელი მიაქვს ქარის ფრთებს
პირაქეთიდან — პირიქით?
არა, ეს ბერი საბაა,
ზეკარს გადადის ბილიკით.

ისე მოხუცდა, მამულში
სიმშვიდე არც კი ეღირსა,
დაფნის გვირგვინის სანაცვლოდ —
გვირგვინს ადგამენ ეკლისას.
მიდის, ფიქრები ლოდივით
გულს აწევს თავის ქვეყნისა.

ამაოდ დარჩა რომისკენ
ხელი, ვედრებით გაწვდილი,
ახლა მოსკოვში ეძახის
არჩილის წმიდა აჩრდილი,
მიდის მოხუცი სულხანი,
მხარში უდგება გაზრდილი.

მიდიან, გზა არ თავდება,
ისმის ოხვრა და გოდება,
ზოგმა ცოლ-შვილი დატოვა,
ზოგს დედა მოაგონდება

ზოგი გზადაგზა იხსენებს
უკვდავი შოთას სტრიქონებს.
ზოგიც მგზავრობის სიძნელეს
აღწერს და ლექსად იგონებს.

ქალები ჰკრეფენ ყვავილებს,
მთის სურნელოვან ბალახებს,
საბასთან მიაქვთ, საბა კი
აღწერს და ფრთხილად ალაგებს,
გზაშიც არ ცხრება მოხუცი
და ქართულ სიტყვას ალაღებს,
დაღლილნი შეისვენებენ,
ისმენენ საბას არაკებს:

„თუ ოჯახი მოიშალა
და ძმებს შორის მეფობს შური,
შვილი მამას თუ არ უსმენს,
დებს არ დობს და ძმებს ემდურის,
თუ გადადის მტრის მხარეზე
განდიდების მოყვარული,
უგემურად ეჩვენება
დედის გამომცხვარი პური!

თუ ერთ ისარს ადვილად ვტეხთ,
ვერვინ გასტეხს ისრის კონას,
ნურც ნურავის ყმად გაიხდი,
არც შენ გახდე სხვისი მონა!

ყოველ განძს სჯობს ამხანაგი,
მას ენდე და მიეყუდე,
ამხანაგი არის ციხე,
მტრის უძლეავი მძლავრი ზღუდე,
საიმედო კლდეზე უძევს
გულად არწივს მუდამ ბუდე.

კარგ ამხანაგს ძვირად ჰპოვებ,
ოქრო-ვერცხლით ვერ იყიდი,
თუ გმეგობრობს მეგობარი,
ცხოვრება გაქვს მაშინ მშვიდი,
არასოდეს ჩაგიტყდება
წყალზე გადებული ხიდი!

მეფემ, როგორც კარგმა მწყემსმა,
ცხვარი მპარავს აარიდოს,
კარგ ბალახზე მოაძოვოს
შეაფაროს ბინას მყუდროს,
თუ მწყემსია, მან ცხვრისათვის
გასაჭირიც უნდა ზიდოს,
უნდა ფხიზლად უდარაჯოს,
ხიფათსაც არ დაერიდოს.
მტაცებელი თუ დაესხა,
შეუტიოს, გაეკიდოს,
არ შეუდრკეს ხრამს და უფსკრულს
ქარაფებზე დაეკიდოს!

თუ ეს ყველა მწყემსმა არ ქნა,
მას სამწყემსო შეუმცირდეს,
გაიძარცვოს, გაღარიბდეს
და ნიადაგ ცრემლებს ღვრიდეს,
კაცი, რაგინდ დიდი იყოს,
ხელს ვერ ახლებს ზეცის კიდეს,
პაპა ხნულში რასაც დასთესს,
შვილისშვილიც იმას მკიდეს!

განა სოფელს ააშენებს
მარტოოდენ ძაღლის ყეფა?
ან მამალის ხის ტოტიდან
გაბედული შეყივლება?
მელამ ფერიც რომ იცვალოს,
მაინც მელაა ცბიერი,
ის ვერ გახდება, მტრედივით,
გულალალი და ციერი.

ნუ იქნები უხმარ ნივთად,
როგორც ბრმისთვის არის სარკე,
როცა ხალხი სამსახურს გთხოვს,
განზე არასოდეს დადგე,
თუ ხალხში ხარ, მასთან დარჩი,
ხე კეთილი ბაღში დარგე.
თუ ხალხისგან გაირიყე,
გიჯობს ზღვაში გადავარდე.

შვილი ბრძენ კაცს გააწრთვნიე,
რომ ქვეყანას გამოადგეს, —
ქარი მუხას ფესვიანად
მიწიდან ვერ ამოაგდებს,
შურიანი კაცის ენა
მთელ ქვეყანას ამოაგდებს,
ავი ენით შეძახება
ცადან ძერას ჩამოაგდებს.

თუ მტერს მტრობა არ უქენი,
არც მოყვარე გემოყვრება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ ტალახში გაიარე,
ლაფი სახლშიც შემოგყვება.

შორეულ მონათესავეს
სჯობს მეზობელი კარისა,
ის ადრე არის შემცნობი
შენეულ სატკივარისა,
მას ენდე, ჭირში ის არის
მომწოდებელი ფარისა,
წყლულის გამგები დროულად,
შემყენებელი მხარისა...“

დადუმდა დიდი ბრძენ-კაცი,
დამთავრდა თქმული არაკი,
ნიავიც არ ქრის მინდვრებში,
მდუმარებს მეფის ბანაკი.

„სიბრძნე-სიცრუით“ ნათქვამმა
გულის წყლულს წასცხო მალამო,
ფიქრები შემოწოლილი
თითქოს გაჰკვეთა დანამო,
და სიხარულის ცრემლებმა
ლამის თვალები დანამოს.

საბამ სამშობლოს ვარამი
გადმოალაგა არაკად,
მეფემ თქვა: „გვიან გავიგე,
ბატონო ბიძავ, ქარაგმა,

მხსნელს რად ვეძებდი ზღვებს იქით,
ათასი მთების გადაღმა?“
საბას წინ გადაილანდა
ვერსალი, მეფის კატარღა,
ვახტანგს და ბიძას იმედით
შეხედა მთელმა ბანაკმა.

მეფემ გახედა მდუმარ მთებს,
სევდა მოაწვა გოლიათს,
მოსკოვისაკენ გასწია,
მტრის ჯავრი გაიყოლია.

— : —

მოსკოვის კარებთან

★

შორს გაისმოდა ზარების რეკა,
მაღალ ტაძრებზე ბრწყინავდა ჯვარი,
რუსეთის ზეცას ლაჟვარდი ეკრა,
როცა გაგიღეს მოსკოვის კარი.
რუსული „ურას“ ხმა გუგუნებდა,
მძლავრი სუნთქვისგან დგებოდა ქარი,
როგორც იმედი საუკუნეთა —
მოაბიჯებდა უძლეველი ჯარი.

მაშინ იმედით გახედე მოსკოვს,
წინ ალიმართნენ კოშკები კრემლის,
თქვი: „მძლავრი ძალა ქართლის
მტრებს მოსპობს“.
თვალს სიხარულის მოგადგა ცრემლი.

თითქოს გულს ჯავრი გადაეყარა,
გაქრა სივრცეში, ვით მთიდან ნისლი,
შენ თანამოძმე იცან ქვეყანა
და მომავალიც იწამე მისი.

თითქოს ფერფლიდან წამოდგა
ქართლი,
ცისკრის ვარსკვლავმა გაჰფანტა
ბნელი,
შარავანდედად მოჰფინა მადლი,
ძმურად მოხვია მზრუნველი ხელი.
განვლილ შარაგზას გახედე მაშინ,
შენს უკან გრძელი ტრამალი იწვა.
სივრცეს არხევდა სამხედრო მარში
და გუგუნებდა რუსეთის მიწა.

იდგა მოსკოვი შეუდრეკელი,
დიად მომავლის დიდი ნუგეში,
კრემლის კოშკები შორით მხედველი
საუკუნედან-საუკუნეში...

— : —

საბა არჩილის სასახლეში

★

„ფრიად მაშვრალი ფუშაკი
მოკვდა, დაეფლა რუსთ ველთა“
დიმიტრი ორბელიანი

შეკრებილან მელექსენი,
შედგომიან ქართლზე ბაასს.
ვახტანგ ამბობს: „აქ, მოსკოვში,
განვაახლებთ ქართულ სტამბას“!
მძიმე ფიქრი მორევია
გრძელ გზით დაღლილ მოხუც საბას.
საბა ყველგან ცნობილია
ბრძნული სიტყვის მოუბარად,
მაგრამ დღეს ის გარინდულა
თითქოს ფიქრებს მოუპარავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარეთ ყინავს, ქარი გოდებს
და მიდამოს თოვლი ფარავს.

იქნებ ნანობს დიპლომატი —
რომ ვერ ნახა პეტერბურგი
ვერ იხილა ის ქალაქი,
ახალგაზრდა მზეჭაბუკი,
ვერ იხილა პეტრე დიდი,
ბრწყინვალება მისი შუქის.

ველარ შეძლო, დაიღალა,
გაეცალა ძალა სხეულს,
ვერ განაგრძობს ქართლის ელჩი
საიმედოს გზას არჩეულს,
გამოაკლდა, ვით ვარსკვლავი,
მნათობელი მეფის რჩეულთ.

იქნებ მოხუცს აგონდება
კავკასიის მთა-გორები,
იქნება თხზავს ახალ არაკს,
მოცულია შთაგონებით,
მაშ, მოხუცი ნეტავ ბუხარს
რატომ უცქერს დაღონებით?

ამ ბუხართან ღამეები
უთევია მეფე არჩილს,
იქნებ ახლა ბრძენი საბა,
ფიქრით უცქერს ნათელ აჩრდილს,
ზოგჯერ მშვიდად თვალს მიაპყრობს
შეკრებილთა შორის აღზრდილს.
ვახტანგ ამჩნევს მოხუც გამზრდელს,
ბუხრის სითბოს ეტანება,
ნეტავ ცეცხლად ანთებულ გულს
ყინვა ხომ არ ეპარება?

ან მგზნებარე ნათელ თვალებს
ხომ არ ბინდავს შეღამება?
„აღსასრულის ჟამი დადგა“. —
თქვა საბამ. და დაიკვნესა,
„სადაური სად მოკვდება,
სად უთხრიან სამარესა...“
და ნაღველი. მეფის გულში
ცრემლში გადნა, გაილესა.

ანუგეშებს ვახტანგ აღმზრდელს,
გარინდულან მელექსენი,
„რა ნაღველი დაგეუფლა,
გვითხარ, საბავ, აგვიხსენი,
მკურნალობა როგორ შეძლოს
თუ არ უთხარ ექიმს სენი“.
ყველამ იგრძნო, მოხუცებულს
დალეული ჰქონდა დღენი.

დარეჯანი ღვთისმშობლისკენ
ხელებს აშვერს კელაპტრებად
და ჩურჩულებს: „იქნებ ბიძას
საქართველო ენატრება?
მოუოხე ტანჯულ მოხუცს,
ააშორე მის გულს სნება“.

* * *

თეთრია იანვრის ღამე,
ირგვლივ მიდამოც თეთრია,
სამოცდა შვიდი წლის მოხუცს
კვლავ გსურდა ღამე გეთია,
მაგრამ სამშობლოს წყლულები
წრფელ გულში არ ჩაგეტია.

დაეცი, როგორც ბერმუხა,
ფესვებ და რტოებმრავალი,
მოსკოვის ახლო დასრულდა
გზა შენი, ქვეყნად სავალი,
და დაცემის წინ იხილე
ქართლის მზე ამომავალი.

დაიწვი, როგორც იწვება
ხატის წინ წმინდა სანთელი,
ხატად იწამე სამშობლო
და ლოცვად მისი სახელი,
ბნელს მიებარე და ქართლში
დატოვე სიბრძნის ნათელი,
პირნათლად ჩახველ საფლავში,
ვით ღისეული ქართველი.

სხეული დასწვი, აზრი კი
შენს ხალხში სიბრძნედ ანთია,
მეც ახლა შენთან ღამეს ვტეხ,
ჩვენ ერთად ვხვდებით განთიადს,
ვით მწიფე ყურძენს, ისე ვკრეფ
შენს ქართულ სიტყვებს თაფლიანს,
შენი ცხოვრების დიდი გზა
დიდებით დაგვიდაფნია,
ვით ცოცხალს, ვესაუბრები
შენს ნათელ სურათს მადლიანს...

— : —

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩემი ოცნება

★

ისევ წინ მიდევს შენი სურათი
და გულში ფეთქავს შენი წარსული,
მე შენს ბრძნულ წიგნებს ვით
დავხურავდი,
შენზე ოცნებით შემოგარსული.

ისევ წინ მიდევს შენი სურათი
და მინდა ბრძენ-კაცს ასე გახარო,
შენი სამშობლო, მუდამ პურადი,
ჯასტოლებია სხვა ვრცელ სამყაროს.

მიწას ეფრქვევა ნამის ალმასი,
მზე არ გვარიდებს ბრწყინვალე
სახეს,
შენი ქვეყანა აგრე ლამაზი
გახდა სავარდე და სავენახე.

მე თითქოს გხედავ შენ ყოველ
დილით,
ნათელ პროსპექტზე უყურებ
ჭადრებს,
სახემღიმარი გახედავ თბილისს
და ჩამოუვლი ქალაქის სტამბებს.

სტამბაში ხვდები საყვარელ
გაზრდილს,
თავზე ევლება „ელექტრო
მსტამბავს“,
წინ დაგილაგებს დაბეჭდილ
თარგმნილს
„ქილილასა და დამანას“, ამბავს.

შენც ქართლის ბედით ცხოვრობ
და ხარობ,
ჩუქურთმიანი გიპყრობს კედელი,
დღეს თბილისს რომზე კარგი აქვს
წყარო,
სიცოცხლის წყარო დაუშრეტელი.

კაცმა მართალმა სიმართლის ხმალით
ხეცის საფირონს ჯანღი ახადა, —
დიდო მოხუცო, დღეს შენი თვალი
ქართლზე უკეთესს რაღას ნახავდა.

დღეს ქონგურებზე ცეცხლი არ
ბრწყინავს,
არავინ ისმენს საომარ ძახილს,
და მუზეუმის დარბაზში სძინავს
ქართლში მშვიდობის შემომტან
მახვილს.

უქმად თელავდი რომის ფოლორცებს,
ამაოდ მოვლე ზღვა და ხმელეთი,
რომის ტაძრების ჩოქვით
მომლოცველს
სად დაგეწია გზაზე ბნელეთი!

მეგზურად გყავდა წვიმა და ქარი,
როცა მჭმუნვარე გაჰყევი ფაზისს,
თითქოს სენასთან იხილე მტკვარი
და მონაკოში ქართული ვაზი.

თითქოს გჯეროდა: რომისკენ მიდის
ყოველი გზა და ყოველი მგზავრი,
დღეს კი თბილისი რომზე დიდია,
მისი ცაც უფრო ბრწყინვალე არის.

მგოსნები ქართლზე დღეს აღარ
სწუხან,
არ დასტირიან აჩეხილ ბაღებს,
დგას იგი, როგორც ურყევი მუხა,
ეალერსება ლაჟვარდის თაღებს“.

ამაოდ ღვარე სისხლი და ცრემლი,
ვერ ააფრინე უბიდან მტრედი,
ქართლს დაჰკაშკაშებს ვარსკვლავი
კრემლის,
და ქართლმა მოსკოვს მიანდო ბედი.

აღარ აწყდება დღეს ქვეყნის
საზღვრებს
მაჰმადიანთა ველური ურდო,
მომხვდურს კარები გადავურაზეთ
და დავიმკვიდრეთ ცხოვრება
მყუდრო.

წინ კომუნიზმის ნათელი მოჩანს,
თავისუფლების ჰანგები ჟღერენ,
ლენინ—სტალინის დიადი დროშა
გზას უჩირაღდნებს ბედნიერ ერებს.

— : —

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ. თათარიშვილი

ურყევი მეგობრობის ძეგლი

★

ლენინის გორაზე, მოსკოვის ერთ-ერთ ულამაზეს რაიონში აღმართულია ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის უზარმაზარი შენობა. ხალხმა მას მეცნიერების სასახლე უწოდა. მრავალმა საბჭოთა ადამიანმა და საზღვარგარეთელმა მეგობარმა ნახა ეს მაღალი შენობები.

მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობის ცენტრალური კორპუსის სიმაღლე 239 მეტრია, ხოლო შენობის საერთო მოცულობა — 2.611 ათას კუბმეტრს აღემატება. მოედანი, რომელიც უჭირავს მეცნიერების სასახლეს, თხუთმეტჯერ დიდია, ვიდრე ამერიკის შეერთებული შტატების — კოლუმბიის უნივერსიტეტის მოედანი.

მოსკოვის უნივერსიტეტის შენობა— ეს მთელი ქალაქია. მისი ყველა ოთახი მხოლოდ თითო წუთით რომ დაათვალიეროთ, საჭიროა თოთხმეტი დღე და ღამე. ხოლო მარტო დერეფნები რომ გაიარო, 40 საათი დაგეხარჯებათ.

უნივერსიტეტის შენობის მაღალი სართულიდან ხელისგულივით მოჩანს დედაქალაქის ყველა რაიონი. ჰორიზონტზე აშლება მშენებლობის გრანდიოზული პანორამა... დედაქალაქში ხარაჩოების ტყეა. თითქმის ყველა ქუჩაზე, ყველა მაგისტრალთან გრუხუნებენ ექსკავატორები და ბულდოზერები. დევის მკლავები გაუშლიათ უზარმაზარ ამწეებს და მშენებლებს აწვდიან აგურს, ბეტონს, ფიცრებს, მარმარილოს და სხვა საამშენებლო მასალას.

ადამიანთა არსებობის ისტორიაში არც ერთი ქალაქი არ აშენებულა ასე სწრაფად, როგორც შენდება და ფართოვდება მოსკოვი. ეს ბუნებრივიცაა. მოსკოვი დიადი სოციალისტური ქვეყნის გულია, დემოკრატიისა და სოციალიზმის დედაქალაქია, მშვიდობის, კომუნიზმის დიადი მშენებლობის მედროშეა. მოსკოვი ქალაქია, საიდანაც მთელ მსოფლიოში გაისმის სიმართლის სიტყვები ადამიანთა ახალი ცხოვრების კანონების შესახებ.

წელს სრულდება ცხრამეტი წელი მოსკოვის რეკონსტრუქციის პირველი გენერალური გეგმის მიღებიდან. ამ ხნის განმავლობაში მოსკოველებმა მიიღეს ცხრა მილიონ კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართობი. ქალაქში აღიმართა ოთხასზე მეტი მრავალსართულიანი შენობა. მარტო 1952 წელს დედაქალაქის მშრომელებს გადაეცა მილიონამდე კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ბინა — ორჯერ მეტი, ვიდრე 1940 წელს. ამ ახალ ფართობებზე თავისუფლად შეიძლება მოთავსდეს ნახევარი მოსახლეობა ისეთი ქალაქისა, როგორიცაა ჟენევა.

მილიონი კვადრატული მეტრი ასფალტი დაიგო დედაქალაქის ქუჩებში. ასი კილომეტრი გახდა ტრამვაისა და ტროლეიბუსების უახლესი ხაზების სიგრძე. მალე მოსკოვის სიამაყის — მეტროპოლიტენის სიგრძეც ას კილომეტრს მიაღწევს.

დედაქალაქის რეკონსტრუქციის გენერალური გეგმა ითვალისწინებს ახალი ბაღების, ხეივნების, სკვერების,

ყვავილნარების გაშენებას, ქუჩების, მოედნების, მაგისტრალებისა და ეზოების გამწვანებას.

განსაკუთრებით ორიგინალურად არის გადაწყვეტილი მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის უზარმაზარი ეზოს გამწვანება. აქ ერთი წლის განმავლობაში დაირგო რამდენიმე ათასი ძირი მრავალწლიანი დეკორაციული მცენარე, სხვადასხვა ჯიშის ფოთლოვანი და წიწვიანი ხე. მოწყობილია ყვავილნარები, ხეივნები, აუზები და შადრევნები.

უნივერსიტეტის თვალწარმტაცი ეზოს გაშლილი ხეივანი დამშვენებულია ჩვენი დიადი სამშობლოს მოწინავე მეცნიერების ქანდაკებებით და მონუმენტებით.

მაღალი შენობების მონუმენტალობასთან, სისადავესა და ორიგინალობასთან ორგანულად შეუხამებიათ არქიტექტორებსა და დეკორატორებს ამ შენობათა ეზოებისა და მოედნების გამწვანება.

„მწვანე მეგობრები ყველა ქუჩაზე, ყველა ეზოში, ყველა მოედანზე"—ასეა ჩაწერილი მოსკოვის რეკონსტრუქციის გენერალურ გეგმაში.

იზრდება, მშვენიერდება სიცოცხლისა და სიხარულის ქალაქი, კომუნიზმის მშენებლობის დიადი მედროშე — მოსკოვი.

* * *

ისინი დედაქალაქის ორ სხვადასხვა რაიონში ჩაეშვნენ მიწის ქვეშ. ხარკოველი კონსტანტინე ლაგოდენკო — ზოოპარკთან, რომელიც მდებარეობს „კრასნი პრესნიაზე" და ტულელი ივანე სკრილევი კიევის ვაგზალთან. ეს ორი ადგილი ერთმანეთისაგან სამიოდე კილომეტრით არის დაშორებული და მდებარეობს მდინარე მოსკოვის მარცხენა და მარჯვენა ნაპირებზე.

1953 წელი...

სექტემბერია. შუადამე ახლოვდება. მიყუჩდა მოსკოვის ქუჩების ჩვეულებრივი ხმაურიანი სიცოცხლე. უთვალავი ცეცხლის ბურთულები სხივებს აფრქვევენ დედაქალაქის მოედნებსა, ბაღებსა, პარკებს, ხეივნებს.

მოსკოვი ისვენებს. ბინებში ნათურები ჩამქრალია.

მაგრამ დიადი ქალაქის სხვადასხვა ადგილას შემოქმედებითი შრომა დუღს. მუშაობენ არ მარტო ფაბრიკა-ქარხნების საამქროებში და ახალ შენობათა ხარაჩოებზე, არამედ მიწის ქვეშაც. იქ, ქუჩებსა და მოედნების ქვეშ, მდინარე მოსკოვის კალაპოტის ქვეშ, მრავალსართულიანი შენობების საძირკვლების ქვეშ შეუპოვრად შრომობენ ახალგაზრდა მეტროშენებლები.

როდესაც ლაგოდენკო, სკრილევი და მათი ამხანაგები გვირაბში ჩაეშვნენ, მაშინ მიწის ქვეშ გავლა შეუძლებელი იყო მოსკოვის მეტროპოლიტენის დიდი წრის მხოლოდ ერთ უბანზე კრასნო პრესნიასა და კიევის ვაგზალს შორის. აქ მიწისქვეშა გზას ღობავდა კირნარის კედელი. მეტროშენებლებმა დაახლოებით ნახევარი წლის წინათ სწორედ აქ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება წრიული მაგისტრალის გვირაბების სწრაფად და მაღალხარისხოვნად გაყვანისათვის. დრო ცოტა იყო. საჭირო შეიქნა გვირაბის გათხრა ისეთი ტემპით, რომ მშენებლებს ორჯერ გადაეჭარბებინათ პროექტით გათვალისწინებული ნორმისათვის.

ბრიგადებმა, რომლებსაც ხელმძღვანელობდნენ კომუნისტები პეტრე ფედოსოვი და იური პავლოვი ვალდებულება აიღეს ვადამდე დაემთავრებინათ სამუშაო.

სიტყვას საქმე მოჰყვა. თუ საპროექტო ნორმით გათვალისწინებულია ერთი ჩაჭრით თვეში 50 მეტრი გვირაბის გაყვანა, ფედოტოვის კოლექტივმა სექტემბერში 110 მეტრი გაიყვანა, ოქტომბერში 127. მიუხედავად იმისა, რომ ტრასის უდიდესი მონაკვეთი მდინარე მოსკოვის ქვეშ გადიოდა.

ნოემბრის დასაწყისში ორივე გვირაბს შორის მხოლოდ 250 მეტრი დარჩა გასაჭრელი. მარცხნივ „კრასნი პრესნიას“ მხრიდან წინ მიიწევდნენ ფედოსოვის უბნელები, კიევის ვაგზლის მხრიდან კი პავლოვი და მისი ამხანაგები. დადგა ნოემბრის უკანასკნელი ღამე... ორ შემხვედრ მეგვირაბეთა შორის დარჩა მხოლოდ ოთხი მეტრი მანძილი.

ტუღდა მუშაობა... გვირაბის მარჯვენა ჭრილი მიიღო მოწინავე ბრიგადამ, რომელსაც იმ ღამეს ხელმძღვანელობდა ცნობილი მშენებელი კონსტანტინე ლაგოდენკო.

კონსტანტინე ლაგოდენკო 17 წლისა იყო, როცა მოსკოვის მეტროპოლიტენის მშენებლობაზე მივიდა. იგი მეორე და მესამე რიგის მშენებლობის აქტიური მონაწილეა. სამამულო ომის დროს, როცა ლაგოდენკოს ჯგუფს გაჰყავდა ბაუმანის სადგურის გვირაბი, მის სამუშაო უბანს მუდამ ამშვენებდა კომკავშირის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა. მალე ლაგოდენკო მიიღეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრად. როდესაც მეტროს მესამე რიგის მშენებლობის წარმატებით დამთავრებასთან დაკავშირებით ლაგოდენკოს ლენინის ორდენი გადაეცა, იგი ახალ, უფრო პასუხსაგებ უბანზე მუშაობდა — იმყოფებოდა სერპუხოვის სადგურის მშენებლობაზე. ამ სადგურის ამუშავების შემდეგ ლაგოდენკო „კრასნო პრესნიაზე“ მოვიდა და კვლავ მაღალნაყოფიერი შრომით თავი ისახელა. ცვლაში მის ბრიგადას გაჰყავდა ას მეტრზე მეტი გვირაბი — ოთხჯერ აჭარბებდა გათვალისწინებულ ნორმას.

განსაკუთრებით ენერგიულად იმუშავეს ლაგოდენკომ და მისმა ამხანაგებმა იმ ღამეს, როცა ერთმანეთს უნდა შეხვედროდნენ კიევის ვაგზლიდან „კრასნო პრესნიამდე“ გაყვანილი გვირაბები.

ეს იყო ნოემბრის ბოლოს...

გაისმა აფეთქების ხმა. მიწის მთხრელები წინ გაიჭრნენ, ეს — მოუცადეს კვამლის გაფანტვას. „ვაშას!“ მხიარულმა ძახილმა დაფარა აფეთქებისაგან გამოწვეული ხმაური. გვირაბის ჭრილის ზემონაწილში დიდი ფანჯარა გამოჩნდა, გაიელვეს შემხვედრი გვირაბის რკინის შემდუღებელი ელექტრომოწყობილობათა ნაპერწკლებმა.

შეერთდნენ ლაგოდენკოსა და სკრილევის ბრიგადები...

* * *

ეს იყო ნამდვილი ზეიმი, მშენებელთათვის დაუვიწყარი წუთები. გვირაბის უკანასკნელ ჭრილთან შეგროვდნენ სხვადასხვა უბნის მშენებლები. ისინი აჯამებდნენ თავიანთი მუშაობის შედეგს.

ვინ მოსთვლის, რამდენი სიძნელე გადალახა მათ 1944 წლის ივნისიდან — დიდი წრის ტრასზე ტიუბინგების პირველი სალტის დამონტაჟების დღიდან. მოსკოვის მიწის წიაღის გვირაბების მთხრელთათვის ბევრჯერ მოუმზადებიათ არასასიამოვნო სიურპრიზები. მშენებლები გადიოდნენ ხან ფხვიერ, ხან გრანიტივით მტკიცე კირნარებში.. ხან წყლით გაჟღენთილ ქვიშნარებში, მაგრამ, ვერაფერმა ვერ შესძლო შეეჩერებინა მათი ძლევამოსილი წინსვლა.

იმ დღეს ბევრი რამ გაიხსენეს მეტროპოლიტენის მშენებლებმა.

— პეტრე ალექსის-ძევ, გახსოვს, როგორ გაგვყავდა პირველი წოლხვრელი?! — ჰკითხა რატნიკოვს მოსკოვის მეტროპოლიტენის მშენებლობის უფროსის მოადგილემ ვიქტორ ტროიემ.

როგორ არ ახსოვს რატნიკოვს... მაშინ შენდებოდა სადგური „სერპუხოვსკაია“. ტროიე იყო მაღაროს მთავარი ინჟინერი. მშენებლებმა გაიხსნეს, აგრეთვე, რამდენი დაბრკოლება გადალახა მათ, როცა ხვრელი გაჰყავდათ

სადგურ „ტაგანსკაიას“ მიმართულებით. გაიხსენეს, თუ როგორ „ხვრეპავდნენ“ წყალს მანქანები, როცა მიწის სილრმეში ჩავიდნენ. გაიხსენეს გვირაბის გამყვანი ბრიგადის ხელმძღვანელის იულონ დგებუაძის შრომითი მამაცობაც.

ი. დგებუაძე კადრის მეგვირაბეა. იგი მოსკოვში გეგეჭკორის რაიონის სოფელ დიდი ჭყონიდან მოვიდა. ეს იყო ოცი წლის წინათ. მაშინ მოსკოვის მეტროს მშენებლები ლენინის სახელობის ბიბლიოთეკის სადგურის გვირაბს ჭრიდნენ. მალე ახალგაზრდა მშენებელი ი. დგებუაძე ბრიგადირი გახდა. მეტროს მესამე რიგის მშენებლობის დროს მას გვირაბი გაჰყავდა მდინარე მოსკოვის ქვეშ, შემდეგ კი აშენებდა სადგურ „ნოვოკუზნეცკაიას“.

სადგურ „ტაგანსკაიას“ მშენებლობაზე ი. დგებუაძე მოვიდა, როგორც გამოცდილი, ნაწრთობი მაღაროელი. ამიტომ დაავალეს მას დამცველ-გამყვანი მექანიზმის მონტაჟისათვის კამერის მოწყობა. მშენებლობის ამ უბანზე გეოლოგიური დაზვერვა საგანგაშო მონაცემებს იძლეოდა. და, როდესაც მაღაროს ხელმძღვანელების წინაშე დადგა საკითხი, თუ ვისთვის დაევალებინათ ეს რთული საქმე, ყველამ ერთსულოვნად დასახელა:

— დგებუაძე!

ი. დგებუაძემ შეკრიბა ბრიგადის წევრები, გააცნო მათ საპატიო დავალება. აუხსნა, როგორი სიძნელეების გადალახვა მოუხდებათ, რას უნდა მიაქცინ მთავარი ყურადღება, და შემდეგ ყოველგვარი ხმაურის გარეშე სამუშაოზე განალაგა ბრიგადის წევრები. თავისთვის დატოვა ყველაზე ძნელი უბანი.

გაჩაღდა მუშაობა. როგორც კი გამყვანები გვირაბის სახურავს შეეხნენ, როგორც ნიაღვარი, ისე აჩქეფდნენ მიწისქვეშა ცივი წყლის შადრევნები.

რამდენიმე წუთის შემდეგ მშენებლები, მიუხედავად იმისა, რომ რეზინის სამოსი ეცვათ უკანასკნელ ძაფამდე დასველდნენ, მუშაობა მაინც არ შენელებულა. გვირაბის მთხრელები აკაკანებდნენ მომგრეკ ჩაქუჩს და წყალთან ერთად ძირს ცვივდა სხვადასხვა სიდიდის ქანები, მიწისა და კირქვის უზარმაზარი ნაჭრები.

გვირაბში წყლის დონემ იმატა. მოსკოვის მეტრომშენებლობის ინჟინერმა ამხ. გ. ლიუბენზონმა გაანგარიშება გასცა: ბრიგადას მუშაობა — შეეწყვიტა და მუშები სასწრაფოდ გამოსულიყვნენ მოედანზე. დგებუაძე რიგრიგობით უშვებდა ბრიგადის წევრებს. ისინი იცვლიდნენ ტანისამოსს და ორგანიზებულად ბრუნდებოდნენ თავიანთ უბნებში. თვითონ ი. დგებუაძეს კი ერთი წუთითაც არ მიუტოვებია გვირაბი და თავისი მომგრეკი ჩაქუჩი. იგი იდგა ნიაღვრის ქვეშ და წარბშეუხრელად განაგრძობდა კირქვების მონგრევას.

ასეთი მედგარი შრომის შედეგად სამონტაჟო კამერა ვადაზე ადრე მოეწყო. და, როდესაც გვირაბში გზის გაყვანა დაიწყეს, როგორც წესი, პირველი სალტე დგებუაძის ბრიგადას დაამაგრებინეს.

* * *

მწყობრში ჩადგნენ არქიტექტურულად თვალწარმტაცი მიწისქვეშა სადგურები: რუსი და უკრაინელი ხალხების ურღვევი მეგობრობის უკვდავი ძეგლი — „კიევსკაია-კოლცევაია“ და მოსკოვის რევოლუციური ბრძოლების ეპოპეა, — „კრასნოპრესენსკაია“.

სადგური „კიევსკაია-კოლცევაია“ აშენებულია უკრაინელი მოწინავე ხუროთმოძღვრების — უკრაინის სსრ არქიტექტურის აკადემიის ნამდვილი წევრის ე. ი. კატონინის, არქიტექტორების გ. ე. გოლუბევის, ვ. კ. სკუგარევის და უკრაინის სსრ არქიტექტურის აკადემიის წევრ-კორესპონდენტის მხატვარ ა. ვ. მიზინის პროექტით.

ამ შესანიშნავი სადგურის დარბაზების არქიტექტურული-მხატვრული გაფორმება ასახავს უკრაინელი ხალხისა და რუსი ხალხის ურღვევი მარადიული მეგობრობის თემას. ეს თემა გადმოცემულია 18 მოზაიკურ პანოში. რომლებიც სადგურის პილონებზე განლაგებულია შესანიშნავ ნაძერწ ჩარჩოებში.

300 წლის წინათ, 1654 წლის იანვარში, პერეიასლავის რადამ უკრაინელი ხალხის მძლავრი ნებით გამოაცხადა რუსეთთან უკრაინის შეერთება. ამ ისტორიული აქტით დაგვირგვინდა თავისუფლებისმოყვარე უკრაინელი ხალხის ხანგრძლივი ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ რუსეთის ერთიან

სახელმწიფოში რუს ხალხთან გაერთიანებისათვის. სადგური „კიევსკაია კოლცევაია“ პირველი პანო „პერეიასლავის რადა“ გადმოგვცემს ამ ლირსშესანიშნავ ისტორიულ ამბავს... ბოგდან ხმელნიცკის მაღლა აღუმართავს გეტმანის გერბი. ამაყად დგანან რადაზე შეკრებილი კაზაკები, პოლონელი შლიახტის უღლისაგან განთავისუფლებული უკრაინის მიწა-წყლის მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლები. ხმელნიცკი რუსეთის ელჩთან ბოიარინ ბუტურლინთან ერთად აკეთებს უკრაინის შეერთებას რუსეთთან.

მეორე პანო ასახავს რუსეთის ჯარის ბრწყინვალე გამარჯვებას 1709 წელს პოლტავასთან. როგორც ცნობილია, რუსეთის არმიამ, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ უკრაინის ნაწილები, 1709 წელს გაანადგურა შვედი დამპყრობები.

მიწისქვეშა სასახლის ერთ-ერთი პანო გამოხატავს უკრაინელი და რუსი ხალხების კულტურულ ურთიერთობას.

უკრაინისა და რუსეთის დიადი მეგობრობა ხელს უწყობდა ორი დიდი ხალხის კულტურის აყვავებას. მოძმე უკრაინაში მოგზაურობდნენ მოწინავე რუსი მწერლები, აგროვებდნენ მდიდარ მასალებს თავიანთი უკვდავი ნაწარმოებებისათვის. რუსეთის ქალაქებში მიდიოდნენ უკრაინელი ხალხის სახელოვანი შვილები. ისინი იქ სწავლობდნენ, იქ ეცნობოდნენ რუსეთის მოწინავე ადამიანებს. ერთ-ერთ პანოზე უკრაინელებს შორის დგას გენიალური რუსი პოეტი ა. ს. პუშკინი. იგი ყურადღებით უსმენს გუსლის დამკვრელის სიმღერას.

საუკეთესოდ არის ჩანაფიქრი და შესრულებული დიდი კობზარის ტ. შევჩენკოსადმი მიძღვნილი პანო. ტარას შევჩენკო რუს რევოლუციონერ დემოკრატებთან მჭიდრო ერთიანობით იბრძოდა ბატონყმობისა და ცარიზმის წინააღმდეგ. უკრაინელი ხალხის განთავისუფლების გზად მას, უწინარეს ყოვლისა, მიაჩნდა ყველა სლავი ხალხის რევოლუციური ერთიანობა რუს ხალხთან.

სადგურის დარბაზში მოთავსებული სხვა სურათები თანმიმდევრობით მოგვითხრობენ რუსი და უკრაინელი ხალხების ურღვევ მეგობრობას, მათს ერთობლივ ბრძოლასა და შრომას. პანოებზე გამოხატულია სამოქალაქო ომის ლეგენდარული გმირები შჩორსი და ბატკო ბოჟენკო, დნეპრის ჰიდროელექტროსადგურის გახსნა, ჩვენი ქვეყნის პირველი მტს-ი, რომელიც ოდესის ოლქში შეიქმნა, ქვანახშირის ამოღება, პურის მოსავლის აღება და ხალხთა შემოქმედებითი შრომისა და სწავლის ამსახველი სხვა სურათები.

ყურადღებას იპყრობს ახალგაზრდა მხატვრების ლიდა ჩერეპანისა და გალინა ბიკოვას მიერ შესრულებული პანო „ბრძოლა მშვიდობისათვის“. ამ ახალგაზრდა მხატვრებმა შარშან წარმატებით დაამთავრეს მოსკოვის სამხატვრო-სამრეწველო სასწავლებელი და ამჟამად მთელ თავიანთ ცოდნას და ენერგიას ახმარენ მოსკოვის მეტროპოლიტენის მიწისქვეშა სასახლეების მხატვრულ გაფორმებას.

ლამაზია საქართველოს მაღალ მთიანში მოპოვებული მუქწითელი მარმარილო „სალიეთი“. მას უხვად შეხვდებით მოსკოვის მეტროპოლიტენის მიწისქვეშა სასახლეებში. ურალის იშვიათი სილამაზის ნათელ მარმარილოსთან ერთად ქართულმა „სალიეთმა“ მოიპოვა უფლება ყველაზე ადრე მიიღოს როგორც კიევსკაია-კოლცევაიას, ისე „კრასნოპრესენსკაიას“ სადგურებში შემოსული პირველი მატარებელი.

ამუშავდა დიდი წრის ყველა მიწისქვეშა სადგური, მაგრამ მეტრომშენებლების მოვალეობა ამით როდი ამოიწურა. ისინი დიდი ხანია გავიდნენ ახალსამშენებლო მოედნებზე—დაიწყეს მეხუთე რიგის მშენებლობა.

პროფ. ნ. ბერძენიშვილი

საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის

წერილი პირველი

★

IX—XI სს. ამიერკავკასიაში დიდ-მნიშვნელოვანი სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური პროცესი მიმდინარეობდა. ფეოდალური ურთიერთობა მოწიფულობის ასაკში შედიოდა და ამის შესაბამისად მცირე პოლიტიკურ ერთეულთა გამსხვილების ტენდენციები დაჟინებით თავს იჩენდა. საბოლოოდ ყალიბდებოდნენ ფეოდალური ხალხები — სომხები, ალბანელები, ქართველები.

X საუკუნის ფეოდალური ქართლი დიდი ხანია, რაც გადასცდა თავის ტერიტორიულ საზღვრებს, დიდი ხანია, რაც მონათმფლობელობის დროის ეთნიკურ-პოლიტიკურმა ტერმინმა „ქართლმა“ ვერ დაიტია ახალი შინაარსი, ქართველურ თუ არაქართველურ ტომთა ფეოდალური გაერთიანების შემცველი. ახალ შინაარსთან ამ ძველი დროის ტერმინის — „ქართლის“ — შეუსაბამობის მოწმობაა, რომ X საუკუნის ქართველ მწერალს გიორგი მერჩულეს საგანგებო განმარტება სჭირდებოდა, თუ რას ეწოდებოდა მისი დროის ქართლი. „ქართლად ფრიადი ქუეყანაჲ აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების“.[1] ამ ნიადაგზე აუცილებელი შეიქნა, და კიდევაც შემუშავდა (იმავე X საუკუნეში), ახალი ტერმინი „საქართველო“. ასე რომ, ტერმინი „საქართველო“ ქართველურ თუ არაქართველურ ტომთა ფეოდალური გაერთიანების ხანის წარმონაქმნია და ამ გაერთიანების ხასიათის მაჩვენებელია. „საქართველო“ არ ნიშნავდა ეთნიკურ-ტერიტორიულ მონახაზს ერთხელ აღებულ საზღვრებში, „საქართველო“ თავის შინაარსშივე შეიცავდა გაფართოების (თუ შემცირების) უსაზღვრო შესაძლებლობას: „საქართველოა“ ყოველგან, სადაც „ქართველი“ ჩნდება, ხოლო „ქართველი“ არის ყველა ის, ვინც ქალკედონიტია (კავკასიაში თუ მის მეზობლად) და ვინც საეკლესიო მსახურებას ქართულ ენაზე ასრულებს.

კურაპალატების ქართული სახელმწიფო პოლიტიკა ტაო-ბასიანში, აფხაზთა მეფეების ლონისძიებანი კავკასიის მთიანეთში („ქართული“ ქრისტიანობის გავრცელება) და ჰერეთის საბოლოო „გაქართველება“ (ჰერთა მოქცევა დინარ დედოფლის მიერ) თანხმობით მოწმობდნენ, რომ ფეოდალური საქართველო კავკასიის შემკრებელის როლში გამოსვლას აპირებდა.

მელქისედეკ კათალიკოზის გაპატრიარქება XI საუკუნის დასაწყისს ამ მხრით ფრიად დამახასიათებელი აქტი ჩანს: ქართული (ქალკედონიტური) ქრისტიანობის ცენტრი კავკასიაში ალარ შეიძლებოდა დამოკიდებული ყოფილიყო, თუნდაც ნომინალურად, სხვა საპატრიარქოსაგან.

ამისივე შესაბამისი იყო ქართული ენის „გაელინურება“, X—XI საუკუნეში რომ მოხდა: ქართულს არ შეეძ-

[1] გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, ნ. მარის გამოცემა, თავი მგ. 5—8.

ლო განმანათლებლის როლი ეთამაშა ახლად მოქცეულს და მოსაქცევ ხალხებში, თუ ის კულტურულ დამოუკიდებლობას ვერ მოიპოვებდა, თუ ის ბერძნულს ვერ გაუთანასწორდებოდა, თუ ის „ბარბაროსულივე“ დარჩებოდა და იმ დროის სიბრძნის ლიტერატურული შემცველი სრულად ვერ იქნებოდა. ნიშანდობლივია, რომ დავით ალმაშენებელი, მისივე ისტორიკოსის ავტორიტეტული მოწმობით, ყოვლად განათლებული ადამიანი იყო, ხოლო ეს სიბრძნე მას შეთვისებული ჰქონდა ქართულ ენაზე არსებული ლიტერატურით.[1]

გაერთიანების ხანის ეს იდეურ-პოლიტიკური და კულტურული რიგის მოვლენები შესაფერის სოციალ-ეკონომიურ პირობებს გულისხმობდა და მას ემყარებოდა. ასეთი იყო ვაჭრობა-ხელოსნობის განვითარება, სავაჭრო-სახელოსნო პუნქტების მრავლად წარმოშობა („ახალ-ქალაქების ხანა“), სოფლის მეურნეობის ალმავლობა: ტყისა და ყამირის გატეხა, არხების მშენებლობა, სოფლობით თუ მცირე სამეურნეო ნაკვეთებად მიწის ყიდვა-გაყიდვის გახშირება, მევენახეობის ინტენსიფიკაცია (საგანგებოდ შემოღობილი „ზვრები“), საბატონო-სასაკუთრო მეურნეობის გაძლავლება (ხოდაბუნები, „სეფენი აზნაურთანი“), გზების (ცლდეკარების, ხიდების, ასპინძა-ფუნდუკების) მშენებლობა, დიდვაჭრობის გაცხოველება. ამის შესაბამისი იყო უმკაცრესი კლასობრივი ბრძოლა, რომელიც სათემო მიწების მიტაცებისა, თემების დაშლისა, თავისუფალ მოლაშქრეთა („ყმათა“) დაკნინება-აღზევების, აზნაურთა განდიდება-დამცრობის, გლეხთა ბეგარის დაბძიმებისა და მისი შემდგომი დამონების ნიშნის ქვეშ მიმდინარეობდა.

[1] ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული ნუსხა, გვ. 222.

სწორედ ასეთივე პროცესი ამავე დროს მიმდინარეობდა ფეოდალურ სომხეთსა და ალბანიაში. აქაც მსხვილი ფეოდალური ერთეულების წარმოქმნა საღღეისო პოლიტიკურ ამოცანად იდგა.

მაგრამ ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებო ისაა, რომ ეს ფეოდალური ერთეულები (ქართული, სომხური, ალბანური) თავიანთ ეთნიკურ საზღვრებს არ სცდერდებიან და უფრო დიდი გაერთიანების ტენდენციებს ამჟღავნებენ. ორი საუკუნის მანძილზე მიმდინარეობდა ეს პროცესი. სულ უფრო და უფრო ცხადად ჩანდა იმის ნიშნები, რომ ეს პროცესი გამარჯვებით დაგვირგვინდებოდა და ამიერკავკასიის უდიდესი ნაწილი ერთ სახელმწიფო ორგანიზაციაში მოექცეოდა. ეს იყო ყოვლად პროგრესული მოვლენა, რომელიც ხელს შეუწყობდა, საფუძველს შეუქმნიდა ამიერკავკასიის ფეოდალური საზოგადოების უფრო მაღალ საფეხურზე ასვლას. ისახებოდა ე. წ. წინაბურჟუაზიული გაერთიანება. ი. სტალინი ამბობდა: „არც ერთ ქვეყანას მსოფლიოში არ შეუძლია იმედი იქონიოს თავისი დამოუკიდებლობის შენარჩუნებისა, სერიოზული სამეურნეო და კულტურული ზრდისა, თუ მან ვერ მოახერხა ფეოდალური დაქუცმაცებულობისა და მთავრების უთანხმოებათაგან განთავისუფლება. მხოლოდ ერთიან ცენტრალურ სახელმწიფოდ გაერთიანებულ ქვეყანას შეუძლია იქონიოს სერიოზული კულტურულ-სამეურნეო ზრდის შესაძლებლობის, თავისი დამოუკიდებლობის განმტკიცების შესაძლებლობის იმედი“.[1]

XI საუკუნეში ფეოდალურმა სომ-

[1] გაზ. „კომუნისტი“, № 179, 1947 წ.

ხეთმა მძიმე მარცხი განიცადა. ჯერ ის ბიზანტიამ ჩაიგდო ხელში, ხოლო შემდეგ, XI საუკუნის მეორე ნახევარში, ბიზანტიელი დამპყრობლები თურქ-სელჩუკებმა შეცვალეს. ამრიგად, ფეოდალურმა სომხეთმა გაერთიანებავერც კი მოასწრო, რომ მას სახელმწიფოებრივობა მოეშალა. მარცხი განიცადა ალბანეთმაც. მან ვერ მოასწრო ერთ მთლიან პოლიტიკურ (და ეთნიკურ-კულტურულ) ერთეულად ჩამოყალიბება. ალბანეთი დიდი ხანია საცილობელი ქვეყანა იყო სომხეთსა და საქართველოს შორის. აღნიშნული ხანისათვის მისი ერთი (სამხრეთ-აღმოსავლეთი) ნაწილი გასომხების გზაზე იდგა, მეორე (ჩრდილო-დასავლეთი) ნაწილი საქართველოს შერწყმოდა. XI საუკუნის პირველ ნახევარში ბიზანტია ალბანეთის დაუფლებისათვის იბრძოდა და აქედან ამირების (არაბულ-მაჰმადიანური მფლობელობის ნაშთები) გაძევებას ლამობდა. XI საუკუნის მეორე ნახევარში აქაც ბიზანტიელი დამპყრობლები თურქ-სელჩუკებმა შეცვალეს.

საქართველომ გაუძლო ბიზანტიის შემოტევას. კიდევ მეტი, ის გაერთიანდა და ლამობდა ამიერკავკასიიდან გაეძევებინა ბიზანტია, რომელიც „საწუნელი" შექმნილიყო ღონემოცემულ ხელდებულისათვის.

თურქ-სელჩუკების შემოსევით პოლიტიკური ვითარება ამიერკავკასიაში (და მთელს ახლოაღმოსავლეთში) სულ ერთიანად შეიცვალა. სასტიკად დამარცხებულმა ბიზანტიამ (1071 წ.) ამ მომთაბარეთა წინაშე ასპარეზი დაცალა. თურქები დაეპატრონენ სომხეთს, ალბანეთს; მათვე დაიპყრეს საქართველოს სამხრეთი და აღმოსავლეთი ნაწილები.

თურქების შემოსევა არსებითად განსხვავდებოდა ბიზანტიელებისა თუ არაბების ბატონობისაგან. თურქები მომთაბარე-მეჯოგეები იყვნენ. ისინი გადმოსახლებით მოდიოდნენ და დაპყრობილ ქვეყნებში თავისი მეურნეობისათვის საჭირო მიწებს იპყრობდნენ. ამ-ვით ალმაშენებლის ისტორიკოსი ხაჯგასმით აღნიშნავს, თუ როგორ შეუთავსებელი იყო, როგორ ერთიმეორის გამომრიცხველი იყო ორი მეურნეობა — თურქულ-მომთაბარეული და ქართულ-ფეოდალური[1]. თურქი დამპყრობელები, როგორც შევნიშნეთ, გადმოსახლეობით მოდიოდნენ. მათ პრიმიტიულ მეურნეობას (მომთაბარე მეჯოგეობას) მიწის დიდი ფართობი სჭიროდა. დიდ მდინარეთა (არაზის, მტკვრის, ალაზნის, ივრის) ნოყიერი ჭალები და მაღალმთიანეთის ალპური საძოვრები თურქ მომთაბარეების ყიშლაღ-იალაღებად უნდა ქცეულიყვნენ. ადგილობრივ მკვიდრთა ანტენსიური სამიწათმოქმედო კულტურა იკვეცებოდა. ბაღ-ვენახი, სელი და პურეული ადგილს უთმობდა პირველყოფილ საძოვრებს. ქართული (კავკასიური) ფეოდალური საზოგადოების განვითარება ფერხდებოდა, მას დაკნინება-გადაგვარება ემუქრებოდა. ასე რომ, თურქ სელჩუკთა შემოსევა შეუდარებლად უფრო მძიმე და საშიში იყო, ვიდრე არაბთა (ან ბიზანტიელთა) ბატონობა. არაბობა ქართული (კავკასიური) ფეოდალური მეურნეობის განვითარებას მძიმე ხარკით აფერხებდა. „თურქობა" კი ამ მეურნეობას საფუძველს (მიწას) აცლიდა და მას ერთიანად გადაშენების საფრთხეს უქმნიდა.

შეფერხდა, ამრიგად, დიდი და პროგრესული საქმე კავკასიის გაერთიანებისა, შეიქმნა დიდი საფრთხე მოწინავე ფეოდალური ქვეყნების გადაგვარებისა. გაჩაღდა დაუნდობელი ბრძოლა დამპყრობელ თურქებსა და ადგილობრივ მკვიდრთა შორის.

[1] ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული ნუსხა, გვ. 210 და სხვ.

ძალა, რომელიც ამ საფრთხის წინააღმდეგ საერთო ბრძოლის მეთაურობას იკისრებდა, მებრძოლთა ორგანიზებას შეძლებდა და სამიწათმოქმედო ფეოდალური კულტურის გადასარჩენად გამოვიდოდა. განასახიერებდა კავკასიის პროგრესისათვის მებრძოლის საპატიო მისიას.

ეს მისია წილად ხვდა საქართველოს.

თურქობასთან ბრძოლაში საქართველომ, მართალია, მძიმე ზიანის ფასად, მაგრამ მაინც შეინარჩუნა სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია. კრიტიკულ მომენტში ფეოდალურ-მოზარდმა საქართველომ გამოიჩინა უნარი საზოგადოების შიგნით არსებითი ხასიათის სოციალურ-პოლიტიკური ღონისძიებების გატარებისა. ამის შედეგად მან შეძლო საკუთარ ძალთა სრული მობილიზაცია და თურქობის წინააღმდეგ ბრძოლაში კავკასიის განმათავისუფლებლის როლში წარმატებით გამოვიდა.

საერთო საფრთხისაგან თავდაცვის საჭიროებამ ამიერკავკასიის ხალხთა პროგრესული ნაწილი თურქობის წინააღმდეგ ბრძოლაში გააერთიანა. დავით აღმაშენებლის ლაშქრობას თურქთა წინააღმდეგ სომხეთსა თუ შარვანში მხარს უჭერდნენ და აქტიურად ეხმარებოდნენ სომეხი ხალხის ფართო მასები და ალბანური (შარვანული) ტომები („ქურდნი, ლეკნი და თარსანნი“).

საქართველოს პოლიტიკურ მესვეურთ კარგად ესმოდათ თავისი ამოცანა. ესმოდათ თუ რაოდენ დიდი და ძნელი საქმისათვის შეემართათ და შესაფერისი მოფიქრებით, ტაქტით და გაბედულობით მოქმედებდნენ. საქართველო მოწოდებული აღმოჩნდა ქცეულიყო იმ ცენტრად, რომლის გარშემო ერთიანდებოდა მთელი კავკასია: 1. სომხეთი—მეურნეობრივად მაღალგანვითარებული, კულტურულად გამოკვეთილი, ისტორიული ტრადიციებით ძლიერი და კონფესიურად განსხვავებული (მონოფიზიტური), 2. აღმოსავლეთ ამიერკავკასია, ძველი ალბანიის დიდი ნაწილი, (შარვანი, რანი) მაჰმადიანურ კულტურას ზიარებული და 3. კავკასიის მთიანეთი.

ამის შესაფერისი იყო დავით აღმაშენებლის კარზე შემუშავებული ქართული სახელმწიფოებრივი პოლიტიკა XII საუკუნეში. საქართველოს სამეფო კარი თურქობის წინააღმდეგ ბრძოლაში არა მარტო სომეხთა მფარველობას იჩემებდა, არამედ ის ასეთივე პატივით ეპყრობოდა ისლამს და მის მსახურთ, სასტიკად იცავდა შეეიწროვებისაგან მაჰმადიან ვაჭრებს, მეგობრობდა და მფარველობდა მაჰმადიან პოეტებსა და მეცნიერებს. თბილისში თუ საქართველოს სხვა ქალაქებში მაჰმადიანები თავს სრულუფლებიან მოქალაქეებად გრძნობდნენ და მათ აქ სრულიადაც უფრო ცუდად არ ეცხოვრებოდათ, ვიდრე, ვთქვათ, ბაღდადსა თუ თავრიზში. ასე რომ, ქართული სახელმწიფო კარის პოლიტიკა მიმართული იყო თურქობისა და არა მაჰმადიანობის წინააღმდეგ. ამ ბრძნული პოლიტიკის შედეგად ის იყო, რომ საქართველომ თავიდან აიცდინა საშიში იზოლაცია და მტერთა მრავალგზისი საამისო ცდანი ბრწყინვალედ გააქარწყლა. თბილისი მრავალეროვანი სახელმწიფოს პოლიტიკურ-კულტურული ცენტრი ხდებოდა, ხოლო საქართველოს მეფე რეალურად იყო „შაჰანშა“ და „შარვანშა“, „მეფობისა და სულტნობის გამაერთიანებელი“.

ასწლოვან ბრძოლაში საქართველომ სძლია თურქობას. ისტორიული განვითარების თვალსაზრისით ეს იყო პროგრესის დიდი გამარჯვება. ამ ბრძოლის პროცესში წარმოიქმნა სახელმწიფო („ყოველი საქართველო“), რომლის გარშემო სხვადასხვა დამოკიდებულებით თავს იყრიდა „ფრიადი ქვეყანა“ (ეს „ქვეყანა“ კავკასიის საზღვრებს დიდად გადასცდებოდა).

ამავე დროს, XII საუკუნის დასასრულს, ქართულ ფეოდალურ საზოგა-

დოებაში თავს იჩენდა მოვლენები, რომელნიც აშკარად მოწმობდნენ, რომ მწიფდებოდა წინაპირობა საზოგადოებრივი განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე ასვლისათვის. უმკაცრესი სოციალურ-პოლიტიკური ბრძოლების ხასიათი XII საუკუნის მანძილზე კარგად მოწმობდა, რომ ქართული ფეოდალური ურთიერთობა თავისი ზრდის კრიტიკულ ფაზაში შედიოდა.

სოციალური განვითარების თვალსაზრისით ფეოდალურ საქართველოს XIII საუკუნისათვის თავისი ზრდა ძირითადად უკვე დასრულებული ჰქონდა. საუბარია, რა თქმა უნდა, ბარის საქართველოზე (მთიანეთი ბოლო დრომდე დარჩა ნახევრად პირველყოფილ-თემური, ნახევრად თავისუფალი. მან არაერთგზის აიყარა კისრით ბარიდან ძალად დადგმული ფეოდალური უღელი). თავისუფალი, უბატონო მწარმოებელ საზოგადოებაში აღარავინ იყო. ძველი მონათმფლობელობის დროის „ერი" (სამხედრო დემოკრატია) გადაშენებულიყო, „გლეხობაში" (და აზნაურობაში) გადასულიყო. (ამას არ ეწინააღმდეგება ის მოვლენა, რომ ზოგან საქართველოს ბარში მწარმოებელი საზოგადოება თემურ მიწათმფლობელობას შერჩა: სულ ერთია, უბატონო თავისუფალი თემი აქ მებეგრე თემად იქცა). ფეოდალურ - სოციალური განვითარების სარეზერვო კლასი (თავისუფალი „ერი") უკვე გამქრალიყო, რეზერვი ამოწურული იყო. საზოგადოება ძირითადად უკვე დაყოფილი იყო ბატონებად და ყმაგლეხებად. ეს იყო ფეოდალური ურთიერთობის ზრდის დასასრული, ამ ურთიერთობის განვითარების აღმავლობის საზღვარი, მისი შუახანის დასასრული. ამისშემდგომი განვითარება ამ ურთიერთობის დაშლის ტენდენციების ზრდის ნიშნის ქვეშ, ახალი (ბურჟუაზიული) ურთიერთობის ჩასახვის ნიშნის ქვეშ შეიძლებოდა ყოფილიყო.[1]

კავკასიის ეს გაერთიანება საქართველოს მოთავეობით ერთი უბრწყინვალესი ფურცელია ამქვეყნის ფეოდალიზმის განვითარებაში. ნიზამი განჯელი და შოთა რუსთაველი ამის საუკეთესო მაჩვენებლებია.

სამწუხაროდ, თურქ მომთაბარეთა უკუქცევა ხანმოკლე აღმოჩნდა. XIII საუკუნის 30-იან წლებში მრავლის მნახველ კავკასიას (ისევე როგორც მთელს შუაღმოსავლეთსა და ევრაზიას) მომთაბარეთა ახალი ურდოები (მონღოლ-თათრები) გაუბატონდნენ.

უმძიმესი ხარკი, ხარკის ამკრებთა თავაშვებული მტაცებლობა (ბასკაკობა), აუტანელი საბეგრო მოვალეობანი, ბოლომოუღებელი შორეული ლაშქრობანი დამატებით ტვირთად დააწვა ისედაც მძიმედ დაბეგრილს მატერიალური დოვლათის მწარმოებელ საზოგადოებას (განსაკუთრებით აუტანელი იყო მონღოლური საგადასახადო სისტემა). აღმოსავლურ-ბარბაროსული (პრიმიტიული) ის პრინციპულად განსხვავდებოდა განვითარებულ ქართულ-ფეოდალური მეურნეობის საგადასახადო სისტემისაგან. მონღოლური საგადასახადო სისტემა, არსებითად, გამორიცხავდა მწარმოებლის დაინტერესებულობას მეურნეობაში, მის თაოსნობას, დაუნჯებისა და რეპროდუქციის შესაძლებლობას. ამ სისტემით მეურნე გადასახადის კაცი იყო, გადასახადს მიმაგრებული პირი, ხოლო მისი მეურნეობა, ისე-

[1] ქართული ფეოდალიზმის განვითარების ძირითადი ეტაპები ჩვენ შემდეგნაირად შეიძლება წარმოვიდგინოთ: ადრეფეოდალური ხანა VI საუკუნიდან X საუკუნის შუამდე, შუაფეოდალური ხანა X საუკუნის ნახევრიდან XII საუკუნის მიწურულამდე და გვიანფეოდალური ხანა XIII საუკუნიდან ვიდრე XIX საუკუნის 60-იან წლებამდე.

ვე როგორც პირადად თვითონ ამ გადასახადის ობიექტი. აქ ყველა და ყველაფერი აღწერილი და დაბეგრილი იყო „კაცთამდე და პირუტყვთამდე, ყანით, ვენახთამდე და წალკოტით ბოსტნამდე“[1]. სულ სხვა პრინციპზე იყო აგებული ქართულ-ფეოდალური საგადასახადო სისტემა. აქ გადასახადი ფუძეს ედო გარკვეული სახეობით და ერთხელ გადაკვეთილი რაოდენობით. ეს კი მწარმოებელს საშუალებას აძლევდა ფუძის შიგნით თავისუფალი მოქმედებისას (ფუძის დანაწილება, ნაკვეთების გაყიდვა-გასხვისება, მეურნეობის ახალი სახეების წამოწყება და სხვ.). დაუნჯება რეპროდუქციისას. ქართული საგადასახადო სისტემა შეუდარებლად უფრო მაღალი და პროგრესული იყო, ვიდრე თათრულ-მონღოლური.

ამავე დროს თათარ-მონღოლები ურდოებად ჩამოსხდნენ დაპყრობილ ქვეყანაში და მისი ნოყიერი ჭალები თუ მაღალმთიანი საძოვრები თავიანთ ყიშლაღ-იალაღებად აქცევს. განსაკუთრებით დაზიანდნენ ამ მხრივ შარვანი, რანი და სომხეთ-საქართველოს აღმოსავლეთი მხარეები.

კვლავ შეფერხდა კავკასიის შემდგომი წინსვლა. განვითარებულ ფეოდალურ ურთიერთობას აღმოსავლურ-ბარბაროსული ფეოდალიზმი გადაგვარებით დაემუქრა.

ასწლოვანი ბრძოლით, დიდი ზიანის ფასად, საქართველომ კისრიდან გადაიგდო თათარ-მონღოლთა ბატონობის მძიმე უღელი, მაგრამ თავისუფალი განვითარების ხანა ახლა კიდევ უფრო მოკლე აღმოჩნდა. XIV საუკუნის უკანასკნელ ოცეულში საქართველოს (ისევე როგორც ახლოაღმოსავლეთს და ევრაზიას) თემურ-ლენგი მოევლინა თათარ-თურქმანთა ახალი ურდოებით.

[1] ქართლის ცხოვრება, ნარიამ დედოფლისეული ნუსხა, გვ. 664.

17 წლის მანძილზე (1386—1403 წ.წ.) თემურ-ლენგის რვაგზისმა შემოსევამ ამაერკავკასია მძიმედ დაზიანა. თემურთან ომის შედეგად საქართველოს საბოლოოდ ჩამოსცილდა მისი სამხრეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილები (მოძმე სომხეთი), სადაც ადგილობრივ მიწისმფლობელთა კლასი უმთავრესად მონღოლ-თათარ-თურქმან მომთაბარეთა არისტოკრატიამ შეცვალა.

ასევე ჩამოსცილდა საქართველოს შაქის ქვეყანა და უშინაგარესი ტაშირიც კი (ლორე), სადაც ქართველი აზნაურობა იძულებული გახდა მიწისმფლობელობა თურქმნებისათვის დაეთმო და მამაპაპეულს გასცლოდა.

თემურის „იმპერია“ თან გადაჰყვა მის შემქმნელს, მაგრამ დამპყრობელის მიერ მოყენებული ზიანი საქართველოსათვის აუნაზღაურებელი იყო. ქვეყანა სისხლისაგან დაიცალა, მტერმა, სადაც კი მისწვდა, ველური ენერგიით გაანადგურა ქართული კულტურის ყოველივე მატერიალური შენამოქმედი: სამხედრო, სამოქალაქო, საკულტო, სასოფლო-სამეურნეო. მაინც ყველაზე მძიმე საქართველოსათვის (ისევე როგორც მთელი კავკასიისათვის) თემურის ლაშქრობათა პოლიტიკური შედეგები იყო. სამასწლოვანი ბრძოლა „ველურ“ - მომთაბარეთა წინააღმდეგ ბოლოს და ბოლოს საქართველოს (-კავკასიის) დამარცხებით დამთავრდა. დადგა ალმაშენებლის პოლიტიკური წამოწყება მოიშალა. საქართველომ ვერ განახორციელა დიდი ამოცანა კავკასიის გაერთიანებისა. მოძმე — მეზობელი ქრისტიანული ქვეყნები (სომხეთი, ალბანეთი) მან საბოლოოდ დაკარგა და მოზღვავებულ მომთაბარეთა აგრესიის პირისპირ მარტო აღმოჩნდა. მიწისმფლობელობისათვის მებრძოლმა „ველურ“ - მომთაბარეებმა

მაჰმადიანობა თავის ალამად აღიარეს და „გიაურთა“ (ქრისტიან მიწისმფლობელთა) წინააღმდეგ ბრძოლა „საღმრთო საქმედ“ გამოაცხადეს. თემურლენგი ამ „მაჰმადიანური“ პოლიტიკის თანმიმდევრული გამტარებელი იყო. ამისათვის, ე. ი. ადგილობრივ მალ ფ ე ო დ ა ლ ი ს ა ნ ი კ ა ლ ტ ურ ი ს მ ო შ ლ ი ს ა თ ვ ი ს დ ა მ ი ს ა დ გ ი ლ ზ ე ა ღ მ ო ს ა ვ ლ ურ - ბ ა რ ბ ა ر ო ს ულ - ფ ე ო დ ა ლ ურ ი ურ თ ი ე რ თ ო ბ ი ს დ ა მ ყ ა რ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს ი ბ რ ძ ო დ ნ ე ნ ყ ვ ე ლ ა ე ს მ ო მ თ ა ბ ა რ ე ე ბ ი: მონღოლები, თათარ-თურქმანები, თურქ-ოსმალები თუ ყიზილბაშები.

XV საუკუნის მეორე ნახევრისათვის (ე. ი. ორასწლოვანი ბრძოლის შედეგად) ახლო აღმოსავლეთის და, კერძოდ, კავკასიის პოლიტიკური რუკა სულ ერთიანად შეცვლილი იყო მონღოლთა მოსვლის წინა დროის ვითარებასთან შედარებით. მთელს ახლო აღმოსავლეთში ბარბაროსულ-ფეოდალური ურთიერთობა გაბატონებულიყო. სპარსეთსა და ადერბაიჯანს თურქმანები ფლობდნენ. თურქ-ოსმალები მცირე აზიას და ბალკანეთის ნახევარკუნძულს დაპატრონებოდნენ, ბიზანტია გაექროთ, შავი ზღვის გასაღები—კონსტანტინეპოლი აეღოთ და დასავლეთ ევროპას ბარბარიზაციით დამუქრებოდნენ.

აღმოსავლეთ ამიერკავკასიის დიდ ნაწილში, ისევე როგორც სომხეთში, თურქმანები დაეპატრონენ ადგილობრივ მკვიდრთა მიწა-წყალს. მწარმოებელი მოსახლეობა აუტანელ პირობებში აღმოჩნდა. ის, ბრძოლაში დამარცხებული, დიდი რაოდენობით აიყარა და შორეულსა თუ ახლობელ ქვეყნებში გადასახლდა, სხვებს კი ახალმა მებატონეებმა ბარბაროსული ფეოდალიზმის მძიმე უღელი დააკისრეს.

ორასწლოვანი ბრძოლის შედეგად საქართველო მოძმეებშემოცლილი, ტერიტორიულად შემცირებული და მტრული ბარბაროსული ფეოდალიზმის ქვეყნებით გარემოცული აღმოჩნდა. მართალია, საქართველო გადაურჩა მტერთა მიერ უშუალო დაპყრობას, მან შეინარჩუნა თავისი სოციალ-ეკონომიური (პროგრესული) წყობა, სამაგიეროდ, ქვეყნის შიგნით თავი იჩინა სოციალ-ეკონომიური განვითარების შეფერხების მძიმე შედეგებმა. მტერთა მიერ ქვეყნის ხშირი რბევა, მშვიდობიანი შრომისათვის საჭირო პირობების მოშლა, მოსახლეობის აწყვეტა, უზომო ხარკით ქვეყნის დაცლა დოვლათისაგან, ვაჭრობა-ხელოსნობის შემცირება, ქალაქების დაცემა, საბატონო ბეგრის დამძიმება იწვევდა მწარმოებელი კლასის მძაფრ შემცირებას, მფლობელი და მწარმოებელი კლასების რიცხვობრივი შეფარდების მძაფრ დარღვევას, რაც კიდევ უფრო ამწვავებდა ისედაც მწვავე კლასობრივ ბრძოლას. შემცირებული მწარმოებელი მოსახლეობის ნაშრომი სამეფო-საეკლესიო-საბატონო გადასახადებსა და სათათრო ხარკს ვერ აუდიოდა. დაუნჯებისა და რეპროდუქციისათვის მწარმოებელს აღარაფერი რჩებოდა. სოციალურად ზრდა-დასრულებული ქართული ფეოდალური საზოგადოება დაიჩიხა, მას განვითარებისათვის საჭირო პირობები მეტისმეტად შეეზღუდა. ყველა ამის ნიადაგზე სათავადოები წარმოიშვა, ხოლო სათავადოების ნიადაგზე ერთიანი ფეოდალური ქვეყანა პოლიტიკურად დაიშალა, სამეფო-სამთავროები გაჩნდა. ამრიგად, ქვეყნის პარტიკულარისტულმა ტენდენციებმა გაიმარჯვა ცენტრალისტურ ტენდენციებზე. და ეს იმიტომ, რომ ძლიერად შემცირდა და დაეცა ამ უკანასკნელის მასაზრდოებელი ძალები. ეს იყო პროგრესის შეფერხება, ფეოდალური რე-

აქციის გამარჯვება. ამ რეაქციის ნაშობნი იყვნენ ყველა სათავადო-სამთავრო-სამეფოები.

საქართველო, მისი პროგრესული ძალები, ამის შემდეგაც მუდამ განაგრძობდნენ ბრძოლას საგარეო თუ შინაური რეაქციულ ძალებთან, ბრძოლას პროგრესისათვის, „გამოხსნა - აღდგომისათვის", დამპყრობელთა უკუგდებისა და კვლავ გაერთიანებისათვის სათავადო-სამთავრო-სამეფოების ლიკვიდაციისათვის. საქართველოში პროგრესული იდეების მატარებელ საზოგადოებას არასოდეს არ დაუვიწყია კავკასიის ოდინდელი ერთიანობის შესახებ და შესაფერის მომენტში არ დაუყოვნებია ამ იდეის პრაქტიკულ სარბიელზე გამოტანა. არ დაუვიწყია ამის შესახებ არც სომეხი საზოგადოების პროგრესულ ნაწილს.

თურქთა მიერ კონსტანტინოპოლის დაპყრობამ შეაშფოთა ქართული ფეოდალური საზოგადოება. სრულს გარემოცვაში მოყოლილი ქვეყანა ამაოდ ცდილობდა, დას. ევროპის ხალხებთან საკუთარ ძალთა გაერთიანებით გაერღვია ეს მტრული გარემოცვა. დას. ევროპა ასეთი მიზნებისათვის აღარ გამოდგებოდა. მთავარ პარტნიორებს (ბურჟუაზიულ ურთიერთობაში გარდამავალ სახელმწიფოებს) იქ უკვე ოსმალეთთან მორიგების პოლიტიკური კურსი აეღოთ. ასეთივე პოლიტიკური კურსი ირჩიეს მათ, ცოტა უფრო გვიან, ყიზილბაშური სპარსეთის მიმართაც, ასე რომ, ოსმალურ-ყიზილბაშური გარემოცვის წინააღმდეგ ბრძოლაში ქართველთა ორიენტაცია დას. ევროპის სახელმწიფოებზე უიმედო საქმე იყო: პოლიტიკურ სასწორზე დას. ევროპის ამა თუ იმ სახელმწიფოსათვის საქართველოს წონა განუზომლად მცირე იყო, ვიდრე ოსმალეთის ან სპარსეთისა. ასე იყო, მაგალითად, XV საუკუნეში, როცა რომის პაპისა და ქართველთა გეგმა ოსმალეთის წინააღმდეგ კოალიციური ლაშქრობის შესახებ ბურგუნდია-საფრანგეთის მეფეთა „გულგრილობის" გამო ჩაიშალა, ასევე იყო XVIII საუკუნეში, როცა საბა ორბელიანის ელჩობა უნაყოფოდ დასრულდა, ასევე იყო XIX საუკუნეში, როცა ნაპოლეონი თუ ინგლისი საქართველოს ხან სპარსეთს აღუთქვამდნენ, ხან ოსმალეთს და სხვ. და სხვ.

ასეთ ვითარებაში ქართველი ფეოდალური საზოგადოების პროგრესულმა ნაწილმა არ დააყოვნა, კურსი აეღო რუსეთზე და მისი მნიშვნელობა ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკურ საქმეებში სწორად შეეფასებინა.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა ძველი დროიდანვე მოდიოდა. XI-XII საუკუნეებში კიევის რუსეთი და საქართველო ურთიერთს კარგად იცნობდნენ და პოლიტიკურსა თუ კულტურულ ასპარეზზე ერთიმეორესთან ცხოვლად თანამშრომლობდნენ. თუმცა დონზე და იმიერკავკასიაში მომთაბარე ურდოები (ყომან-პაჭანიკები, ყივჩაყები) ხშირად ხელს უშლიდნენ ამ ორი კულტურული ხალხის ურთიერთობის ნორმალურ განვითარებას, მაგრამ, სამაგიეროდ, ეს ურთიერთობა შავი ზღვით ხელშეუშლელად ხორციელდებოდა.

XIII საუკუნის 30-იან წლებში რუსეთსა და საქართველოს საერთო ჭირი ეწვია. ერთიცა და მეორეც მომთაბარე მონღოლთა ურდოებმა ააოხრეს, დაიპყრეს და დახარკეს. ამ დროდან მოკიდებული, ვიდრე XV საუკუნის მიწურულამდე, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ არავითარი ცნობა არ შემონახულა. საფიქრებელია, რომ ეს ურთიერთობა ან მთლად შეწყვეტილი იყო, ან, ყოველშემთხვევაში, ის მონღოლთა მეშვეობით (და არა დამოუკიდებლად) მცირედ ხოგინობდა.

ორასი წლის მანძილზე ფეოდალურ რუსეთში დიდი ცვლილება მოხდა. თათართა ბატონობის წინააღმდეგ მებრძოლმა ქვეყანამ მოსკოვის გარშემო თავი მოიყარა, სოციალურ-ეკონომიურად თანდათან დაწინაურდა, პოლიტიკურად გაძლიერდა და მომთაბარე დამპყრობელთა წინააღმდეგ გადამწყვეტი ომი წამოიწყო. 1480 წელს რუსეთმა საბოლოოდ გაიმარჯვა და თათართა მორჩილების უღელი სამუდამოდ გადაიგდო კისრიდან. ეს იყო უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის აქტი ევრაზია-ახლოაღმოსავლეთში: „ველურ" მომთაბარეთა ბატონობის დასასრული იწყებოდა.

კავკასია-საქართველოში ცნობა იმის შესახებ, რომ რუსეთი გაძლიერდა და თათრები დაამარცხა, განსაკუთრებული მნიშვნელობისა და დიდი იმედის აღმძვრელი უნდა ყოფილიყო: პოლიტიკური ჰორიზონტის უკუეთი გაირღვა, შორს ჩრდილოეთში ინათა.

ამის შემდეგ სწრაფად მოზარდი რუსეთი მეთოდურად უტევდა მომთაბარულ პირველყოფილობაში უმოძრაოდ განსვენებულ თათართა ურდოებს. XVI საუკუნეში მოსკოვის რუსეთი უკვე დიდი ცენტრალიზებული სახელმწიფო იყო. ყაზან-ასტრახანის თათრულ სამეფოთა დაპყრობით რუსეთმა გაათავისუფლა ვოლგის დიდი სავაჭრო გზა და უშუალოდ კავკასიას გაუმეზობლდა.

ყირიმის თათრულ სახანოს დღეები დათვლილი ჩანდა, რუსული შავიზღვისპირეთი, საცა იყო, მოსკოვის სახელმწიფოს დაუბრუნდებოდა.

მაგრამ სწორედ XV-XVI საუკუნეებში ოსმალ-თურქთა სახელმწიფოს ყირიმსა და მის მეზობელ მხარეებში დიდი პოლიტიკური წარმატებანი მოეპოვებინა. ოსმალეთმა ჯერ ყირიმის სახანო დაიმორჩილა ყმობის პირზე და იმიერკავკასიის ქვეყნებს, როგორც ყირიმ ხანის ვითომცდა სამფლობელოს, საბატონოდ ხელი დაადო. კიდევ მეტი: ოსმალეთი ასტრახანის თათრულ სამეფოს იჩემებდა. ამით მას ... ეგდო ვოლგის დიდი ... გასაღები. ამრიგად, ოსმალეთი მონღოლ-თათართა ურდოების „მფარველობა"-მემკვიდრეობას იჩემებდა, თათართა წინააღმდეგ რუსი ხალხის ორსაუკუნოვან ბრძოლას აქარწყლებდა და მოსკოვის სახელმწიფოს ბუნებრივ ზრდას წინ ეღობებოდა.

ადვილად გასაგებია, რომ XV-XVI საუკუნეებში ე. ი. იმ დროს, როდესაც, ერთი მხრით, მოსკოვის სახელმწიფო თათართა ურდოებზე იმარჯვებდა, კავკასიას უახლოვდებოდა და ოსმალეთს სამტროდ უპირისპირდებოდა, ხოლო, მეორე მხრით, დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები კაპიტულაციებით ოსმალეთს მშვიდობიანად ესაქმებოდნენ, აქ, კავკასიაში (საქართველოში). შემუშავდა იდეა, რომ აღმოსავლეთის განთავისუფლება მოვა არა კონსტანტინოპოლის გზით, არამედ ჩრდილოეთიდან დარუბანდის გზით. ეს უკვე მაჩვენებელი იყო იმისა, რომ ბარბაროსული ფეოდალიზმის წინააღმდეგ პროგრესისათვის მებრძოლი კავკასიელი ხალხები გამარჯვების საბოლოო იმედს რუსეთთან კავშირზე ამყარებდნენ.

მედგრად იბრძოდა მტრულ გარემოცვაში მოყოლილი ქართველი ხალხი და თავის სოციალ-პოლიტიკურსა და კულტურულ მიღწევათა დაცვა-განვითარებას ცდილობდა.

XVI საუკუნე ქართველი ხალხის ცხოვრებაში ერთავად ბოლომოუღებელ ომს წარმოადგენდა. ორი ბარბაროსი დამპყრობელი — ოსმალეთი და ყიზილბაშთა სახელმწიფო (ერანი) — კავკასიაში ბატონობას ერთმეორეს დაეცილნენ. 1555 წელს დამპყრობელებმა ამიერკავკასია გაინაწილეს. ამ ზავის თანახმად საქართველოს ერთი ნახევარი ოსმალეთს ერგო, ხოლო მერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რე ნახევარი ყიზილბაშებს. ბრძოლა აგრესიის წინააღმდეგ ამიერიდან კიდევ უფრო გაძნელდა. საქართველოს დამონების საქმეში ერან-ოსმალეთი შეთანხმდნენ და, ვიდრე 1555 წლის ზავი მათ შორის არ დარღვეულიყო, ქართველთა წინააღმდეგ ბრძოლაში ისინი ერთიმეორეს შველოდნენ.

აგრესორთა ეს ზავი მკვეთრად აუარესებდა საქართველოში პროგრესულ ძალთა ბრძოლის საგარეო და საშინაო პირობებს. საქართველოს თითოეული ნაწილი მტერს დამარტოხელებული ჰყავდა და, მეორე მხრით, ქვეყნის პოლიტიკური ერთიანობის აღდგენის საქმეს ამიერიდან ერან-ოსმალეთი გადაჭრით ეწინააღმდეგებოდა. ერთი სიტყვით, რეაქციულ სათავადო-სამთავროებს მოკავშირე-მფარველები გაუჩნდათ.

მაგრამ უარესი ის იყო, რომ XVI საუკუნეში საქართველოში თავი იჩინა მეტად მძიმე ნიშანდობლივმა მოვლენამ, რაც საზოგადოებრივი განვითარების დაჩიხულობის ნიადაგზე ფეოდალური საზოგადოების გადაგვარების, ფეოდალური საზოგადოების დაშლის მომასწავებელი იყო. ეს იყო „ტყვეთა სყიდვა“ და „ლეკიანობა“. ყველა და ყველაფერი, რაც კი ქართულ ფეოდალურ საზოგადოებაში პროგრესული იყო, ამ სოციალურ სენის წინააღმდეგ ბრძოლად იყო მოწყობილი, ყველა და ყველაფერი, რაც კი საქართველოში რეაქციული იყო, ხელს უწყობდა ამ სენის გავრცელება-განმტკიცებას. გამხეცებული თავადი (თავადიშვილებით), გაძარაგებული აზნაური (ცალ-ცალკე თუ გვარობით), პირველყოფილობაში „ისტორიის მიღმა“ (ლენინი) ჩარჩენილი ან ამ პირველყოფილობას დაბრუნებული „მარად ავის მოხარკული“ (ბარის მიმართ) მთა, — ესენი იყვნენ ტყვის მყიდველები, ეესირჯები, თულები, „ლეკები“, ხოლო ყველა ამათი მფარველი და წამქეზებელი იყო ყიზილბაშური სპარსეთი და, განსაკუთრებით ოსმალეთი.

საქართველოს ფეოდალური საზოგადოების პროგრესული ნაწილი მხნედ იბრძოდა ამ მოვლენის აღმოსაფხვრელად, თუმცა, ვიდრე ქვეყანა სოციალ-ეკონომიურ დაჩიხულობაში რჩებოდა, ვიდრე ის ამ ბარბაროსულ გარემოცვაში იმყოფებოდა, ვიდრე ქვეყნის შიგნით სათავადო-სამთავროების სისტემა მტკიცე იყო, ხოლო გარშემო მათი მფარველი ერან-ოსმალეთი ქვეყანას დასამონებლად შემოსდგომოდნენ. — ამ სოციალურ სენისაგან განკურნება ქართულ ფეოდალურ საზოგადოებას არ შეეძლო. მაგრამ, მეორე მხრით, თუ ეს მოვლენა ქართული ფეოდალური საზოგადოების დაავადების მოწმობა იყო, ამ დაავადების წინააღმდეგ დაუღალავი ბრძოლა იმას ნიშნავდა, რომ ეს საზოგადოება სიცოცხლის საღ უნარს ინარჩუნებდა, პროგრესისათვის იბრძოდა.

და ყველგან და ყოველთვის, სადაც და როცა კი, მცირედაც არის, ხელსაყრელი პირობა იქმნებოდა, ქართული ფეოდალური საზოგადოების პროგრესული ნაწილი გადამწყვეტ ბრძოლას ერთპირად იწყებდა მტრული ბარბაროსული გარემოცვის გასარღვევად, სათავადო-სამთავროების სისტემის მოსაშლელად, საქართველოს პოლიტიკური ერთიანობის აღსადგენად „ტყვის სყიდვისა“ და „ლეკიანობის“ აღმოსაფხვრელად. ესაა ჩანს XVI საუკუნის იმერეთში და კახეთში, XVII საუკუნის ქართლში, XVIII საუკუნის ქართლ-კახეთში და იმერეთში.

XVI საუკუნის მეორე ნახევარში კავკასიაში დიდმნიშვნელოვანი ამბები მოხდა. 1578 წელს ოსმალეთმა ისარგებლა სპარსეთის არეულობით, დაარღვია 1555 წლის ზავი, განდევნა ყიზილბაშები ამიერკავკასიის დიდი ნაწილიდან და ამ ქვეყნის დაპყრობას გამალებით შეუდგა. ოსმალებმა დაიპყრეს საქართველოს სამხრეთი ნაწილი (ქარ-

თული სამცხე-საათაბაგო) და ეს ქვეყანა ოსმალურ საფაშოდ აქციეს. ასეთივე ხვედრი ელოდა საქართველოს სხვა ნაწილებსაც. ქვეყანა უდიდესი საფრთხის წინაშე დადგა: „ქართველობას“, ე. ი. ქართულ სოციალურ-პოლიტიკურსა და ეკონომიურ წყობას „ოსმალობა“, ე. ი. ფეოდალიზმის ბარბაროსული სტადია გაქროებით ემუქრებოდა.

ქართველები მხნედ იგერიებდნენ შემოტევას და უთანასწორო ბრძოლაში მოკავშირეს ეძებდნენ.

კასპიის ზღვის რაიონში ოსმალეთის გამოჩენამ შეაშფოთა რუსეთი. შეთანხმების პირზე გაიმართა მოლაპარაკება ოსმალეთის წინააღმდეგ მებრძოლ სპარსეთსა და მოსკოვის სახელმწიფოს შორის. ამავე დროს მოსკოვის სახელმწიფომ სრულიად კონკრეტული სამხედრო ღონისძიებებით (თერგზე ციხის ჩადგმა რუსი მეციხოვნეებით) ნათლად გამოამჟღავნა, რომ მას ამ რაიონში (კასპიის დასავლეთ ზღვისპირეთში) რეალური პოლიტიკური ინტერესები აქვს.

ოსმალობის წინააღმდეგ მებრძოლი ქართველობა, ბუნებრივია, ფიცხლავ გამოეხმაურა მოსკოვის მთავრობის დიპლომატიურ ნაბიჯებს კავკასიაში. რეალური დახმარების სრული იმედი იყო. ასე რომ მფარველი „მოსკოვი უფრო ახლოს“ ჩანდა, ვიდრე მტრული სტამბოლი[1].

1587—1589 წლებში გაფორმდა პირველი აქტი რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობის შესახებ.

ხანგრძლივ დიპლომატიურ მიმოწერაში თუ ზეპირ მოლაპარაკებაში ქართველებმა ცხადად გამოთქვეს თავისი გულისნადები, თავისი შეხედულებანი ოსმალეთზე, სპარსეთზე, კავკასიის მთიანეთზე, თავისი უსაიდუმლოესი ზრახვანი, სამშობლოს „გამოხსნისა და აღდგომის“ გზები. ქართველი დიპლომატები სავსებით დარწმუნდნენ, რომ რუსეთი კავკასიაში რეალურად არის დაინტერესებული, რომ, ამდენადვე, ის მოწინააღმდეგეა როგორც ოსმალეთის, ისე სპარსეთისა, მიუხედავად იმისა, რომ ამჯერად ის ერანთან კავშირის შეკვრას აპირებს ოსმალეთის საწინააღმდეგოდ (დამახასიათებელია, რომ ალექსანდრე კახთა მეფე ცდილობს იყოს მოსაშუალე რუსეთ-ერანის ამ კავშირისა), რომ რუსეთი კავკასიაში ამ აგრესორების (ერან-ოსმალების) წინააღმდეგ მებრძოლი ხალხების მფარველ-მოკავშირეა, ამის შედეგად იყო, რომ თავისი პოლიტიკური ზრახვების განხორციელება ქართული ფეოდალური საზოგადოების პროგრესულმა ნაწილმა რუსეთთან თანამშრომლობას მტკიცედ დაუკავშირა.

რუსეთის გამოჩენამ კასპიის დასავლეთ ზღვისპირეთში და, განსაკუთრებით, ალმოსავლეთ საქართველოში ღრმად შეაშფოთა ყიზილბაშური ერანი: იმიერსათუ ამიერკავკასიაში მოსკოვის სახელმწიფო შეკიწროებულ კავკასიელ ხალხთა მაორგანიზებელ ძალად გამოდიოდა როგორც დამპყრობელი ოსმალეთის, ისე დამპყრობელი ერანის წინააღმდეგ. თერგის ციხის გარშემო რუსეთი თავს უყრიდა ჩერქეზ-ყაბარდო-დაღისტნურ ტომებს, ხოლო ამიერკავკასიაში ქართულ სამეფო-სამთავროების შემოკრებას ცდილობდა. თავის მხრივ ქართველებს რუსეთის მფარველობა აუცილებელ პირობად მიაჩნდათ ქართულ სამეფო-სამთავროების პოლიტიკური გაერთიანებისათვის (მათ კარგად ესმოდათ, რომ საქართველოს გაერთიანების შეურიგებელი მოწინააღმდეგენი იყვნენ როგორც ოსმალეთი, ისე ერანი). ერთი სიტყვით, იმიერსათუ ამიერკა-

[1] ალექსანდრე კახთა მეფის პასუხი ოსმალეთის დიპლომატიურ აგენტისადმი.

ვკასიაში ისახებოდა ახალი ვითარება, რომელიც რეაქცია-ბარბაროსობის სუფევას ამ მხარეში რეალურად ემუქრებოდა. ამის საპასუხოდ შაჰ-აბასმა ყიზილბაშობის წინააღმდეგ მებრძოლი საქართველოს ერთიანი მოსპობა განიზრახა და ამ განზრახვის შესრულება სცადა კიდევაც, როცა საამისო შესაფერისი დრო იხელთა[1]. სამკვიდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაიმარჯვა. ყიზილბაშს თავისი განზრახის სისრულეში მოყვანის ძალა არ აღმოაჩნდა. საქართველო „ქართველობით" გადარჩა, თუმცა სასტიკად დაზიანდა (კახეთი, ქართლი).

მთელი ამ ბრძოლის განმავლობაში, ისევე როგორც მასზე წინ და მის შემდეგ (XVII ს.), მებრძოლ ქართველებს თავის ერთადერთ მოკავშირედ მიაჩნდათ რუსეთი, რომელიც ჭეშმარიტად დაინტერესებული იყო ქართველთა გამარჯვებაში და, რაც გაეწყობოდა, ამ საქმისათვის ძალღონეს არ ზოგავდა. მოსკოვის სამეფოს სამხედრო გამოსვლა კავკასიის ასპარეზზე, მართალია, ამჯერად მარცხით დამთავრდა, სამაგიეროდ, მისი დიპლომატიური ღონისძიებანი საქართველოს სასარგებლოდ ერანის შაჰის კარზე მეტადრე დიდი მნიშვნელობის მორალური ფაქტორი იყო მებრძოლი ქართველებისათვის: ამიერიდან საქართველო მარტო არ იყო და პროგრესისათვის ბრძოლაში მას ზურგს უმაგრებდა დიდი მოძმე ქვეყანა.

XVII საუკუნეში ქართველთა ეს თვალსაზრისი კიდევ უფრო გაღრმავდა და განმტკიცდა. მოსკოვის ხელმწიფემ მფარველობის ხელი დასდო, კახეთს გარდა, იმერეთსაც. ქართული ფეოდალური საზოგადოების პროგრესული ნაწილი დაუცხრომლად იბრძოდა საქართველოს სამეფო-სამთავროების პოლიტიკური გაერთიანებისათვის რუსეთის მფარველობის ქვეშ (თეიმურაზ, ალექსანდრე, არჩილ). სწორედ ამ ხანებში მოხდა აგრესორთა შეთანხმება (1639 წ.) საქართველოს დანაწილების თაობაზე. რუსეთის მთავრობა, რაც გაეწყობოდა, ძალებს არ ზოგავდა ერან-ოსმალეთის მძლავრობის წინააღმდეგ მებრძოლ ქართველთა დახმარებისათვის. ასე რომ მოსკოვის სახელმწიფო თანდათან იქცა ქართველ პატრიოტთა მორალურ სიმტკიცის წყაროდ. იგივე იქცა, ბუნებრივია, ძნელბედობის ჟამს, ქართველ პატრიოტთა თავშესაფარად.

XVII საუკუნის მეორე ნახევარში დასავლეთ ევროპამ (საფრანგეთმა) საქართველო თვალზე აიღო. ეს მოვლენა დაკავშირებული იყო ევროპა-სპარსეთ-ინდოეთის სავაჭრო ურთიერთობასთან. ამიერკავკასია ამ საქმეში მარჯვე გზად იგულისხმებოდა. საქართველოში მრავლად გაჩნდნენ საფრანგეთის აგენტები (მისიონერები, ვაჭრები). ქართველები ცხოვლად გამოეხმაურნენ ევროპელთა გამოჩენას და მას, ბუნებრივია, თავისი პოლიტიკური ზრახვები (ერან-ოსმალეთის მძლავრობისაგან სამშობლოს განთავისუფლება) დაუკავშირეს. მაგრამ კიდევ ერთხელ ცხადი გახდა, რომ დასავლეთი ევროპა ერან-ოსმალეთის ძალადობისაგან სამშობლოს განთავისუფლების საქმეში საქართველოს არსებითად ვერ დაეხმარება (საბა ორბელიანის ელჩობის მარცხი).

XVIII საუკუნის ოციან წლებში საქართველო (და ამიერკავკასია) მეორეჯერ იქცა სამი დიდი სახელმწიფოს ინტერესთა მწვავე შეჯახების კვანძად ახლო აღმოსავლეთში. განვითარების უმარდაკარგული ყიზილბაშთა სახელმწიფო ფეოდალურ არეულობას მოეცი-

[1] შაჰ-აბასის პოლიტიკური გეგმების ამ მხარეს დღემდე ყურადღება არ ექცეოდა და მის ღონისძიებებს ქართველებისა და ქართველობის წინააღმდეგ მხოლოდ ოსმალეთთან ომით ხსნიდნენ.

ვა და პოლიტიკური დაშლის კარზე იდგა. მძიმე კრიზისს განიცდიდა ბარბაროსული ოსმალეთიც, რომელიც ამ მდგომარეობისათვის თავის დაღწევას ძველი, ჩვეული ხერხებით — მტაცებლური ომებით და ახალ ტერიტორიების მიტაცებით — ლამობდა.

ოსმალეთმა ისარგებლა სპარსეთის არეულობით და კავკასია-აზერბაიჯანის მიტაცება განიზრახა. შეიქნა რეალური საფრთხე იმისა, რომ ოსმალეთის ხელში გადავიდა კასპიის ზღვისპირეთი. ეს კი ყოვლად მიუღებელი იყო ახალმოზარდ რუსეთისათვის. რუსეთი აღმოსავლეთ-დასავლეთს (ინდოეთ-ევროპა) შორის ვაჭრობის მოსაშვალეობას იჩემებდა და ამისთვის კასპიის ზღვისპირეთის დაუფლება თავის გარდაუვალ საქმედ მიაჩნდა. ის დაუყოვნებლივ გამოვიდა საბრძოლო ასპარეზზე.

ამიერკავკასიის ხალხებს (ქართველებს, სომხებს) „ფოცხვერის ყბისა“ და „ბაბრის კლანჭებისაგან“ „გამოხსნის“ დღე დასდგომოდა[1] „დარუბანდის გზით“ მართლაც შემოდიოდა ოსმალეთ-სპარსეთის მძლავრობის შემმუსვრელი ძალა. ქართველები (და სომხები) გულმხურვალედ გამოეხმაურნენ რუსთ ხელმწიფის მოწოდებას, მყისვე საომრად გაემგზავრნენ და მოკავშირე (რუსთა) ლაშქრის მოსვლას ამიერკავკასიაში მოუთმენლად ელოდნენ. მაგრამ საქმე შეფერხდა და რუსეთი იძულებული შეიქნა ამიერკავკასიის უდიდეს ნაწილში ოსმალთა გაბატონებას დროებით შერიგებოდა.

1723 წელს ოსმალებმა ქართლი დაიპყრეს და აქ „ოსმალობა“ (ოსმალური სოციალურ-პოლიტიკური წესები, ოსმალური ფეოდალიზმი) შემოიღეს. მალე, სამცხე-საათაბაგოს მსგავსად, ოსმალებმა ქართლიც საფაშოდ აქციეს. ამავე დროს ოსმალეთი შეიჭრა დასავლეთ საქართველოს ასევე დაპყრობას და იქაც საფაშოების შექმნას. ოსმალებმა დაიპყრეს ფოთი და ის საფაშოდ აქციეს, ამავე დროს ფაშობა „მიანიჭეს“ აფხაზეთის მთავარს, დაიპყრეს ქვემო გურია (ახალციხე, ბათომი), ხოლო იმერეთში მათვე ეპყრათ ქუთაისის, ბაღდადის, შორაპნის და ცუცხვათის ციხეები.

ერთი სიტყვით, ოსმალეთი საქართველოს გასაქრობად გადამწყვეტ შეტევაზე გადმოსულიყო. ეს იყო ამ აგრესორის მხრით საპასუხო ღონისძიება საქართველოს გამოხსნა-აღდგომის იმ გეგმისა, რომლის სისრულეში მოყვანა ქართველ პატრიოტებს (ვახტანგ VI) რუსეთის დახმარებით რეალურ საქმედ ეჩვენებოდათ. ოსმალეთს, ისევე როგორც შაჰაბასს XVII საუკუნის დასაწყისში, გადაეწყვიტა, რ ა თ ა ა მ ი ე რ კ ა ვ კ ა ს ი ა ში რ უ ს ე თ ი ს ე ს დ ა ს ა ყ რ დ ე ნ ი მ ო ე შ ა ლ ა.

სასტიკი ბრძოლა გაიმართა. დამპყრობელმა ქართულ-ფეოდალურ საზოგადოებაში რამოდენადმე მნიშვნელოვანი სოციალური დასაყრდენი ვერ გაიჩინა: „ო ს მ ა ლ ო ბ ა“ შ ე უ თ ა ვ ს ებ ე ლ ი ი ყ ო ქ ა რ თ უ ლ-ფ ე ო დ ა ლ უ რ უ რ თ ი ე რ თ ო ბ ა ს თ ა ნ. „ქართველობის“ დასაცავად ქვეყანა აჯანყდა.

მალე სპარსეთის პოლიტიკურ ასპარეზზე თამაზ ყული ხანი (ნადირ შაჰი) გაძლიერდა. ხანგრძლივი და სისხლიანი ბრძოლით მან მოახერხა ყიზილბაში ფეოდალების (ხანების) დამორჩილება და ადერბაიჯან-კავკასიაში ოსმალთა წინააღმდეგ გამოილაშქრა. აჯანყებით მოცულ ქვეყანაში ოსმალებმა ვერ გაუძლეს ყიზილბაშების შემოტევას, დამარცხდნენ და ადერბაიჯან-აღმოსავლეთ ამიერკავკასია დასცალეს. ოსმალო დამპყრობელი ამ ქვეყნებში, ამრიგად ისევ ყიზილბაშ დამპყრობელმა შეცვლა (1735 წ.).

[1] ასე უწოდებდა ვახტანგ მეფე სპარსეთს და ოსმალეთს.

ქართლ-კახეთში ნადირ შაჰმა ყიზილბაშური სოციალ-პოლიტიკური წყობილება — „ყიზილბაშობა“ შემოიღო, რაც ისევე შეუთავსებელი იყო ქართულ სოციალ-პოლიტიკურ წყობასთან, როგორც „ოსმალობა“. და ქართველი ხალხი ახლა ამ ახალ დამპყრობელს აუჯანყდა. თორმეტ წელს გრძელდებოდა ეს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა „ყიზილბაშობის“ წინააღმდეგ, ბრძოლა „ქართველობის“ დასაცავად. ერანას შაჰი იძულებული გახდა, ხელი აეღო განზრახვაზე. ქართლ-კახეთში ქართული წყობილება აღდგენილი იქნა.

„ოსმალობა“ - „ყიზილბაშობასთან“ ოცდახუთწლიანი მძიმე ბრძოლის მთელს მანძილზე ქართველთა ერთადერთი იმედი და ზურგის მომბმელი რუსეთი იყო. რუსეთი ეგულებოდათ საიმედო თავშესაფარად ოსმალობა-ყიზილბაშობის წინააღმდეგ აჯანყების მოთავეებს, (შანშე ქსნის ერისთავი, გივი ამილახვარი) რუსეთს მიმართავდნენ პოლიტიკური გეგმებით ქართველი მეფეები (ვახტანგ VI, ალექსანდრე იმერეთის მეფე, თეიმურაზ II), რუსეთში პოულობდნენ შესაფერის პირობებს ქართული კულტურის მოღვაწენი. ამ ნიადაგზე წარმოიშვა მოსკოვში ქართველთა კოლონია, ქართველობისათვის მებრძოლ ემიგრანტთა მოსახლობა, რომელიც დიდ პოლიტიკურსა და კულტურულ საქმიანობას ეწეოდა სამშობლოს სასარგებლოდ.

ეს კოლონია უცილობელი მოწმობა იყო იმისა, რომ პროგრესისათვის მებრძოლ ქართველებს რუსეთი სწამდათ თავის ნამდვილ მოკავშირედ. ესევე კოლონია იყო აგრეთვე იმის მოწმობა, რომ პროგრესისათვის მებრძოლი ქართველები არ გადალეულიყვნენ და მძიმე ბრძოლას მხნედ განაგრძობდნენ.

მოსკოვის ქართველთა კოლონიას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რუს და ქართველ ხალხთა დაახლოებისათვის, ამ კოლონიამ აზიარა პირველად საქართველო მოწინავე რუსულ კულტურას.

ამავე დროს წარმოიქმნა წინაკავკასიაში მოსახლეობანი, ხოლო ასტრახანი და ყიზლარი და, უფრო გვიან, მოზდოკი თბილისელ და გორელ ვაჭართა სარბიელი გახდა თავრიზის, ხოის, რეშტისა თუ აღმოსავლეთის სხვა სავაჭრო ქალაქების გვერდით. ასტრახან-ყიზლარიდან ქართველ ვაჭრებმა თანდათან გზა გაიკვლიეს რუსეთის სხვა სავაჭრო ქალაქებისაკენ. ეკონომიური კავშირი რუსეთსა და საქართველოს შორის ამიერიდან სულ უფრო და უფრო იზრდებოდა და მტკიცდებოდა, (თუმცა რუსეთთან ვაჭრობის ხვედრითი წონა დიდხანს ამის შემდეგაც უფრო მცირე იყო, ვიდრე ვაჭრობისა აღმოსავლეთის ქვეყნებთან). პირველად ეს სავაჭრო ურთიერთობა დარუბანდ-შამახიის ან დარუბანდ-ბაქოს გზით ხორციელდებოდა. მაგრამ XVIII საუკუნის 40-იან წლებში ხელახლა აღდგა დიდი ხნის წინ დაყრუებული საქარავნო-სავაჭრო „გზაჲ დარიალანისაჲ“, რომელსაც ახალს პირობებში „რუსეთის გზა“ შეერქვა. აღნიშნული გზის გახსნა საქართველოსათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის ფაქტი იყო. ეს გზა საქართველოს უშუალოდ აკავშირებდა ახალ მსოფლიოსთან და ყიზილბაშურ-ოსმალური გარემოცვის პირველ შენგრევას მოასწავებდა. ქართლ-კახეთის, ამიერკავკასიის ამ გეოგრაფიული ცენტრის, მნიშვნელობა „რუსეთის გზის“ გახსნასთან დაკავშირებით განსაკუთრებით იზრდებოდა: ისახებოდა პირობები, როცა საქართველო თბილისით კვლავ ამიერკავკასიის პოლიტიკური ცენტრი გახდებოდა.

ნადირ-შაჰმა ვერ უშველა ერანის სოციალურ-პოლიტიკურ კრიზისს. შაჰ ყიზილბაშურმა რეაქციამ იმახვერპლა, ქვეყანა ღრმა ფეოდალურმა ანეულო-

ბამ მოიცვა. ქართლ-კახეთი (ისევე როგორც მთელი აღმოსავლეთ ამიერკავკასია) ფაქტიურად უცხოელთა მფლობელობისაგან განთავისუფლდა.

XVIII საუკუნე იდგა, ბურჟუაზიული ურთიერთობის გამარჯვების საუკუნე. ევროპული ქვეყნები ჩამორჩენილ ახლოაღმოსავლეთს სხვადასხვა მხრიდან შემოსდგომოდნენ. ჩრდილოეთიდან რუსეთი, დასავლეთ-აღმოსავლეთიდან საფრანგეთ-ინგლისი, ახლო-აღმოსავლეთი, უპირველეს ყოვლისა, ერან-ოსმალეთი, ამ სახელმწიფოთა ქიშპის საგანი ხდებოდა.

ამიერკავკასიის ხალხების მიმართ ამ ევროპულ სახელმწიფოებს ერთიმეორის საწინააღმდეგო პოზიციები ეჭირათ. ინგლისსა და საფრანგეთს ამიერკავკასიის ხალხთა უშუალო დაპყრობის საშუალება არა ჰქონდათ. ამიტომ ისინი ირჩევდნენ, რათა ეს ქვეყნები ძველებურადვე ერანისა და ოსმალეთის ხელქვეშ დარჩენილიყვნენ; ამ უკანასკნელთა კოლონიურ ექსპლოატაციას კი ისინი საკუთრად აპირებდნენ. ამრიგად, რუსეთთან ქიშპში ინგლისი და საფრანგეთი ამიერკავკასიის ხალხთა ერან-ოსმალეთისათვის დამონების მოღვაწეებად გამოდიოდნენ. სულ სხვა იყო რუსეთის პოზიცია. ახალგაზრდა რუსეთი ოსმალეთის (და ერანის) წინააღმდეგ გამოდიოდა და ამიერკავკასიის ხალხთა მხარის დაჭერას საჭიროებდა. ამდენადვე, რუსეთი ერან-ოსმალეთის ბატონობისაგან ამიერკავკასიის ხალხთა განთავისუფლების მოღვაწეიყო.

ახლო აღმოსავლეთის საერთაშორისო პოლიტიკის კვანძი ამიერკავკასიაში იხლართებოდა. საქართველო გადამწყვეტი მომენტის წინაშე დგებოდა.

დაჩიხული საქართველოს პოლიტიკური არსებობის „გარანტია" — ძველი აგრესორების — ერან-ოსმალეთის — ჩამორჩენილობა იყო. მოწინავე ქვეყნების ქიმპში საქართველო, როგორც პოლიტიკური ერთეული [illegible] ბოდა, თუ ის ამ დაჩიხულობიდან ვერ გამოვიდოდა. მას უნდა დიდი სოციალურ-პოლიტიკური ნახტომი განეხორციელებინა, წინააღმდეგ შემთხვევაში პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაკარგვა მას არ აცდებოდა.

ყველაფერი ეს უახლოესი მომავლის საქმე იყო. ჯერჯერობით კი მოწინააღმდეგე ძალები, ერთიმეორის რიდით, პოზიციურ მანევრს სჯერდებოდნენ და მთავარი საბრძოლო ასპარეზი ინტრიგალური რჩებოდა.

ქართველი ფეოდალური საზოგადოების პროგრესულ ნაწილს კარგად ესმოდა მომენტის მნიშვნელობა და სამშობლოს სასარგებლოდ მის გამოყენებას ყოველი ღონით ცდილობდა.

ქართველი ფეოდალური საზოგადოების პროგრესული ნაწილი ამ ხანას „გამოხსნისა და აღდგომის დროს" უწოდებდა „გამოხსნაში" ქართველები სამშობლოს განთავისუფლებას გულისხმობდნენ ერან-ოსმალო დამპყრობთა მძლავრობისაგან, „აღდგომაში" კი საქართველოს ტერიტორიული გაერთიანება, პოლიტიკური გაძლიერება, მისთვის ძველი მნიშვნელობისა და როლის კვლავ მოპოვება—კავკასიის ხალხთა გაერთიანების პროგრესული მისია — იგულისხმებოდა. კავკასიის ხალხთა გაერთიანების ეს იდეა არა მარტო ქართულ ფეოდალური საზოგადოების პროგრესულ ნაწილში ცოცხლობდა, ასევე ცოცხლობდა ის სომეხ პროგრესულ მოღვაწეთა წრეებშიაც. სომეხი პოლიტიკური მოღვაწენი არა მარტო XII—XIII საუკუნეში ქართველების მხარდამხარ იბრძოდნენ დიდი პროგრესული საქმისათვის, საქართველოს ჰეგემონობით რომ ხორცელდებოდა იმ დროს

კავკასიაში, არამედ შემდეგაც, საუკუნეთა მანძილზე, ქართველებთან ერთად იბრძოდნენ იმ ვითარების დაბრუნებისათვის, როცა ერთ სახელმწიფო ორგანიზაციაში გაერთიანებული, მონათესავე კულტურის მოძმე ხალხები — ქართველები, სომხები, ალბანელები — წარმატებით იღვწოდნენ პროგრესისათვის. ამის მოწმობანია არა მარტო იმ სომეხთა საქმიანობა, რომელთაც საქართველოში სამშობლო მოიპოვეს, ამის მოწმობანია აგრეთვე საქართველოს საზღვარს გარეთულ სომეხთა თუ სომხურ ორგანიზაციათა თანამშრომლობა ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეებთან XV საუკუნეში (ალექსანდრე მეფის დროს), XVII საუკუნეში (თეიმურაზ მეფის დროს) XVIII საუკუნის პირველ ნახევარში (ვახტანგ VI დროს) და, განსაკუთრებით XVIII საუკუნის მეორე ნახევარში (ერეკლე II-ის დროს).

მძიმე ზიანად აჩნდა საქართველოს მის თავს გადახდილი ძნელბედობანი, როცა XVIII საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისს აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში რამდენიმე ხელსაყრელი პოლიტიკური პირობები შეიქმნა დაპყრობილ-დამონებულ ხალხთა „გამოხსნა-აღდგომისათვის“: სამხრეთ საქართველო ახალციხის საფაშოდ იყო ქცეული და ოსმალო აგრესორის დასაყრდენს წარმოადგენდა საქართველოს დანარჩენი ნაწილების დასამონებლად; საფაშოდვე იყო ქცეული აფხაზეთი — ოსმალო აგრესორის მეორე დასაყრდენი (დასავლეთის მხრიდან); იგივე ოსმალები დაუფლებოდნენ დანარჩენ ზღვისპირეთსაც, რომელიც ფოთის ფაშის საგამგეოში შედიოდა, ოსმალეთს ჰქონდა მიტაცებული ქვემო გურია ბათომით და იმერეთის ციხეები: ქუთაისი, შორაპანი, ცუცხვათი, ბაღდათი. აღმოსავლეთ საქართველოს ციხე-ქალაქებში მართალია, უცხო დამპყრობლები აღარ ისხდნენ, სამაგიეროდ, აქ სხვა რიგის ზიანი აჩნდა ქვეყანას. „ოსმალობა“-„ყიზილბაშობასთან“ ოცდახუთწლოვან ბრძოლაში მძიმედ დაზიანებულიყო ქართული, განსაკუთრებით, მისი სამხრეთი ნაწილი: ზოგიერთი კუთხე სულ დაცლილიყო მოსახლეობისაგან, ზოგან კი ქართველთა ნამოსახლარზე თურქმანი მომთაბარენი ჩამომსხდარიყვნენ. მძიმე იყო მდგომარეობა კახეთშიც, მისი აღმოსავლეთი ნაწილი დაღისტნელებს დაეპყრათ და ის საქართველოს მარბიელ ძარაგთა ბუნაგად ექციათ.

ამ მოვლენებთან უშუალო კავშირში იმყოფებოდა და მძიმე მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებდა ქვეყნის ხანგრძლივი სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური დაჩიხულობა („სათავადოები, სამთავროები, სამეფოები), რომლის ნიადაგზე საქართველოში უკვე დიდი ხანია საშინ სოციალურ სენის სახედ მძვინვარებდა“ კლასობრივი ბრძოლის გადაგვარებული ფორმები „ტყვის სყიდვა“ და „ლეკიანობა“. როგორც ერთი, ისე მეორე სავსებით გამორიცხავდა ფეოდალური საზოგადოების შემდგომ განვითარებას.

1745 წლის აქტი (საქართველოს მეფის კურთხევა საგანგებოდ შემუშავებული წესით) მხოლოდ იმის მოწმობა როდი იყო, რომ ქართლ-კახეთში „ქართველობა“ (ქართული სოციალ-პოლიტიკური წესწყობილება) აღდგა. ხსენებული აქტი და ამის შემდგომი პოლიტიკური ფაქტები (ერევნის, განჯის და ნახჭევანის სახანოების დამორჩილება და აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ჰეგემონობისათვის წარმატებით ბრძოლა) იმას მოწმობდნენ, რომ ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეებს საქართველოს აღდგომაში ამიერკავკასიის ოდინდელი გაერთიანება ეგულებოდათ. ამასვე მოწმობს ის პოლიტიკური პრეტენზიები, ერეკლე II რომ ცნობად მოახსენებდა რუსეთის სამეფო კარს 70-ან წლებში. ჩანდა, რომ ამ ახალს პირობებშიაც საქართველო

ამ პროგრესული საქმის შესრულებას აპირებდა, რომელიც ამიერკავკასიის ხალხთა თავისუფალი განვითარების ერთადერთი გარანტია იქნებოდა.

დროისა და გარემოებათა სწორად შეგნებას მოწმობს ორგანულად მთლიანი საშინაო და საგარეო პოლიტიკა ერეკლე მეორისა.

ბურჟუაზიის („ევროპის") გამარჯვების ამ საუკუნეში ერეკლე II საქართველოს ტიპიური მეფე აღარ იყო. ამის საბუთია მისი დაუცხრომელი ზრუნვა იმისათვის, რომ თავისი ქვეყანა „ევროპულად" მოეწყო. ლონისძიებანი სამხედრო თუ სამოქალაქო ასპარეზზე, რეფორმები სახელმწიფო თუ კერძო სამართლის საქმეში, ახალი წამოწყებანი ეკონომიკისა თუ კულტურის დარგში, — თანხმობით მოწმობდნენ, რომ მზადდებოდა პირობები ახალი საქართველოს წარმოქმნისათვის, რომ თავადურ-ბატონყმური სისტემა პომეშჩიკურ-ბატონყმური სისტემით უნდა შეცვლილიყო, რომ ქვეყანა ბურჟუაზიული განვითარების გზაზე უნდა დამდგარიყო. მართლაც-და, თავადების შევიწროება (ზოგი სათავადოს სავსებით მოშლა, ზოგის შემცირება), „ახალთავადების" (პომეშჩიკების) გაჩენა (ლეონიძე, ოსეშვილი, არღუთაშვილი), საგლეხო კანონები, საქალაქო წყობილების წესები, კანონი მოქალაქის საკუთრების შესახებ სახელმწიფო წყობილების საკითხები (მმართველობის დარგობლივი დანაწილება: სამხედრო, საგარეო საქმეთა, სასამართლო, სასწავლო-განათლებო), სამხედრო რეფორმის ცდები (აზატ-მოლაშქრეთა ინსტიტუტის შექმნა, მორიგე, რეგული), მსაჯულთ შეკრებულობის ინსტიტუტი (მდივანბეგეგების სასამართლო), საქარხნო-საფაბრიკო წარმოების დანერგვის ცდები (შაქრის, მინის, შალის, იარაღის), სამთამადნო (სპილენძის, ოქრო-ვერცხლის, თუჯის, რკინის) წარმოების წამოწყება, ზარაფხანის განახლება, კულტურა-განათლების საქმეები: სტამბის განახლება, სემინარიების დაარსება, განათლებულ მოღვაწეთა ძლიერი დასის წარმოქმნა, გაცხოველებული თარგმნა სამეცნიერო-პოლიტიკურ თუ მხატვრული ლიტერატურისა რუსული ენიდან, — ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, ფეოდალურ-თავადურ ქვეყანას აღარ ეგუებოდა და ამზადებდა პირობებს იმ პოლიტიკური ნახტომისათვის, რომელსაც მხოლოდ ერთს შეეძლო საქართველოს სახელმწიფოებრივი არსებობა გაჭრობას გადაერჩინა.

განსაკუთრებით ძნელ პირობებში უბდებოდა ბრძოლა ქართველი ფეოდალური საზოგადოების პროგრესულ ძალებს. ქვეყანაში თავადურ-ბატონყმური სისტემა სუფევდა („ჩიხი"). ასეთ ვითარებაში პროგრესისათვის მებრძოლ ძალებს ქვეყნის შიგნით ძლიერი სოციალური დასაყრდენი არ შეიძლებოდა შექმნოდა. ამავე დროს თავადურ რეაქციას ოსმალეთ-ერანის აგრესორთა სახით ერთგული მოკავშირე ჰყავდა. ასე რომ ბრძოლა პროგრესისათვის, ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისათვის, ბრძოლა თავადურ-ბატონყმური სისტემის წინააღმდეგ, ბრძოლა ტყვის სყიდვა-ლეკიანობის წინააღმდეგ — უშუალოდ უკავშირდებოდა ერან-ოსმალეთის ბატონობისაგან განთავისუფლებისათვის ბრძოლას და უერთმანეთოდ არც წარმოიდგინებოდა. საქართველოში ერან-ოსმალეთის მძლავრობა და თავადურ-ბატონყმური სისტემა ერთიმეორეს ავსებდა და ერთიმეორეს გულისხმობდა.

არაერთი მძიმე დამარცხება აგემა შინაური და საგარეო რეაქციის ამ ბლოკმა პროგრესისათვის მებრძოლ ძალებს გვიანფეოდალური საუკუნეების გრძელ მანძილზე. მაგრამ ბრძოლა გრძელდებოდა, და ის მით უფრო მწვავდებოდა,

რაც უფრო ამკარა საფრთხეს უქმნიდა გამარჯვებული რეაქცია ქართველი ხალხის არსებობას, ქართველობის არსებობას.

რაგინდ დაჩიხული იყო ქვეყანა, რაგინდ უმოძრაო ჩანდა ქართული ფეოდალური საზოგადოება, შიგადაშიგ, ხან იქ, ხან აქ მაინც თავს იჩენდა წინსვლის ნიშნები, ბრძოლის სარბიელზე გამოდიოდა პროგრესული ფენა, რეაქციის წინააღმდეგ ქვეყნის ძალთა მობილიზაციას ცდილობდა და საგარეო მეშველ ძალას თავისთვის გაფაციცებით ეძებდა.

ასევე იყო ახლაც, მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში. იმ დროს, როცა ქართულ ფეოდალურ რეაქციას თვალი ერან-ოსმალეთზე ეჭირა, პროგრესული ძალები საქართველოს გამოხსნა-აღდგომის საქმისათვის ბრძოლაში, საქართველოს პროგრესისათვის ბრძოლაში მოკავშირეს რუსეთში ხედავდა. ქართველ პროგრესისტებს ურყევად სწამდათ, რომ რუსეთი მოწოდებული იყო ხელი შეეწყო საქართველოში პროგრესისათვის. ისინი კარგად იყვნენ მიხვედრილი რუსეთის პოზიციებს ერან-ოსმალეთის საკითხში და თავიანთ რწმენას ამ ცოდნაზე მართებულად აგებდნენ.

ამავე დროს, მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში საქართველო კიდევ უფრო დაუახლოვდა რუსეთს პოლიტიკურად, ეკონომიურად, კულტურულად. ასე რომ ხსენებული საუკუნის 19-იანი წლებისათვის ბარბაროსული გარემოცვა არსებითად უკვე გარღვეული იყო და საქართველო პროგრესული ევროპის ორბიტში უშუალოდ შედიოდა.

მე-18 საუკუნის 70-იან წლებში სამშობლოს გამოხსნა-აღდგომისათვის ბრძოლაში ქართველ პროგრესისტებს არსებითი ხასიათის წარმატება ჰქონდათ. ერეკლე II-მ ქართლ-კახეთში მნიშვნელოვანი რეფორმები გაატარა ქვეყნის პოლიტიკურ-ადმინისტრაციულსა და სოციალურ სფეროში. მეფემ ალაგმა თავადების თავგასულობა, მოშალა ლეკიანობა და ქვეყნის შიგნით წელმომაგრებულმა ამიერკავკასიის ხალხთა გაერთიანების მიმართულებით დიდმნიშვნელოვანი ღონისძიება დასახა. მეფემ ერევნის ყიზილბაშური სახანოს გაუქმება და ამ სომხური ოლქის საქართველოსთან, უშუალოდ შემოერთება განიზრახა. რა თქმა უნდა, ეს დიდმნიშვნელოვანი აქტი სომხურ პოლიტიკურ წრეებთან შეთანხმების გარეშე არ ისახებოდა.

სოლომონ მეფემ რუსეთის სამხედრო დახმარებით იმერეთის ციხეებიდან ოსმალები გააძევა. იმერეთის მეფემ წარმატებულად უკუაგდო თავადურ-მთავრული რეაქციისა და ოსმალეთის შემოტევანი (ჩხერის ომი, რუხის ომი), განამტკიცა სახელმწიფო სუვერენიტეტი და დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების საქმე პრაქტიკულად წამოიწყო.

მაგრამ ირაზმებოდა რეაქციაც. ერანი თავს იყრიდა. ის ვერ ურიგდებოდა საქართველოს რუსეთისაკენ პირმოქცევას და მის ძველებურად დამონებას აპირებდა. აგრესორის ამ განზრახვას სასოებით შეჰყურებდნენ რეაქციონერი თავადები, რომელთა წარმომადგენელი (ალექსანდრე ბატონიშვილი) ქაარიმხანზანდის კარზე იმყოფებოდა და აქტიურად გამოსვლისათვის მოხერხებულ დროს ელოდა.

თავის მარცხს არც ოსმალეთი ურიგდებოდა. აგრესორი მფარველობდა სოლომონ მეფის ყველა მტერს: მთავრებს, ქვეყნის მოღალატე თავადებს, ტყვის მსყიდველ აბრაგებს და ამ რეაქციული ძალების საშუალებით იმერეთის კვლავინდებურად დამონებას დაჟინებით ცდილობდა.

საქართველოში პროგრე-

სისა და რეაქციის ძალთა გადამწყვეტი ჭიდილი იყო. ქვეყნის გამოხსნა-აღდგომისა თუ დამონების საქმე წყდებოდა. რეაქციის ძალებს მხარში ედგათ და აქტიურად ეხმარებოდნენ ოსმალეთი და ერანი. ასეთივე დამხმარე უნდა გაეჩინა პროგრესისათვის მებრძოლ ძალებსაც.

მე-18 საუკუნის სამოცდაათიან წლებში რუსეთმა ერთხელ კიდევ დაარწმუნა ქართველი პროგრესისტები, რომ ამ საჴელმწიფოს პოლიტიკური ინტერესები ამიერკავკასიაში ეთანხმება საქართველოს გამოხსნა-აღდგომის საქმეს; ამავე დროს ქართველები იმაშიაც მტკიცედ დარწმუნდნენ, რომ რუსეთი რეალურად მოიწევს ამიერკავკასიისაკენ და მოიწევს სწორედ ერან-ოსმალეთის საწინააღმდეგოდ.

ასეთ პირობებში ბუნებრივია ერეკლე მეფის პოლიტიკური ნაბიჯი: 1771 წელს პროგრესისათვის მებრძოლმა საქართველომ თავის დამხმარედ (მფარველად) პროგრესული რუსეთი მოიწვია.

ასეთი პოლიტიკური კავშირი რუსეთსა და საქართველოს შორის მხოლოდ 1783 წელს განხორციელდა (როცა საამისოდ შედარებით ხელსაყრელი პოლიტიკური პირობები შეიქმნა).

საქართველოს ისტორიაში ეს იყო უდიდესი მნიშვნელობის პოლიტიკური აქტი. გაირღვა ბარბაროსული გარემოცვა, რომელიც 331 წლის განმავლობაში სულს უხუთავდა პროგრესულ ქვეყანას, რომელიც ასაზრდოებდა მის პოლიტიკურ დაცემას და სოციალ-ეკონომიურ დაჩიხულობას. ამ აქტით საქართველო გაემიჯნაზიურ (ოსმალურ-ყიზილბაშურ) ჩამორჩენილობას და გადაჭრით პირი მიიქცია პროგრესულ ევროპისაკენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე მხრით, ეს აქტი იმის აღიარებაც იყო, რომ გარედან დახმარების გარეშე, დამოუკიდებლად, საქართველოს ღონე არ შესწევდა დაემარცხებინა რეაქციის ძალები და უზრუნველეყო ქვეყნის გამოხსნა-აღდგომის საქმის გამარჯვება.

არსებულ პირობებში ეს იყო საუკეთესო გამოსავალი, რომელსაც ერთადერთს შეეძლო ქვეყანა პროგრესის გზით ახალი ცხოვრებისაკენ წაეყვანა.

რეაქცია შეშფოთდა, ძალები შემოიყარა და გადამწყვეტ იერიშზე გადმოვიდა. ერან-ოსმალეთის ინსპირაციით და აქტიური დახმარებით ქვეყნის სამტროდ წამოიშალნენ მოღალატე თავადები, აბრაგ-ლეკები, მეზობელი ფაშები, ხანები და, ბოლოს, თვით სპარსეთის ყაენი.

17 წლის განმავლობაში წარმოებდა ეს მძიმე ბრძოლა; მან ქართლ-კახეთის მოსახლეობის ნახევარი შეიწირა: „Тавады (ე. ი. რეაქციანი) доканали грузинскую государственность“.

პროგრესისათვის მებრძოლმა დასმა დაინახა, რომ რეაქციასთან ბრძოლაში გამარჯვებისათვის საქართველოს არ ეყო შინაგანი რესურსები, ხოლო 1783 წლის აქტით გათვალისწინებული კავშირი (რუსეთთან) საკმაო არ აღმოჩნდა პროგრესის ძალთა ამ სისუსტის საკომპენსაციოდ... და 1801 წელი გარდაუვალი გახდა: საქართველოს პროგრესის საქმე ამიერიდან მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა წარმართულიყო. შექმნილი მდგომარეობიდან საუკეთესო გამოსავალი ახლა ეს იყო.

ბიბლიოგრაფია

შენიშვნები ახალი „ქართულ-რუსული ლექსიკონის“ გამო[1]

★

თავისი ნაშრომით — „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები“ ი. სტალინმა ფართო ამოცანები დაუსახა ლექსიკოლოგიურ მუშაობასაც. ამ მუშაობის ამოსავალი დებულებაა ენის საფუძვლის განსაზღვრა: „ენის გრამატიკული წყობა და მისი ძირითადი ლექსიკური ფონდი შეადგენს ენის საფუძველს, მისი სპეციფიკის არსს“ (იხ. 1954 წ. ქართული გამ. გვ. 23).

ლექსიკური შემადგენლობის რაობა უშუალოდ არის დაკავშირებული ხალხისა და სახელმწიფოს ცხოვრებასთან; ლექსიკური ცვლილებები ასახავენ ხალხისა და სახელმწიფოს ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებებს: ცხოვრების განვითარების ახალი ტენდენციები წარმოშობენ ახალ ლექსიკურ მოვლენებს, ახალ სიტყვებს, ახალ სიტყვათწარმოებებს.

თუ ამას მივიღებთ მხედველობაში, ადვილად მივხვდებით, რაოდენ ჩამორჩებოდა ქართული ლექსიკოგრაფიული ლიტერატურა, რომელსაც 1887 წლის შემდეგ (როდესაც დ. ჩუბინაშვილმა დაბეჭდა თავისი „ქართულ-რუსული ლექსიკონი“) მხოლოდ 1942 წელს ეღირსა ახალი „ქართ.-რუს. ლექსიკონი“ (ისიც პატარა, სასკოლო). ამ ხნის განმავლობაში კი ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში ძირეული ცვლილებები მოხდა.

დ. ჩუბინაშვილის „ლექსიკონი“, მიუხედავად მრავალი თავისი ღირსებისა (გრამატიკული კატეგორიების ჩვენება, საკმაოდ მდიდარი ფრაზეოლოგია, სალიტერატურო ძეგლებზე მითითება და სხვ.), თავის დროზედაც ჩამორჩებოდა ქართული სალიტერატურო ენის განვითარების დონეს. ასე, მაგალითად, ამ დროისათვის უკვე გამოქვეყნებული იყო ილია ჭავჭავაძის ყველა ძირითადი სიტყვაკაზმული ნაწარმოები, ის ნაწარმოებები, რომლებმაც მკვიდრი საფუძველი ჩაუყარეს ახალ ქართულ სალიტერატურო ენას, მაგრამ დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში ჩვენ ვერ ვიპოვით ახალი ლექსიკის ღირსეულ ასახვას; ილიას მხოლოდ „კაცია-ადამიანი?“ არის გათვალისწინებული, ისიც ნაწილობრივ; იქ არ არის, მაგალითად, ილიას მიერ ამ მოთხრობაში ნახმარი სიტყვები: გენია („ხალხის გენია“), სართული („ეტაჟის“ მნიშვნელობით), გულგადაღეღილი, ბობოლა, ძირგავარდნილი (ქვევრი), თავძინებული და მრავალი სხვაც.

მხოლოდ 1942 წელს გამოვიდა გ. ახვლედიანისა და ვ. თოფურიას სასკოლო „ქართ.-რუს. ლექსიკონი“, სადაც მოთავსებულია ახალ სალიტერატურო ენაში ხმარებული 15.000 სიტყვა. (განმეორებითი გამოცემა 1950 წლისა 16.000 სიტყვას შეიცავს). რამდენიმე თვის შემდეგ, 1943 წელს, გამოქვეყნდა ქეთევან დათიკაშვილის „ქართულ-რუსული ლექსიკონის“ I ტომი, ცოტა უფრო ვრცელი, ვიდრე პირველი, მაგრამ მაინც სასკოლო ხასიათისა.

1943 წლის შემდეგ ჩვენი სალიტერატურო ენა გამდიდრდა მრავალი ახალი ტერმინით და ახალწარმოებული სიტყვებით. ამიტომ გასაგებია, რომ ათი წლის შემდეგ გამოსულ ახალ გამოცემას ქ. დათიკაშვილის „ქართულ-რუსული ლექსიკონისას“ ყოველი მომხმარებელი მიესალმება დიდი მადლობის გრძნობით ავტორისადმი, რომელმაც ენერგიის დაუზოგავად გასწია მძიმე და დამქანცველი შრომა.

ქ. დათიკაშვილის „ლექსიკონი“ არ არის სრული ყველა იმ ლექსიკური მასალის შემცველი, რომელიც ქართულ მწერლობაში იხმარება, და ის არც ისახავდა ასეთ მიზანს, მაგრამ შეიცავს ყველა ძირითადსა და მასობრივად ხმარებულ სიტყვას და წინამორბედ ლექსიკონებზე უფრო ვრცელია. თუ შეიძლება ვიმსჯელოთ ერთი ასოს მიხედვით, დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში ასო ა-ზე 2220 სიტყვაა მოყვანილი, ხოლო ქ. დათიკაშვილის ლექსიკონში—3000 (პირველ გამოცემაში 1.330 სიტყვა იყო).

ქ. დათიკაშვილის „ლექსიკონი“ ახალ გამოცემაში გამდიდრდა მრავალი ახალი ტერმინოლოგიური და სხვა სიტყვებით, რომლებიც 1943 წელს, პირველი გამოცემის დროს, ჯერ კიდევ არ იყო მასობრივ ხმარებაში შესული: აალება, აბანოზი, აბებრება, აბონემენტი, აბრეშუმსართავი, აბრეშუმსახვევი... ანალიზება, ანგარიშვალდებული, ატომიანობა, აღგზნებადი... გადამკვეთი, გადამნერგავი, გადამრჩევი... დაგმანვა, დაგოზვა, დაგრაგნა, დაგუდრონება, დემპინგი, დესანტური, დიდოსტატი, დოკერი და რამდენიმე ასეული სხვაც.

ქ. დათიკაშვილის „ლექსიკონში“ ახალია აგრეთვე ზმნის ე. წ. კაუზატიური ფორმების შეტანა ცალკე ბუდის სახით (ამოვლებინება, ამოზელინება, ამოზიდვინება, ამოკვეთინება, ამოკრეფინება, ამოლაგებინება, ამოლესვინება... გაგებინება, გადათქმევინება, გადაკვრევინება, გა-

---

1 ქ. დ ა თ ი კ ა შ ვ ი ლ ი. „ქართულ-რუსული ლექსიკონი“, I, 1953. სახელგამი.

დახდევინება, გაყრევინება... დაგდებინება, დავიწყებინება და სხვ.). მართალია, დ. ჩუბინაშვილსაც აქვს აქა-იქ კაუზატიური ფორმები ცალკე გამოტანილი და გადათარგმნილი (ატანინება, აღებინება, ახსნევინება, აწერინება), მაგრამ სარეცენზიო ლექსიკონში გაცილებით უფრო ხშირია ამგვარი ფორმები.

დიდ ღირსებას ჰმატებს ქ. დათიკაშვილის ლექსიკონს რუსულად მოთავსებული გრამატიკული განმარტებები და ქართული სტილისტიკური შენიშვნები.

ახლა ნებას მივსცემთ ჩვენს თავს, გამოვთქვათ ზოგიერთი მოსაზრება ლექსიკონის ნაკლულევანი მხარეების შესახებ.

1. ლექსიკონის მოხმარების თვალსაზრისით ძირითად ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ქ. დათიკაშვილის „ქართულ-რუსული ლექსიკონის" მხოლოდ პირველი ტომი გამოვიდა. ფართო მოხმარების და პრაქტიკული ხასიათის თარგმნითი ლექსიკონი, თუ ის ძალიან დიდია, შეიძლება ცალკე ტომებად აიკინძოს, მაგრამ ყველა ტომი ერთ დროს უნდა გამოვიდეს. თარგმნითი ლექსიკონის მომხმარებელს, როდესაც ის ცდილობს გაერკვეს, მაგალითად, სიტყვაში „გამოშრობა", შეიძლება დასჭირდეს ჩაიხედოს, თუ როგორ არის თარგმნილი რუსულად „შრობა", „გამოჩარხვა"-სთვის დასჭირდეს „ჩარხი" და ა. შ., ხოლო მან უნდა უცადოს ლექსიკონის უკანასკნელ ტომს, სადაც იქნება რუსულად ახსნილი „შრობა" ან „ჩარხი" და რომელიც, ალბათ, რამდენიმე წლის შემდეგ გამოვა.

ლექსიკონი შეიცავს სიტყვებს მხოლოდ ოთხ ასოზე (ა-დ) და უჭირავს 687 გვერდი. ჩვენი გამოანგარიშებით, ეს არის მთელი ლექსიკონის თითქმის მეოთხედი. ავტორი შესავალში წერს, რომ ლექსიკონი სამ ტომად გამოვა. სასტამბო რეკვიზიტიდან ჩანს, რომ ეს პირველი ტომი წარმოებაში ყოფილა 3 წელი (1950-53). მაშასადამე, თუ ავტორი და გამომცემელი გარკვეულ ზომებს არ მიიღებენ, ლექსიკონის უკანასკნელი ტომი 1960 წელს გამოვა. რა ქნას მანამდის მომხმარებელმა, რომელსაც ავტორი თავის ლექსიკონში ბევრგან მიუთითებს ასე: ბეოლა, იხ. თუთა: გადმოსცქეროდა, იხ. ცქერა; გალახვა I, იხ. მიბეგვა; გაუდაბურებული, იხ. უდაბური; გაუზრდელი, იხ. უზრდელი; გატიალებული, იხ. ტიალი; გასაწყლებული 2, იხ. საცოდავი I; გაძურწვა, იხ. მოძურწვა. სანამ III ტომი არ გამოვა, მომხმარებელმა არ იცის, როგორ თარგმნოს „გაუზრდელი" ან „გასატიალებელი", რადგან „ტიალი" და „უზრდელი" მხოლოდ III ტომში მოხვდება.

„ლექსიკონის" მომხმარებელი უკანასკნელი ტომის გამოსვლას უნდა დაელოდოს, რომ გაიგოს ამ I ტომში მოთავსებული ზოგიერთი ფორმის განმარტება. ლექსიკონში ძალიან ხშირად ვკითხულობთ ამგვარ შენიშვნას, მაგალითად: „**გა** ზმნის თავსართი... უფრო დაწვრილებით თავსართებზე იხ. დამატებაში". „**გასა** შესდგება თავსართისაგან **გა** და პრეფიქსისაგან **სა**... უფრო დაწვრილებით იხ. დამატებაში მიმღეობათა შესახებ". „**გან** თანდებული... უფრო დაწვრილებით იხ. დამატებაში თანდებულებზე". საერთოდ, ლექსიკოგრაფიაში მიღებულია, რომ ყველაზე ნარკვევი ასახსნელი სიტყვების, გრამატიკული კატეგორიების შესახებ და თვით გრამატიკული მიმოხილვაც პირველი ტომის შესავალშივეა დართული (იხ. „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი", დ. ჩუბინაშვილის „ქართულ-რუსული ლექსიკონი", რომელიც ნაკვეთებად გამოდიოდა, და სხვ.).

„ქართულ-რუსული ლექსიკონი", როგორც ვთქვით, შეიცავს სიტყვებს მხოლოდ ოთხ ასოზე და უჭირავს 687 გვერდი. პირველ გამოცემაში იქავე ოთხ ასოს ეჭირა მხოლოდ 280 გვერდი. ახალი გამოცემის მოცულობის გაზრდა ძველ გამოცემასთან შედარებით, პირველ რიგში, გამოწვეულია, რასაკვირველია, იმით, რომ, როგორც ზემოთაც ითქვა, ახალი გამოცემა შეიცავს მთელი რიგი ახალი სიტყვებით, რომლებიც 1943 წლის შემდეგ (ე. ი. პირველი გამოცემის შემდეგ) დამკვიდრდა ფართო ხმარებაში და რომლებითაც გამდიდრდა ქართული ენის ლექსიკური შემადგენლობა. გაიზარდა ახალი გამოცემა იმიტომაც, რომ ავტორმა გაამდიდრა თავისი ლექსიკონი აუცილებლად საჭირო გრამატიკული ხასიათის მითითებებით და სტილისტიკური ხასიათის განმარტებებით. მაგრამ ყველაფერ ამას არ შეეძლო ამდენად (თითქმის $2^1/_2$-ჯერ) გაეზარდა ლექსიკონი.

ლექსიკონის გაზრდა გამოიწვია აგრეთვე მრავალსიტყვაობამ, რომელიც ეჭვნევა ბუდეებში ნახმარ ფრაზეოლოგიას. თარგმნითი ლექსიკონის შედგენის ძირითადი დებულება ხომ ის არის, რომ ყოველი სიტყვისათვის მოყვანილი იქნეს მისი სხვადასხვა მნიშვნელობა სათარგმნ ენაზე და ამ მნიშვნელობათა დასადასტურებლად დამოწმებული იქნეს გამოთქმები, ფრაზები. როგორადაც დიდი არ უნდა იყოს ლექსიკონი, სიტყვის თითოეული მნიშვნელობის საილუსტრაციოდ სრულიად საკმარისია ერთი გამოთქმის ან ფრაზის მოყვანა. ქ. დათიკაშვილის ლექსიკონში კი ერთის ნაცვლად ხშირად მოყვანილია სამი ან მეტი ფრაზა, მაგალითად:

1. „ადგილი место: თავის ადგილზე დადგი поставь на место; ორ ადგილას ვიყავი я был в двух местах; ჩექმა ბევრ ადგილს გახეოდა сапог его был во многих местах порван; ამ პოემაში ბევრი ლამაზი ადგილებია в этой поэме много красивых мест" (ოთხივე ფრაზა იძლევა ერთსა და იმავე მნიშვნელობას: место).

„გამოსვლა гл. (სხვადასხვა მნ.) выйти, выходить: ეზოში გამოვიდა (он) вышел во двор; ამ ნაჭრიდან პალტო ვერ გამოვა из этого куска не выйдет пальто; წიგნი წლეულ გამოვა книга выйдет в этом году; ბრძანება გამოვიდა вышел приказ; მატარებელი დილით გამოდის поезд выходит утром; მოთმინებიდან გამოვიდა вышел из терпения; არაფერი გამოვიდა ничего не вышло; დიდი

მსახიობი გამოვა **из него выйдет большой артист**". ყველა რვა მაგალითი ადასტურებს იმას, რომ „გამოსვლა" რუსულად უნდა ითარგმნოს **выйти, выходить**.

ჭარბი ფრაზეოლოგიის გასამართლებლად ავტორს მიუწერია „სხვადასხვა მნიშვნელობითო", იმ დროს როდესაც რვავე ფრაზაში „გამოსვლას" ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვს: **выити, выходить**. იქნება ავტორს იმის თქმა უნდოდა, რომ ქართულ სიტყვას „გამოსვლა" მოყვანილ მაგალითებში სხვადასხვა განხრა აქვს, მაგალითად: ივანე „ეზოში გამოვიდა" ეს არ ნიშნავს იმასვე, რასაც ნიშნავს „მატარებელი გამოვიდა", რადგან პირველ შემთხვევაში გამომსვლელს აქვს ფეხები და ისე გამოვიდა, ხოლო მეორე შემთხვევაში ფეხების ნაცვლად ბორბლები აქვს. მაგრამ ამის გარჩევა განმარტებითი ლექსიკონის საქმეა და არა თარგმნითი ლექსიკონისა. თარგმნითი ლექსიკონისთვის საკმარისია ის, რომ „გამოვიდა" ნიშნავს „**вышел**".

სარეცენზიო ლექსიკონში მრავალ სიტყვას აქვს ასეთი გადაჭარბებულად უხვი ფრაზეოლოგია, მაგალითად: „გაკეთება" **сделать** (3 ნიმუში). „დასასრული" **конец** (5 ნიმუში), აბა ნუ (7 ნიმუში), გაჩენა **появиться** (3 ნიმუში) და ბევრს სხვასაც, ხოლო ორ-ორი ნიმუში აუარებელ ბუდეს აქვს.

კერძოდ, სიტყვამ „ამნუსხავი" ლექსიკონში გამოიარა ასეთი პერიპეტიები: „**ამნუსხავი** 1. მიმღ., იხ. აღმნუსხავი"; „**აღმნუსხავი** 1. მიმღ. ზმნისაგან აღნუსხვა"; „**აღნუსხვა** 1. **составление описи. 2. описать**". მკითხველის ამდენ წვალებას, უფრო უპრიანი იქნებოდა პირდაპირ დაგვეწერა: „**ამნუსხავი**", აღმნუსხავი (მიმღ. ზმნისაგან აღნუსხვა (**составляющий**)—**ивший опись**".

2. ზედმეტი ან **არარსებული სიტყვები**. ქ. დათიკაშვილის ლექსიკონში მოყვანილი ზოგიერთი სიტყვა ზედმეტად მიგვაჩნია იმ საბუთით, რომ ეს სიტყვები არ მოიპოვება არც ერთ ჩვენთვის ცნობილ ლექსიკონში; არ მოიპოვება ის არც „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში" (1950-1951 წ. წ.).

ასეთი ზედმეტი სიტყვებია, მაგალითად:

„**აბანაკება**". ქართულში ეს სიტყვა არ იხმარება, და ლექსიკონში მოყვანილი „ააბანაკა", „აბანაკდნენ" გაუმართლებელი ნეოლოგიზმებია. არსებობს ზმნა „დაბანაკება" („აბანაკებს"), ხოლო რისი თქმაც სურს ჩვენს ავტორს, ისაა „ბანაკის აყრა" (ბანაკი აიყარა).

„**აბდვინვარება**" (ვნ. აბდვინვარდა) **затлеться** ასეთი ზმნა „განმარტებით ლექსიკონს" დამოწმებული არა აქვს. არის დამოწმებული „ბდვინვარება" და „ბდვინვარებს (მბდვინვარებს)" როგორც მოძველებული გარდაუვალი ზმნა (ნიშნავს „ბეუტავს"). დ. ჩუბინაშვილიც იცნობს მხოლოდ სიტყვას „ბდვინვა, ბდვინვარება" და არა „აბდვინვარება".

„**ავერანება** (ააერანა, ~~ავერანებდა, ააერანდა~~)". ასეთი სიტყვები ქართულში არ არსებობს; არის სიტყვა „გავერანება" და მისგან გვექნება: „გაავერანა, ავერანებდა, გავერანდა". ძირეული სიტყვისაგან „ვერანი" ქართულს არ გაუკეთებია ზმნა პრევერბით **ა** (აღ).

„**აბარბაცება**" I. (ააბარბაცა) (ბარბაცის დაწყებინება) **заставить зашататься**; 2. ვნ. **აბარბაცდა зашататься**. ქართულ ლიტერატურაში არ არის დადასტურებული „ბარბაცი"-დან გაკეთებული ზმნა **ა-პრევერბით**, იხმარება ან უპრევერბო ზმნა (გარდამავალი: აბარბაცებს, აბარბაცა), გარდუვალი: ბარბაცებს, იბარბაცა, ან **და**-პრევერბიანი (დაბარბაცებს, დაბარბაცდა). ის, რასაც ქ. დათიკაშვილი ეძახის „ბარბაცის დაწყებინებას", ეს არის სწორედ „აბარბაცებს". სრულიად მართებულად სარეცენზიო ლექსიკონში ყველა ეს წესიერი ფორმა მოთავსებულია სიტყვის ქვეშ „ბარბაცი" (იხ. გვ. 172).

„**ბალახობა**" (აბალახებდა) **пасти**". ფორმა „ბალახობა" ქართულში დადასტურებული არ არის. რომ ყოფილიყო ასეთი საწყისი ფორმა, მისგან გვექნებოდა „ბალახობს, ბალახობდა" (მსგავსად იმისა, რომ გვაქვს: „მეფობა, მეფობს, მეფობდა; ავაზაკობა, ავაზაკობს, ავაზაკობდა...") და არა „აბალახებდა". ამ უკანასკნელს, როგორც ჩანს, საწყის ფორმას ვერ მოვუწერთ ჯერჯერობით, სანამ ჩვენი ლექსიკოგრაფია ახალ რამეს მიაღწევდეს ამ მხრით. მანამ კი ასე უნდა მოვიქცეთ: „აბალახებს" მოთავსდეს ლექსიკონში **ანზე**, ხოლო „ბალახის" ბუდეში ბოლოს დაიწეროს: „შდრ. **აბალახებს**".

„**ბადება** I (**აბადია**, ებადა)"; „**ბადება** II (ბადა, ბადებდა, იბადებოდა, ებადებოდა)". არ არის სწორი, თითქოს ამ ორივე ზმნას საწყისად გამოადგება „ბადება", მიუხედავად იმისა, რომ ძირი ერთი და იგივე აქვთ („ბად"). რადგან პირველი ზმნა უადრესად არის გავრცელებული ქართულ მეტყველებაში **აბადია** — ფორმით (გარდაუვალი სტატიკური), ამიტომ ჯერჯერობით ერთადერთი სწორი გზაა „**ანზე** იქნეს მოთავსებული „**აბადია**" (ებადა). მისი მოთავსება „ბადება"-ზე არაფრით არ არის გამართლებული. („აბადია"-სთან დაკავშირებით გვაგონდება მისი სინონიმი „**გააჩნია**", რომელიც აგრეთვე ცალკეა მოსათავსებელი და რომელიც ქ. დათიკაშვილის ლექსიკონში სრულიად არ ჩანს).

„**აბრახუნება** (მოქმ. ააბრახუნა, ვნ. აბრახუნდა)". ქართულ მწერლობაში ასეთი ზმნა არ არის დადასტურებული (იხ. „განმარტებითი ლექსიკონი"). არის ზმნა „ბრახუნი, აბრახუნებს, აბრახუნა" და „დაბრახუნება, (და) აბრახუნებს, დააბრახუნა" (ეს ორივე ზმნა თავთავის ადგილას აქვს ქ. დათიკაშვილსაც). ფორმა „აბრახუნება" მართლა მოგვცემდა წყვეტილში მოქმ. „ააბრახუნა" და ვნ. „აბრახუნდა" და მისი **ზნიშვნელობა** იქნებოდა „ბრახუნის დაწყება", მაგრამ, როგორც ჩანს, ქართულს ასეთი, მოქმედების

დაწყების აღმნიშვნელი ზმნა არ გაუკეთებია: „ბრახუნის დაწყებას“ ასევე ამბობს ქართველი (აკ. ბელიაშვილი წერს: „კონტორის კარებს დაუწყო ბრახუნი“ და არა „კონტორის კარები ააბრახუნა“).

კიდევ უფრო უცნაურია ზმნა **„აბრდღვინვა** (ააბრდღვინა, აბრდღვინდა заставить рычать“ ქართული ენა ხმარობს ზმნას „ბრდღვინვა (ბრდღვინავს)“. ა-პრეფერბით ეს ზმნა ქართულს არ გაუკეთებია.

ზედმეტი ჩანს აგრეთვე **„აბრაწვა“**. ქართულში არის ზმნები: ბრაწვა, დაბრაწვა, შებრაწვა და არა „აბრაწვა“. ბუდეში მოყვანილი „ლოყები აებრაწა“ აგრეთვე ეჭვებს იწვევს: ამ აზრით ხმარობენ: ლოყები აეტკრიცა, ლოყები აელეწა, ან უფრო ახლოს: „ლოყები დაებრაწა“.

მართებული არ არის აგრეთვე მოყვანა სიტყვებისა: **„აბრეცა“, „აბრეცინება“**. ამ ზმნისაგან ქართულმა მხოლოდ სახელი გააკეთა ა-თავსართით („აბრეცა“: ტუჩების აბრეცით) და არა ზმნა. ზმნა არის „ბრეცს“ „დაბრეცს“, საიდანაც გვექნება „ბრიცა“ და „დაბრიცა“. რაც შეეხება კაუზატიურ ფორმას, გვაქვს „აბრეცინებს“, მაგრამ ამ უკანასკნელისაგან საწყისი იქნებოდა „ბრეცინება“ (რაც ენას არ გაუკეთებია) და არა „აბრეცინება“ (შდრ. „აყიდვინებს“, მაგრამ არ არსებობს „აყიდვინება“). ეს, რასაკვირველია, კარგად იცის ქ. დათიკაშვილმა და იმას არც ჰგონია, რომ „აბრეცინებს“ გაიკეთებს საწყისს „აბრეცინება“. „აბრეცინება-“სთან მან გააკეთა (თუმცა არარსებული) ფორმალურ-გრამატიკულად **სწორი ფორმა: ააბრეცინა.**

ასევე უმართებულოდ არის მოყვანილი საწყისი ფორმები: აღევნა, აკლაკნა, აკნატუნება, აწკლაპუნება, აწკლატუნება. აქედან ცხადია, რომ ავტორმა უნდა გადასინჯოს თავისი შეხედულება ა-პრეფერბიან სიტყვებზე.

ზედმეტად მიგვაჩნია ლექსიკონში ისეთი სიტყვების მოთავსება, როგორიც არის „ადრეც“, „ამანაც“. ასეთივე უფლება აქვთ, მოთავსებული იყვნენ: გვიანაც, **ამასაც**, **იმასაც**, იმათაც, კაციც, ქალიც, ქვაც და, ერთი სიტყვით, ყველა სახელს **აქვს** უფლება დაირთოს ნაწილაკი **ც**, მაგრამ ლექსიკონში მოთავსება, რასაკვირველია, საჭირო არ არის, რადგან თავის ადგილას **ც** ნაწილაკი იქნება ახსნილი. საჭირო იქნება ლექსიკონში ცალკე ბუდე დაეთმოს ისეთ **ც** ნაწილაკიან სიტყვებს, რომლებიც უამნაწილაკოდ არ იხმარება, მაგალითად: მიმართებითი ნაცვალსახელები „რაც“, „რომელიც“, მიმართებითი ზმნიზედა „სადაც“, და ზოგიერთი სხვაც („რაღაც“, „რომელღაც“, „რატომაც“...).

არ იყო აგრეთვე საჭირო ცალკე ბუდეებად შეტანა თავსართებისა **ამ-, გამ-, დამ-** (ე. ი. პრეფერბები **ა, გა, და** და მიმღეობის მაწარმოებელი **მ**), **ანა-, განა-, დანა-, გადანა** (ე. ი. მიმღეობის მაწარმოებელი **ნ**), რადგან, თუ ასე ფართოდ გავიგებთ თარგმნითი ლექსიკონის დანიშნულებას, მაშინ უნდა შევიტანოთ **ალმ, გადამ, გარდამ, ანდა, გარდანა,** და სხვებიც.

3. ერთი სიტყვიდან მეორე სიტყვაზე მითითებას, საერთოდ, ლექსიკონებში ჯეროვანი ადგილი აქვს დათმობილი. მითითება გამოწვეულია ხოლმე სიტყვების ფორმათა ნათესაობით. მაგალითად, რუსულ თარგმნით ლექსიკონში მიღებულია. **вскакивать, см. вскочить** და თარგმნილია ხოლმე ეს უკანასკნელი, ფრაზეოლოგიაც აქ არის მოყვანილი, ე. ი. ზმნა ახსნილია მხოლოდ მისი სრული ასპექტის ფორმით. უსრული ფორმა კი მკითხველმა სრულის მიხედვით უნდა გაიგოს. მაგრამ ყოველგვარ მონათესავე სიტყვებს ვერ მოვათავსებთ მხოლოდ ერთი მათგანის მოყვანით (უთარგმნელად) და მეორეზე მითითებით. რუსულ-გერმანულ ლექსიკონებში, მაგალითად, თუმცა **зрелый** და **спелый** ერთისა და იმავე მნიშვნელობისაა, მაგრამ ორივეს წერენ ცალ-ცალკე: **зрелый reif, спелый reif,** და არა **зрелый см. спелый“.** ქ. დათიკაშვილი ხშირად იყენებს მითითებას, მაგალითად **„ბორკილშეყრილი, იხ. ბორკილგაყრილი“** (და თარგმნილია მხოლოდ ეს უკანასკნელი), „დე. იხ. დაე“ და სხვ. მაგრამ არაფრით არ არის გამართლებული ასეთი დაწერა: „გაკვამლვა, იხ. გაჭვარტლვა“, და „გაკვამლვა“ რუსულად თარგმნილი არაა. მაშასადამე, იგი ყოველთვის უნდა ვთარგმნოთ ისე, როგორც ლექსიკონში გადათარგმნილია „გაჭვარტლვა“. თუ ლექსიკონში მოცემულ განმარტებებს დავუჯერებთ, ე. ი. რომ „გაკვამლვა“-ს გასაგებად საკმარისია ვიხილოთ „გაჭვარტლვა“-ზე მოთავსებული თარგმანები, მაშინ ხომ წინადადება „ამისთვის უნდა **გაჭვარტლოთ** შუშა **для этого вы должны закоптить стекло“** შეიძლება შესცვალოთ წინადადებით „ამისათვის უნდა **გაკვამლოთ** შუშა“ და თარგმანიც იგივე დარჩება, რაც, რასაკვირველია, შეუსაბამობაა.

4. მთელ რიგ სიტყვებს რუსული თარგმანი არა აქვს მიწერილი და პირდაპირ ფრაზების საშუალებით არის განმარტებული, მაგალითად: **„გაკაშკაშებული** 1. მიმღ. ზმნისაგან გაკაშკაშებ.; მთვარისაგან გ. ბული **озаренный луной сад“** რასაკვირველია, ყოველ ენაში არის ისეთი სპეციფიკური სიტყვები, რომელთა გადათარგმნა სხვა ენაზე არ ხერხდება, მაგალითად: გეთაყვა, გენაცვალე. მაგრამ რა უშლის ხელს, რომ „გაკაშკაშებული“ (გვ. 299) ითარგმნოს **озаренный, залитый светом,** თუკი „გაკაშკაშება“ არის **озарить, залить свет.** ასევე არა აქვს მოწერილი თარგმანი სიტყვებს: ავარცხნილი, ამკრეფი, ამნუსხავი, გაკერანებული 1. გაკეთებული 1, გაკვერილი, გაკოხტავება 1. გაკოხტავებული 1, გაკრიალებული, გაკრული, გალამაზება 1, გალაღება 1. გალაღებული 1, გალაჯული, გალეული 1, და სხვ.

როგორც წესი, ენებითი გვარის მყოფადის მიმღეობას არასდროს არ უწერია თარგმანი, თარგმნილია მხოლოდ ფრანაში: „გასაყიდი 1. მიმღ. ზმნისაგან გაყიდვა; რამდენიმე ფუთი ჰქონდათ გ. им нужно было продать несколько пудов". ჩვენის აზრით, თარგმანი უნდა იტნეს მოცემული იქვე: გასაყიდი подлежащий продаже" და მერე ფრაზა. ასევე იქნება: „გასავრცელებელი подлежащий распространению"; „გასაცვლელი подлежащий обмену" და ა. შ. შესაძლებელია სიტყვამ ყოველთვის არ მოიხდინოს სხვა ამის მსგავსი (предназначенный для продажи ან სხვ.).

რაკი მიმღეობებზე ჩამოვარდა ლაპარაკი, ვთქვათ მესამე მიმღეობაზედაც, მოქმედებითი გვარის მიმღეობაზე (გამკეთებელი, გამვლელი, გამყოლი...). ამასაც, როგორც წესი, არასდროს არ უწერია რუსული თარგმანი, ძალიან ხშირად არც ფრაზაა მოყვანილი. მაგალითად: „დამკვრელი 1. მიმღ. ზმნისაგან დაკვრა", „დამლაგებელი 1. მიმღ. ზმნისაგან დალაგება", „დამნგრევი 1. მიმღ. ზმნისაგან დანგრევა", „დამმარცხებელი 1. მიმღ. ზმნისაგან დამარცხება" (არც ერთ ამ შემთხვევაში ფრაზითაც არ არის ნათელყოფილი რუსული მნიშვნელობა). რა უშლის ხელს, რომ დაიწეროთ: დამკვრელი (მიმღ. ზმნისაგან დაკარგვა, იხ. ударяющий; დამნგრევი (მიმღ...) разрушающий და სხვ.?

მაგრამ ამ უკანასკნელი მიმღეობის შესახებ ჩვენ სხვა რამეც გვაქვს სათქმელი. სარეცენზიო ლექსიკონში მოქმედებითი გვარის მიმღეობას ყოველდვის უწერია: п. д. н. е. и. причастие действ. з. наст. вр. ეს კი არავითარ შემთხვევაში სინამდვილეს არ შეეფერება. მართალია, წინათ ქართულ გრამატიკებში ასე იყო გაგებული, თითქოს „დამკვრელი" იყო აწმყო დროის მიმღეობა, თუმცა ყველა ის, ვისაც სხვა ენებიდან ქართულ ენაზე უთარგმნია, გრძნობდა, რომ ეს მიმღეობა მოქმედებითი გვარისა მარტო აწმყო დროის გაგებას კი არ შეიცავდა, არამედ წარსულისასაც და, წარმოიდგინეთ, მყოფადისასაც. დღეს უკვე ა. შანიძის ავტორიტეტულმა განმარტებამ („ქართული გრამატიკის საფუძვლები", თბ., 1953, გვ. 589) საბოლოოდ გაჰფანტა ყოველგვარი ეჭვები ამის თაობაზე. აკ. შანიძე. წერს: „მოქმედებითი გვარის მიმღეობას, ენებითი გვარის მიმღეობისაგან განსხვავებით, დროს გაგება არა აქვს: გამყიდველია არა მარტო ის, ვინც გაყიდა, არამედ ისიც, ვინც ყიდის ან გაყიდის". მართლაც, ჩვენ ხშირად ვიყენებთ ამ მიმღეობას ყოველდღიურ მეტყველებაში და ვთარგმნით ასე: „строивший это здание инженер ამ შენობის ამგები ინჟინერი", ე. ი. რუსულ მიმღეობას წარსული დროისას ვთარგმნით იმ მიმღეობით, რომელსაც ქ. დათიკაშვილის ლექსიკონში ეწოდება „აწმყო დროის მიმღეობა". ძაშასადამე, ამ მიმღეობას [illegible] „მოქმ. გვარის მიმღეობა", [illegible] ლად. ქ. დათიკაშვილსაც ჰქონია იმის შეგრძნება, რომ ეს არ არის მხოლოდ აწმყო დროის მიმღეობა და, თუმცა ყველა ამგვარ მიმღეობას გვერდში უწერს „მიმღ. აწმყო", მაგრამ ორგან განმარტებაში უწერია (გვ. 308): „გამ შესდგება თავსართისაგან გა და პრეფიქსისაგან მ, რომელიც გამოხატავს მოქმედებითი გვარის აწმყო დროის ან მყოფადის მიმღეობასო" (იხ. აგრეთვე გვ. 44, ამ).

5. დასასრულ, მივუთითებთ ზოგიერთ აშკარა შეცდომაზე.

1) ლექსიკონის დასაწყისში მოყვანილია „ქართული ანბანი", სადაც ქართულ ასოთა სახელწოდებებიც არის მოცემული: ორი ასოს სახელწოდება მცდარად არის ნაჩვენები: შ შენ, წ წინ; სინამდვილეში კი მათი სახელწოდები არის: შინ და წილ.

2) გვ. 21: არის მოყვანილი სიტყვები: ავ-კარგი, ავკარგიანობა, ავკარგობა, ხოლო გამოტოვებულია „ავკარგიანი", რომელიც აგრეთვე ხშირად იხმარება, ყოველშემთხვევაში, უფრო ხშირად, ვიდრე „ავკარგობა".

3) გვ. 255: გადაქცევა 11. ამ ბუდეში მოყვანილ ფრაზათაგან მხოლოდ უკანასკნელია მართებული („სხვენად გადაიქცა"). დანარჩენი ფრაზები ამ ბუდეს არ შეეფერება: „მიწისძვრამ ქალაქი ნანგრევებად აქცია", „ნაკუწ-ნაკუწად აქცია". ამ გამოთქმებში „აქცია" არ ეკუთვნის ზმნას „გადაქცევა". აქცევს, აქცია, უქცევია — ამ ფორმებს იყენებენ ზმნები: ქცევა, წაქცევა, დაქცევა, გაქცევა (გააქცევს), მიქცევა (მიაქცევს ყურადღებას), შექცევა (იხ. „ქართ. ენის განმარტ. ლ."). ზმნა „გადაიქცევა" არ იხდენს უპირველესობა ფორმებს. რომ ლექსიკონში მოყვანილი მაგალითები სწორი იყოს, მაშინ ხომ უნდა იყოს შესაძლებელი, ვთქვათ: „ქალაქის გადაქცევა ნანგრევებად", „ნაკუწ-ნაკუწად გადაქცევა". სინამდვილეში კი, თუ მოვისურვებთ ამ გამოთქმების ხმარებას საწყისი ფორმით, მაშინ შეიძლება ვთქვათ მხოლოდ ასე: „ნანგრევებად ქცევა" (და არა: გადაქცევა), „ნაკუწ-ნაკუწად ქცევა" (და არა: გადაქცევა),

4) გვ. 235: გადათოვლილი. არ არის სწორი, თითქოს ამ სიტყვას მარტო ერთი მნიშვნელობა ჰქონდეს: „თოვლით დაფარული". უფრო ხშირად იხმარება „გადათოვლილი" როგორც „თოვლისაგან გადაწმენდილი". „გადათოვლილი" ნაწარმოებია ორი სხვადასხვა მნიშვნელობის ზმნისაგან: 1. გადათოვლა (გადათოვლავს — სახურავიდან თოვლს გადაყრის), აქედან მიმღეობა „გადათოვლილი"; 2. გადათოვს (თოვლით დაფარავს). აქედან მიმღეობა „გადათოვლილი".

როგორც ჩანს, ქ. დათიკაშვილს ავიწყდება ამ სიტყვის ძირითადი მნიშვნელობა („თოვლისაგან გაწმენდა"); მას სრულიად გამოტოვებული

აქვს აგრთევე სიტყვა „გადათოვლა“.

5) გვ. 523: **დათოვლა.** ამ სიტყვასთან მოყვანილია როგორც ზმნის ფორმები: დათოვა, **თოვდა.** სიტყვა **„თოვდა“** არის ნამყო უწყვეტელი ზმნისაგან „თოვს“ და არა ზმნისაგან „დათოვლა“ (თუ „დათოვა“).

ვერ მოვიწონებთ ზოგიერთ თარგმანსაც:

1) გვ. 299: **„გაკეთება** (ჩაისა და მისთ. დასხმა) **наливать“** ჩვეულებრივ ხმარებაში არის „ჩაი დამისხი, ყავა დაუსხი...“ და არა **„ჩაი გამიკეთე, ყავა გააკეთე“.** თუ ამ უკანასკნელ გამოთქმას ვიხმართ, ის უფრო იქნება **„заварить чай, заварить кофе“.**

2) გვ. 299: **„ზოგს მორყეული ტარი გაუკეთა починил у некоторых расшатанные ручки“.** ერთადერთი გაგება ქართული წინადადებისა მხოლოდ ის შეიძლება იყოს, რომ გამკეთებელს, იმის მაგიერ, რომ კარგი ტარი გაეკეთებინა, მორყეული ტარი გაუკეთებია, და არა ის, რაც რუსულ თარგმანშია.

3) გვ. 31: **„აკვლება,** ბოტან. **стрелкование** ჭარხლის ა. **стрелкование свеклы** ბუდეში მეტი არაფერი წერია. გაუგებრობას იწვევს შემდეგი გარემოება: სიტყვის თარგმანში ერთი წერია, ხოლო მოყვანილ ფრაზაში სხვა მნიშვნელობა უწერია. უშაკოვის ოთხტომიან **ლექსიკონში** არც კი არის სიტყვა **стрелкование.**

გაუმართლებელი ჩანს ზოგიერთი ქართული გამოთქმაც:

1) გვ. 413: **„გაუმჭვირი непрозрачный** „გაუმჭვირი“ არ არის ცოცხალი ქართული სიტყვა. მართალია, 1935 წელს **ტექნიკურ ტერმინოლოგიაში** შეიტანეს ეს სიტყვა, თან მიუწერეს პარალელურ ფორმად „უმჭვირი“; 1937 წელს უნივერსიტეტის დიდ ლექსიკონშიც გადაიტანეს იგი, მაგრამ სიტყვახმარებაში იგი ვერ დამკვიდრდა. 1951 წლის „განმარტებით ლექსიკონში“ ვერც ერთი შემთხვევა ვერ დაადასტურეს, რომ ქართულ მწერლობაში იგი ეხმარათ. ჩანს, ჯერჯერობით უნდა დავტოვოთ ისე, როგორც ყოველდღიურ მეტყველებაში ვხმარობთ: „გამჭვირვალე“ და **„არაგამჭვირვალე“.**

2) გვ. 678: **„დიდტანიანი большой, большого роста.** (დიდი ტანისა: ადამიანი); **დ. წიგნი“.** ადამიანზე ითქმის „დიდი ტანისა“. მაგრამ ამ მნიშვნელობით არ ამბობენ „დიდტანიანი ადამიანი“, ასე რომ **человек большого роста** არ შეიძლება ვთქვათ „დიდტანიანი ადამიანი“. ეს ტერმინი **დაუმკვიდრდა „წიგნს“** (დიდტანიანი წიგნი).

3) გვ. 212: „ხალიჩები **გაბერტყეს“.** უნდა ითქვას: „ხალიჩები დაბერტყეს“. ჩვენს ავტორს ძალიან კარგად მოეხსენება, რომ პრევერბ **და**-ს სხვა მნიშვნელობათა გარდა ობიექტის **სიმრავლის** აღნიშვნის ფუნქციაც აქვს. თვით სარეცენზიო ლექსიკონში საგანგებო ნიშნითაც (0) არის აღნიშნული ის ზმნები, რომელთა მოქმედება სიმრავლეს გამოხატავს (დათხრა, დაბერვა, **დახევა, დაქყლეტა...**); ზოგჯერ ავტორი **უწერს** კიდევაც: ბევრისა, მრავლისა, ბევრ ალაგას **და** სხვა, **და** დასაპირისპირებლად მეტითებს **იმ** ზმნაზე, **რომლის** მოქმედება მრავალ ობიექტს **კი** არ ეხება არამედ ერთს, მაგალითად: **„დაქყლეტა...** იხ. **გაქყლეტა“,** დარეცხვა... იხ. **გარეცხვა“.** ბუდეებში შესაფერისი ფრაზებიც მოქყავს: **„ხალხს** მუცლები **დაებერა“** (მაგრამ ივანეს **„გაებერა** მუცელი“). თუ ეს ასეა, მაშინ გვ. 488, სადაც **განმარტებულია** და-პრევერბის ორი მნიშვნელობა, **უნდა** შეივსოს მესამე მნიშვნელობითაც, სახელდობრ, **რომ „და** გამოხატავს ობიექტის **სიმრავლეს“. უნდა** დაზუსტდეს აგრეთვე წინასიტყვაობაში **მოცემული** განმარტება (გვ. XI): „ეს ეხება **„იმ ზმნებს,** რომელთა **მოქმედება მოქმედთა** სიმრავლეს გამოხატავსო“; „მოქმედთა“ კი არა, **არამედ „ობიექტის“** სიმრავლეს გამოხატავს (**გამონაკლისს** შეადგენს ვნებითი გვარის ზმნები, **რომ**ლებთანაც **და** დაკავშირებულია **სუბიექტის სიმ**რავლესთან: „ბავშვები დაიზარდნენ“, მოქმ. „ბავშვები **დაზარდა“**).

რასაკვირველია, „ხალიჩების **გაბერტყვა“** შეცდომად **არ** ჩაითვლება. ა. **შ**ანიძე („საფუძვლები“, **გვ.** 265). **აღნიშნავს,** რომ **საფუძველი და ზმ**ნისწინის **შ**ენაცვლებისა **ს**აზოგადოდ **უკვე** შერყეულია, **მ**აგრამ **ა**ღმოსავლურ **კ**ილოებში **ი**ს **მ**კვიდრად **ა**რის. **რ**ამდენადაც **ა**ღმოსავლური **კ**ილოები **ს**აფუძვლად **უ**დევს **ჩ**ვენს **ს**ალიტერატურო **ე**ნას (**და** დასავლური **კ**ილოებისთვისაც **ა**რც **ი**სე **უ**ცხოა **ი**სეთი **ზ**მნების **ხ**მარება, **რ**ოგორიცაა, **მ**აგალითად: **დ**ალანძღა, **დ**აცხო, **დ**ახერხა...), **ა**მიტომ **ა**რ **ა**რის **ს**აჭირო **წ**ინ **გ**ავუსწროთ **შ**ერყეული **ხ**მარების **მ**ოსალოდნელ **შ**ედეგებს **დ**ა **შ**ევკვეცოთ **დ**ა **პ**რევერბის **ხ**მარება **ა**მ **მ**ნიშვნელობით. **ა**სეთი **გ**არჩევა **ო**ბიექტის **ს**იმრავლისა **ზ**მნასთან **ე**ნის **ს**იმდიდრის **მ**ომასწავებელია **დ**ა **ა**რ **ი**ქნება **მ**იზანშეწონილი **მ**ისი **უ**გულებელყოფა. ქ. **დ**ათიკაშვილის „**ლ**ექსიკონი“ **უ**ნდა **შ**ეივსოს **დ**ა **პ**რევერბიანი **ს**იტყვებით. **მ**ას **ა**კლია, **მ**აგალითად: **დ**ალესვა („**დ**ანა **გ**ალესა“, **მ**აგრამ „**დ**ანები **დ**ალესა“), **დ**ახერხვა („**ფ**იცარი **გ**ახერხა“, **მ**აგრამ „**შ**ეშა **დ**ახერხა“) **დ**ა **ს**ხვ.

რამდენიმე **შ**ენიშვნა **ტ**ექნიკური **ხ**ასიათისა:

1) **ს**არეცენზიო **ლ**ექსიკონში **ქ**ართული **ზ**მნა **მ**ოყვანილია **ხ**ოლმე **ნ**ამყო **წ**ყვეტილისა **დ**ა **ნ**ამყო **უ**წყვეტლის **მ**ესამე **პ**ირის **ფ**ორმით: „**გ**აკეთება, **გ**ააკეთა, **ა**კეთებდა“. **ა**რაფრით **ა**რ **ა**რის **გ**ამართლებული **ი**მ **ს**აყოველთაოდ **მ**იღებული **წ**ესის **შ**ეცვლა, **რ**ომელიც **ყ**ოველ **ქ**ართველს **შ**ეთვისებული **ა**ქვს **ს**ასკოლო **ა**საკშივე. **ე**ს **ი**ს **წ**ესია, **რ**ომელიც **გ**ვეუბნება, **რ**ომ **ქ**ართული **ზ**მნა **ს**ამი **ს**ერიით **ა**რის **წ**არმოდგენილი: **წ**ერს, **დ**აწერა, **დ**აუწერია. **დ**ა **რ**ოდესაც **ს**აჭირო **დ**ა**ს**ახელო **ზ**მნის **ძ**ირითადი **ფ**ორმები, **უ**ნდა **მ**ოიყვანო **ა**წმყო: „**წ**ერს“ (**დ**ა **ა**რა **მ**ისგან **ნ**აწარმოები **ნ**ამყო **უ**წყვეტელი „**წ**ერდა“), **ნ**ამყო **წ**ყვ. „**დ**აწერა“ **დ**ა **თ**ურმეობითი „**დ**აუწერია“. **ა**სე **რ**ომ **ქ**. **დ**ათიკაშვილისთვისაც **ს**ავალდებუ-

ლო უნდა იყოს მის მიერ შედგენილ სახელმძღვანელოში, „ქართულ-რუსულ ლექსიკონში“, წეროს: „გაკეთება, აკეთებს, გააკეთა“, ე. ი. წეროს ისე, როგორც მიღებულია ქართული ენის გრამატიკის სახელმძღვანელოებში და ყველა ლექსიკონში (დ. ჩუბინაშვილსაც აწმყოს ფორმით მოჰყავს ზმნა, ხოლო პირველ პირში და არა მესამეში).

2) ზოგან სტატიას შემოკლებია მჭევრმახვილიანი რუსული ə და უხმარია მძიმე მახვილიანი, რადგან ლექსიკონში ყოველგვარ ნიშანს თავისი მნიშვნელობა აქვს, ამიტომ მკითხველი ერთბაშად ვერც კი მიხვდება, რომ კორექტურული შეცდომაა. წერია: гениа́льный, მაგრამ гениа́лен (გვ. 472). მკითხველი იფიქრებს, რომ პრედიკატულ ზედსართავს მახვილი სხვანაირი აქვს. ეს აღრევა მახვილისა მთელ წიგნს გასდევს თავიდან ბოლომდე.

3) თუ მეორე მუხლში მოხსენებული შემთხვევა პოლიგრაფიული სიძნელით არის გამოწვეული, უკვე ავტორის პირად ინიციატივას უნდა მიეწეროს ის, რომ ბუდეების დამთავრებისას წერტილი არ უწერია. არათუ ბუდის გათავებისას, არამედ მთელი ასო გათავდა, მაგალითად, და თუმცა ამ ასოს სიტყვებზე მსჯელობა 280 გვერდს შეიცავს, მაგრამ წერტილი ბოლოში მაინც არ უწერია. კიდევ მეტი: თავდება მთელი I ტომი ქ. დათიკაშვილის ლექსიკონისა, ე. ი. თავდება დ-ასო (გვ. 684) და ბოლოში წერტილი მაინც არ უზის.

ამრიგად, ახლახან გამოსულ „ქართულ-რუსულ ლექსიკონს“ გააჩნია ზოგიერთი ნაკლოვანება: ფრაზეოლოგია გადატვირთულია, ძოიპოვება არარსებული, ხელოვნური სიტყვები, რომელთა განმარტებასაც გამოჰკიდებია ავტორი, რიგ სიტყვებს რუსული თარგმანი არა აქვს მიწერილი და პირდაპირ ფრაზების საშუალებით არის ახსნილი, გვხვდება შეცდომები განსამარტავ სიტყვათა გრამატიკულ დახასიათებებშიც. გაუმართლებელია ზოგიერთი ქართული გამოთქმა, არის ზოგიერთი ტექნიკური ხასიათის ნაკლიც.

ვფიქრობთ, ავტორი გაითვალისწინებს ჩვენს შენიშვნებს წიგნის შემდგომს გამოცემაში.

მიუხედავად ზემოაღნიშნული შენიშვნებისა, ქეთევან დათიკაშვილის „ქართულ-რუსული ლექსიკონი“ საფუძვლიანი და სერიოზული ნაშრომია. ავტორის ღრმა ცოდნა რუსული ენისა, მშვენიერი ალღო ქართულ გამოთქმათა ნიუანსებში გარკვევისა, დაუშრეტელი ენერგია და უანგარო სიყვარული ლექსიკოლოგიური მუშაობისადმი იყო ის მთავარი ფაქტორები, რომლებმაც შეაძლებინეს ერთ ადამიანს კეთილსინდისიერად მოევლო ზღვა მასალისათვის და გაემდიდრებინა ჩვენი ლექსიკოგრაფიული ლიტერატურა საჭირო სახელმძღვანელოთი.

ზოთა ძიძიგური
ს. გუგუშვილი

წიგნი მეგობრობისა *

★

რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის აღნიშვნა საბჭოთა კავშირში შემავალი ხალხებისათვის დიდი ისტორიული მნიშვნელობის მქონე მოვლენად იქცა.

ეს საყოველთაო ზეიმი შედეგია ლენინურ-სტალინური ეროვნული პოლიტიკისა, რომელმაც უზრუნველყო საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობა და თანამშრომლობა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების თანასწორუფლებიან ძმურ ოჯახში.

უკრაინელ და ქართველ ხალხებს ერთმანეთთან აკავშირებს ურღვევი მარადიული მეგობრობა, რომლის ისტორიულ ფესვებს შორეული წარსულისაკენ მივყავართ. სხვა მოძმე ხალხებთან ერთად ქართველი ხალხი რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავს ზეიმობს, როგორც ეროვნულ დღესასწაულს. ამ სახელოვან თარიღს უდიდესი პატრიოტული აღფრთოვანებით აღნიშნავენ ჩვენი რესპუბლიკის მეშახტეები და კოლმეურნენი, მეცნიერებისა და ხელოვნების მუშაკები.

* „საბჭოთა უკრაინას—ქართველი მწერლები“; სახელგამი. 1954.

რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავს ქართველმა საბჭოთა მწერლებმა მიუძღვნეს დიდი კრებული „საბჭოთა უკრაინას“ — ქართველი მწერლები“. ამ კრებულში მოთავსებულია საუკეთესო ნაწარმოებები (ლექსები, მოთხრობები, ნარკვევები), რაც კი შეუქმნიათ ქართველ საბჭოთა მწერლებს დიდი რუსი ხალხის, უკრაინელი, ქართველი და სხვა მოძმე ხალხების მეგობრობაზე, ერთად მოპოვებულ წარმატებებსა და გამარჯვებებზე, ერთად გადატანილ ბრძოლებსა და სიძნელეებზე.

კრებულში მოთავსებული მასალით მკითხველს შეუძლია წარმოიდგინოს ის ისტორიული გზა, რაც დიდ რუს ხალხთან ერთად გაუვლიათ უკრაინელ და ქართველ ხალხებს.

პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ის ნაწარმოებები, რომლებიც აგვიწერენ უკრაინისა და საქართველოს დიდ რუსეთთან შეერთების ისტორიულ მოვლენებს.

პოეტი გრ. აბაშიძე ლექსში „ისტორიის გაკეთილი“ ეხება ამ ფაქტს, იგონებს წარსულს, როცა მოსისხლე მტრებთან ბრძოლით დაუძლურებულმა საქართველომ თავისი ბედი რუსეთს დაუკავშირა:

შუქი რომ აღარ გაჩნდა ნათლისა,
ჩარხი რომ აღარ დაბრუნდა წალმა,
რუსეთს მიანდო ბედი ქართლისა
მკვლავმოუღლელმა პატარა კახხმა.

მე-16 საუკუნეში უკრაინა შლიახტური პოლონეთის უღელქვეშ მოექცა. პოლონეთის მაგნატებისაგან უკრაინელი გლეხობა სასტიკ ექსპლოატაციასა და ეროვნულ დამცირებას განიცდიდა. უკრაინელმა ხალხმა მჩაგვრელების წინააღმდეგ განმათავისუფლებელი ომი დაიწყო და გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწისა და მხედართმთავრის ბოგდან ხმელნიცკის მეთაურობით თავისი ბედი დიდ რუსეთს დაუკავშირა.

პოეტი იასამანი ლექსში „პერეიასლავის რადა“ აღნიშნავს ბოგდან ხმელნიცკის ისტორიულ დამსახურებას და ამბობს:

მოიხსნება საუკუნოთ უკუნისამდე,
ვინც ხალხის ბედი სანდო ხელებს
მტკიცედ გადასცა.

შემდეგ კრებულში მოთავსებულია იმ რევოლუციური ბრძოლის ამსახველი ნაწარმოებები (ი. ლისაშვილის „კეცხოველი“, გ. ქუჩიშვილის, გრ. აბაშიძისა და სხვ. ლექსები), რომელსაც დიდ რუს ხალხთან ერთად აწარმოებდნენ უკრაინელი და ქართველი ხალხები ცარიზმის წინააღმდეგ.

პოეტი გიორგი ქუჩიშვილი ლექსში „უკრაინა და საქართველო“ ასე უმღერის ხალხთა განთავისუფლების მებრძოლთ:

ჩვენ ძმები ვართ!
ჭირიც, ლხინიც
ერთად ვზიდეთ,
ერთად ვნახეთ,
უღელში თუ ბორკილებში
ერთნაირად ვივაგლახეთ,
ენას გვჭრიდნენ,
სულსა გვხდიდნენ,
გვმარხავდნენ და ვერ დაგვმარხეს.
დიდ რუსეთის ხალხთან ერთად
ფრთა შეესხა
ჩვენს ფიქრ-ზრახვებს.
. . . . . .
და მონობა საზიზღარი
სამუდამოდ ძირს დავამხეთ.

კრებულში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი დიდ სამამულო ომს. პოეტები უმღერიან საბჭოთა პატრიოტიზმს, გმირულ თავდადებას, გამძლეობას, მეგობრობას, რაც საბჭოთა ხალხებმა გამოიჩინეს ვერაგ მტრებთან ბრძოლაში — ფრონტსა თუ საკოლმეურნეო მინდვრებზე, ტრანსპორტსა თუ ფაბრიკა-ქარხნებში; ადიდებენ გმირებს, რომლებმაც საბჭოთა ქვეყნის განთავისუფლებას თავი შესწირეს; მათ რიცხვს ეკუთვნის საბჭოთა კავშირის გმირი გოგიჩაიშვილი, რომელსაც პოეტი ასე მიმართავს:

შენ უკრაინამ მკერდში ჩაგიკრა,
კიევის ბაღში წევხარ ქართველი.
თვალის სინათლე კი არ ჩაგიქრა,
ძმობას აუნთე, როგორც სანთელი.
(ს. ჩიქოვანი).

პოეტები მოუწოდებენ ხალხს ფაშისტთა ურდოების გასანადგურებლად და აღაფრთოვანებენ მას ბრძოლისათვის:

დიდი ტარასის ძახილი ისმის
და მტრის ურდოზე დგება ღრუბლებად;
ზოპოროჟელნო, დასცხეთ მოსისხლეს,
ქართული მიწა ბანს გეუბნებათ.
(ილო მოსაშვილი).

საბჭოთა კავშირის გმირს დავით ბაქრაძეს პოეტი ალ. აბაშელი ასე მიმართავს:

ვინც მოხუცებს და ბავშვებს ყაჩაღურად
ესხმოდა,
დაჰკარი და მისდიე მის უწმინდურ მიწამდი.
დნეპრის წყალთა ჩქრიალში მტკვრის
გუგუნი გესმოდა,
გმირულ უკრაინაში საქართველოს იცავდი.

ამ გმირული ბრძოლის შესახებ ამაღელვებლად მოგვითხრობს თვით დავით ბაქრაძე თავის ნაწარმოებში „გმირთა სისხლით“.

სამამულო ომის ფრონტისა და ზურგის სურათებს გვიხატავენ ჩვენი ბელეტრისტები: ა. ბელიაშვილი, ა. ქუთათელი, დ. შენგელაია, მ. გარიყული, რ. გვეტაძე, ნ. დოლიძე, თ. დონეაშვილი, რ. ქორქია, გრ. ჩიქოვანი და სხვ. მათ ნაწარმოებებით ვეცნობით საბჭოთა ხალხების შვილთა გმირობას, მათ ძმურ სიყვარულს, იმ მზრუნველობას, რომელსაც ქართველი კოლმეურნენი იჩენენ ომით გაპარტახებული და ლტოლვილი უკრაინელი კოლმეურნეთა მიმართ, იმ ურყევი მეგობრობის მაგალითებს, რომელიც სამამულო ომის ქარიშხლიან დღეებში კიდევ უფრო განმტკიცდა.

კრებულს გადავყავართ აგრეთვე ომისშემდგომ პერიოდში როდესაც გამარჯვებული საბჭოთა ხალხი შეუდგა მტრის მიერ განადგურებული სოფლებისა და ქალაქების აღდგენას. მშვიდობიან პირობებშიც საბჭოთა მშრომელების ისეთსავე თავდადებასა და გმირობას, მოძმე ხალხთა სიყვარულს ვხედავთ, როგორც ომის დროს.

ომის დროს საქართველოში თავშეფარებულ კოლმეურნეებს, რომლებიც ფაშისტებისაგან განთავისუფლებულ თავიანთ მიწაწყალს უბრუნდებიან, პოეტი ა. მირცხულავა გულმხურვალედ ულოცავს გზას:

მიხვალთ, სტოვებთ საქართველოს,
გზას გილოცავთ, ნახვამდის,
დაუბრუნდით მშობელ მხარეს,
გაიხარეთ, აყვავდით“.

ე. ზედგინიძე და მ. ასათიანი თავიანთ მოთხრობებში, გ. შატბერაშვილი და ა. ჭეიშვილი ნარკვევებში გვესაუბრებიან საბჭოთა უკრაინის დიდ მშენებლობათა შესახებ და ამ მშენებლობაში ქართველი ხალხის შვილთა მონაწილეობაზე.

ამ მშენებლობას დიდი აღფრთოვანებით უმღერიან ჩვენი პოეტები:

მე აქ ვუმღერი, მე აქ ვუმღერი,
იმ დიდ კაშხალებს, ცამდე აწვდილებს,

ვარ დაუცლელი, ვარ დაუღლელი,
დიად ბუნების ვარ მონაწილე.
(ირ. აბაშიძე).

ქარგია, საკუთარი ფარგალს გადასცდე:
ნაყოფის სიამე მოძმესაც გადასცე.
(ი. გრიშაშვილი).

ტარას შევჩენკო, აკაკი წერეთელი, ლესია უკრაინკა, დ. გურამიშვილი — უმკნობი სახელებია, რომლებიც უკრაინელი და ქართველი ხალხის მარადიული მეგობრობის სიმბოლოდ იქცა. ქართველ პოეტებს არა ერთი ლექსი შეუქმნიათ ნათ სადიდებლად, უკვდავსაყოფად.

შენ აკაკისთვის სამშობლოს
ტრფიალი გადაგილოცავს;
პოეტო, პრომეთეოსო,
მუხლს გიყრის საქართველოცა.
(გ. ლეონიძე).

ეს სიყვარული უმაღლესია
და გულით ხალხის გულთან მიჭრილი,
როგორც სურამის ქედზე ლესია —
დგას მირგოროდში გურამიშვილი.
(კ. კალაძე).

ლ. ასათიანისა და გ. შატბერაშვილის ნარკვევებში ნაამბობია იმ ამაგსა და მზრუნველობაზე, რაც უკრაინელმა ხალხმა და უკრაინის საბჭოთა მთავრობამ გამოიჩინა დიდებული ქართველი პოეტის დ. გურამიშვილის სამარის აღმოჩენისა და მოვლისათვის.

სამშობლოს მოწყვეტილი პოეტი გოდებდა:
მე ვინ მილოცავს, ან ვინ მიწერავს,
ან ვინ დამმარხავს, ვინ დამიტირავს.

დღეს კი, როგორც ლ. ასათიანი თავის ნარკვევში ამბობს: „საფლავზე დაურგავთ ნაირფერი სურნელოვანი ყვავილი. დროებით გაკეთებული ღობის შიგნით აღმართულია სვეტი წარწერით უკრაინულ ენაზე: „აქ განისვენებს დიდი ქართველი პოეტი დავით გურამიშვილი, გარდაცვლილი 1792 წ., რომლის ხსოვნა მუდამ იცოცხლებს ქართველი და უკრაინელი ხალხების გულში“.

რას იფიქრებდა „სახლ-სამკვიდრო დაკარგული“ პოეტი, რომ ოდესმე მის ობოლ საფლავს მირგოროდში დაამშვენებდა ხალხთა ძმობისა და სიყვარულის გამომხატველი სიტყვები, რომ მისი სახელი ისეთივე სიყვარულით გახმიანდებოდა უკრაინის ვრცელ ველებზე, როგორც ის ეღერს მისი სამშობლოს მთასა და ბარში“.

ამ კრებულით ქართველმა საბჭოთა მწერლებმა უდაოდ შეძლეს კიდევ ერთხელ გამოხატვა იმ ურღვევი მეგობრობის გრძნობებისა, რითაც გამსჭვალულია ქართველი ხალხი დიდი რუსი და უკრაინელი ხალხების მიმართ.

ირაკლიონ ქავჭარაძე.

ახალგაზრდა მწერლის რომანი*

★

თანამედროვე მკითხველი მაღალი გემოვნების მქონეა, მის სულიერ მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად აუცილებელია თემის აქტუალობის შეხამება მხატვრულ ოსტატობასთან, მოვლენების არა ზედაპირულ, არამედ მართალ გამოსახვასთან. ამ თვალსაზრისით ახალგაზრდა მწერლის როსტომ ბეჟანიშვილის ახალ ნაწარმოებს „ჯარისკაცის ბედი“ გააჩნია ბევრი სერიოზული ნაკლოვანება.

რომანი ომისშემდგომი ცხოვრების ფონზეა გაშლილი. გიორგი მეჭედლიშვილი დემობილიზაციის შემდეგ თავის სოფელში ბრუნდება, ერთხანს მშობლებთან რჩება, შემდეგ საცხოვრებლად ქალაქში გადადის, ჩარხმშენებელ ქარხანაში მოეწყობა, თან პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სწავლობს და, ბოლოს, ინჟინერიც ხდება. ამ ქარგაზე შეიძლებოდა დღევანდელობის გმირთა საქმიანობის მკაფიოდ ჩვენება, მაგრამ ახალგაზრდა ავტორის შემოქმედებითმა გამოუცდელობამ, წერის კულტურის დაბალმა დონემ რომანს უარყოფითი ფაღი დაასვა. ბევრი ადგილი მშრალია, ზერელე და დამაჯერებლობას მოკლებული, ხოლო მოქმედი პირები სქემატურობის შთაბეჭდილებას ტოვებენ.

უპირველესად აღსანიშნავია სიუჟეტის სისუსტე, მოდუნებულობა, ზედმეტი, უსარგებლო ამბებითა და სიტუაციებით დატვირთვა.

რომანში მრავალი მოქმედი პირია, ბევრ მათგანს კი თითქმის არავითარი ფუნქცია არა აქვს დაკისრებული. რომანს არ გააჩნია დაძაბული, ცხოვრების სიმართლეზე აგებული კონფლიქტი. წინააღმდეგობა პიერ გამყრელიძესა და ქარხნის კოლექტივს შორის ძირითად კონფლიქტად ვერ გამოდგება, არ არის რეალისტურად გააზრებული და პრინციპულ სიმაღლემდე აყვანილი. ამის გამო რომანში მოვლენები დუნედ, უსიცოცხლოდ ვითარდება, ემორჩილება არა სიუჟეტის კანონზომიერ მსვლელობას, არამედ შეშთხვევითს ფაქტებს.

* რ. ბეჟანიშვილი. ჯარისკაცის ბედი. საბჭოთა მწერალი. 1953.

მეტად გულუბრყვილოდ გამოიყურება სამამულო ომის ერთი ეპიზოდი: საბჭოთა მეომარმა მოწინააღმდეგის ტანკი ააფეთქა. ამ სურათს უცქეროდა მტრის გარემოცვაში მოქცეული გიორგი. „წარმოვიდგინე დაჭრილი მებრძოლის გმირობა და სიკვდილის სილაჩრე, — ჰყვება იგი. — და აი მაშინ, სრულიად უადგილოდ, უმიზნოდ და გაუგებრად ამიტყდა სიცილი... ვიცინოდი, ვიცინოდი, რაც ძალი და ღონე მქონდა. ვცდილობდი, რაც შეიძლება ფართოდ გამეღო პირი, რომ მეტი ხმა ამოსულიყო ყელიდან". ყოველივე ამას, თურმე, აკეთებდა სიკვდილის აბუჩად ასაგდებად, გასამასხარავებლად. გიორგიზე კი არაფერი არ მოქმედებდა, არც მტრის საფრთხე, არც ტყვიის საშიშროება.

ახალგაზრდა მწერალი გარემოცვიდან მოქმედი პირის დახსნას დაუჯერებლად აღწერს და შემდეგ აღნიშნავს, რომ გიორგის სიცილმა, თურმე, მტრის ბევრ ჯარისკაცს საბრძოლო განწყობილება დაურღვია და მათ რიგებში ხმა გავრცელდა: „რუსებს სიცილის მსროლელი (!) ზარბაზნები გამოუგონებიათ და ნერვებს გვიწამლავენო". აი თურმე სიცილს რა შეძლებია! ეს ეპიზოდი ხელოვნურია, გამოგონილია.

დაუჯერებელია გიორგის მშობლების მსჯელობა თავიანთი ვაჟიშვილის საცოლოს შესახებ. მათ რატომღაც ჰგონიათ, რომ გიორგი მჭედელ ქალს ირთავს და ამას დიდ უბედურებად მიიჩნევენ. რა მოხდა? განა თვითონაც მშრომელები არ არიან? აი მათი მოსაწყენი დიალოგიც:

„— მართლა, მჭედელი რძალი რომ მოგვიყვანოს, რაღა გვეშველება! ვინმე ოქლაქი, დღეში ერთი ხბო რომ არ ეყოფა საჭმელად.

— ხა, ხა, ხა, გაგიხარია... მე იმას ვფიქრობ, სოფელი რას იტყვის.

— სოფელი! ჰო, ყბად აგვიღებენ.

— შაირს გამოგვითქვამენ.

— კვირაობით ბაზარში არ გაგვესვლება.

— ხომ დავიღუპეთ მაშინ, ჰა!

— ეჰ, რა უბედურ ვარსკვლავზე ვყოფილვართ დაბადებული, — თქვა ნინომ და ბაღდათის წვერით თვალები ამოისრისა" (გვ. 168-169).

დიალოგი ყალბია, სიმართლეს მოკლებული. ნუთუ მჭედლობა ჩვენში ასე სათაკილო და სამარცხვინოა? ნუთუ ამ უწყინარმა პროფესიამ პატიოსანი მშრომელები ასე შეაშფოთა? ახალგაზრდა მწერალი აქ თავის გმირებს ახვევს უცნაურ აზრებს, აყენებს ნაძალადევ სიტუაციაში. ღვთისავარი სასოფლო საბჭოს თავმჯდომარესთან გვარის გამოსაცვლელად მიდის, რადგან თურმე მჭედლიშვილი მჭედლობასთან არის დაკავშირებული. ვინ დაიჯერებს ასეთ ხელოვნურად შეთხზულ, თითებიდან გამწოვებულ სიტუაციებს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსგავსი ეპიზოდი რომანში მრავალია. მათში არ იგრძნობა მართალი თხრობის უნარი, ცხოვრების ნაკარნახევი მხატვრული სიმართლე. ახალგაზრდა მწერალი უძლურია პერსონაჟების ხასიათის გამოკვეთაში, ტიპების რამდენადმე მაინც მოხაზვაში. რომანში გამოყვანილია მოქმედ პირთა დიდი რაოდენობა, მაგრამ ისინი მკითხველს არ ამახსოვრდება, მათი ხასიათები სრულიად არ არის გახსნილი და გამოკვეთილი, არ ჩანს მათი დამახასიათებელი ნიშნები, ინდივიდუალური თვისებები. მთავარი გმირებიც კი — გიორგი მჭედლიშვილი, მანანა ახალაური, ეთერ კარგარეთელი, პიერ გამყრელიძე მკითხველის მეხსიერებაში ადგილს ვერ პოულობენ. მწერალი ვერ სწვდება მათს შინაგან სამყაროს და თვითეულის საქმიანობას წარმართავს არა ბუნებრივად, როგორც ცხოვრებაში ხდება, არამედ წინასწარ განზრახული სქემის მიხედვით, წინააღმდეგობათა გადაულახავად, სიძნელეების დაუძლეველად.

დაუჯერებელია გიორგი მჭედლიშვილის ინჟინრად გახდომა. ეს პროცესი წიგნში გაუბრალოებულად, გამარტივებულად არის წარმოდგენილი. ავტორის განცხადებით, გიორგი ერთმანეთს კარგად უხამებდა ქარხანაში მუშაობასა და ინსტიტუტში სწავლას. ამ ნათქვამის მხატვრული დასაბუთება მკრთალია, უსუსური. „გავიდა დრო. გიორგი თანდათან ოსტატდებოდა, იღებდა გამოცდილებას, სწავლობდა ამხანაგებისაგან. მისი დღიური გამომუშავების პროცენტი გაიზარდა. ციფრი ას ოცსა და ას ოცდაათსაც სცილდებოდა" (გვ. 86); „თანდათან მისი გამოსვლები იღებდა დახვეწილ, ჩამოყალიბებულ სახეს. ჩანდა, გიორგი ბევრს მუშაობდა თავის თავზე. იგი ინსტიტუტის ერთი წლის კურსს ხუთ თვეში გადიოდა" (გვ. 200). ასეთი მშრალი მსჯელობით ტიპების დახატვა, ხასიათის ჩამოყალიბება არ შეიძლება, საამისოდ საჭიროა შესაფერი მხატვრული ეპიზოდები, ბუნებრივი სიტუაციები, რაც ნაწარმოებში ძალზე ცოტაა. როგორი იყო გიორგის მიერ გადალახული სიძნელეები, როგორ მიაღწია მან ინჟინრობას, როგორ ჩამოყალიბდა მისი მსოფლმხედველობა, — ამაზე ავტორი დამაჯერებლად არაფერს ამბობს.

მკრთალია მანანა ახალაურის პორტრეტიც. ეს ქალიშვილი რომანში ხშირად გვხვდება, ბევრ საქმეში მონაწილეობს, გიორგის ზრდა-დაწინაურებაში დიდი ღვაწლიც შეაქვს და მისი ერთგული მეგობარიც ხდება, მაგრამ მოქმედი პირის საქმიანობა აღწერილია სქემატურად, მოსაწყენად. ავტორი თითქოს ცდილობს სიყვარულის სამკუთხედის შექმნას, ამ გარემოებასთან დაკავშირებული განცდების რკალში მანანას მოქცევას, მაგრამ შედეგს ვერ აღწევს. საქმეში პროფესორი მაღლაკელიძე ერევა და მდგომარეობაც მანანას სასარგებლოდ შეტრიალდება. ყოველივე ეს ხდება გაუბრალოებულად, ავტორის მიერ წინასწარ გამიზნული გეგმის მიხედვით. ავტორი მანანას დახატვას უმეტესად ცდილობს გამუდმებულ მუშაობაში — არ სჩვეოდა არც შესვენება, არც დაღლილობაო. აი „ინსტიტუტიდან წამოვიდა. თავი უბრუოდა. მთელი გზა ფიქრობდა შეუსვენებლივ. შინ რომ მივიდა, ამოუსუნთქებლად მიუჯდა მაგიდას და მუშაობა დაიწყო... მანანა გაშმაგებული წერდა. ღამე მიილია. გაფითრებული მთვარე ქრებოდა ნელ-ნელა... თავი დაუმძიმდა, ჩამოუვარდა, დაღლილი სხეული სანთელივით ჩამოიღვენთა მიწაზე“ (გვ. 230). რომანის ამ გმირმა იცის მხოლოდ შრომა, ყოველივე დანარჩენს მისთვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. ეს აზრი გამოხატულია ყალბად, ეფექტიც, ცხადია, უფერულია, — მანანას სახეს სიცოცხლე არ ემატება, მისი ხასიათის ნიშნები არ ისახება.

შედარებით უფრო უნარიანადაა მოხაზული პროფესორ მაღლაკელიძის პორტრეტი, მაგრამ იგი ძალზე ბევრს მსჯელობს, ახალგაზრდებს ჭკუის დამრიგებლურ სიტყვებს ეუბნება, ხოლო მისი მოქმედება, ცოცხალი საქმე მოსაწყენად არის ნაჩვენები. ავტორი ცდილობს პროფესორი დაუპირისპიროს ქარხნის მთავარ კონსტრუქტორს პიერ გამყრელიძეს, მაგრამ მათი ბრძოლა ყალბად არის ნაჩვენები. პიერ გამყრელიძე თავიდანვე წარმოდგენილია როგორც ბიუროკრატი, უქნარა, ფუჭი თავმოყვარეობის მქონე, ქარხანაში პასუხსაგებ თანამდებობაზე შემთხვევით წამოსკუპებული პიროვნება. მის მტრულ ნაბიჯებსაც ყველა ხედავს, გულში ბოლმა ჩაუგუბებია და გადმოსანთხევად დიდი ამბით ემზადება. ერთის წინააღმდეგ ასი იბრძვის. ბოლოს გამყრელიძეს სამუშაოდან მოხსნიან და ყველაფერი რადიკალურად იცვლება: გეგმების შესრულების მაჩვენებლები მაღლა აიწევს, შრომითი აქტივობა ძლიერდება, ყველგან სიხარული და სიხალისე მყარდება. აი ავტორის სიტყვებიც:

„ამღვრეული წყალი დაიწმინდა. ჰაერი გასუფთავდა. შრომისა და სიხალისის სიომ დაჰბერა. ქარხანამ ღრმად ამოისუნთქა, იმედიანად შეხედა საქმეს, გული გაიკეთა. შელახული სინდისი გამრთელდა. გაბზარული დისციპლინა აღსდგა, წესიერება დამყარდა. ყველამ იგრძნო პასუხისმგებლობა და აუცილებლობა თავის პოსტზე. წვრილმანი ჭორები და ცუღლუტობა გადაავიწყდათ“ (გვ. 177) და ა. შ. აი თურმე რა შედეგი მოიტანა პოსტიდან ერთი კაცის გადაყენებამ. თურმე პიერ გამყრელიძე ისეთი ფიგურა იყო, რომ მისი თავიდან მოშორებას ყოველგვარი დაბრკოლების თავისთავად გადალახვა მოჰყვა! სიტუაცია მეტად ხელოვნურია, ნაძალადევი, მასში ოდნავადაც არ იგრძნობა საწარმოს ცხოვრებაში კოლექტივის როლი, რიგითი ადამიანების დამსახურება.

ახალგაზრდა მწერალს ზოგჯერ მცდარი წარმოდგენა აქვს ადამიანებზე, მათ სულიერ ცხოვრებაზე. ამის გამო თვითეულის მოქმედებას ხშირად უქვემდებარებს მის მიერვე შეთხზულ სქემას, თითქოს რაღაც „იდეურობას“, რომლის იქეთ იკარგება ადამიანის ცოცხალი, ნამდვილი გრძნობები. ერთი მაგალითი. რომანის პერსონაჟს მზიას უყვარს მასავით ახალგაზრდა მუშა მერცხალა (აი სახელიც!). შეყვარებულს მოულოდნელად თითქოს მარცხი მოუვიდა, ჩარხი დაამტვრია და სტახანოველის სახელი შეარცხვინა. რა გავლენას ახდენს ეს ამბავი სატრფოზე? იგი მასზე გულს აიყრის: „თუ გინდა მართალიც იყოს, მე იგი აღარ მიყვარს. მე მისი შრომა მიყვარდა უპირველესად“ (გვ. 214). სიტუაცია გულუბრყვილოა. ავტორის მიერ შეთხზული მზიას ასეთი აზრი ყალბია, უსუსურია. მისი მსგავსი ადამიანები ცხოვრებაში არ არსებობენ.

რომანის ავტორი ხშირად წერს მისთვის უცნობ ფაქტებზე, მოვლენებზე, სიტუაციებიც ყალბია ანდა აშკარა შეცდომაა დაშვებული. 173-ე გვერდზე აღნიშნულია: „არჩილი მინისტრისგან საყვედურს ვერ გადაურჩა, პარტიულმა კომიტეტმა კი სასტიკი გაფრთხილება გამოუტანა პირად საქმეში შეტანით“ არსებობს სასტიკი საყვედური სააღრიცხვო ბარათში შეტანით. გიორგი მჭედლიშვილს პარტიული კონფერენციის დელეგატად ირჩევენ. პარტიული ორგანიზაციის მდივანი მას ეუბ-

ნება — შენს სახელზე თბილისის კომიტეტიდან მოსაწვევი ბარათია მოსული. გიორგი თუ მართლა დელეგატი იყო, მისთვის დელეგატის მანდატი უნდა გამოეგზავნათ და არა მოსაწვევი ბარათი, როგორც ამას ავტორი გვაუწყებს. წიგნში კომკავშირული კრების ნაცვლად იხმარება კომკავშირის კრება, პარტიული კონფერენციის ნაცვლად — თათბირი; ყოველივე ეს წვრილმანი როდია, — ცხოვრების ზერელე ცოდნაზე მიუთითებს.

არსებითი ნაკლოვანებები აქვს რომანის ენას. ყველა პერსონაჟი ერთნაირად მეტყველებს, ერთნაირი ლექსიკა გააჩნია. გვხვდება ასეთი გაუმართავი, ბუნდოვანი ფრაზები: „სიშიშვლე დათარეშობდა ნაპირზე", „სიტყვები გედებივით გაფართქალდნენ ზედაპირზე და ფრთების ტყლაშუნით ნაპირამდე მიაღწიეს", „მაღალი თეძოები გაუვარდა", „ომახიანად ველარ ჯავრობდა", „თვალებიდან ცვივოდა აზრი, ფიქრი, გონების სჯა", „ერეოლა უვლიდათ კვირტდახეთქილ, სისხლმოკარბებულ დიდრონ ხეებს, დაქვრივებულ დედაკაცებივით ყინთალტოლვის ხანი რომ დასდგომოდათ", და ...

ასეთი ზერელე სიტუაციებია, ოქმედ ბაძრების სქემატურობის, მათი საქმიანობის დაუჯერებლობის, სიყალბისა და გამოფიტული ენის გამო „ჯარისკაცის ბედი" მკითხველებზე ვერ ტოვებს დამაკმაყოფილებელ შთაბეჭდილებას. ეს გარემოება გამომცემლობა „საბჭოთა მწერალს" უნდა გაეთვალისწინებინა. საჭირო იყო ახალგაზრდა ავტორთან საფუძვლიანი მუშაობა, რომანის არსებითი გადაკეთება, მისგან ყალბი ადგილების განდევნა, მაგრამ ასე როდი მოხდა. ამ წიგნის დაბეჭდვით გამომცემლობამ ავტორსაც და მკითხველებსაც ცუდი სამსახური გაუწია.

რ. ბეჟანიშვილი ახალგაზრდა მწერალია, გარკვეულ მხატვრულ მონაცემებს უდავოდ ამჟღავნებს, მაგრამ მისთვის აუცილებელია თავისთავზე მონდომებული, შეუპოვარი მუშაობა, მხატვრული ოსტატობის დაუფლება.

პავლე კოხრეიძე

აკაკი გეწაძის ლექსები

★

ხშირად პოეტის ერთ რომელიმე ლექსთან დაკავშირებულია მთელი რიგი სხვა ლექსებისა, რომლებშიც მეტნაკლები სიძლიერით მჟღავნდება ლირიკული გმირის ხასიათი. აკ. გეწაძის ლექსების კრებულში ასეთი ლექსია „ჩემი ასეული". რით არის საინტერესო ეს ლექსი? როგორია მისი ლირიკული გმირი? ამ ლექსში მეტყველებს პოეტი — ჯარისკაცი, რომელიც მაზარის ქვეშ ატარებდა სათუთ ადამიანურ გრძნობებს, სამშობლო ქვეყნისა და თანამებრძოლებისადმი უბრალო, მართალ სიყვარულს. ამ ლექსში გრძნობთ საბჭოთა ჯარისკაცის იმ დაუცხრომელ ოპტიმიზმს, რომელიც სიკვდილთან ბრძოლაშიც არ ტოვებდა მას, ღიმილს მოჰგვრიდა მწარე ტკივილების დროს. ამ ლექსში ხედავთ ლირიკულ გმირს, რომელსაც ომგადახდილს დაღუპული მეგობრებზე მწარე მოგონებასთან ერთად თან დააქვს სამშობლოს სხვადასხვა კუთხეში მშვიდობით დაბრუნებულ თანამებრძოლთადმი სიყვარული. ომგადახდილი პოეტი — ჯარისკაცი ასე იგონებს ბრძოლაში ძმადნაფიც მეგობრებს:

აი მე ახლა ვფურცლავ ფრონტულ წიგნაკს
გაცრეცილს
და საუბრობენ ჩემს წინ ჩემი ჯარისკაცები.
ვხედავ. კლიმოვი. ყირიმიდან მოსული ხუთრო
შავსვასტიკიან რკინის ურჩხულს ყუმბარას
ესვრის,
ბრძოლის შემდეგ კი გულუბრყვილო
ბავშვივით ხუმრობს,
მეძახის „კაცოს" და მთხოვს მასზე დავწერო
ლექსი.

თვალწინ დაგიდგებათ ტიორკინივით ენაწყლიანი, მხიარული და, ამავე დროს, ბრძოლაში თავგანწირული ყირიმელი ვაჟკაცი, რომელიც შესვენების დროს მრავალ ჭირგადახდილი მეომრებს ავიწყებს, „რომ კაცის კვლა არსებობს ქვეყნად". კითხულობთ ამ ლექსს და ცოცხლად ხედავთ თათარ შაიდულინს, რომელსაც „ენატრება თბილი მიწა გუთნით დახნული", ხედავთ დნეპრისპირელ ზახარჩენკოს, რომელიც ოცნებობს მშობლიურ მხარეში დაბრუნებაზე, ხედავთ კარპატებამდე მისულ ციმბირელ იოლკინს, რომელსაც სიხარული მიაქვს განთავისუფლებულ მოძმეებთან, რომელსაც „უყვარს ბრძოლა და მტერთან ცხარე ბრძოლების შემდეგ პილპილმოყრილი ცხარე არაყი". გული გტკივათ, როდესაც პოეტი იგონებს ყუმბარისაგან დაფლეთილ კეთილ ბიჭს მამედოვს. ჩვენი ქვეყნის რომელ მხარეშიც არ უნდა ცხოვრობდეს ომგადახდილი ადამიანი, იგი უთუოდ ინახავს ფრონტული ცხოვრების ამ დიად მოგონებებს:

ჩვენ ბევრი რამის დავიწყება გვეპატიება,
ხშირია, როცა ძველ სიყვარულს ახალში
გავცვლით.
მაგრამ იმას კი, ვინც შენ გვერდით დასცეს
ტყვიებმა,
ვერ დავიწყებს ვერასდროს კაცი.

ლექსის „ჩემი ასეული" ემოციური ზემოქმედების ძალა გულწრფელობაში და უშუალობაშია. ეს არის გაცოცხლება იმ დღეებისა, როდესაც „გვავიწყდებოდა საკუთარი სიცოცხლე ზოგჯერ, მაგრამ სამშობლო არასოდეს გვავიწყდებოდა". იგონებს რა პოეტი ფრონტელ მეგობრებს, სჯერა, რომ ისინი მშვიდობიან ცხოვრებაში დაბრუნებულნი, თავდადებულად შრომობენ ახალი ცხოვრების ასაშენებლად, მათში ცოცხლობს ჯარისკაცული სული, მხნეობა, გაუტეხლობა, უშრეტი ენერგია და ოპტიმიზმი:

ნასანგრალებზე ჯეჯილებმა გაიდგეს ფესვი,
ხეხილი ჰყვავის, სადაც ბომბი ორმოებს
თხრიდა.
და ახლა, ჩემო მეგობრებო, თქვენი ხმა
მესმის
ვოლგა-დონიდან და კასპიის იქეთა მხრიდან.

მკითხველის წინაშე ცოცხლდება გმირული ბრძოლების დღეები, როდესაც კითხულობთ ლექსებს „პოლკის მედროშე", „იერიშის წინა ღამეს", „ბორცვი". თვალწინ დაგიდგებათ გმირულ ბრძოლაში დაცემული პოლკის მედროშე, რომელსაც ბელადი კრემლიდან იკითხავს, დაჭრილს გოლიათური ძალა ჩაედგმის და შთაგონებული ძლევს სიკვდილს. („პოლკის მედროშე"). ხედავთ დუნაის პირას მოდარაჯე ქართველ მეომარს, რომელსაც სამშობლო მონატრებია. ვარსკვლავებს გაჰყურებს, მშობლიურ თბილისს იგონებს უნგრეთის ცის ქვეშ და ალალმართლად ჩურჩულებს: „ეჰ, ვარსკვლავნო, ჩემს თბილისზე მომიყევით რამე, სიცოცხლეზე საუბარში გავატაროთ ღამეო". („იერიშის წინა ღამეს").

თქვენს თვალწინ უცებ გაიელვებს ომის საშინელი სურათი, როდესაც ლექსში „ბორცვი" კითხულობთ:

ნაღმი დაეცა, ავარდა ბოლი,
თან მიწის სუნი ამოიყოლა
და კაცი, ჩემს წინ სანგარში მწოლი,
თითქოს იყო და არა იყო რა.

აკ. გეწაძის ამ ლექსებში ჭარბობს თხრობითი ტონი, თითქოს ჯარისკაცის დღიურებს კითხულობთ, ხშირად თხრობა იცვლება ამღერებით, და თქვენ თვალწინ დაგიდგებათ სიკვდილთან ბრძოლაში გამარჯვებული, შინ დაბრუნებული ქართველი მეომარი. გამარჯვების დიდი სიმღერაა ლექსი „მაყრობა", რომელსაც ხალხურობა და ავტობიოგრაფიული სიმართლე ანიჭებს სიცხოველეს და დამაჯერებლობას.

ფრონტული ცხოვრების ამსახველ ლექსებში პოეტი მოვლენებს უყურებს ჯარისკაცის თვალით, ამიტომაც დამაჯერებელია და მართალი მისი ლირიკული გმირი — მებრძოლი ქართველი ჯარისკაცი. ამ ლექსებში კარგად არის ჩართული ინტიმური განცდებიც.

მშვიდობიან ცხოვრებაზე დაწერილ ლექსებშიც ლირიკული გმირი ომგადახდილი ჯარისკაცია, რომელიც გალალებული ჩამდგარა ყანაში და შრომობს. პოეტს მშვიდობიანი ცხოვრების სიმღერებში კარგად აქვს გახსნილი ხალხთა მეგობრობის თემაც. ლექსები „რუმინელები სამგორში", „მონღოლები გორში", „შეხვედრა უნგრელ გლეხთან" აფართოებენ და ამრავალფეროვანებენ აკ. გეწაძის პოეტურ თემატიკას. ამ ლექსებსაც წრფელი ლირიკული ამღერება ახასიათებს. პოეტი კოლორიტული პეიზაჟების ფონზე გვიჩვენებს გამარჯვებულ ადამიანს, რომელიც ხელგაშლილი და გულღია იღებს ჩვენს ქვეყანაში სტუმრად მოსულ ყველა მოკეთეს. მადლიანი ქართულით ამბობს იგი შრომაში და ბრძოლაში ნაწრთობი გულთბილი ქართველი კაცის სიტყვებს: „ჩვენ შეიძლება სიძულვილი შემოგველიოს, სიყვარული კი არასოდეს შემოგველევა". აქ პოეტი მართალია, მისი პოეტური ფერწერა მიმზიდველი და დამაჯერებელი.

ყოველივე ამასთან არ შეიძლება არ შევნიშნოთ აკ. გეწაძის, როგორც ახალგაზრდა პოეტის, ზოგიერთი ნაკლი. პოეტს ბევრი რამ აქვს გასაკეთებელი თავისი პოეტური ხმის დასახვეწად. მის ლექსებში ღრმა განცდათა მაგიერ ხშირად ვხვდებით უფერულ აღწერილობას. დაკვირვებული მკითხველი ადვილად შენიშნავს, რომ ხშირად მდარე სტრიქონები, გამოგონებული სახეები აუფერულობენ მის ლექსებს, უფრო მეტიც, თვალში გეცემათ ერთი და იგივე კომპოზიციური ხერხი. საქმე მარტო ცალკე სტრიქონებში როდია. საფრთხე ისაა, როდესაც ერთფეროვანი სტრიქონები სისტემადაა გადაქცეული და ისინი ყალბი ნოტებივით მეორდებიან პოეტის სიმღერებში. როდესაც პოეტს აქვს მისწრაფება მხატვრული სახის ეფექტურობისაკენ, მაშინ იჭრება მის ლექსებში ყალბი ტონი, ბრჭყვიალა, თვალისმომჭრელი შედარება თვალში ეცემა მკითხველს და იმის ნაცვლად, რომ ადეკვატური ფორმით გადმოიცეს განცდა, ან განწყობილება, ხდება პირიქით — ირღვევა განწყობილების, ან განცდის მთლიანობა.

აკ. გეწაძის ლექსებში გვხვდება ასეთი სტრიქონები: „ზამთარს აშმაგებს ქარი ეული", „ცუდად ნათქვამი ფრაზაა, „ხანძარს, ქალაქის ღიმილის ჩამქრობს, ზეცა უცქერდა კვამლის ჩეროდან". ძნელი წარმოსადგენია, როგორ უმზერდა „კვამლის ჩეროდან" ზეცა ხანძარს, „გადავბარბაცდი თოფმოხვედრილი", პოეტს უნდა თქვას: „ტყვია ნაკრავი გადავბარბაცდიო"; „რა ლამაზია ეს ლურჯი ზეცა, გულღია (?) როგორც ქართული სუფრა", ნაძალადევი შედარებაა. „მზე იყო სისხლში მოსვრილი ფარი", გაცვეთილია. ვხვდებით აგრეთვე ერთნაირი სტრიქონების ხშირ განმეორებასაც:

„გარბოდნენ დღეები დასისხლულ შარაზე",
„ცეცხლიან გზაზე იწვოდნენ დღენი",

„თოვლს აშავებენ ოხვრით ნალმები“.
„ნალმები ბუგავდა მთაბარის მერდინს“.
„ნალმებით გადახნულ მინდორში იბარტყა“.
„აქ ნალმი მოვარდა ცოფიან ძაღლივით“.
„წივილით დაძრწის ჭურვი წყეული“.
„სიკვდილი ყეფდა ტრანშეიებში ავი
ძაღლივით“.
„და ყუმბარებმა ასტეხეს ოხვრა“.
„რამდენჯერ დაკბიჩა ჭურვებმა მიწა“.

სხვადასხვა ლექსიდან მოტანილი ეს სტრიქონები განწყობილებით და სტრუქტურით ერთმანეთს ჰგავს.

აკ. გეწაძის ლექსების დამახასიათებელი თვისებაა ამღერება, რაც ზოგჯერ პათეტიკურობასა და რიტორიკაში გადადის. მაგალითად, ლექსი „სტალინგრადელ ჭაბუკის ბალადა“ ვერავითარ კონკრეტულ განცდას ვერ აღძრავს. პათეტიკურობა აქ უმაღლეს წერტილს აღწევს და პოეტის რიტორიკული „ღაღადი“ უსიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს. ამ ლექსში ბევრია სიტყვები, მაგრამ ცოტაა თქმული. ცხოვრების სიმართლე აქ სქემით არის შეცვლილი, ბევრია მყვირალა, ჰიპერბოლური შედარებები, არაზუსტი მხატვრული სახეები, თუნდაც ასეთი: „ცეცხლიანი თვალებით დაჭრილმა არწივმა ვოლგიდან მზესავით მსოფლიოს გადახედა!“ ლირიკული გმირი ხედავს „გველ თურქეთს“, „კატასავით კნავილა ტოკიოს“, „მელიის ტყავგადაცმულ ლონდონს“ და „გალეშილ ბერლინს“. ამგვარი გროტესკული სახეებით პოეტი ვერ ქმნის ვერავითარ მძაფრ შთაბეჭდილებას. ლექსი პლაკატური, მშრალი და უფერულია. დაახლოებით ასეთივე ხასიათისაა ლექსი — „თბილისში ჩამოსულ ინგლისელ მოქალაქეს“, რომელიც თავიდან ბოლომდე რიტორიკულია.

ზოგჯერ აკ. გეწაძე უცნაურ სენტენციებს სთავაზობს მკითხველს. ლექსი „ლეგენდა კეთილ თვალებზე“ განიზნულია ისე, რომ იგავ-არაკული ფორმით მკითხველამდე მიიტანოს რაიმე ხალხური სიბრძნე. აი რას გვეუბნება პოეტი: მაყვლის საკრეფად გასულ გოგონას ფეხზე გველი შემოეხვია და, როდესაც ქვეწარმავალმა შეხედა გოგონას მშვენიერ თვალებს, კი არ დაგესლა იგი, არამედ განერიდა და ქვაზე თავი მოიკლა. პოეტი „ფილოსოფიური“ ქვეტექსტით გვეუბნება, რომ ყოველგვარი ბოროტება მშვენიერების და სათნოების წინაშე თავისთავს თვითონვე ამარცხებს. რა სიბრძნეა ეს?

ასევე უცნაურია ლექსი „თბილისის ფუძის ჩამყრელი“. საყოველთაოდ ცნობილია, რომ თბილისის დაფუძნება ვახტანგ გორგასალის სახელთან არის დაკავშირებული. პოეტს ეს არ მოსწონს, ალბათ, იმ მოსაზრებით, რომ ვახტანგი მეფე იყო და ისტორიას კი ხალხი ქმნის. ვინ ედავება პოეტს იმაში, რომ „თბილისს საძირკვლად ქართველ ხალხის ძალღონე უძევს“. განა ეს უარყოფს ვახტანგ გორგასალის მოთავეობას თბილისის აშენებაში? განა 16 საუკუნე არ ინახავს ქართველი ხალხი ცნობილ ლეგენდას თბილისის დაფუძნებაზე და ვახტანგ გორგასალზე? საჭირო იყო, ახალგაზრდა პოეტი ღრმად ჩაფიქრებულიყო და ისე წამოეყენებინა თავისი ახალი „კონცეფცია“.

ზოგჯერ აკ. გეწაძე თავისავე ლექსს იმეორებს. ლექსი „პაპაჩემი“ თავისთავად კარგია, ხალხურ კილოზეა ამღერებული და პოეტურად მოხდენილად არის შესრულებული. ხალხური ლექსის „გამხიარულდი ბუხარო“ ინტონაცია ორგანულადაა შეჭრილი ამ ლექსში. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ლექსის სტრიქონები ახალ ვარიანტებად გვხვდება სხვა ლექსებში.

მტევნები, და რა მტევნები, ასთვალიანი
ბადახში,
შეხედავს პაპა ღიმილით და წარბის
ტევრებს გადაშლის,
კაცი რა არი, ქვევრიც კი ლხინობს
ხვანჭკარის მარანში.
(„მოდიდებულა ქვედრულა“)

სტუმრად ეწვევი, კარებთან შეხვდება სავსე
მაგიდა,
ყელამდე სავსე ქვევრები ქუდს მოგიხდიან
მარნიდან.
გლეხკაცის შრომა დაფასდა, სახლში
მოზღვავდა პურღვინო.
და წარბგახსნილი მოხუცი კვირას არ უშვებს
ულხინოდ.
(„პაპაჩემი“).

ძნელი შესამჩნევი არ არის, რომ ეს სტრიქონები თითქმის ერთი და იგივეა. ერთი და იგივე განწყობილება, ერთი და იგივე ტონი. დაახლოებით ასევე ერთი და იგივე, მხოლოდ გარეგნულად შეცვლილი, ლექსებია „მწყემსი“, „მე ბელადს შევხვდები კიდევ“, „ვარსკვლავს უღიმის ვარსკვლავი“, და სხვა.

ხდება ასეც: პოეტი იღებს ძალზე ნაცნობ და გაცვეთილ თემას და მის გადაწყვეტაში არაფერი შეაქვს ახალი. ცნობილია, რამდენი ლექსი დაწერილა წისქვილზე, ბევრი მათგანი იდილიური და არაფრის მთქმელი. აკ. გეწაძეც ვერ გასცდა ამ ცთუნებას. რას გვეუბნება მისი ლექსი „უწყლო წისქვილი“? იმას, რომ წყლის წისქვილის მაგიერ სოფელში ელექტროწისქვილი აშენდა: „სოფლად საფქვავმა იმატა, დავფქვათ არ ვეპამოთ სირცხვილი, — ხითხითითა და სიცილით ამბობს ელექტროწისქვილი“.

აკ. გეწაძის წიგნში მკითხველი დაინახავს მრისხანე ომის სურათებს, გაიზიარებს საბჭოთა ჯარისკაცის ჭირვარამს, მის სიხარულს, დარდსა და აღტაცებას, დაინახავს მშვიდობიანი ცხოვრების შემოქმედ ადამიანს, ომგადახდილ ვაჟკაცს. მაგრამ, ამავე დროს, სინანული გიპყრობთ, როდესაც უფერულ, ცუდად გააზრებულ ლექსებს წაიკითხავთ, ათასჯერ ნათქვამს და განმეორებულს პოეტი ერთხელ კიდევ გაგიმეორებთ ან უფერულად აგიწერთ მოვლენას. საჭიროა, ახალგაზრდა პოეტი ღრმად ჩაუფიქრდეს ამ ნაკლოვანებებს.

ზ. ხუხაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევაზ ინანიშვილის „პირველი მოთხრობები“

★

რევაზ ინანიშვილის მოთხრობები რამდენიმე ხანია, რაც იბეჭდება ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში და, უნდა ითქვას, ამ ნაწარმოებებმა მკითხველის ყურადღებაც მიიპყრო. რა თქმა უნდა, აქა-იქ დაბეჭდილი რამდენიმე მოთხრობის გაცნობა არ კმარა იმისათვის, რომ იმსჯელო მწერალზე, შეაფასო იგი. ახლა კი, როცა მწერლის მოთხრობები ცალკე წიგნადაა გამოცემული, შეგვიძლია უფრო უკეთ დავინახოთ მათი ღირსებაცა და ნაკლიც.

პირველი, რაც გვინდა აღვნიშნოთ ისაა, რომ რ. ინანიშვილი ცდილობს ლაკონურად წეროს. ეს არ არის იოლი საქმე. მოკლედ წერა აზრის სხარტად და მკაფიოდ გამოთქმას ნიშნავს და, რა თქმა უნდა, მეტ მუშაობას მოითხოვს.

ამ მხრივ საინტერესოა მოთხრობა „სამგორელები“.

ძია ანტონი, გამოცდილი მშენებელი, დილიდანვე უხასიათოდაა: მთაზე საეკვო ღრუბლები იკრიბება და, თუ ქარი ამოვარდა, დაცდილი აქვს, მანამდე არ ჩადგება, სანამ რამეს არ აზარალებს მშენებლობას. აფიქრებს ანტონს ისიც, რომ ბრიგადა ახლად ჩამოსული ბიჭებით შეუვსეს. მათ კი, მისი აზრით, იმდენს ვერ მოსთხოვ — შუალამისას მიადგე და ლოგინიდან წამოაგდო, რადგან ჯერ კიდევ არ არიან „ნამდვილი სამგორელები“ (ასე სწერს ანტონი თავის ერთ მოწაფეს, რომელიც მოსკოვში კვალიფიკაციის ასამაღლებლადაა გაგზავნილი).

მოხდა ისე, რომ ღრმად ჩაძინებული ანტონი გვიან ღამით სწორედ ამ ახალგაზრდებმა „წამოაგდეს ლოგინიდან“. ისინი უკვე შეიარაღებულნან სტიქიასთან საბრძოლველად და აჩქარებენ თავის ბრიგადირსაც. მხოლოდ ახლა ხვდება იგი თავის შეცდომას. საჩქაროდ იცვამს ტანთ და რადგან ოთახში ბნელა, მიმართავს ახალგაზრდებს: —„ მოუკიდეთ რამეს, ემანდ მაგიდაზე რვეული დევს!

მაგრამ სანამ ბიჭები მოძებნიდნენ რვეულს, თვითონ მისწვდა მაგიდას. ხელში ფურცელი მოხვდა. ერთხანს თითებით ამოწმებდა, თითქო ხარისხს უსინჯავსო. იცნო. წერილი იყო, გოგი ზურაბიშვილისადმი მინაწერი წერილი... გრძლად დაგრიხა, გაწელა, გაასწორა და ბრძანა: — მოუცადეთ!

ცეცხლის პატარა ენა უმალ გაორდა და ოთახში სინათლემ იმატა. კედლის საათი ნაშუალამევის სამს უჩვენებდა...“

ეს სურათი ბევრის მთქმელია. ამის შემდეგ იმის აღწერა, თუ როგორ ებრძოდნენ ახალგაზრდები სტიქიას და როგორი თავგანწირვით იცავდნენ მშენებლობას საშიშროებისაგან, უკვე ნათქვამის გაძეორება იქნებოდა და, ამდენად, ინტერეს მოკლებული. ავტორმა, სამაგიეროდ, კარგად მოფიქრებული სურათით დაამთავრა თავისი მოთხრობა:

„...დილის ხუთ საათზე კი ანტონის ცარიელ ოთახში მოულოდნელად აციალდა ელნათურა. იატაკი აკრეფილებული იყო სველი ნაფეხურებით. მაგიდის მახლობლად ფეხსაცმლის ლანჩიდან მოშძვრალ ტალახს ფერფლი ჩასწებებოდა. იქვე ეგდო ირგვლივ შემოსწვარი, გადარჩენილი ნახევი წერილისა, რომელზედაც ადვილად გაირჩეოდა ორი სიტყვა: „...ნამდვილი სამგორელები“.

რ. ინანიშვილის „პირველი მოთხრობების“ მკითხველს შეუნიშნავი არ დარჩება ისიც, რომ ახალგაზრდა ავტორი თითქმის ცხადად ხედავს თავის პერსონაჟებს, საგნებს, გარემოს და, რაც მთავარია, ხატავს ისე, რომ არ გიკვირთ პერსონაჟების სახის, ჩაცმულობის, მოძრაობის დანახვა. ყველა დეტალი, ყველა შტრიხი, ერთი შეხედვით უმნიშვნელო „წვრილმანიც“ აღწერაში შემთხვევით კი არ შემოდის, ცალ-ცალკე და უმოძრაოდ კი არ არის მოცემული, არამედ მას მოითხოვს სურათის კომპოზიცია, დეტალები აცოცხლებენ სურათს და ხელშესახებ კონკრეტულობას ანიჭებენ მას.

გვინდა აღვნიშნოთ ინანიშვილის მოთხრობების კიდევ ერთი თვისება. ეს არის ემოციურობა. ნაწარმოები შეიძლება ყოველმხრივ „წესიერად“ იყოს გაკეთებული, მაგრამ მაინც არ დარჩეს მკითხველის მეხსიერებაში. ეს ხდება მაშინ, როცა მწერალი უბრალოდ აღწერს საგანს, მსჯელობს საგანზე, როცა მწერალს არ გააჩნია ღრმა და ვნებიანი გრძნობა.

პატარა ეტიუდში „გრძელი დღე“ მწერალი არ ცდილობს საინტერესო ამბის თხრობით დაგაინტერესოთ. პირიქით, ამ მოთხრობაში ყველაფერი უბრალო და ჩვეულებრივია. მართლაც, განსაკუთრებული და უჩვეულო არაფერია, იმაში, რომ ახალგაზრდა კოლმეურნე ბიჭმა, როცა პირველად თავის სიცოცხლეში კოსტუმი ჩაიცვა დაირცხვინა და შარაზე გასულს მოეჩვენა, თითქოს სცენაზე აიყვანეს სიტყვის სათქმელად; არც ისაა განსაკუთრებული და უჩვეულო, როცა ყმაწვილს მუშაობის დროსაც კი აწვალებს საყვარელ გოგონაზე ფიქრი და ვერ მიმხვდარა, ქალიშვილს რომ მხოლოდ მისი კოსტუმი არ მოსწონებია.

მიუხედავად ამისა, ახალგაზრდა მწერალმა შეძლო ხორცი შეესხა ამ უბრალო და ჩვეულებრივი ამბავისათვის. ეს პატარა ეტიუდი სავსეა ყოფითი თუ ფსიქოლოგიური დეტალებით, მეტყველი შტრიხებითა და ნიუანსებით, რის გამოც ნაწარმოების კითხვისას გრძნობთ თანამედროვე საკოლმეურნეო სოფლის კოლორიტს, ხედავთ კოლმეურნე ახალგაზრდის ფსიქოლოგიურად მართალ და მიმზიდველ სახეს. რ. ინანიშვილს უყვარს თავისი გმირი და წრფელი განცდით, პოეტური ენით წერს მის შესახებ. ეს სიყვარული აცოცხლებს, სულს უდგამს ნაწარ-

მოებს და მკითხველიც გმირთან ერთად განიცდის სიხარულს თუ მწუხარებას.

ყოველივე, რაც ზემოთ ითქვა, ინანიშვილის ნიჭიერებაზე მეტყველებს. მაგრამ როცა იმისი მოთხრობების პირველ წიგნზე ვლაპარაკობთ, თვალი არ უნდა დავხუჭოთ იმ სერიოზულ ნაკლზე, რომელიც მას გააჩნია.

ავიღოთ ნოველა „უცნაური". ამ ნაწარმოებით ავტორს სურს გვითხრას, რომ ადამიანის ნამდვილ სახეს, მის ხასიათს მხოლოდ საქმე გამოაჩენსო. ამისათვის ინანიშვილმა გვიჩვენა საბჭოთა მუშაქალი ოჯახში და სამუშაოზე. მაგრამ აი, როგორია ინანიშვილის „მუშაქალი" ოჯახში: „ამ მსუქან, ვეებერთელა, ოდნავ ფერმკრთალ ქალს, მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც მე მათთან დავყავი, კალთაში ეჯდა განებივრებული ლეკვი და მძიმე-მძიმედ უსვამდა ხელს. ხანდახან ალაპარაკდებოდა, თითქოს თავისთვის, სიტყვების ღეჭით(!): რამდენს ვეხვეწები ანდრიუშას და ვერ იქნა, ვერ დავახატვინე, წიწილებიანი კრუხი".

„ამ ქალის ყვავილებიანი კაბა, ნემსის ხმარებით დაჩეჩქილი თითები და, რაც მთავარია, მოდუნებული უემოციო ხმა(!), ცუდად მოქმედებდა ჩემზე. იგი მაგონებდა ჩეხოვის თუ გორკის რომელიღაც გმირს, ქონისა და აბანოში ჩარჩენილი ჭინჭის სუნი რომ სდიოდა, თხუთმეტ ჭიქა ჩაის რომ სვამდა ჯერზე და მუცლის ზელვით იუწყებოდა „საზოგადოების წახდენას". შემდეგ ირკვევა, რომ ეს „მძინარა ქალბატონი", (ასე უწოდებს მას ავტორი), რომლის ოჯახშიც „ნაუუჭში ჩაკეტილ ადამიანთათვის დამახასიათებელი სიწყნარე, თვლემის მომრევი ატმოსფერო იყო", მოწინავე საბჭოთა მუშაქალი ყოფილა!

ავტორმა დაგვიხატა „მძინარა ქალბატონი" განებივრებული ლეკვით კალთაში, გვაჩვენა თვლემის მომრევი ოჯახური გარემო, თავიდანვე შექმნა ისეთი განწყობილება, რომ მკითხველს მართლაც „ქონისა და აბანოში ჩარჩენილი ჭინჭის სუნი" სცემს, და მერე გვეუბნება: ეს ადამიანი მოწინავე საბჭოთა მუშაქალიაო.

ახალგაზრდა ავტორს დაავიწყდა მთავარი: ფაქტი მხოლოდ ნედლი მასალაა, რომელსაც შემოქმედის ლაბორატორიაში მხატვრული გააზრება სჭირდება. შეიძლება ნაწარმოები საინტერესო საკითხავი იყოს, მეტიც, მწერალმა იქნებ უცნაური ამბავიც მოგვითხროს, მაგრამ მხატვრული ნაწარმოები მხოლოდ „უცნაური" ამბის თხრობა არ უნდა იყოს. ცხოვრებიდან აღებულ თუ გამოგონილ „უცნაურ" ფაქტს მწერალმა უცნაურობის საბურველი უნდა ახადოს და სინამდვილის ფაქტი ლიტერატურის ფაქტად აქციოს. რ. ინანიშვილის „მძინარა ქალბატონი" კი შეუძლებელია მოწინავე საბჭოთა მუშაქალის სახედ წარმოვიდგინოთ.

ამ ნაწარმოების ნაკლზე ასე დაწვრილებით არ ვილაპარაკებდით, რომ იგი შემთხვევითი იყოს ინანიშვილისათვის. საინტერესო სიუჟეტით გატაცების გამო მხატვრული სიმართლის, რეალისტური პრინციპის დავიწყება ასევე მკაფიოდ ჩანს ინანიშვილის მეორე მოთხრობაში „გზაზე".

ერთი სტუდენტი სოფელში ... გზაზე წვიმამ მოუსწრო. გადაწყვიტა ნაცნობ მეწისქვილესთან გაეთია ღამე. წისქვილში კი უცნობი კაცი შეეგება. როცა მან მგზავრის მოსვლის მიზეზი შეიტყო, აღარ მოეშვა: ამ სოფელში ჩვენც ვართ კაცები, ჩვენც შეგვიძლია გიმასპინძლოთო. ბარათი დაწერა, პატარა ბიჭს მოუხმო და უთხრა: ეს წერილი ნათელას მიუტანე, იცოდე, კაცს გაყოლებო.

ყმაწვილმა „იუარა, მაგრამ ქართველ კაცს განა ასე ადვილად დაიყოლიებ? — წერს ავტორი, — ესეც არ იყოს, მოგეხსენებათ, ქალის ხსენება და მერე ამ სახელის „ნათელა" რაღაც საამო ფიქრს აღუძრავს ხოლმე ახალგაზრდა კაცს. უმალ გაახსენდება რომელიმე რომანი თუ მოთხრობა, სადაც ქალაქელი მგზავრი სოფლის მყუდრო წიაღში ხვდება მშვენიერ ქალწულს, ებმება სიყვარულის ქსელი და მრავალი ასეთი.. ლევანიც ახალგაზრდა იყო და..." შემდეგ ასეთი ამბავი ხდება: ეზოსთან შეჩერდნენ. ძახილზე „ქალის წკრიალა ხმა გაისმა" და სტუდენტს „გულში გაჰკენწლა". ხოლო როცა თვრამეტი წლის ცქრიალა ქალიშვილი დაინახა, სიხარულისაგან გაშტერდა. მერე გამოირკვა: ქალიშვილს დიდი ხანია არჩეული ჰყავს მეგობარი. საინტერესო რომანის ჩაშლით განაწყენებული ადამიანი ყოველნაირად ცდილობს მოიგოს ქალიშვილის გული, მაგრამ ამას ვერ ახერხებს და გუნებააშლილი ღვინოს ეძალება. („და — ამბობს ავტორი, — ლევანი პირველად აქ, ამ წუთში მიხვდა, თუ რატომ აფასებდნენ ადამიანები ღვინოს").

დიდი დაკვირვება არაა საჭირო რომ დავასკვნათ: ეს მოთხრობა მხატვრულ სიმართლეს მოკლებულია. თუ მწერალი მართლაც შეხვდა ასეთ ახალგაზრდას, მაშინ ასეთი ინტიმურ-სანტიმენტალური ტონით კი არ უნდა მოუთხრო მისი „საინტერესო" თავგადასავალი, არამედ პუბლიცისტის მგზნებარებით ემხილებინა ეს, მეტი რომ არა ვთქვათ, ქერქეტა ყმაწვილი, რომელსაც ქალის სახელის მარტო ხსენებაზე საღერღელი ეშლება და სიყვარულის ხასიათზე დგება.

ამგვარი ამბებისადმი გამოდევნება არა მხოლოდ იმით უნდა აიხსნას, რომ ახალგაზრდა მწერალს ცხოვრების ცოდნა აკლია, არამედ იმითაც, რომ იგი ჯერ კიდევ არაა სათანადოდ დაუფლებული წერის ოსტატობას.

რ. ინანიშვილს შეუძლია შექმნას სურათოვანი აღწერილობა ან პორტრეტი, შეუძლია მოგვცეს პლასტიკური ნახატი, საინტერესოდ მოგვითხროს ამბავი, მაგრამ ყოველთვის არ შესწევს ძალა მასალის სწორი ორგანიზაციისა. გენიალური ლ. ტოლსტოი ნაწარმოების იდეას მაგისტრალს უწოდებდა, ეპიზოდებს, დეტალებს კი — წვრილმანებს. ის ამბობდა: მუდმივი ბრძოლა მიხდება, რათა ჩემ მიერ შერჩეული

წვრილმანი არ ეწინააღმდეგებოდეს ნაწარმოების მაგისტრალს. ახალგაზრდა ავტორს, როგორც ჩანს, ჯერჯერობით არ აუთვისებია მაგისტრალთან წვრილმანების ჰარმონიული შეხამების ოსტატობა. სწორედ ამის გამოა, რომ იგი ზოგჯერ უხვად იყენებს „ეფექტურ“ წვრილმანებს და ვეღარ ითვალისწინებს, რომ ისინი ეწინააღმდეგებიან მისსავე მხატვრულ ჩანაფიქრს და ამდენად სწორად ვერ წარმოსახავენ სინამდვილეს.

დასასრულ, გვინდა მივუთითოთ ახალგაზრდა მწერალი თითქოს შეყვარებული ადამიანის თვალით შეჰყურებს ქვეყანას და ადამიანებს. მაგრამ მწერალი, ამავე დროს, ვალდებულია ფხიზელი თვალით ხედავდეს სინამდვილეს, მოვლენებს და მხატვრულად აანალიზებდეს მათ. მხატვარი ცხოვრებაში არა მარტო სილამაზეს უნდა ხედავდეს, არამედ ნაკლსაც უნდა ამჩნევდეს და იბრძოდეს ამის წინააღმდეგ. რ. ინანიშვილის ნაწერებს კი ჯერჯერობით აკლია მებრძოლი სული და, შეიძლება ითქვას, არ ახასიათებს პუბლიცისტური სიმძაფრე.

ზოთა სულაბერიძე.

მონოგრაფია ნინო ნაკაშიძეზე *

★

ბევრი რამ დაწერილა ჩვენი სასიქადულო მწერალი ქალის ნინო ნაკაშიძის შესახებ. მისი საკუთარი თუ სხვათა მოგონებანი, წერილები კარგად ასახავენ მწერლის ხანგრძლივი, ნაყოფიერი ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ნათელ გზას, მის მიერ ნახულსა თუ განცდილს.

საბლიტგამმა გამოსცა ნ. ხომერიკის მონოგრაფია ნინო ნაკაშიძის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. ამ წიგნით ჩვენი ახალგაზრდობა გაეცნობა მისი საყვარელი „დეიდა ნინოს“ ცხოვრებას ბავშვობის წლებიდან — ღრმა ხანდაზმულობამდე.

ხშირად ჩაფიქრდებიან ახალგაზრდები, როგორი იყო ესა თუ ის მწერალი ბავშვობაში. იქნებ ისინი ჩვეულებრივი ბავშვებისაგან გამოირჩეოდნენ, თამაშობდნენ თუ არა ისინი კუკუმალობიას, დაქროდნენ თუ არა ველ-მინდვრად, უყვარდათ თუ არა ზღაპრებისა და საგმირო ამბების ყურისგდება? აი, ამ პატარა მონოგრაფიიდან ჩვენი ახალგაზრდა თაობა გაიგებს, რომ თმავერცხლა, ტკბილი მოხუცი, რომელმაც მრავალი მოთხრობა, ზღაპარი და პიესა მიუძღვნა მათ, დაიბადა საქართველოს ერთ-ერთ შესანიშნავ კუთხეში — გურიაში, სოფელ ბახვში, შემდეგ კი ღანეულის მომხიბლავი ბუნების წიაღში გაიარა ნინოს ბავშვობის წლებმა. მშობლიურ ოჯახში, ღარიბი აზნაური იოსებ და ელისაბედ (ლისა) ანთაძეების ოჯახში, ჩვეულებად იყო შემოღებული წიგნის კითხვის საღამოების გამართვა. მაგიდის ირგვლივ შემომსხდარნი, მოგიზგიზე ბუხრის წინ ისმენდნენ „ვისრამიანს,“ „სიბრძნე-სიცრუისას“, „ყარამანიანს“, ილიასა და აკაკის ნაწარმოებებს, ჟურნალ-გაზეთებს.

მონოგრაფიის ავტორი მოკლედ და სხარტად აღწერს მწერალი ქალის სამშობლოსადმი, ხალხისადმი, ლიტერატურისადმი თავდადებასა და სამსახურს.

ჯანმრთელობის მუშაკი, პედაგოგი, რედაქტორი, ჟურნალისტი, მწერალი, — ასეთია საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ნინო ნაკაშიძის ნარეკლითა და ათასი დაბრკოლებით სავსე ცხოვრების გზა. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ შეაფასებს ნინო ნაკაშიძის, როგორც საზოგადო მოღვაწის, დამსახურება.

ავტორის ღირსებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ამ წიგნით ჩვენი ახალგაზრდობა ეცნობა ისეთ უპრეტენზიო ქართველ მოღვაწეებს, სამშობლოს ისეთ უანგარო მსახურებს, როგორიც იყვნენ ნინოს მეუღლე და მასწავლებელი, მგზნებარე პატრიოტი ილია ნაკაშიძე, ცნობილი ქართველი პედაგოგები ნინო და გიგო შარაშიძეები, პირველი საბავშვო ჟურნალის „ნაკადულის“ დამაარსებელი მარიამ დემურია, მარიამ ყაუხჩიშვილი, ოლია ლეჟავა და სხვები.

1905 წლის ბობოქარი, ქარიშხლიანი დღეები საქართველოში. „აჯანყებამ განსაკუთრებით მძაფრი ხასიათი მიიღო გურიაში“, — ვკითხულობთ მონოგრაფიაში. „ოქტომბრის ბოლოს ნასაკირალზე პლასტუნებსა და გურულებს შორის სისხლისმღვრელი შეტაკება მოხდა, რის შედეგადაც პლასტუნებმა გადაჩეხეს გურულ გლეხთა კარ-მიდამო, ცეცხლსა და ალს მისცეს მათი ნაწვავ-ნადაგი“. გაზეთი „ცნობის ფურცელი“ გურიაში აგზავნის ნინო და ილია ნაკაშიძეებს, როგორც სპეციალურ კორესპონდენტებს. ნინოს წერილები ქვეყნდება „დამსწრეს“ ფსევდონიმით. „პლასტუნები ანადგურებდნენ გზაზე ყველაფერს“, — ატყობინებდა „ცნობის ფურცელს“ ნინო ნაკაშიძე. „გულსაკლავი სურათი იყო, — წერდა სხვა წერილში იგი, —

---

* ნ. ხომერიკი. ნინო ნაკაშიძე; საბლიტგამი 1953.

„ჯარი თუ წინ მიიწევდა, არც ცეცხლი რჩებოდა უკან, იგიც თანდათან მიჰყვებოდა დასავლეთისაკენ“. კორესპონდენციების ბეჭდვისა და „დაჩწვართა კომიტეტში“ აქტიური მონაწილეობისათვის ნინოს არაერთგზის აპატიმრებენ და ასახლებენ.

ბევრი მოთხრობა მიუძღვნა გურიის აჯანყებას ნინო ნაკაშიძემ. მონოგრაფიის ავტორს რამდენიმე მოთხრობა აქვს გარჩეული. ასეთებია, მაგალითად, „მოვალეობა“, „ასპიროზის დახვრეტა“, „გურიის სოფელში“. წიგნის ავტორი დიდი სიყვარულით მოგვითხრობს ნინო ნაკაშიძეზე, როგორც ჭეშმარიტ საბავშვო მწერალზე.

მისი, „როგორც საბავშვო მწერლის, უდიდესი ღირსება ისაა, რომ იგი დაჯილდოებულია შესანიშნავი ნიჭით. ბავშვებისათვის სადა და გასაგები, ამავე დროს, მიმზიდველი, ხალისიანი და ხატოვანი ენით საუბრის უნარით“.

ნინო ნაკაშიძე კარგად იცნობს ბავშვთა სულიერ სამყაროს, მის მისწრაფებებს და სურვილებს, იგი ბავშვების მეგობარი და მესაიდუმლეა. პატარებს უყვართ ზღაპრები, და მწერალმაც შექმნა თანამედროვე, ახალი ტიპის ზღაპრები: „მახობელა“, „სუნჯა“ და სხვ. ნინო ნაკაშიძის ზღაპრების აზრი ნათელია, — წერს მონოგრაფიის ავტორი, — „ყველაფერი, სიკეთე დედაა სიყვარულისა“.

განყოფილებებში „საიუბილეო საღამოები“ აღწერილია, თუ როგორ დააფასეს ხალხმა, კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ ღვაწლმოსილი მწერალი ქალი. 1948 წელს დიდი ზეიმით აღინიშნა მისი დაბადებიდან 75-ისა და 1952 წელს კი 80 წლისთავი. მხურვალე მონაწილეობა მიიღეს ამ დღესასწაულში ბავშვებმა, „რომელთა გონებრივ განვითარებას ნინო ნაკაშიძემ მიუძღვნა თავისი ნიჭი და შემოქმედება“.

მინაწერს, ბოლოსიტყვაობის ნაცვლად, ავტორი ნინო ნაკაშიძის სიტყვებით ამთავრებს: „დრომ სწრაფად გაირბინა, ასე მგონია, გუშინ იყო ეს ყველაფერი. უკვე 80 წელსაც გადავაბიჯე, მაგრამ სიბერისათვის ჯერ მაინც არ მცალიან. მე მიყვარს ბავშვები, ჩვენი ქვეყნის გაზაფხულის ყვავილები, და მათთვის ხომ ბევრი რამ ჯერ არ მითქვამს“.

ნინო აღნიაშვილი.

ისტორიული ნაშრომი ინგლისელ-თურქ დამპყრობთა გეგმების ჩაშლის შესახებ *

★

პროფ. ე. ბურჭულაძის შრომა „საქართველოს დაყოფისა და დამონების ინგლისელ-თურქ დამპყრობთა გეგმების ჩაშლა“ საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ისტორიისადმი მიძღვნილი მონოგრაფიაა. წიგნში ძირითადად განხილულია მე-19 საუკუნის ერთი კონკრეტული მონაკვეთი —ყირიმის ომის პერიოდი (1853—1856 წ. წ.).

ნაშრომის ერთი უმთავრესი ღირსება ის არის, რომ მთელი ყურადღება გამახვილებულია ისტორიის შემოქმედის — ხალხის როლზე საქართველოს მტრების — ინგლისელ-თურქი დამპყრობლების გეგმების ჩაშლის საქმეში. ამასთანავე შრომა აგებულია რუს და ქართველ ხალხებს შორის ურყევი მეგობრობის ფონზე.

მიზეზი ყირიმის ანუ აღმოსავლეთის ომის გაჩაღებისა „აღმოსავლეთის საკითხის“ ირგვლივ ევროპისა და აზიის ძლიერ სახელმწიფოებს შორის წინააღმდეგობათა გამწვავებაში მდგომარეობდა. ამ ომში ერთმანეთს შეეჯახა ორი ძალა: ერთი მხრივ გამოვიდნენ თურქეთი, ინგლისი და საფრანგეთი და, მეორე მხრივ, ფეოდალურ-ბატონყმური მეფის რუსეთი. თავდაპირველად ომი დაიწყო რუსეთსა და თურქეთს შორის. მაგრამ 1854 წლის აპრილიდან ომში ჩაებნენ ინგლისი და საფრანგეთი, ხოლო 1855 წლიდან სარდინიაც. ამის შემდეგ რუსეთ-თურქეთის ომი ფაქტიურად რუსეთ-დასავლეთ ევროპის ომად გადაიზარდა. საომარი მოქმედება ძირითადად გაჩაღდა ორ მთავარ ფრონტზე — ბალკანეთსა და ამიერკავკასიაში. ამ ომის პერიოდში ქართველ ხალხს დიდი მსხვერპლის გაღება მოუხდა, რადგანაც საომარი ოპერაციები უშუალოდ საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარეობდა.

შავი ზღვიდან თურქეთის საექსპედიციო კორპუსის შემოჭრისა და მტრის მიერ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილის ოკუპაციის პასუხად ქართველმა ხალხმა პარტიზანული ომი გააჩაღა. შემოსეულ მტერთან ქართველი ხალხის თავგანწირულმა ბრძოლამ „ჭეშმარიტად სახალხო, გამათავისუფლებელი, სამართლიანი ომის ხასიათი მიიღო“ (გვ. 4).

პროფ. ე. ბურჭულაძეს მიზნად დაუსახავს — ახალი საარქივო დოკუმენტებისა და პირველწყაროების გამოყენებით — გამოერკვია ქართ-

---

* ე. ბ ურ ჭ უ ლ ა ძ ე. საქართველოს დაყოფისა და დამონების ინგლისელ-თურქ დამპყრობთა გეგმების ჩაშლა (ყირიმის ომის პერიოდი). სახელგამი. პოლიტლიტერატურის სექტორი, 1953.

ველი ხალხის როლი იმ დიდ ბრძოლაში, რომელიც რუსეთმა აწარმოვა თურქი და დასავლეთ-ევროპელი დამპყრობლების წინააღმდეგ. უტყუარი ისტორიული ფაქტების მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის საფუძველზე სწორი მეცნიერული ანალიზის შედეგად ავტორი სამართლიანად ასკვნის, რომ „საქართველომ, მთელ ამიერკავკასიის ხალხთან ერთად, თვალსაჩინო როლი შეასრულა აგრესორის (თურქეთის) უკუქცევასა და განადგურებაში“ (გვ. 9).

ინგლისი ათასნაირად ცდილობდა თავისი მიზნები განეხორციელებინა. იგი მიმართავდა დიპლომატიურ ხრიკებს, მოსყიდვას, შანტაჟს და ა. შ. ბრიტანეთის აგენტების ქსელი მოეფინა აზიის მთელ რიგ ქვეყნებს და, მათ შორის, ამიერკავკასიასაც. ცნობილია, რომ ინგლისელი აგენტები თავიანთ ფრანგ კოლეგებთან ერთად სისტემატურად დაძრწოდნენ „კავკასიის მთებში, სამურზაყანოს ხეობაში და სამეგრელოში, ქობულეთის სანჯაყის მიდამოებსა და გურიაში“ (39).

ამიერკავკასიისა და საქართველოს დაყოფა — დამონების გეგმებში ნაწილობრივ მნიშვნელოვანი როლი ჰქონდა მიკუთვნებული მოურიდთა ანტიხალხურ მოძრაობას, რომელსაც შამილი და მაჰმადემინი ხელმძღვანელობდნენ.

შამილმა და მაჰმად-ემინმა თავიანთი ინგლისელი და თურქი ბატონების მითითებით, რუსეთსა და ამიერკავკასიის ხალხების წინააღმდეგ გამოსვლები განსაკუთრებით გააქტიურეს ყირიმის ომის პერიოდში. შამილი მთელ თავის მოქმედებას მოკავშირეთა საომარი მოქმედების გეგმებს უფარდებდა: „მისი მიზანი იყო, გაერღვია და ჩაეშალა რუსთა კომუნიკაციები და შეერთებოდა თურქეთის არმიას“ (63).

ინგლის-თურქეთის აგენტებს — შამილსა და მაჰმად-ემინს მთიელების ფართო მასები მხარს არ უჭერდნენ. ისინი ეყრდნობოდნენ მხოლოდ სამხედრო ფეოდალურ ზედაფენებს. კავკასიის მთიელთა ერთი ნაწილი ხშირად ჯანყდებოდა შამილის წინააღმდეგ. ამიტომ შამილი და მისი ნაიბები მხოლოდ „ცეცხლითა და მახვილით ახერხებდნენ შეენარჩუნებინათ თავიანთი დროებითი ბატონობა მთის გაწამებულ მოსახლეობაში“ (79).

მოკავშირეებმა სადესანტო დარტყმები ყირიმის ნახევარკუნძულისაკენ მიმართეს, მაგრამ მათ არც საქართველო გამორჩენიათ მხედველობიდან. მოკავშირეები შეთანხმდნენ, რომ შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე თურქეთის საექსპედიციო არმია გადმოეყვანათ. 1855 წლის სექტემბრის დამდეგს მოკავშირეებმა დაიწყეს ომერ-ფაშას სარდლობით საქართველოში თურქეთის ჯარების გადმოსხმა, „ისე, რომ უკვე 1855 წლის შემოდგომის დასაწყისს თურქეთის საექსპედიციო არმია მრისხანე ძალად იდგა გურიისა და სამეგრელოს ზღუდეებთან“ (115).

თურქეთის მთავარსარდალთან დიდი რაოდენობით იმყოფებოდნენ ინგლისელი და ფრანგი „მრჩეველები“, რომლებიც ფაქტიურად განაგებდნენ საექსპედიციო ჯარის მთელ საქმიანობას, ომერ-ფაშა თავის მრჩეველთა მხოლოდ აღმასრულებლის როლს თამაშობდა.

1855 წლის ოქტომბრის დასაწყისში ომერ-ფაშამ თავისი ჯარები დასძრა აფხაზეთიდან სამეგრელოს საზღვრებისაკენ. მტრის ძალები ორჯერ აღემატებოდნენ რუს-ქართველთა ლაშქარს. ენგურთან გამართულ ბრძოლაში (1855 წ. 25 ოქტომბერს) მტერმა დიდი ზარალი ნახა. ამ სისხლისმღვრელი შეტაკების დროს ქართველ და სხვა კავკასიელ ხალხთა შვილები რუსი ჯარისკაცების მხარდამხარ იბრძოდნენ საერთო მტრის წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში „მთელი ძალით გამომჟღავნდა მოძმე ხალხებისა და ერების საუკეთესო შვილთა ნამდვილი საბრძოლო მეგობრობა და ძმობა“ (148).

ომერ-ფაშამ შეძლო მძიმე დანაკლისის ფასად დასავლეთ საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილის ოკუპაცია მოეხდინა. მაგრამ მტრის ზეიმი ნაადრევი აღმოჩნდა. საქართველოს მოსახლეობა აღდგა მტრის წინააღმდეგ სიბრძოლველად. მტრის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე შეიქმნა მფრინავი რაზმები, რომლებმაც გააჩაღეს „ძლევამოსილი პარტიზანული ბრძოლა ოკუპანტების წინააღმდეგ“ (151). ამავე დროს, რუსთა ჯარის რეგულარული ნაწილები, ქართული მილიცია და გურიის რაზმი ოკუპანტებს გამანადგურებლად ურტყამდნენ ფრონტიდან.

ამ ხანებში (1855 წ. 14 ნოემბერს) რუს-ქართველთა ჯარების ერთობლივად მოქმედების შედეგად დაეცა მცირე აზიის უძლიერესი სიმაგრე ყარსი. ცნობას ყარსის დაცემის შესახებ დიდი სიხარულით შეხვდნენ რუსეთსა და საქართველოში. ყარსის აღებამ ცოტათი შეამსუბუქა ის სიმწარე, რაც სევასტოპოლის დაცემით იყო გამოწვეული. რუსეთის მთავრობას ესმოდა, რომ ამ ბრწყინვალე გამარჯვებას „შეეძლო მნიშვნელოვანი ფაქტორის როლი შეესრულებინა საზავო მოლაპარაკების დროს“ (181).

რუს-ქართველთა ჯარებმა ყარსის აღების შემდეგ გააფთრებით შეუტიეს დასავლეთ საქართველოში მყოფ ომერ-ფაშას ჯარებს და შამილის ბანდებს, რომლებიც კახეთის სოფლებსა და ქალაქებს მოსვენებას არ აძლევდნენ. ომერ-ფაშა იძულებული გახდა შავი ზღვის სანაპიროებისაკენ დაეხია. მალე მთელი სამეგრელოს ტერიტორია გაწმენდილ იქნა მტრის ურდოებისაგან. დასავლეთ საქართველოში აგრესორთა ლაშქრის დამარცხება „ნიშნავდა არა მარტო თურქეთის დაპყრობითი გეგმების ჩაშლას, იგი მოასწავებდა აგრეთვე ინგლისელ და ფრანგ კოლონიზატორთა მუხანათური ვარაუდების გაკოტრებას საქართველოსა და ამიერკავკასიაში“ (183).

სევასტოპოლის დაცემის შემდეგ საფრანგეთის მთავრობა თავის მიზნებს მიღწეულად თვლიდა და ომის გაგრძელება აღარ სურდა, რადგანაც მას „არაფრად ეჭაშნიკებოდა არც ინგლისის ზომაზე მეტად გაძლიერება, არც რუსეთის მეტისმეტად დაუძლურება“ (206). ყოველივე ამის შედეგად ინგლისის გეგმები 1856 წლისათვის საქართველოსა და ამიერკავკასიის ხალხთა დამონების შესახებ „მხოლოდ ქაღალდზე დარჩა“ (206).

1856 წლის მარტში დაიწყო მოლაპარაკება მოკავშირეებსა და რუსეთს შორის, რაც დამთავრდა პარიზის საზავო ხელშეკრულების დაღებით. პარიზის ტრაქტატმა დიდად შეზღუდა რუსეთის უფლებები შავ ზღვაში, ბალკანეთსა და ამიერკავკასიაში.

ყირიმის ომში მეფის რუსეთის დამარცხებამ გამოამჟღავნა ბატონყმური რეჟიმის მთელი სიდამპლე. უაღრესად გამწვავდა კლასობრივი წინააღმდეგობა და კლასთა ბრძოლა. მებატონეთა მიერ გლეხთა ექსპლოატაციამ ახლა „უაღრესად მწვავე ფორმები მიიღო“ (216). ცარიზმის ბიუროკრატი მოხელეები უპერდნენ მხარს მებატონეებს, იცავდნენ მათ ინტერესებს.

რუსეთის შიდა გუბერნიების გლეხობასთან ერთად ქართველმა გლეხებმა მებატონეთა მხრივ სოციალ-ეკონომიური ჩაგვრის გაძლიერებას აჯანყებებით უპასუხეს. განსაკუთრებით აღსანიშნავია, 1857 წლის აჯანყება სამეგრელოში, იმავე წლის ძლიერი გამოსვლა ამაღლებისა და ბაღდადის უბნებში (იმერეთში).

ინგლისელ-თურქ დამპყრობთა გეგმები საქართველოს დაყოფისა და დამონების შესახებ, მართალია, ყირიმის ომის პერიოდში — რუსი ჯარისკაცების მხარდამხარ — ქართველი და ამიერკავკასიის ხალხთა ბრძოლამ ჩაშალა, მაგრამ ამ გეგმებზე მათ ხელი არასოდეს არ აუღიათ. ინგლისელ-თურქ აგრესორთა ამ მიზნებმა აშკარად იჩინეს თავი 1877-78 წწ. რუსეთ-თურქეთის ომისა და ბერლინის კონფერენციის დროს, ხოლო სამოქალაქო ომის მძიმე წლებში, როდესაც ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკას 14 კაპიტალისტური სახელმწიფოს შეიარაღებული ინტერვენციის წინააღმდეგ უხდებოდა ბრძოლა, ინგლისელ-თურქმა კოლონიზატორებმა მენშევიკების გამცემლობის წყალობით საქართველოს ოკუპაცია მოახდინეს.

დიდი რუსი ხალხის ძმური დახმარების შეღეგად საქართველოს მშრომელებმა დაამხეს უცხოელთა ხიშტებზე დაყრდნობილი მენშევიკთა ბატონობა და 1921 წლის 25 თებერვალს ჩვენს ქვეყანაში თავისუფლების წითელი დროშა ააფრიალეს.

მრავალ დადებით მხარესთან ერთად ნაშრომს აქვს ნაკლოვანებებიც.

ავტორი საკითხის თხრობას იწყებს უშუალოდ სამხედრო-პოლიტიკური ამბების გადმოცემით და არ ჩერდება XIX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს სოციალ-ეკონომიურ ვითარებაზე. ჩვენი აზრით, შრომა მოიგებდა, რომ ავტორი თუნდაც მოკლედ შეხებოდა იმ სოციალ-ეკონომიურ და პოლიტიკურ მდგომარეობას, რომელიც ჩვენში დამკვიდრდა რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგ.

საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე ინგლისი მხოლოდ დიპლომატიური გზით ცდილობდა ირან-თურქეთის დარაზმვას რუსეთის წინააღმდეგ. რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგ კი იგი აშკარად უკავშირდება თურქ აგრესორებს და მათთან ერთად ადგენს საქართველოსა და ამიერკავკასიის დაყოფისა და დამონების გეგმებს.

ე. ბურჭულაძე, მართალია, გასაგებად და ნათლად აღწერს ინგლის-თურქეთის აგენტების — შამილისა და მაჰმად-ემინის ხელმძღვანელობით მიურიდთა მოძრაობას, იძლევა მიურიდიზმის რეაქციული, ანტიხალხური, ნაციონალისტური შინაარსის დახასიათებას, მაგრამ შრომაში შედარებით მცირე რაოდენობითაა მოტანილი ფაქტიური მასალა შამილისა და მიურიდიზმის წინააღმდეგ ქართველი ხალხის ბრძოლის ისტორიიდან. ჩვენი აზრით, მიზანშეწონილი იქნებოდა, ამ მხრივ ყურადღების მეტად გამახვილება, რადგანაც შამილის მოქმედებას მნიშვნელოვანი როლი ჰქონდა მინიჭებული საქარ-

ოველოს დაყოფისა და დამონების ინგლისელ-თურქ დამპყრობთა საერთო გეგმების განხორციელების საქმეში.

შრომის მესამე გვერდზე ვკითხულობთ; „1853-1856 წლების აღმოსავლეთის ანუ ყირიმის ომი თავისი ხასიათით და მიზანსწრაფვით, ორივე მეომარი ბანაკის მხრივ, მტაცებლური, უსამართლო ომი იყო“. კარგი იქნებოდა, ყირიმის ომის ასეთი ფორმულირებისათვის ავტორს აქვე გაეკეთებინა სათანადო შენიშვნა, რომ ეს ომი ორივე მეომარი ბანაკის მხრივ დასაწყისიდან დამთავრებამდე (1853-1856 წ. წ.) ერთნაირად მტაცებლური და უსამართლო არ ყოფილა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ავტორი, შრომის დასკვნითს ნაწილში მართებულად წერს: „ინგლისელი კოლონიზატორების ექსპანსიონისტური გეგმები თურქეთის და მთელი აღმოსავლეთის მიმართ დიდად სჭარბობდნენ ცარიზმის მოქმედების მიზნებს და მასშტაბებს“ (222). სასურველი იყო, ავტორს ხაზი გაესვა, რომ აღმოსავლეთის ომი, სანამ იგი რუსეთსა და თურქეთს შორის მიმდინარეობდა ორივე მხრივ ერთნაირად უსამართლო იყო, მაგრამ 1854 წლის აპრილიდან რუსეთის მხრივ ამ ომს სამართლიანი შინაარსი მიეცა. რუსმა და ყირიმელი ხალხები აგრესორთა წინააღმდეგ ბრძოლებში ერთსულოვნად ჩაებნენ. ამის შესანიშნავი ილუსტრაციაა სევასტოპოლის გმირული დაცვა, რომელიც 11 თვეს გრძელდებოდა. როგორც ცნობილია სევასტოპოლის დაცვის პერიოდში რუსი ჯარისკაცებისა და მატროსების მხარდამხარ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოდნენ რუსეთის სამოქალაქო მოსახლეობის წარმომადგენლები. სევასტოპოლის დამცველებს მრავალრიცხოვან მტერთან შერკინებისას სწორედ თავიანთი ბრძოლის სამართლიანობა და სამშობლოს სიყვარული აღაფრთოვანებდათ.

პროფ. ბურჭულაძის მონოგრაფია სასარგებლო მეცნიერული ნაშრომია. ქართულ და რუსულ ისტორიოგრაფიაში იგი მნიშვნელოვან შენაძენს წარმოადგენს. უეჭველია ე. ბურჭულაძის კარგი წიგნი მკითხველთა ფართო წრეს მიიზიდავს.

დოც. ზ. შველიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა